


The image shows three large, stylized letters from a children's book: a grey 'H' on the left, a grey 'U' in the center, and a grey 'T' on the right. The letters are set against a light blue background. In the bottom right corner, there is a small, colorful illustration of a character's head with a yellow and green patterned hat.



## სპეციალური ნომერი

### **Nº 3 (42)**

## ମୋଟାରୀତିଶାଖାକୁ ପାଇଁ ଶହିରକାଳୀ

תְּהִלָּה תְּהִלָּה תְּהִלָּה תְּהִלָּה תְּהִלָּה תְּהִלָּה

2019



უურნალი „ოლე“  
მასპინძლობს  
გაზეთ  
„ლიტერატურულ  
მესხეთს“

# ოლე

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
**სულხან საპა**

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

## მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

## რედაქტორები

ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

## მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთის“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა  
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“  
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნარეკლიშვილი, მერის პირველი მოადგილე ბატონი დავით ბეგიაშვილი) მხარდაჭერით.



გარეკანის სამსახურის შემსრულებელი ქურნალი №3(42), 2019



გარეკანის სამსახურის შემსრულებელი ქურნალი №3(42), 2019



## შინაარსი

„ოლეს“ სტუმარია გაზეთი  
„ლიტერატურული გასხვითი“

2. მილოცვები. ბესიკ ამირანაშვილი, ირაკლი ქადაგიშვილი, როსტომ მაგრაქველიძე, შოთა ნარეკლიშვილი, ავთანდილ ბერიძე, ფარნა რაინა, აკაკი დაუშვილი

## ნინაართა სიპრეზი

5. მთქმელი კიბა ზეღინიშვილი. მეცე, გლეხი და გველი

## გვარესოვდეს ჩვენი ისტორია

8. ჰუშანი მეტრევალი. ისტორიული მესხეთის საკითხისათვის

## გხატვული ლიტერატურა

22. ავთანდილ გარიბა. ლექსები

27. მარია ჯიპა. ლექსები

30. გიორგი ნაშეძე. ლექსები

34. ლურმიშვან პარიბა. რა კარგი ხარ, ჩიხორიშო! მოთხოვთ

41. კობა მოდვაპა. ლექსები

45. ავთანდილ ივანიშვილი. ლექსები

48. ვლაძენარ ველიანაშვილი. ლექსები

## თარგმანი

52. პერსი პისი ვალი, ემილი დიკინსონი. ლექსები

## ცერილები

54. ნატო ყრუავაზოლი. შალვა ახალციხელი

57. იოსეთ გიქოზვილი. ეროვნული თვალსაზრისი

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ წერილებში

62. უჩა გლუავაზოლი. ქართული ხასიათი

69. ცირი ლაფარი. ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის

## გესტრი ფოლკლორი

74. მთხველები: ბასილ გოგოლაძე, ნენე ყირიმელაშვილი, ოსიკო გიქოშვილი, გიორგი (გოგი) აბულაძე, სიმონ კაჭკაჭიშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე  
სოფიო ჭელიძის ნახატი

დაიბეჭდა  
გამომცემლობა „ვერიზიანები“

1



ოლე, №3, 2019

## „ოლე“-ს სცუმახია გაზეთი „ღიაქეჩაფუჟული მესხეთი“

\* \* \*

სამცხე-ჯავახეთი დიდი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის მხარეა, რომლის მაცნეა გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“. იგი 20 წელია ამ ისტორიას თავის ლიტერატურულ ფურცლებზე ავსებს. მისი თითოეული ფურცელი უპირობო მემატიანება. ასევე კახეთი, დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის მქონე მხარე, რომლის ცხოვრებას უურნალი „ოლე“ 15 წლის განმავლობაში ინახავს. ორივე ლიტერატურული გამოცემა წლების განმავლობაში არა მხოლოდ ინარჩუნებს პოზიციებს, არამედ დღეს, „ინტერნეტის ეპოქაში“, ცდილობს ალნიშნული მიმართულებით ცნობადობის ამაღლებასა და გაზრდას.

2

ვულოცავთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისა“ და უურნალ „ოლეს“ რედაქციას, ასევე სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის მხარეებს ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს. მისასალმებელია, რომ გაზეთისა და უურნალის თანამშრომლობის საფუძველზე მოხდება ლიტერატურული ფურცლების გაცვლა, რაც მხარეებს შორის გააღრმავებს ურთიერთობებს როგორც ლიტერატურის, ასევე კულტურის მიმართულებით.

### გესი ამირანავილი

სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში

\* \* \*

მინდა ჩემი ღრმა პატივისცემა გამოვხატო ლიტერატურული უურნალი „ოლე“-სა და გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“-ს შემოქმედებითი გუნდების მიმართ. მისასალმებელია, ინიციატივა – კახეთიდან უურნალისა და სამცხე-ჯავახეთიდან გაზეთის აგვისტოს თვის გამოცემის გაცვლის შესახებ. მჯერა, ორ რეგიონს შორის მსგავსი სახის თანამშრომლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მკითხველი საზოგადოების ლიტერატურისადმი დაახლოებასა და ცნობადობის ამაღლებას.

კიდევ ერთხელ მიგესალმები, უურნალი „ოლე“-სა და გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“-ს სამაგალითო მეგობრობას. კარგად მახსენდება, პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის გენერალური მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის პერიოდში „ლიტერატურული მესხეთი“-ს რედაქციასთან საქმიანი ურთიერთობა.

მოხარული ვარ, რომ მერგო პატივი, ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება გამომეხატა თითოეული იმ ადამიანის მიმართ, ვინც უდიდესი ენთუზიაზმითა და რუდუნებით დაგანან ქართული სიტყვის სამსახურში და ენერგიას არ იშურებენ საზოგადოების ლიტერატურასთან დაახლოების საქმეში.

გისურვებთ წარმატებას ორივე რეგიონის შემოქმედებითი გუნდების თითოეულ თანამშრომელს, რომელიც უშურველად იღვნის და ერთგულად ემსახურება ქართული ლიტერატურული გამოცემების შექმნას. მეამაყებით და გისურვებთ კიდევ მრავალი საინტერესო ინიციატივის განხორციელებას შემოქმედებით საქმიანობაში.

### ირაკლი ქადაგიშვილი

სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში

## ურთიერთობებს გააღრმავებს

მესხეთი გახლავთ მხარე, საიდანაც იწყება საქართველოს კულტურული განვითარება, აქ დაიწერა უდიდესი ქართველი გენიოსის – შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა – „ვეფხისტყაოსანი“. ეს ის მხარეა, რომელსაც გააჩნია უძველესი წარსულის უმდიდრესი ისტორია, რომელსაც წლებია გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ თავის ფურცლებზე ასახავს, ის ნამდვილად ამართლებს თავის სახელწოდებას, ქართველი საზოგადოების წინაშე მან მართლაც მეტად მნიშვნელოვანი როლი იკისრა.

ვულოცავ გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“ 20 წლის იუბილეს. მან ამ წლების მანძილზე შექმნა მეტად მნიშვნელოვანი და ღირებული ლიტერატურული ისტორია, მივესალმები ასევე იუბილარ, კახეთის რეგიონულ უურნალ „ოლესთან“ თანამშრომლობას და მჯერა ლიტერატურული ფურცლების გაცვლა თავის სიტყვას იტყვის და გააღრმავებს მხარეებს შორის ურთიერთობებს.

### როსტომ მაგრავილი

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი



\* \* \*

ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“ უკვე 15 წელია ამაყად დგას ქართული სიტყვის სამსახურში და თავის მრავალრიცხოვან მკითხველს საშუალებას აძლევს ეზიაროს კლასიკური თუ თანამედროვე პროზაიკოსების, პოეტებისა და პუბლიცისტების ნაშრომებს. მას არაერთი დამწერები შემოქმედსათვის გაუკვალავს გზა.

ჟურნალი „ოლე“ მუდმივად ზრუნავს თელავის მუნიციპალიტეტში ლიტერატურული პროცესების განვითარებაზე, რისი დასტურიც არის მისი დამეგობრება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთან“. მისასალმებელია ინიციატივა ჟურნალი „ოლე“-ს და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთი“-ს აგვისტოს თვის გამოცემების გაფვლის შესახებ. მჯერა, რომ ეს ნაბიჯი შექმნის თელავისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების დაახლოებას ლიტერატურასთან.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სახლით, გულოცავ ჟურნალი „ოლე“-ს და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთი“-ს შემოქმედებით გუნდებს მიღწეულ წარმატებებს და ვუსურვებ ხანგრძლივ და ნაყოფიერ თანამშრომლობას.

## შოთა ვალენტინი

თელავის მუნიციპალიტეტის მერი

3



## მთკიცე გალავარი იქნება

ჩვენ რუსთაველის ქვეყნის შვილები ვართ და ამიტომაცაა, რომ თითოეულ ჩვენთაგანში პოეზიისა და მწერლობისადმი სიყვარულია გამჯდარი. საქართველოს ორი ძირძველი უნიკალური მხარის – კახეთისა და მესხეთის მოსახლეობისთვის პოეზიისადმი ინტერესი კი ორმაგად მძლავრობს, რადგან მესხეთში დაბადებულ-გაზრდილი დიდი რუსთველი ცოდნის წყაროს კახეთში – იყალთოს აკადემიაში დაენაფა და ეს ორი მხარე ამითაც დიდ კავშირშია.

სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ კომპიუტერისა და ინტერნეტის ეპოქაში, დღეს, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების მრავალი გამოცემის მიუხედავად, ლიტერატურული ცხოვრების წარმოჩენა რეგიონებიდან სრულიად საქართველოში მაინც დიდ პრობლემას წარმოადგენს.

აღნიშნული პროექტი ურთიერთდაახლოების უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

გვჯერა, ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობა კიდევ უფრო წარმოაჩენს ამ ორი დიდი ისტორიის მქონე რეგიონის ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებას.

„დადგით მესხეთში აკვნები, გაზარდეთ კულავ რუსთაველი!“ – ბრძანებს დიდი გოგლა და შვილთა სიმრავლემ, ქართული მწერლობისადმი სიყვარულმა, უნდა შვას ახალი დიდი პოეტები და მწერლები. ამიტომ გვმართებს მეტი შემართება, მონდომება – ჩვენს სისხლსა და ხორცს შევუწყოთ ხელი, მათში ახალი ტალანტების გამოვლენისა და ფართო ასპარეზზე გამოყვანისათვის.

ჟურნალი „ოლე“ და გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ ამგვარი მიღებომით ერთ აგურს მაინც დადებს ქართული მწერლობის განვითარების საქმეში, რამეთუ ძიებაშია წარმატებების მიღწევა და ჩვენი მომავალი თანამშრომლობა მტკიცე ბალავარი იქნება კახეთისა და მესხეთის რეგიონების შემოქმედებითი ინტელიგენციის ურთიერთთანამშრომლობისათვის.

## ავტორულ ჩარიცა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რადაქტორი

## ქალა ერთობაშია...

## გადაძახილი დედამისესეთთან...

ისტორიული მესხეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სახელწოდებაა. ანტიკური ხანის წყაროებში (სტრაბონი, ძვ.წ. 64-63) მოსხენიება „მოსხეიეს“ სახელწოდებით, – სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა, აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი.

X-X საუკუნეებში მესხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნა ბაგრატიონთა სამეფო (ცენტრი – არტაანუჯი). XII-XIII საუკუნიდან მესხეთი საქართველოს სამეფოს დიდმოხელე ერისთავთა, სამცხის სპასალარ ჯაყელ-ციხის-ჯვარელთა სამფლობელო იყო.

ოქტომბერი, №3, 2019





მესხეთი – საქართველოსთვის, – მსოფლიო უძველესი ცივილიზაციის სამხრეთის ჭიშკარი, სხვადასხვა ფროს, მოზავებულ, სხვადასხვა მტერთა სალაშქრო, საქართვის გზადაც იქცა.

ჩვენი ქვეყნის კულტურის აკვანი: არაპთა, სპარსთა, თურქთა და მონლოლთა სათარეშო გახდა. გვიან საუკუნეებში არც „მეგობარმა“ რუსებმა დააკლეს მსახვრალი ხელი და ამ წმინდა მიწაზე დიდძალი უცხო-ტომელები შემოგვისახლეს. ეთნიკურმა აჭრელებამ თავისი დაღი დაასვა ამ, სამოთხეს და, დღემდე, ვერ გამართულა წელში. ღვთის წყალობა იყო ამ მხარეში უნივერსიტეტის გახსნა და მწერალთა კავშირის განყოფილების დაფუძნება; გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ ხომ დიდი სიკეთის მეკვლეა მისთვის. მესხეთმა რომ მესხეთობა დაიბრუნოს, საჭიროა თავისი ტაო-კლარჯეთი და სხვა დაკარგული ტერიტორიები შემოისისხლორცოს, თუმცა, ეს, უდიდესი ეროვნული საქმე უაღრესად პრობლემურია და დროში გაიწელება და, არის სხვა, უფრო, ხელმისაწვდომი ფაქტორები – საქართველოს ყველა კუთხემ ყური მიუგდოს მის სუნთქვას და საჭიროების შემთხვევაში, ძმური ხელი გაუწოდოს იმედიანი მომავლის დასამკვიდრებლად და ასალორინებლად...

ერთი ათეული წელია, რაც უფრო ახლო ურთიერთობა გვაქვს კახეთისა და მესხეთის მწერალთა ორგანიზაციებს, რაც მესხეთის მწერალთა თავებისა და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორის ავთანდილ ბერიძის დამსახურებაც არის, რომელიც სათავეში უდგას გენიალური პოეტის ყოველწლიურ დღესასწაულებს: „შოთაობას“ და აწყობს პოეტურ კონკურსებს.

კახეთისა და მესხეთის რეგიონების დიდი მეგობრობის დასტურია უურნალ „ოლეს“ და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ნომრების გაცვლა.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს, მწერლური, გადაძახილ-გადმოძახილი ერთგულ მკითხველთა გულებისაკენ...

## ზარნა რაინა

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე, – ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატი, თელავის საპატიო მოქალაქე.

## რუსთაველი გვაერთიანებს!


სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ კახეთსა და მესხეთს (სამცხე-ჯავახეთს) შოთა რუსთაველი აერთიანებს. შოთა წარმოშობით მესხეთიდანაა, განათლება კი კახეთში (იყალთოს აკადემიაში) მიიღო და სიმბოლურია, რომ კახეთსა და მესხეთში მოღვაწე ლიტერატორები და მეცნიერები ერთმანეთს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისა“ და უურნალ „ოლეს“ ფურცლებზე ხვდებიან.

მესხეთსა და კახეთს განვებამ ყველაზე რთული – საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრების მეციხოება დააკისრა. ამასთანავე ეს რეგიონები დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. სწორედ ქართულმა ენამ, ქართულმა მწერლობამ მოიყვანა ქართველი ერი დღევანდელობამდე. ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კახეთსა და მესხეთში გამომავალ ლიტერატურულ გამოცემებს.

დარწმუნებული ვარ დიდად წარმატებული იქნება გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისა“ და უურნალ „ოლეს“ ფურცლებზე მესხეთსა და კახეთში მოღვაწე ლიტერატორებისა და მეცნიერების შეხვედრა.

## აკაკი დაუშვილი

უურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორი



მთქმელი

## კიბა ზედგინიძე

გლეხი საგონერელში ჩატვრდა, ალარ იწოდა როგორ მოქმედულიყო. შოლოს გველს მაფლორზა გადაუხადა და ფიფი ფიქრის შემდეგ განაგრძო გზა. ერთ შემზღვეულ ადგილზე ცაბარის მოქანა თვარლი, რის ვარგაგლობით შიალნია იქამდე. შერმოხზვნერის იყო სავსე ცაბარი. შევიდა შიგ, დაანთო სანთლემი, ლიეროს მაფლორზა მოხსენია, შესწირა მთელი ქარავანი და შინისაკენ გულფაშვილებულშა განაგრძო გზა.

კიბა ზედგინიძე

5



## მეზე, გლეხი და გვალი

ერთმა მეფემ სიზმარი ნახა: თურმე, ძლიერი წვიმა მოსულიყო, ქარი ქროდა და ციონდა. წვიმის წვეტები ყველა, როგორც ერთი, დაცემისთანავე მგლებად იქცეოდნენ და ყველა მხარეს ედებოდნენ. მეფეს შიშისაგან გაეღვიძა, თავისთან მოიხმო წარჩინებულები და ყველას სთხოვა სიზმრის ახსნა, თან განუცხადა: ვინც კი სიზმარს სწორად აუხსნიდა, დააჯილდოებდა, იმდენ ქონებას მისცემდა, რომ მთელი ცხოვრება უზრუნველყოდი იქნებოდა, ხოლო ვინც მივიდოდა სიზმრის ასახსნელად და ვერ ახსნიდა, თავს მოკვეთავდა. ბედის მაძიებელნი მიეძალნენ მეფის სასახლეს. ცდუნება დიდი იყო.

ერთმა გლეხმა, რომელსაც გაუსაძლისი ცხოვრება ჰქონდა (12 შვილი, მოხუცი მშობლები და ერთი ხეიბარი და ჰყავდა), გადაწყვიტა ბედი ეცადა და წასულიყო მეფესთან სიზმრის ასახსნელად, თანაც, ფიქრობდა, ამით მრავალ-სულიან იჯახს იხსნიდა გაჭირვებისაგან, თუ არა, მაინც გადარჩებოდა ამ ტანჯვას.

ერთ დღესაც აიკრა გუდა-ნაბადი და მეფესთან წავიდა. დიდი გზა რომ გაიარა, დასასვენებლად მდინარის ნაპირთან ერთ ლოდზე ჩამოჯდა. უცებ მის წინ უშველებელი გველი მოსრიალდა. გლეხს ფერი ეცვალა, ჯოხი კი ეჭირა ხელში, მაგრამ, რას გახდებოდა მასთან. წამიერად შედგა და გველს საწყლად მიაშტერა თვალი. ხედავს, გველმა თავი ასწია მისი მკერდის სიმაღლეზე და ადამიანის ენით დაელაპარაკა. გლეხმა ამ საოცრებისაგან ლამის გონება დაკარგა და ნერვები დაეძაბა.

– სად მიდიხარ? – შეეკითხა გველი. შეშინებულმა გლეხმა დაუფიქრებლად გასცა პასუხი.

გველმა წაისისინა და გლეხს უთხრა:

– წარმოიდგინე, რომ მე ის მეფე ვარ და ამიხსენი სიზმარი.

დაბეულმა გლეხმა ძალა მოიკრიბა და სიზმარი, როგორც შეეძლო ისე ახსნა.

– გლეხო, ახლა შენ თავს მოგვეთენ, მაგრამ, იცოდე, მე შენი მხსნელი ვარ და პასუხს იმ პირობით გასწავლი, თუ ჯილდოს ნახევარს მომიტან.

გლეხი მაშინვე დასთანხმდა. გველმა პასუხი ასწავლა, თან შვიდჯერ გაამეორებინა.

დაემშვიდობა გველი გლეხს, შეცურდა მტკკარში და ტალღებში გაუჩინარდა. გაოგნებული გლეხი თვალებს არ უჯერებდა, თანაც, ფიქრობდა: ეს ყველაფერი ხილვა ხომ არ იყო. ისევ ჩამოჯდა ლოდზე და დიდხანს მოსთქვამდა თავის უილბლო ცხოვრებაზე, იმაზეც, რომ ღმერთმა გამოუგზავნა მხსნელად გველი.

მერე ზანტად წამოდგა ფეხზე და რის ვაი-ვაგლახით განაგრძო გზა. მეორე დღეს მიადგა მეფის სასახლეს. დიდხანს ელოდა, ვინმე რომ გამოჩენილიყო და ესწავლებინა, როგორ შეეღწია მეფესთან. თან ერთი რამ ადარდებდა: არავის არ გამოეტყუა პასუხი და საჩუქარი არ დაეკარგა. ამ ფიქრებში იყო გართული, რომ ალაყაფის კარი გაიღო და კარისკაცები გამოჩენდნენ. გლეხმა მისვლის მიზეზი უთხრა, მათაც წაჰვარეს იგი დიდ ბატონს. მისი ჩაცმულობა და დაღლილი სახე მეფეს სიზმრის ახსნის იმედს არ აძლევდა. შეებრალა გლეხი და დაცვას უბრძანა, მისთვის სურსათ-სანოვაგე მიეცათ და შინ გაესტუმრებინათ, თან თავისთვის ჩაილაპარაკა: არ მინდა, კიდევ ერთი ცოდვა დავიდო. გლეხმა გაიგონა თუ არა მისი სიტყვები, მაშინვე მიუგო:

– მე სამათხოვოდ კი არა, თქვენი ხილვის ასახსნელად მოვედიო.





მეფე შედგა:

– მინდოდა ეს გაუბედურებული გლეხი ცოცხალი გამეშვა, მაგრამ ჩემი ბრალი არ იქნება მისი სიკვდილიო.

მეფემ ირგვლივ მყოფნი დაითხოვა, თვითონ კი ტახტრევანზე ჩამოჯდა და გლეხს უბრძანა, ხილვა ახსნა. გლეხმა, თავდაპირველად, თავ-ად მეფის პიროვნების შესახებ დაწვრილებით მოახსნა ყველაფერი. მეფეს ეამა გლეხის ნაამ-ბობი და სიზმრის აუხსნელად ისევ გადაწყვიტა მისი უვნებლად გაშვება და სარჩოს გატანება, მაგრამ გლეხისაგან ისევ კატეგორიული უარი მიიღო. მაშინ მეფემ მაღლა ასწია თავი, ღმერ-თი ახსნა და გლეხს ანიშნა, დაეწყო. გლეხმა ისე ახსნა სიზმარი, როგორც გველმა ასწავლა. მეფე გულისყრით უსმენდა და მის მიმართ პა-ტივისცემით იმსჯვალებოდა.

ბოლოს ხელი ხელზე შემოჰკრა და მსახ-ურებიც მაშინათვე მასთან გაჩნდნენ:

– გამოაწყვეთ გლეხი ახალთახალი ტანის-ამოსით, მიეცით დანაპირები ჯილდო და გააც-ილეთო! – ბრძანა მეფემ.

ორი ცხენით წაიღო ოქრო და ვერცხლი გლეხმა სახლში. გზაში კი ცუდი ზრახვა აეკვია-ტა – იქ ხომ გველის წილიც იყო და გადაწყვიტა, მას მორიდებოდა და შემოვლითი გზით წავიდა სახლში. ამ სიმდიდრის წყალობით კარგი სახ-ლი აიშენა სოფელში და უზრუნველი ცხოვრე-ბაც მოიწყო, მაგრამ, როდის იყო ყველაფერი მთავრდებოდეს ისე, როგორც კაცს უნდა. გავ-იდა სამი წელი. მეფემ ისევ წახა სიზმარი და მის ასახსნელად კვლავ ის გლეხი იხმო თავ-ისთან. მეორე ხილვა ასეთი ყოფილა:

თურმე, კოკისპირულად წვიმდა და მიწას არ ასველებდა. წვიმის წვეთები მიწაზე დაცე-მისთანავე მელიებად იქცეოდნენ. მეფეს ძალიან შეეშინდა, რადგან ბევრი ფრინველი ჰყავდა და მელიები გაუნადგურებდნენ.

გლეხსაც უარესი სადარდებელი გაუჩნდა: ღმერთი სიცრუისათვის (გველი რომ მოატყუა) დასჯიდა. მთელი ღამე არ უძინია. ბოლოს მტ-კიცედ გადაწყვიტა – გველთან მისულიყო, პა-ტიება ეთხოვა, იქნებ ესაშველა კიდეც. გლეხი დაადგა გრძელ და სახიფათო გზას. კარგა ხნის მერე ისევ იმ ლოდთან მივიდა და ჩამოჯდა. გველის მოლოდინში სამი დღე და ღამე გავ-იდა, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. ბოლოს, როგორც იქნა, სისინი შემოესმა, მო-ტრიალდა და გველი კვლავინდებურად კუდზე შემდგარი გამოეცხადა:

– ოჳ, ისევ შენ ხარ, ჩემო მეგობარო, რო-გორ მაღლე დამივინყე. ახლა რა განსაცდელი გადგას თავზე?!

ძლიერ ამოლერლა გლეხმა თავისი სათქმე-ლი. მუხლი მოიყარა და პატიება სთხოვა სი-



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ტყვის გატეხისათვის. გველმა დიდი მოთმინება გამოიჩინა და წელში მოხრილ გლეხს თავი ააწევინა მაღლა, თვალებში ჩახედა და, ვითომ არაფერიო, სიზმარი აუხსნა, ისიც რამდენ-ჯერმე გაამეორებინა და ძველებურად ჯილ-დოს წახევარი მოსთხოვა. მერე სწრაფად გას-რიალდა და გაუჩინარდა. გლეხი სიხარულით ცას ეწია და დაიმედებულმა განაგრძო გზა.

მეფემ პატივით მიიღო წაცნობი გლეხი და ხილვის ახსნა მოსთხოვა იგივე პირობით. გლეხ-მა გველის სიტყვები სხაპასხუპით გაუმეორა და უცერემონიოდ ორმაგი ჯილდოც დაიმსახუ-რა, მაგრამ... გლეხს უწინდებურად იგივე აზრი აეკვიატა – გველს წახევარს ვერ გაუყოფდა და ახლა სულ სხვა გზით გასწია შინისაკენ, რათა შორს დაეჭირა თავი მხსნელისაგან.

ჩავიდა გლეხი თავის სოფელში და იმხელა სიმდიდრის პატრონი გახდა, მისი დარი არა-ვინ არ ყოფილა იმ მხარეში. დიდხანს, ძალიან დიდხანს ცხოვრობდა ასე განცხრომით, მაგრამ განგაშის ზარმა ისევ ჩამოჰკრა და მეფემ კვლავ იხმო თავისთან იგივე მისით.

გლეხმა მოსვენება დაკარგა – ახლა კი ჩემი საქმე წასულიაონ და საგონებელში უარესად ჩა-ვარდა. წარამარა ხედავს, ვითომ, ხან გველი გესლავს, ხან მეფე კვეთს თავს, ბოლოს ისევ ღმერთს შეავედრა თავი და უიმედოდ გაუდგა გზას თავისი მხსნელისაკენ.



რამდენიმე დღე უშედეგოდ ელოდა გლეხი გველს, მაგრამ იგი არსად ჩანდა. იმედგა-ცრუებული მიადგა მდინარის ნაპირს და, რას ხედავს – ის გველი მდინარის ტალღებში ცურავს შვილებთან ერთად და თავის სტი-აქიაშია. უცებ გველის ერთმა შვილმა შენიშნა გლეხი და დედას ანიშნა – ვიღაც გვიყურებსო. გველმა აინუშიაც არ ჩაგდო მისი მზერა და თამაში განაგრძო.

გლეხი უიმედოდ გამობრუნდა უკან, ჩამო-ჯდა ისევ იმავე ლოდზე და ღმერთს ევედრებო-და დახმარებას. ბოლოს, როგორც იქნა, გველი მისრიალდა გლეხთან:

– რა გაგჭირვებია, მეგობარო? (თუმცა მისი მოსვლის მიზეზი ძალიან კარგად იცოდა).

კიდევ დიდი ბოდიშები, ცრემლები, ხვე-წნა-მუდარა და... მოლბა გველის გული. რო-გორც წინა ორ ხილვაში, ასევე მესამე ხილვა-შიც მეფემ კოკისპირული წვიმა იხილა, მინა ისევ არ სველდებოდა, წვიმის წვეთები ახლა ცხვარ-ბატკნად იქცეოდნენ და არემარეს ფარ-ავდნენ. გლეხმა დახმარება სთხოვა და აღუთქ-ვა, რომ ჯილდოს უკლებლივ მიუტანდა.

გველს ერთი საყვედურიც კი არ წამოსცდე-ნია. ჰასუხი ასწავლა, გზა დაულოცა და თანაც გააფრთხილა – მისალმებისთანავე ეთქვა მე-ფისათვის: „გილოცავ, დიდ წარმატებებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შენი შრომა და გარჯა ღმერთმა არ დაგიკარგა და ხილვები მოგცაო“.

მერე იმედიანად ახსნა მეფის სიზმრები და გაუმეორა:

პირველი ხილვა – წვიმის წვეთები მგლებად იქცევიან, არემარეს ედებიან და ახსნაც ღვთის-განააო. შენი ხალხი ყველა მგლის ბუნები-სანი არიან, შენ ეს ყველად არ იღე, გაატარე ღონისძიება და მგლები მელიებად იქცნენ;

მეორე ხილვა – წვიმის წვეთები მელიებად რომ იქცნენ და არემარეს – ქვეყანას ედებოდნენ, შენი ხალხი ყველა ცრუობდა, შენს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი კვლავ გამოიღო, ხოლო მესამე ხილვით წვიმის წვეთე-ბი ცხვარ-ბატკნად იქცნენ, ეს უკვე შენს მიერ გატარებული ღონისძიებების საბოლოო შედეგია და ამიტომ მოგილოცეთო – შენი ხალხი ახლა გაპატიოსნდა, ყველა თავის საჭმელ-სასმელს ალალი შრომით პოულობს შენი მწყემსობითო.

მეფემ დიდად გაიხარა გლეხის მიერ სიზმ-რის ახსნით და გასამმაგებული ჯილდოთი გაისტუმრა იგი სახლში.


გლეხი ქარავნით დაადგა გზას. ერთი დღის სავალის შემდეგ მიადგა იმ დიდ ლოდს, სა-დაც გველს შეეძლო მისულიყო და თითქმის ერთი კვირა ელოდა მის გამოჩენას. გველი კი მაინც არ ჩანდა. ბოლოს გლეხმა მტკიცე გად-ანწყეტილება მიიღო – რადაც არ უნდა დასჯ-დომოდა, ბოლომდე დალოდებოდა თავის მხს-ნელს. მეცხრე დღეს, როგორც იქნა, გამოჩნდა გველიც და მისალმების ნაცვლად უთხრა: ადრე შენც მგელი იყავი, მერე მელიად იქეცი, ახლა ჩემს წინაშე ბატკანივით იქცევიო. მე სას-მელ-საჭმელი არ მაკლია, ოქრო-ვერცხლი კი არ მჭირდება, წაიღე და შენ მოიხმარეო.

გლეხი საგონებელში ჩავარდა, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს გველს მადლობა გადაუხადა და დიდი ფიქრის შემდეგ განაგრ-ძო გზა. ერთ შემალლებულ ადგილზე ტაძარს მოჰკრა თვალი, რის ვაივაგლახით მიაღწია იქა-მდე. ბერმონაზვნებით იყო სავსე ტაძარი. შევ-იდა შიგ, დაანთო სანთლები, ღმერთს მადლობა მოახსენა, შესწირა მთელი ქარავანი და შინი-საკენ გულდაშვიდებულმა განაგრძო გზა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, სიზმ-რის ასახსნელად აღარც მეფის მსახურთ მი-უკითხავთ გლეხისათვის და აღარც არავის. ცხ-ოვრების სიამტკბილობაში დაბერებული გლეხი შეირად მოისვამდა გვერდში თავის შვილიშ-ვილებს და პატიოსნებასა და ალალმართ-ლობაზე ესაუბრებოდა. სოფელში კი მისი გვარ-ჯილაგის თითოეული წარმომადგენელი, როგორც ამბობენ, ახლაც კი ყველასაგან კაიკ-აცობითა და ადამიანობით გამოირჩევიან.

დაასრულა თქმულების მოყოლა დედაჩე-მმა და მწარედ ამოიოხრა: მგლები და მელი-ები ისევ მომრავლდნენ, მაგრამ ისეთი მეფეები აღარ არიან ქვეყანაზე, ვინმეს მოუსმინონ და რჩევები სთხოვონ.

**ჩაწერილია ასპინძის რაიონის სოფელ ზელ-ში 2005 წლის აპრილში დედაჩემისაგან – 105 წლის სოფიო ლოდეარიძე-ზელგინიძისაგან.**



## ბვახესოველეს ჩვენი ისცოհის

### კუპური მეტრეველი

8



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო

მიუხედავად განუწყვეტილი თავდასხმებისა და გაუ-  
თავებული მიმღებელისა, მაინუ მესხეობან დაინუ  
საქართველოს გამოწვევის აკადემიური წევრი ქართველი წარ-  
ილიზარის აკვანი. მესხეთის უკავშირდერ საქართველოს  
ისტორიის უძინესი უკავშირდებული შევრი ქართველი სახელმწიფო  
დაკავშირებული შევრი ქართველი სახელმწიფო მეფის  
სახელი. მესხეთის ქართველ მეფეთა – მაგრატიონთა  
ფინანსების გაძლიერებისა და განმრნის ადგილი.  
მესხეთი იყო შევრი საქვეუნოდ წნობილი სახელმიერო  
თუ სახელმწიფო მოღვაწის სამშობლო, ან სამოღვაწეო  
კაპრარები.

კუპური მეტრეველი

### ისტორიული მასეთის საკითხებისათვის

ცნობილი მითის მიხედვით, დევგმირი ამირანი კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული, მაგრამ არც კა-  
ვასიონზე და, მესხეთის გარდა, საქართველოს სხვა  
არცერთ კუთხეში, არ გვაქვს კონკრეტული მთა, რო-  
მელიც ამირანის სახელთანაა დაკავშირებული. მხ-  
ოლოდ მესხეთში გვაქვს ერთის მაგივრად ორი ასეთი  
მთა, ერთი მათგანი სამცხეში – „ახალციხის ამირანის  
ს გორაა“ და, მეორე, ჯავახეთში – „ახალქალაქის  
ამირანის გორა“. ორივე მათგანი არქეოლოგიურად  
შესწავლილია და დადასტურებულია უძველესი გო-  
რა-ნამოსახლარები, და, იქნებ, შემთხვევით სულაც  
არ არიან დაკავშირებული ამირანის ლეგენდასთან?  
იქნებ ამირანი, სულაც, სამხრეთ კავკასიონის მთებ-  
შია მიჯაჭვული? ამირანის შესახებ შემორჩენილია  
ჯავახური ლეგენდის ერთი, – შედარებით გულუ-  
ბრყვილო, ვარიანტიც: ამირანი ყოფილა დევგმირი,  
რომელიც თვით უფალი ლმერთისგან ყოფილა მონ-  
ათლული, მაგრამ შემდეგში ისე გათამამებულა, რომ  
თვით ლმერთან მოუნდომებია გატოლება და დაჭ-  
იდება, რის გამოც განაწყენებული ლმერთის რისხ-  
ვა და სასტიკი სასჯელი დაუმსახურებია. ლეგენდის  
მიხედვით ვითომდაც, ახალქალაქის სამხრეთი მდე-  
ბარე პატარ და კოხტა ვულკანური მთის გულში არ-  
სებული გამოქვაბულის შუაგულში მდებარე პანია გო-  
რაზე მიუჯაჭვებიაო მამაზეციერს გაკადნიერებული  
დევგმირი. მიჯაჭვულ ამირანს ერთი პატარა პიტიკი  
(ლევეკი) უზისო გვერდით ერთგულად, რომელიც დღე-  
ნიადაგ ლოკავსო ჯაჭვს და როდესაც იქმდე გაათხ-  
ელებს, რომ სადაცაცა უნდა განყდეს და გათავისუ-  
ფლდეს დევგმირი, მოცვიდებიან იქვე, შორიახლოს  
მომუშავე მქედლები და თავიდან აჭედავენ ამირანს  
ოხერბი. მეორე ვარიანტით, გოლიათი ამირანი მისუ-  
ლა ამ მთასთან და მოუმართავს მისთვის: — მთაო,  
მომეცი შენი ძალა, რომ, როგორც ტოლსა და სწორს,  
შეგეჭიდოო... გახსნილა განრისებული მთა და შეგ  
უშიშრად შესული ამირანი პირდაპირ მქედლების  
პირისპირ აღმოჩენილა, რომლებიც მთის შუაგულში

იარაღის ჭედვით ყოფილან დაკავებული. სწორედ  
მათ მიაჭედეს ამირანი უშმისვილესი ჯაჭვით პატარა  
კლდოვან გორაზე. ამირანს ვერაფრით დახმარებია  
ამ ამბის თვითმხილველი და გამომტანი მონადირე,  
მაგრამ ჯავახებს სჯერათ, რომ ხუთშაბათობით იხს-  
ნებაო ზოგჯერ ამირანის გორის პირი და, გარეუ-  
ლი პირობების დაცვის შემთხვევაში, შეიძლება გორის  
შიგნითაც კი აღმოჩნდეს გულადი ქომაგი და ამირან-  
ის შესაძლო გამომხსნელი.

ამ ლამაზი მითების და ლეგენდების სათავეებთან  
მყოფი უძველესი ქართველების: კარდუხების, მოს-  
ინიკების, მოსხების, ზაბახების, ტაოხების, სამყოფი,  
საცხოვრებელი ადგილები, მთაგორიანი მდინარეებით  
და ტბებით მდიდარი, ულამაზესი მიწები, კაბადოკი-  
იდან კავკასიონამდე ყოფილა თავის დროზე გადაჭ-  
იმული. საკუთრივ მესხების და სხვა ქართველური  
ტომების ეთნოგენეზისის და ისტორიული გეოგრაფი-  
ის საკითხები მეცნიერების მიერ ჯერჯერობით ბო-  
ლომდე არ არის შესწავლილი. მესხებს ზოგი იბერი-  
ულ-ქართველური ტომების ძლიერ გაერთიანებად  
მიიჩნევს, ზოგიერთი მკვლევარი, კიდევ, მათ შორის  
ანტიკურიც (მაგ. ჰეკატოს მილეთელი, ძვ. წ. 549-472  
წ.) მესხებს კოლხური ტომების წარმომადგენლებად  
სთვლის. ფლავიუსი (ახ. წ. 39-95 წე.) მათ კაბადოკ-  
იელებად მოიხსენიებს. ყველაფერი საბოლოოდ მო-  
მავალში გაირკვევა, მაგრამ, რაც ცალსახად ცხადია,  
მამაცი და გონიერი მესხი მოსახლეობა თავისი ნიჭით,  
ბევრით შრომით და გმირული ბრძოლით, უძველესი  
დროიდან მოყოლებული ქმნიდა გასაოცარ ისტორიას  
და განუმეორებული ქართული სულიერი და მატერი-  
ალური კულტურის ძეგლებს. თავისი გეოგრაფიული  
მდებარეობის, ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოსახლე-  
ობის წყალობით, მესხეთი ყოველთვის იყო ერთ-ერ-  
თი დანინურებული ეკონომიკურად და კულტურუ-  
ლად განვითარებული კუთხე საქართველოსი. აქედან  
შემოვიდა საქართველოში წმინდა ნინო – „მოქცევაი  
საქართველოსის“ შემომქედი. მესხეთის მინას ახსოვს



აქაურ სიმდიდრეს და სილამაზეს დახარტებული ათა-სი ჯურის ველური თუ განვითარებული უძლიერესი იმპერიების დამპყრობლები, – რომაელები, ბერძნები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თურქ-სელ-ჯუები, მონლოლები, ყიზილბაშები, ოსმალები და რუსები. მიუხედავად განუწყვეტელი თავდასხმებისა და გაუთავებელი ბრძოლებისა, მაინც მესხეთიდან დაინტ საქართველოს გამთლიანება, აქ დაირნა ქართული ცივილიზაციის აკვანი. მესხეთს უკავშირდება საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მასთანაა დაკავშირებული ბევრი ქართველი სახელმწიფო მეფის სახელი. მესხეთია ქართველ მეფეთა – ბაგრატიონთა დინასტიის გაძლიერებისა და გაბრძყინების ადგილი. მესხეთი იყო ბევრი საქვეყნოდ ცნობილი სასულიერო თუ სახელმწიფო მოვლანის სამშობლო, ან სამოღვაწეო ასპარეზი. აქედან გაითქვეს სახელი გრიგოლ სანძთელმა, იოანე პეტრიონმა, გრიგოლ ბაჟურიანისძემ, პეტრე იბერმა, გენიალურმა შოთა რუსთაველმა, იოანე შავთელმა, სარგის თმოვგელმა, ბექენ და ბექა ოპიზარებმა, ბიძინა და შალვა ახალციხელ-თოროლებმა... მესხეთშია შემონბული ქართველთათვის უსაყვარლეს თამარ მეფესთან დაკავშირებული უამრავი ლეგენდა თუ ისტორიული ამბავი. მესხეთის მოსახლეობაში (განსაკუთრებით თურქეთის შემადგრნლობაში მოხვედრილი მესხეთის სამხრეთ პროვინციების) იმდენად დიდი იყო თამარ მეფის პოსულარობა, რომ, თითქმის ყოველი მეორე ღირსშესანიშნავი ადგილი თუ ძეგლი, თამარის სახელს ატარებს. მესხეთი იყო მოყოლებული ფარნავაზიდან ბევრი სახელმწიფო ქართველი მეფის საზაფხულო-სააგარაკო ადგილი. მესხეთს უკავშირდება კოსტას შეთქმულება და ცოტნე დადიანის სააგარაკო გმირობის ამბავი. მესხეთს ახსოვს ჯაყელების თავდადებული ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის, ქართული ტრადიციული მმართველობის შენარჩუნებისათვის და, მოგვიანებით უკვე, მათი ძალად გამუსულმანებაც, ზოგიერთი ათაბაგის თუ ათაბეგის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება და სამარცხვინო ღალატიც. აქ, მესხეთში, აშენდა ქართული მატერიალური კულტურის განუმეორებელი ძეგლები: ოთხთა, ბანა, იშხანი, ოშკი, ხახული, ხანძთა, ტბეთი, სხალთა, წყაროსთავი, კუმურდო, საფარა, ზარზმა, შორეთი, ჭულე, ტიმოთესუბანი, შეუდარებელი ვარძია. მესხეთში აიგო უძეველესი აბულის და შაორის მეგალითური ციხეები, შუა საუკუნეების მიუდგომელი ციხესიმაგრეები: არტანუჯი, თოროთომი, ქაჯის ციხე, მგელციხე, თმოგვი, ხერთვისი, ანუერი... უამრავი ქარვასლა და ხიდი. მესხეთის ეკლესია-მონასტრებში და სასულიერო ცენტრებში დაიწერა და გადაიწერა უამრავი ქართული ხელთნანერი წიგნი. აქ დაიწერა უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი!“ ოდითგანვე მესხ მოღვაწეთა და მნერალთა ენა, საუკეთესო ქართულად ითვლებოდა. აქ დაიწერა და მოიქცედა უამრავი ხატი და უნიკალური ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუში. მესხეთში არსებულ უნიკალურ ქრისტიანულ კულტურის ძეგლებზე შემოგვრჩა უამრავი და საოცრად

ლირებული ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, რომლებშიც საქართველოს ტრაგიკული ისტორია ქრონოლოგიურადა აღწერილი. მესხეთი ქართული მევენახეობა-მელვინეობის ერთ-ერთი აკვანთაგანიცაა. უნიკალურია დღემდე შემორჩენილი მესხური ტერასული მეურნეობის კულტურა და „მერცხლის ბუდოვანი“ ბაზანი მესხური ოდა-სახლები. ქართველთა სულიერების და სიძლიერის მატკიცებელი, ამ განუმეორებელი მატერიალური და სულიერი საგანძურის ესაღენ მდიდარი ისტორიული კუთხის მნიშვნელობა, ალბათ, ყველაზე ხატოვნად შეაფასა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ალ. ფრონელმა (ყოფილი): „მესხეთი საქართველოსთვის იგივეა, რაც საბერძნეთი მსოფლიოსათვის!“ ასე წერდა მესხეთის მე-19 საუკუნის დროინდელი ყოფით შენუხებული პატრიოტი თავის ნაშრომში „დიდებული მესხეთი“. მესხეთის ასევე დიდ გულშემატკივარს იღია ალხაზიშვილს კი სჯეროდა, რომ „ნამდვილი საქართველო, ეს ზემო ქართლიაო“.

**აი, მართლაც, რა იყო „დიდებული მესხეთი“, რითაც თანაბრად უნდა იამაყოს მესხეთის ყველა ისტორიული თემის თუ პროვინციის თითოეულმა მცხოვრებმა, ყოველმა ქართველმა!**

მესხეთმა, მის შემადგენელ ქართულ პროვინციებთან ერთად, დღევანდლამდე ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა. მუდამ ქართველებით დასახლებულ მის სამხრეთ პროვინციებში ბიზანტიის დამკიდრების შემდეგ პირველად გაჩნდნენ სომხებით და ბერძნებით დასახლებული პატარ-პატარა კოლონიები, შემდეგ, ლაზების მსგავსად, ბევრმა მესხმაც განიცადა იმულებით ელინიზაცია და ამითაც შემცირდა იქ წმინდა ქართველების პროცენტი. მე-8 საუკუნეში დაიწყო არაბების სასტიკი შემოსევები, რომელმაც თითქმის სამ საუკუნეს გასტანა და, რომელმაც, განსაკუთრებით დაცალა და დააქცია მესხეთი. სავალალოდ გაუკაცრიელებულ მხარეში, მომდევნო საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოდან და ქართლიდან გადმოსულმა მოსახლეობამ ნელ-ნელა შეავსო ზემო ქართლის დაცლილი ტერიტორიები. მომძლავრდა ქვეყანა და სწორედ აქ დაიწყო არაბების წინააღმდეგ განმათავისუფლებელი მოძრაობა, რასაც სათავეში ჩაუდგინ ტაო-კლარჯელი ბაგრატიონები. სანგრძლივი მოქანა და დიდი მსხვერპლის ფასად მაინც მოხერხდა არაბების ბატონობისაგან მისი განთავისუფლება და აქედან დაიწყო საქართველოს გაერთიანება. ამას მოჰყვა ჩვენი მოძლიერებით გაღიზანებული ისევ ერთმორნმუნე ბიზანტიის ამაოხრებელი სადამსჯელო ექსპედიციები, რომელმაც მიწასთან გაასწორა, განსაკუთრებით, კოლა-არტანი და ჯავახეთი. მაგრამ, მოუხედავად ყველაფრისა, მესხეთი მაშინაც კი დიდწილად ქართველებით დასახლებულ რეგიონად დარჩა. X-XI საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი და, მთელი საქართველოს მსგავსად, XII-XIII საუკუნეებში დაუდგა მესხეთს აყვავების ხანა. მაშინ აშენდა უამრავი სასახლე, ციხე, საქარავნე გზა, ხიდი, სარწყავი არხი, ეკლესია-მონასტერი. ამის მერე





მონილები მოევლინენ მთლიანი საქართველოს მსგავსად მესხეთსაც, ყველაზე დიდ სასჯელად. თემურ-ლენგის რვაგზის ლაშქრობამ ამოაგდო მთელი ქვეყნა. „სამცხე-საათაბაგოდ“ წოდებული მაშინდელი მესხეთის გამგებელი-ფეოდალები – ჯაყელები, ბევრს ეცადნენ და მონილებთან გარიგების ხარჯზე, გარკვეულნილად დაიცვეს კიდევ ეს კუთხე და მოსახლეობა უფრო მეტი დაზიანება-გაპარტახებისაგან. შემდგომ მესხეთის საზღვრებში ლაზეთიც კი მოაქციეს, მაგრამ საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში, ნებისით თუ უნებლივდ, საერთო სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგო პროცესებში გაეხვივნენ და იზოლაციაში აღმოჩნდნენ. XV-XVI საუკუნეებში სამცხე საათაბაგოს სპარსეთი და თურქეთი ეცილებოდნენ ერთმანეთს, ვიდრე 1578 წლიდან მესხეთში საბოლოოდ ოსმალები არ შემოვიდნენ. XVI საუკუნის ბოლოს და XVII (1578-1639) საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ რაც მესხეთი ოსმალებმა საბოლოოდ დაიპყრეს და დაიმორჩილეს, უძველეს, ტრადიციულად პოლიტიკურ-კულტურულად ყოველთვის ძლიერ ქართულ ერთეულში, თურქული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოღება დაიწყეს. მესხეთის მმართველი ათაბაგები შეეცადნენ მოხარკეობის ხარჯზე თურქებს გარიგებოდნენ, რათა ქვეყნად ქრისტიანული სარწმუნოება და ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ხელშეუხებლად შენარჩუნებულიყო, მაგრამ თურქებს ამის მოთმენა არ შეეძლოთ. მათ ყოველ მართლმადიდებელში, იმ დროს ჩრდილოეთიდან საბედისნეროდ დაძრული რუსეთი ელანდებოდათ, ამიტომ, იმთავითვე, მესხეთში პოლიტიკურ ექსპანსიასთან ერთად, სარწმუნოებრივი ექსპანსიაც გააძლიერეს. ეკლესია და სამღვდელოება მოსპეს, ან განდევნეს, უმწყემსოდ დარჩენილი მესხეთის მოსახლეობა მანამდე აცვეს ჯვარს, ვიდრე მისი დიდი ნაწილი არ გაათათრეს, ან არ გააქციეს. ათაბაგებს საკუთარ მამულებს მხოლოდ გამაჰმადიანების და ფაშის პირობით აძლევდნენ. ქვეყნის და საკუთარი ლირსებებისთვის ასეთ უთანასწორო ბრძოლაში ათაბაგები დამარცხდნენ. მათი დიდი ნაწილი გამაჰმადინადა, გადაჯიშდა და მთელი მესხეთი (სამცხე-საათაბაგო) ჩილდორის საფაშოდ, ხოლო ბოლოს – ახალციხის საფაშოდ (ჭაბალიკად) გადაიქცა. ოსმალებმა საქართველოსაგან მთლიანად მოწყვეტილი მესხეთი 24 თემად – სანჯააყად დაჲჰვეს და თითოეულ თემს მმართველად მუსულმანი სანჯააყებევი დაუნიშნეს. ერთადერთი მათ მემკვიდრეობითობის უფლება დაუტოვეს.

მესხეთში ოსმალო დამპყრობლების დამკვიდრებამ, პოლიტიკურმა და სარწმუნოებრივმა ძალადობამ, დიდი რაოდენობით ადგილობრივი მოსახლეობის დაღუპვა, ბევრის კიდევ საქართველოს სხვა, შედარებით დაცულ კუთხეებში, იძულებითი მიგრაცია და ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის კატასტროფული შემცირება გამოიწვია, ასობით სოფელი და ქალაქი მოსახლეობისაგან დაცალა. ჯერ კიდევ 1595 წელს, ოსმალების მიერ „გურვისტანის ვილაიეთის დიდი

დავთარი“-ს შედგენისას, სამცხე-ჯავახეთის 1160 სოფლიდან 368 უკვე უმოსახლოდ იყო დარჩენილი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ იმ დროს არცერთი კომლი აღარ ცხოვრობდა ისეთ ცნობილ სოფლებში, როგორებიცა: ბაჟურანი, ნაღვერი, კორტანეთი, ლიკანი, ფაფა და სხვა! თურქების გაბატონებამ ძალიან დამღუპველად იმოქმედა მთლიანად მესხეთის და, განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთის რიცხობრივ და ეროვნულ შემადგენლობაზე.

ძირძევლი ქართველი ქრისტიანი მოსახლეობის ძალად გამუსულმანებასთან ერთად მესხეთს უდიდესი ზიანი მოუტანა ტყვეთა მოტაცების, მათი ყიდვა-გაყიდვის საზიზღარმა პრაქტიკია. ახალციხის ფაშების დაცვის მიზნით ახალციხესა და ნაწილობრივ ახალქალაქში, მუდმივად მდგარი დაქირავებული ლეკებისაგან შემდგარი რამდენიმე ათასიანი რაზმის ნევრების და ადგილობრივი გადაგვარებულებისაგან შემდგარი შერული მარტევალი ჯაუფების თავაწყეტილმა და დაუსჯელმა თარეშმა ხომ სიცოცხლე გაუმნარა მესხეთის ჯერ კიდევ გადარჩენილ ქრისტიანულ სოფლებში ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. ლეკიანობის გამო ბევრი სოფელი მთლიანად გადაიწვა და განადგურდა. ჯავახეთის ქრისტიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მე-19 საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის ქართველობაზე უკანასკნელი და ყველაზე სასტიკი შემოტევის დროს გათათოდა. ამიტომაც იყო, რომ რუსების შემოსვლისთანავე ჯავახეთის ახლად გამუსულმანებული მოსახლეობის დიდი ნაწილი, ე.წ. „დვენამა“, რუსების მუქარით შეწუბებული, შურისძიების შიშით, აიყარა მშობლიური მინა-წყლიდან და პირველ „მოჰაჯირებად“ ქცეული ოსმალეთში გადაიხვნა.

პროფ. შოთა ლომისაძის გათვლით, მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად გათავისუფლებული ისტორიული მესხეთის ნაწილში, სამცხე-ჯავახეთში, სომხების ჩამოსახლებამდე, ომამდელი მოსახლეობის ერთი მეზუთედი, ომებში განტდა, ნახევარზე მეტი თურქეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში გადაიხვნა, მთლიანობაში დაიკარგა დახლოებით 60 000 მკვიდრი ქართველი. ადგილზე მკვიდრი მოსახლეობის მხოლოდ მესამედილა იყო დარჩენილი.

1829 წელს სამცხე-ჯავახეთის ქართველებისაგან გამოხშირულ მესხურ სოფლებში ერზრუმელი და პაიაზიდელი სომხების გადმოსახლების შედეგად მთლიანად გეგმით გათვალისწინებული 5000-ის ნაცვლად, 14 044 სომხური ოჯახი, დაახლოებით 90 000 სული იქნა ჩამოსახლებული), რის შედეგადაც ხელოვნურად შეიცვალა მესხეთის დემოგრაფიული სიტუაცია და მივიღეთ ეროვნული შემადგენლობის მხრივ, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ჭრელი რეგიონი, რაც მაშინვე გახდა მრავალი სახელმწიფოებრივი პრობლემის გამომწვევი მიზეზი. გასაკვირია, მაგრამ, მიუხედავად რუსული ადმინისტრაციის მიერ შემოერთებულ მესხეთში, ქართველების უხვად განდევნის, გარუსების, გამაჰმადიანების, ან გასომბ-





კუმურდო

ების მცდელობებისას (რა მიზნითაც სკოლებში და ეკლესიებში ქართულის სწავლება და ნირვაც კი აკრძალეს და მის მაგივრად რუსული, თურქული და სომხური შემოიღეს), **მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის მესხეთში ქართველი ელემენტი ჯერ კიდევ მძლავრობდა.** 1917 წლისთვის მესხეთში მცხოვრებთა საერთო რაოდენობა 419 000-ია, აქედან ქართველი 268 000 იყო, რაც მთელი მოსახლეობის 64 პროცენტს შეადგენდა. მაზრების და ოლქების მიხედვით ასეთი სურათი გვქონდა: **ახალციხის მაზრაში** თანაფარდობა მთელ მოსახლეობასა და ქართველებს შორის ასე გამოიყრებოდა: 72000/66000, ანუ 92%; **ახალქალაქის მაზრაში** – 101 000/22 000, ანუ 22%; **ბათუმის ოლქში:** 82000/74000 – 90%; **ართვინის ოლქში:** 61000/56000 – 92%; **ფოცხოვის უბანში** – 15000/15000 – 100% (ვ.ნოზაძე, „საქართველოს ადგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“). 1986, გვ. 10-11). აյ არ შედის ლაზისტანის მოსახლეობა, რომლის შემოერთებაც პირველი მსოფლიო ომის დროს იგეგმებოდა. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ეს იდეა დაასამარა.

1918-1919 წლებში თურქების კიდევ ორჯერ შემოსვლამ და ე.ნ. „**ბოლო გაქცევებმა**“, ზედ თანდართულმა ეპიდემიებმა, მესხეთში ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. დემოგრაფიული სურათი კიდევ უფრო დაამდიმა 1944 წლის 14-15 ნოემბერს მესხეთიდან გამაჰმადიანებული მესხების 220 სოფლის მოსახლეობის (86 000 სული. მათ შორის 76 000 გამაჰმადიანებული ეთნიკურად ქართველი) შუა აზიის რესპუბლიკებში დეპორტაციამ. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია შეიქმნა ჯავახეთში, სადაც 390 სოფლიდან დღესათვის 280-მდე ნასოფლარადა ქცეული, ხოლო დასახლებული **117 სოფლიდან მხოლოდ 36-ში ცხოვრობენ ქართველები;** ბევრ მათგანში, სომხებთან ერთად, დანარჩენ სოფლებში მხოლოდ სომხები, მცირედ ნაწილში ბერძნები და დუხობორები ცხოვრობენ. ბოლო აღნერის მასალებზე დაყრდნობით ჩვენი გათვლებით, ამჟამად საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილი ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე ქართველები მთელი მოსახლეობის 12-15%-ს შეადგენენ, ე.ი დაახლოებით მეექვსედს.

ასე და ამგვარად, ერთ დროს „დიდებული მესხეთის“ მკიდრი, მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი მესხი

ქართველები ბევრჯერ განადგურდნენ, სისხლის-გან დაიცალნენ და დაცოტავდნენ, მერე ისევ მოშენდნენ, მაგრამ ბოლო საუკუნეებში მესხეთში განვითარებული მოვლენების გამო ერთ დროს საქართველოს მონინავე და აყვავებული კუთხე ნასოფლარებით და ნაოხრალებითაა სავსე, ხოლო გადარჩენილ სოფლებში და ქალაქებში, თვალშისაცემია ეთნიკური სიქრელე. ასეთი ხანგრძლივი, სავალალო მოვლენების გამო, სამწუხაროდ, „სრულიად მესხეთის“ მხოლოდ ნაწილია დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში დარჩენილი. ისტორიული ზემო ქართლის — იგივე მესხეთის შემადგენელი პროვინციებიდან: – თორი, სამცხე, ჯავახეთი, აბოცი, არტანი, კოლა, შავშეთი, ერუშეთი, კლარჯეთი, ამიერ და იმიერ ტაო, ოლთისი, სპერი, იმერხევი, აჭარის ნაწილი, – მხოლოდ პირველი სამი – თორი, სამცხე და ჯავახეთი შედის საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით „სამცხე-ჯავახეთი“-ს სახელით ცნობილ რეგიონში, რომელიც ბორჯომის, ახალციხის, აღმოგინის, ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს აერთიანებს.

აირა იყო ისტორიული მესხეთი და რა დარჩა დღეს! აი რანი და რამდენი ვიყავით და რანი ვართ დღეს!..

მიუხედავად იმის, რომ ასე ჩამოგვიწრეს და დაგვიპატარავეს სამშობლო, მიუხედავად იმის, რომ ასე ცოტანი დავრჩით, დღესაც არ გვანებებენ თავს და მიმდინარეობს ფარული თუ ღია ბრძოლა ასე „დაცოტავებული“ მესხეთის და მესხების რელიგიური თუ კუთხურობის ნიშნით დასაპირისპირებლად და დასაქაქაქად. დღესაც, ძირითადად გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებაში და არასპეციალისტებში, ყოფით საუბრებში თუ სოციალურ ქსელებში, ხშირად იმართება ცხარე კამათები მესხეთის, მესხების, სამცხე-ჯავახეთის და მცდარი ტერმინის – „მესხეთ-ჯავახეთის“ თაობაზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე არაერთხელ გავაკეთეთ განმარტება, მაგრამ რადგან „გაუგებრობა“ ისევ გრძელდება, ასეთი ვრცელი შესავალის მერე, კიდევ ერთხელ გვსურს ამ საკითხებში მეტი სიცხადის შეტანა.

დედამდინარის – მტკვრის გასწვრივ გაშენებული და განვრცობილი ქართლი ისტორიულად სამ ნაწილად იყოფოდა. **შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და ზემო ქართლი.** როგორც ბრძანებს ქართული საისტორიო წყაროების საუკეთესო მცოდნე და უპირველესი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი, „ხოლო ქვეყნისა ამისა სახელი არს საკუთარი ქართლი, ამისთვის რამეთუ არს ნილივე ქართლოსისა“.

ქართველთა ეთნარქის ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისით სახელდებული ქართლი – საქართველო, მის მეუღლეს თავიანთი შვილებისათვის დაუნანილებია და უფროისი შვილისათვის მცხეთოსისთვის მიუცია“. ტფილისისა და არაგვის დასავლეთი, ფანავრის ტბის დასავლეთის ქვეყანა,... ზღვამდე სპერისა, და ტაოსა და კლარჯეთს შორისის მთამდე, – ამან მცხეთოს





უნოდა ტფილისის და არაგვის დასავლეთს, ლიხის მთამდე და ტაშის-კარამდე, **შინა-ქართლი**; და ფანაგრის დასავლეთს ზღვამდე უნოდა **ზემო ქართლი..**“ (ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს გეოგრაფია“, ნ. 1 „აღწერა სამცხისა“, გვ. 2). მცხეთოსმა ზემო ქართლი თავის მხრივ დაუნანილა თავის ნაშერთ, **უფლოსს, თძრახოსს, ჯავახოსს** – მათ ქეთა თავისთა და ასე დაერქვათ: **სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი, ტაო, ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა, პალაკაციო, თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი...** არამედ ბაგრატიონთ მეფობასა შინა ყოველთა ამათ ალაგებთა და ქვეყანათა კრებით ენოდა მესხი (იქვე. გვ. 3-4). მაშასადმე, თუ გავყენებით ვახუშტის მიერ მოყვანილ ბიბლიურ ხაზს, ქართლოსანთა უფროს ძმას, მცხეთოსს, თავისი მემკვიდრეობით მღებული ქართლის ნაწილისთვის **თავფარავნის ტბიდან შავ ზღვამდე უნოდებია ზემო ქართლი**, რომელიც პატარ-პატარა ადგილებად და ქვეყნებად დაუყვია და დაურიგებია თავისი მემკვიდრეობისთვის. საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის გამეფების შემდეგ ზემო ქართლის ამ პატარ-პატარა ქვეყნებისთვის, კრებსით უნოდებიათ **მესხინ**, ანუ ზემო ქართლისთვის უნოდებიათ **მესხეთი**. მაშასადამე, უნდა ჩავთვალით, რომ თავიდანვე ზემო ქართლი შედგებოდა დიდი თუ პატარა ადგილებისა და ქვეყნებისგან: **სამცხე, ჯავახეთი, თორი, არტანი, კოლა, ერუშეთი, შავშეთი, პალაკაციო, ისპირი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი, თორთომი, ხახული, ტაო, ბაიბურდი, ჭანეთი, ფორჩხა, ლიგანი, აქარა, გურიის ნაწილი, რომელთა საერთო კრებსითი სახელი იყო მესხეთი.**

**მართლაც, V/VI საუკუნეებში ზემო ქართლი — მესხეთის სახელით, ალპათუკვე იყო ცნობილი, რადგან, როგორც იმდროინდელი ბერძნი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი წერს, მესხები „ქველითგანვე იბერთა ქვეშევრდომი“ არიანო (ციქტორ ნოზაძე, „საქართველოს ალდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“. 1986, გვ. 4). თამარის მეფობის პერიოდში (1184-1210) ივანე მხარგრძელი მესხეთის გამგებლად (ათაბაგად) დაინიშნა, ხოლო 1334 წელს გიორგი ბრნებინვალემ ერთგულების ფიცი ჩამოართვა და **ათაბაგობა უბოძა ყვარყვარე ჯაყელს**. მოყოლებული აქედან, მესხეთი **საათაბაგოდ გადაიქცა**, ხოლო მას შემდეგ რაც 1463 წელს ყვარყვარე მეორემ გიორგი მერვეს დროს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამ კუთხეს სამცხე-ლი ფეოდალები ჯაყელები დაეუფლენ და მესხეთის **სამცხე-საათაბაგო დაერქვა**. XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში (1578-1639), მას შემდეგ რაც მესხეთი (სამცხე-საათაბაგო) ოსმალებმა დაიპყრეს და დიდი ხნით დანარჩენ საქართველოს ჩამოაცილეს, ჯერ ჩილდორის საფაშოდ, ხოლო შემდეგ **ახალციხის საფაშოდ (ფაშალიკად)** გადაიქციეს.**

ქართული კულტურის სავანის, ისტორიული ქართული მიწა-წყლის – მესხეთის გამოხსნის სამსაუკუნოვანი ბრძოლა 1828 წლის აგვისტოში, ახალციხის აღების შემდეგ, 1929 წელს, ანდრიანოპოლი

დადებული ზავით, ნაწილობრივ დამთავრდა. ზავი არ პასუხობდა არც 1828 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს სამხრეთის ფრონტზე მოპოვებულ წარმატებას (რომელშიც დიდი იყო რეგულარულ ნაწილებში და მოხალისეთა რაზმებში მეომარი ქართველების ლვანილი) და არც ისტორიულ სამართლიანობას. მაშინ დაპყრობილი ახალციხის საფაშოს **24 სანჯაყიდან საქართველოს დაუბრუნდა 10 სანჯაყი**, მათგან სამის ტერიტორია არასრულად: **ქლბლიანის, ოზრხის (აბასთუმანის), ახალციხის, ანყვერის, ასპინძის, ხერთვისის, ახალქალაქის (არასრულად), ჭაჭარაქის, ფოცხვისის (ნაწილი) და პალაგაციოს (ჩილდორის ნაწილი)**. ეს, ფაქტიურად, **სამცხეს, ჯავახეთს და თორს უდრიდა**. ყოფილი ახალციხის საფაშოს შემოერთებულ ნაწილში რუსებმა, ძირითადად, ხელუხლებელად დატოვეს მანამდე არსებული ადმინისტრაციული დაყოფა და სანჯაყ ბეგებს და კომენდატებს ჩაბარეს ათივე სანჯაყის მმართველობა. 1833 წელს საქართველოს მაშინდელმა მმართველმა – ბარონმა როზენმა ახალციხის საფაშოს დროებით მმართველობას დაავალა – საქართველოს სამიქალაქო გუბერნატორის – ფალაგანდოვის მიერ ახალციხის მხარეში შეგროვილი მასალების გათვალისწინებით, – მოემზადებინათ სანჯაყებად დანაწევრებული მხარის ორ – ახალქალაქის (ახალციხის, ხერთვისის, ჩილდორის) და ახალციხის (ახალციხის, ფოცხვისის, აწყვერის, ქვაბლიანის, ჭეჭერაქის, აბასთუმანის, ასპინძის სანჯ.) ოლქად გამსხვილების პროექტი, რომელთაგან თითოეულში მოსახლეობის და ტერიტორიების რაოდენობა თითქმის თანაბარი იქნებოდა. ვერც ეს პროექტი განხორციელდა და არც სომხების მოთხოვნა ახალციხისა და ახალქალაქისათვის სახელების გადარქმევის თაობაზე და 1840 წლის 10 აპრილის დადგენილებით, საერთოდ, გაუქმდა ახალციხის საფაშოს დროებითი მმართველობა და მის ნაცვლად შეიქმნა ერთი – **ახალციხის მაზრა**, რომელიც ახლად შექმნილი იმერეთის გუბერნიაში შეიყვანეს. ახალციხის მაზრა, თავის მხრივ, სამ – **ახალქალაქის, ხერთვისის და აბასთუმნის უბნებად იყოფდა**. 1846 წლის ხელახალი ადმინისტრაციული დანაწილებისას, ამიერკავკასია რუსებმა დაყვეს ოთხ გუბერნიად და **ახალციხის მაზრის სომები კოლონისტების** და მათი ლობისტები დიდვაჭარ-მოხულების მცდელობით, **ახალციხის მაზრის ერთი დიდი ნაწილი**, იმავე ახალციხის მაზრის სახელით, ქუთაისის გუბერნიაში შეიყვანეს, ხოლო მეორე ნაწილი – **ახალქალაქის უბანი – თბილისის გუბერნიაში**, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი – ახალქალაქის მაზრა, არამედ, როგორც **ალავესანდროპოლის მაზრის კუთვნილი ერთი უბანი**. „ასე ხელოვნურად და დაუსაბუთებლად მოინადინეს ვითომ ეთნიკური სომხური მაზრის შექმნა საქართველოს ისტორიულ მიწანყალზე“ (შ.ლომისაძე „სამცხე-ჯავახეთი“, 2011, გვ. 210). ფაქტიურად, ეს იყო ჯავახეთის მესხეთისგან და დანარჩენი საქართველოდან ჩამოცილების პირველი მცდელობა, რომლის არც ეკონომიკურ-მეურნეობრივი და არც ისტორიული საფუძველი არ არსებობდა. სომხური ლობის



ინტერესუნავით წაქეზებული და მცდარი საკუთარი ინტერესებით მოქმედი რუსეთის მთავრობა მალე დარწმუნდა ამ ნაბიჯის უგუნურებაში, რომლითაც მთელი მხარის ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო ურთიერთობები მნიშვნელოვნად მოიმაღა, დაზიანდა და 1849 წლის ხელახლი ადმინისტრაციული გადახანილებისას ეს შეცდომა თავადვე გამოასწორა – **ახალქალაქის უბანი დაუბრუნეს ახალციხის მაზრას**, შემდეგ ახალქალაქიც მაზრად გადაკეთეს და 1868 წლიდან ორივე ახალციხის და ახალქალაქის მაზრა შეუერთეს თბილისის გუპერნიას. ამის შემდეგაც რამდენჯერმე (1913, 1918, 1924 წლებში) კიდევ იყო ახალქალაქის მაზრის – ჯავახეთის საქართველოდან ჩამოცილების მცდელობა, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. **რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ, მესხეთის დანარჩენი ნაწილიც** იქნა შემოერთებული, სახელდობრ: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტანიდა ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი — ოლთისი. აქედან პირველ სამს – ბათუმის ოლქი ეწოდა, ხოლო ერუშეთი, არტანი და ოლთისი ყარსის ოლქი გაერთიანდა. სამწუხაროდ, 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით, მათი ნაწილი ისევ თურქეთის ხელში აღმოჩნდა. რუსების მიერ შემოლებული მმართველობის ეს ფორმა, ფაქტიურად, **1930 წლამდე**, არც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის და არც საბჭოთა კავშირის პირობებში არ შეცვლილა. ვიდრე სსრკ-ს მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოშიც, არ მოხდა ტერიტორიების ადმინისტრაციულ რაიონებად დაყოფა. დღეისათვის ისტორიული მესხეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია მოქცეული, ხოლო საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილი მესხეთის ნაწილი – **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკასა და ხუთი მუნიციპალიტეტისაგან** (ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა) შემდგარ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს მოიცავს.

ცხადია, საქართველოს უმნიშვნელოვანესი კუთხის, მისი კულტურის სავანის, მესხეთის ოსმალების მიერ დაპყრობას და თავისი ნახევარმილიონიანი ქართული მოსახლეობით თითქმის სამი საუკუნით დედასამშობლოსაგან ჩამოცილებას ვერანარად ვერ ურიგდებოდა ვერც ქართველი ხალხი და ვერც ქართველი მეფეები. მაგრამ, სამწუხაროდ, მესხეთის დიპლომატიური თუ ძალისმიერი გზით უკან დაბრუნების ყველა მცდელობა მანამდე უშედეგოდ მთავრდებოდა. თანაც, ამ ხნის განმავლობაში, ოსმალეთმა ქართველ ერს იმდენი სულიერი და მატერიალური ზიანი მაიაყნა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის კავკასიის ფრონტზე გადმოტანას ქართველი ხალხი სიხარულით და თანადგომით შეხვდა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსის ჯარის ძლიერებაზე დაყრდნობით და რეგულარულ ჯარში და ქართულ სახალხო მილიციაში გაერთიანებული ქართველი პატრიოტების თავდადებული ბრძოლით, მოხერხდა მესხეთის მხოლოდ ნაწილის (ძირითადად

ისტორიული სამცხის და ჯავახეთის ტერიტორიების) მართალია რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ მაინც დედასამშობლოში დაბრუნება. რადგან თითოეული გოჯი მინის დაბრუნება, საკუთარი მამულის და მასზე მოსახლე თანამოძმეთა (თუნდაც გამუსულმანებულთა) დაბრუნებას ნიშავდა. ცხადია ეს მოვლენა ქართულმა საზოგადოებამ დიდი სიხარულით მიიღო. არ დაელოდა სრულიად მესხეთის დანარჩენი უდიდესი ნაწილის სამხრეთი პროვინციების დაბრუნებას და, როგორც გვჩვევია ხოლმე, ემოციურ ნიადაგზე ქართველობის ნაწილი ეიფორიას მიეცა. ბევრს ეგონა, რომ მხოლოდ მესხეთის ნაწილი კი არა, არამედ მესხეთიც (ამ შემთხვევაში სამცხე) და ჯავახეთიც ერთად დაგვიბრუნდა. ამ მოვლენას სიამაყით და სიხარულით გამოხმაურა ქართული პერიოდული პრესა, გამოცოცხლდა და გახალისდა ქართული პუბლიცისტიკა. ქართული საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლების, ისტორიკოსების თუ პუბლიცისტების მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით უხვად აისახა მხატვრულ ლიტერატურაშიც. სამწუხაროდ, სწორედ ამ დროიდან შემოვიდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტებიც და საკამაოდ მოკიდა ფეხი მცდარმა ტერმინმა „**მესხეთ-ჯავახეთი**“. მაშასადამე „ადრიანოპოლის ზავით შემოერთებულ ახალციხის საფარის ნაწილს, ისტორიულ სამცხე-ჯავახეთს, უწოდეს მესხეთ-ჯავახეთი. ე.ი. სამცხე მიჩნეულ იქნა მესხეთად, თვით სამცხე ამოვარდა ხმარებიდან და ამ „**სამცხე-მესხეთის**“ საპირისპიროდ მის ტოლფასოვნად დადგა ჯავახეთი და შეიქმნა ასეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჯავახეთი არ იყოს „**ყოველი მესხეთის**“ შემადგენელი ნაწილი. ამ მცდარმა ტერმინმა თანდათან ფეხი მოყვიდა მხატვრულ ლიტერატურაშიც, უმცირესად არასპეციალისტთა შორის“ (შ. ლომსაძე, „სამცხე-ჯავახეთი“, 2011, გვ. 282). მთლად დაიბნა გაუთვითცნობიერებელი და სამი საუკუნის განმავლობაში თურქულ მონბაში მყოფი, დაქსაქსული და დაბეჩავებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა. დაიბნა დანარჩენი საქართველოს მოსახლეობაც. უბრალო ხალხს კი არა ზოგიერთ განსავლულსაც, მათ შორის ისტორიკოსებსაც, გაუჭირდათ პრობლემაში გარკვევა და ვერ გაუძლეს ამ ცდუნებას. ამ გაუგებრიობას, ეტყობა, თავისი დროზე, არ მიექცა სათანადო ყურადღება, რუსებსაც აწყობდათ სამხრეთის ფრონტზე ამ ეტაზზე მიღწეული წარმატების ვითომდაც მთლიანი მესხეთის, თანაც ჯავახეთის განთავისუფლებად შეფასება და მათი საომარი მოქმედების შედეგის კიდევ უფრო განდიდება და, ალბათ, ხელიც კი შეუწყესა ამ მცდარი ტერმინის გავრცელებას და ტირაურებას. ეს გაუგებრიობა ჩვენს დრომდე გაგრძელდა და ფრიად არასასურველ შედეგებამდე მიგიყვანა. ჩვენი სახელოვანი მოწინავე ისტორიკოსების, დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახებიშვილის, ს ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, დ. მუსხელიშვილის, შ. ლომსაძის და სხვათა ნაშრომებში ამ მცდარმა ტერმინმა, ცხადია, ვერ ჰპოვა ადგვლი. მაგრამ ფართო საზოგადოებრიობისთვის ეს „გულუბრყვილ შეცდომა“ შეუმჩნეველი დარჩა. რო-





გორც სავარაუდო იყო ეს მოვლენა, არ გამოჰპარვია უდიდეს ქართველ ისტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს და საჭიროდ მიუჩნევია განმარტება, რომ „საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს საზოგადო სახელად ზემო ქართლი ეწოდება, საკუთრივ კი უფრო ხშირად მესხეთს ეძახდნენ. მესხეთი ბევრ სხვადასხვა სახელის მატარებელ თემს შეიცავდა... როგორც, მაგალითად, ჯავახეთ-აბოცი, არტაპან-კოლა, კლარჯეთი, ტო-ოლითის და სხვ.“ (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები“, გვ. 35). ამ საკითხს მოგვიანებით სპეციალურად შეეხო და მისი მცდარობა მშვენივრად დასაბუთა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის უბადლო მკვლევარმა პროფესორმა შოთა ლომისაძემ, რომელიც თავადაც მესხეთის შვილი იყო (ჯავახეთის სოფელ ჩუნჩხიდან) და ძალიან კარგად უწყოდა, ეს მცდარი ტერმინი რა უხერხულობას, გაუგებრობას და დაპირისპირებას იწვევდა არა მარტო უბრალო მესხებს შორის, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებში. ამიტომაც წუხილით ამბობდა, რომ „სამცხეაროდ აკად. ივ ჯავახიშვილის საჭირო განმარტებას ზოგიერთმა ისტორიკოსმაც ვერ გაუწია ანგარიში და აღნიშნულ ცდუნებას ვერ გადაურჩა. ამ ტერმინის ხმარება იმას ნიშნავს, რომ ჯავახეთი მესხეთად ალარ მივიჩნიოთ და იგი მხოლოდ სამცხის მკვიდრთა ტომობრივი ვინაობის ალმნიშვნელ ტერმინად ვაქციოთ.“ იქვე ბატონი შოთა აზუსტებს, რომ „მესხეთი მთელი ზემო ქართლის ზოგადი სახელია. იგი მოიცავს სამცხეს, ჯავახეთს, თორის, კოლა-არტანს, შავშეთს, კლარჯეთს, ერუშეთს, აჭარას, იმერევს, ტაოს, სპერს და სხვ... ამრიგად, „მესხი“ კუნძითი სახელია აღნიშნულ პროვინციებში მცხოვრები ქართველი ხალხისა... ასე, რომ ჯავახეთის მკვიდრი (კურძილან ზოგადისკენ) ერთდროულად არის ჯავახიც, მესხიც, ქართველიც, ასე, რომ მათი ერთიმეორები აღრევა ან დაპირისპირება შეცდომა იქნებოდა (შ.ლომისაძე, „სამცხე-ჯავახეთი“, 2011, გვ. 280-282).

პრობლემა უფრო მასშტაბურიცაა. განა შეიძლება დავივინუოთ მესხეთის დანარჩენი სამხრეთი პროვინციები და ერთმანეთს დაუპირისპიროთ, დაკნინებული შეკვეცილ-შემოქრილი მესხეთის აქეთ დარჩენილი ორი თემი, ჯავახეთი და სამცხე?! რას ვეუბნებით იქით დარჩენილ ჩვენს ტაო-კლარჯელ თანამოძმებებს? თითქოს ისინი ოდითგანვე მესხები კი არა, დაყოფილ-დანანევრებული არტაანელები, შევშელები, ერუშენელები, კოლა-ელები, პარხალელები, ართვინელები, თორითუმელები, იმერეველები და ა.შ. თავიანთი ხელების და მიკროქვეყნების გეოგრაფიული სახელების მიხედვით სახელდებული თემები არიან, რომელთაც იმედია ქართველობას არ ვამადლით, მაგრამ მესხობაზე ბოდიში, ეს ექსკლუზივი მხოლოდ სამცხელებისაა?! ვის ანწყობს მესხების ასეთი დაქსაქსვა-დაპირისპირება?! ისინი ასე ხომ სხვისთვის ადვილად „მოსანელებელი“ ხალხი ხდებიან? შედეგიც სახეზეა. რადგან ჩვენ მათთვის მესხობა არ გვემტება, სხვები მათაც ე.წ. „თურქი მესხების“ მსგავსად, მთელი სერიოზულობით უმტკიცებენ, რომ თითქოს ისინიც ოდითგანვე ყივჩაყები, ან კიდევ სხვა თურქული ტომების ნარმომადგენლები არიან.

მივყვეთ ისევ ბატონ შოთა ლომისაძის ძალიან ლოგიურ მსჯელობას. „ვახუშტიმ ძალიან კარგად იცის, რომ ეთნიკურად ჯავახეთის „მოსახლენიც არიან მესხენი“, ისევე როგორც სამცხისა და ზემო ქართლის სხვა რეგიონთა მცხოვრებნი, რომ ამ ეთნიკურმა ტერმინმა წარმოშვა ტოპონიმური ტერმინი, მხარეთა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც ქმნიდა სათემო ერთეულებს, ამ ერთიანი ეთნიკური სახელის დაკონკრეტებული (თუ დაკინიბული) ცნებებია მაგალითად: ჯავახენი, შავშენი, კლარჯენი და სხვა. ისტორიულ წყაროებში ასეთი კერძო დაკონკრეტებული სახელები საქმიანობით გვხვდება. უნდა აღვნიშნოთ, ისიც, რომ სამცხის თემის მოსახლეობა კონკრეტულ შემთხვევებშიც უმეტესად მესხადინდება. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ კლარჯენი და ჯავახენი ან მესხეთის სხვა თემის მოსახლეობა, სამცხისაგან განსხვავებულად მესხად ალარ ინოდებოდნენ. ამ ტერმინის საზოგადო მნიშვნელობის აღსანიშნავად წყაროებში გვხვდება გამოთქმა „ყოველთა მესხთა“, ან „ყოველი მესხეთი“ (უამთამწერელი, გვ. 252) ან კიდევ „მესხენი დიდი და მცირენი ყოველნოვე“ (ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 6000). ჩვენ აქ საქმე გავაქვს ზოგად და კონკრეტულ სახელებთან „დიდი და მცირენი“ კერძოდ, სახელი ჯავახი, კლარჯენი (თემობრივი დანაყოფი) უდრის მესხს (ტომობრივ დანაყოფს) და ორივე ეს უდრის ქართველს (ერთ ერთგნულ ერთეულს). ასე რომ ჯავახების მკვიდრი (კერძოდან ზოგადისაკენ) ერთდროულად არის ჯავახიც, მესხიც, ქართველიც, ასე, რომ მათი ერთიმეორები აღრევა ან დაპირისპირება შეცდომა იქნებოდა (შ.ლომისაძე, „სამცხე-ჯავახეთი“, 2011, გვ. 281-282).

არჩილმაც შესანიშნავად იცოდა, სადაცაა ჯავახეთი, „შემოკრბა ჯარი ჯავახეთს, ვარძიას მივლენ მეფენიც, /თვით დავით სოსლან ძლიერი, თამარ ბრწყინვალე, შუქ-მეფენიც“ და რომ ჯავახეთი იგივე მესხეთია, ხოლო ჯავახი იგივე მესხია. ამის გამოა, რომ მისთვის რუსთველი ჯავახიცა და მესხიც. ამიტომაცა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამო მეფე-პოეტი რუსთველს, როგორც ჯავახს, თეიმურაზის ენით საყვედურობს: „ლაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძმე“-ო, მერე უკვე როგორც მესხს მიმართავს, „უყურე ბრიყვა მესხსა და ამაყსა, შეუპოვარსა“-ო, და იქვე უკვე ჯავახს – „რალა გელაყბო ჯავახსა, ლარიბა, შე უპოვარსა“ (არჩილი, გაბაასება თემურაზისა და რუსთაველისა 893, 124, 125 კუპ).

შ. ლომისაძე წერს, რომ „სხვა წყაროებში ამა თუ იმ ტომთა და თემთა სახელები ისეთ კონტექსტშია ნახმარი, თითქოს ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ და დამოუკიდებლად არსებობენ. მაგალითად „რამეთუ გააგეს პირველად აღება ჯავახეთისა, თმოგვისა და ახალქალქესა“ („სტორიანი და აზმანი შარავანდებთანი“, გვ. 51) საქმეში ჩაუხედავ კაცისთვის ჯავახეთი, თმოგვი, ახალქალქე დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულები სრულია. სინამდვილეში თმოგვიცა და ახალქალქეს შემადგენელი ნაწილებია





და სამივე შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ჯავახე-თზე” (შ. ლომსაძე, დასახ. ლიტ. გვ. 281-282).

სავარაუდოდ, იმავე ან სხვა წყაროდან აღებული, ეს ფაქტი სწორად აქვს გაგებული და დალაგებული არჩილ მეფეს, „დაასკვნეს პირველ აღება ჯავახეთისა თმოგვისა, თრიალეთს, ახალქალაქის, სომხითის მინას მოგვისა“ (არჩილი, „გაბაასება თეიმურაზ მეფისა და რუსთველისა“. 817). მაშასადამე, აქ საუბარია ჯავახეთის ომოვჭე, თრიალეთის ახალქალაქზე და სომხითის მოვჭე ე.ი. ჩვენ აქ საქმე გვაქვს თითოეულ მხარეში აღებულ კონკრეტულ ადგილთან. არჩილი, ზოგადად, ქართლს საქართველოს სახელით მოიხსენიებს, ხოლო მის ნაწილებს „ზემო, შუანა და ქვემოთა საქართველოებს“ უწოდებს. მესხეთის სხვადასხვა პროვინციების მცხოვრებლებს თავიანთი სადაურობის ამსახველი ტერმინებით ჩამოთვლის, „გამრისნი, შამელნი, კარელნი, კლარჯელნი, ...ტაოელნი..“, ბოლოს ყველას ისევ მესხებში აერთიანებს და ჩამოთვლას ასე ამთავრებს“.., „და სხვანი მესხნი, ომ-შეძლენი“-ო (არჩილი, „გაბაასება თეიმურაზ მეფისა და რუსთველისა“. 795). სხვაგან არჩილი მესხების კრებით სახელად „სრულ მესხნი“-საც იყენებს. ხშირად ჯავახებში, სამცხელებში ან შავშელებში ნაგულისხმევია მესხეთის, ანუ ზემო ქართლის დანარჩენი სხვა თემის მცხოვრებიც, რადგან, მოუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური სიტუაციებიდან გამომდინარე, ხშირად სხვადასხვა სივრცეში აღმოჩნდებოდნენ, ეთნიკურად მაინც ერთი იყნენ.

„XVII ს. ევლია ჩელების სამცხე-ჯავახეთი „საქართველოს შავშეთის“ შემადგენელ ნაწილად მიაჩინდა და აქაური ქართველების ენას „შავშეთის ქართველების ენას“ ეძახდა, ხოლო აქაურ ხალხს „საქართველოს შავშეთის ხალხს“ (ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 297). ეს არცაა გასაკვირი, რადგან სამცხე-ჯავახეთი თუ არტაან-ერუშეთ-შავშეთი ერთიმეორისგან ენითა და კულტურით დიდად არ განსხვავდებოდნენ, მით უფრო, უცხო მოგზაურისთვის. უფრო მეტიც, თეიმურაზისა და არჩილისთვისაც აღნიშნული მხარე ზოგადად ჯავახეთი იყო, ხოლო მისი ენა ჯავახური ენა. ოლთისში გადახვენილი თეიმურაზ I და მისი ამალის წევრები, თურმე, ძლიერ წუხენენ - „ჩვენ კახეთის ვართ ლეინ-ნაჩვევნი რას ხელსა ვეყრით ჯავახებსა“-ო (არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“. „ჩვენი საუნჯე“ გვ. 212). ცხადია, ამ შემთხვევაში, ჯავახეთი მესხეთის სინონიმადაა ნახმარი. ჯავახებში ნაგულისხმევია მესხეთის, ანუ ზემო ქართლის სხვადასხვა თემის მცხოვრები. ზოგჯერ სამცხე-საათაბაგოს სინონიმად იხმარება „სრულიად სამცხე“, ან „ზემო ქართლი“ (იოსებ სააკაძე დიდმოურავიანი „ჩვენი საუნჯე“ ტ. 4 გვ. 354). XVIII საუკუნეში მისინერ ლეონის დაკვირვებითაც, საქართველოს ყველა კუთხეში, ახალციხის მხარესაც, ჩვეულებრივად ქართლს უწოდებდნენ (მისინერ ლეონის გამოუქვენებელი რელაციონი საქართველოზე, ხელნაწერი, გვ. 21). ვახუშტისაც, თავის

საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში, მთელი მესხეთის, ანუ ზემოქართლის ყველა პროვინციის აღწერა, მოცემული აქვს პირველ წიგნში, საერთო სათაურით – „სამცხე“.

მაშასადამე, გავარკვიეთ, რომ სამცხეც, ჯავახეთიც, ტაოც, კლარჯეთიც.. მესხეთის შემადგენელი ნანილებია და, როგორც სამცხე-ჯავახეთის, ისე ტაო-კლარჯეთის თემების ნარმომადგენელნი ტომით არან — მესხნი, ხოლო ეროვნებით — ქართველნი. არ შეიძლება რომელიმე მათგანის მესხეთიდან გამოცალკევება ან მასთან დაპირისპირება! სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში შემოსულმა მცდარმა ტერმინმა „მესხეთ-ჯავახეთი“, ვერ გაითვალისწინა, ვერ ასახა ეს რეალობა და იმთავითვე დაუდო სათავე ბევრ გაუგებრობას. დააბინა და ცნობიერება შეურყია როგორც სამცხის, ისე ჯავახეთის მოსახლეობას. მცდარი ტერმინი „მესხეთ-ჯავახეთი“ და მესხებად მხოლოდ სამცხელების აღიარება, ისეთივე დამაზიანებელია, როგორც არასწორი და ქართველთა ცნობიერების შესაცვლელად გამიზნულად შემოგდებული ტერმინი – „თურქეთ მესხნი“. ბურებაში ყველა ადამიანს თავისი ეროვნება აქვს. მესხი ქართველია და თურქი — თურქია. ამ ტერმინით თითქმის სრული ხუთი საუკუნის განმავლობაში ორი ძალიან დიდი და ვერაგი იმპერიის ტრადიციული თუ ნოვატორული მეთოდებით ძალად გამაპმადიანებულ და გადაჯიშებულ მესხებს საბოლოოდ აუბინეს თავგზა და დაასრულეს ქართული სხეულიდან მათი ჩამოცილება. მაშინ, როცა შეუა აზიაში, საბჭოთა პერიოდში, მესხეთიდან გასახლებული მოსახლეობის (86 ათასი) სულ ცოტა ოთხმოცდახუთი პროცენტი მაინც ეთნიკურად ქართველი იყო, ამ ტერმინის თავსმოხვევით თანდათანობით დაარწმუნება, რომ ისინი მესხეთიდან დეპორტირებული გამაპმადიანებული, ეთნიკური ქართველები, კერძოდ მესხები კი არა, არამედ ეთნიკური თურქები არიან. მათმა უდიდესმა, გაუნათლებელმა ნაწილმა, დაიკურა, ან ბედს შეურიგდა. რახან სიცრუის აგიტაციაში გასჭრა, მეთოდები და თეორიებიც დახვეწეს და აღარ უჭირთ და არც ეთაკილებათ არა მარტო „თურქი მესხების“, არაქართველობის მტკიცება, არამედ, საერთოდ, მესხების არაქართულ ტომად გამოცხადებაც.. ჩვენ, თავის დროზე, ვერ მივაქციეთ ყურადღება ვერც ამ ხალხს და ვერც ამ მცდარი ტერმინის დამკვიდრებას. და ახლა ეს ხალხი ისეა გონიერარეული და ცნობიერება შეცვლილი, რომ მათ დიდ უმრავლესობას თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ მესხეთი კი მიაჩინათ, მაგრამ მათთვის მესხეთი წმინდა ქართული მინა-წყალი კი არა, არამედ, თურქული მინაა. აი სადამდე მიყვავართ ჩვენს დაუდევრობას და უყურადღებობას! ერთი სიტყვით, როდესაც სრულიად მესხეთიდან დიდი ნაწილი ჩამოგვაჭრეს, მოსახლეობა დაგვიხოცეს, გაგვიქციეს, ბევრი თანამომე გადაგვიჯიშეს, გადაგვისახლეს და ადგილზე თუ მესხეთის მიღმა დარჩენილი ცნობიერება შეცვლილი ჩვენივე სისხლი და ხორცი მტრად გვიქციეს, უცხო-





ტომელები ჭარბად შემოგვისახლეს და ქვეყანა ეთნიკურად საოცრად აგვიჭრელეს, ვითომ ეს არ გვყოფიდეს და აქეთ დარჩენილი ერთი მუჭა მესხელები უაზროდ ერთმანეთს ვეკამათებით და პირველობას – „დიდმესხობას“ ვრჩემებთ. მაშინ, როცა თითქმის ყველა ჩვენი მეზობელი ასე მოკვეთილ-მოპატარავებულ მესხეთსაც კი არ გვანებებს და აბსურდულ პრეტენზიებს გვიყენებს, ვითომდაც, ისტორიულად, ეს მიწა-წყალი, ჩვენს გარდა, ყველა მათგანის კუთვნილება ყოფილიყოს, ჩვენ რას ვაკეთებთ, ვის ცეცხლზე ვასხამთ ნავთა?!

ისე, როგორც არცერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა აზრად ასეთი გამოთქმები: „საქართველო — მესხეთი“, „საქართველო — იმერეთი“, „საქართველო — რაჭა“ „საქართველო — სამეგრელო“, ან, თუნდაც, „მესხეთი — სამცხე“, ისე არ შეიძლება ვიძახოთ და ვამკვიდროთ მცდარი და არც თუ ისე „უწყინარი“ ტერმინი – „მესხეთ-ჯავახეთი“! ამით ვაკინებთ, პირველ რიგში, თავად მესხეთს, ერთმანეთს ვუპირისპირებთ ორივეს – მთლიანსაც და შემადგენელსაც, მესხეთსაც და ჯავახეთსაც და ამ უკანასკნელს სხვათა საჯივგნად ვიმეტებთ. საბედნიეროდ, დამრუჟადებელი საქართველოს პირობებში, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისას საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ისტორიული მესხეთის ნანილს სრულიად სამართლიანად და სწორად „სამცხე-ჯავახეთი“ უწოდეს. მაგრამ ხალხის ცნობიერებაში „მესხეთ-ჯავახეთი“ უკვე ისეა გამჯდარი, რომ ძალიან ძნელია მისგან ერთბაშად გათავისუფლება. ქვემოთ კიდევ სხვა არგუმენტებითაც შევეცდებით ამ მცდარი ტერმინის მავნებლობის დამტკიცება-დასახუთებას.

სამი საუკუნის განმავლობაში დედა-სამშობლის ჩამოცილებულ მესხეთში, ჯერ რუსეთის და შემდეგ მისი მემკვიდრე – საბჭოთა კვშირის ბეჯითი მცდელობით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის – ქართველების საზანოდ ხელოვნურად, კატასტროფულად შეცვლამ და გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან დამატებით ამ რეგიონის სასაზღვრო ზონად გამოცხადებამ, „შელაგბაუმებით“ გადაკეტვამ და მისი დანარჩენი საქართველოსაგან კიდევ ერთხელ ნახევარი საუკუნით იზოლაციამ, პლიუს ჩვენი ხალხის გაუთვიაცნობიერებლობამ, საბოლოოდ ის შედეგი გამოიიღო, რომ ქართველობა თითქმის სრულად გაუცხოვდა ისედაც შეკვეცილი მესხეთის და, განსაკუთრებით მისი შემადგენლი ჯავახეთის და ჯავახების მიმართ! ბევრმა, საერთოდ, დაივიწყეს, რომ ჯავახეთში ისევ ცხოვრობენ ძირძევლი ქართველი ქართველები და თანდათანობით ქართველების ცნობიერებაში ჯავახი სომების სინონიმად იქცა. ჯავახეთიდან სხვა კუთხებში სასანავლებლად, სამუშაოდ თუ სტუმრად ჩასულ ქართველზე დამთრგუნველად მოქმედებდა პირველი კითხვის – სადაური ხარ? პასუხად – ჯავახეთიდან, აუცილებლად დასმული მეორე კითხვა, რომელშიც პასუხი ისედაც იგულისხმებოდა: ე.ი. – სომები ხარ?! ამან დათრგუნა და დააფრთხო ჯავახები... ბევრი მალავ-

და (ზოგიერთი დღესაც) თავის ჯავახობას და პირდაპირ პასუხობდა, რომ მესხეთიდანაა და პრობლემაც, თითქოს, აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს უკვე ალიზიანებდათ და აღარ „მოსწონდათ“ „მესხეთ-ჯავახეთით“ „ზურგშემაგრებულ“ სამცხელ მესხობას. რომელთაც გამოკვეთილად დაემჩნათ სურვილი – ჰქონდეთ მესხობაზე ექსკლუზიური უფლება. ასეთი აბსურდული, ძმათაშორისი დაპირისპირება“, სამცხელ და ჯავახელ მესხებს შორის, ყოველდღიურობაში ახლაც გრძელდება!..

არა და, მანამდეც, ოსმალების უღელქვეშ ყოფნის დროსაც, დაპყრობილი მესხეთის ნაწილობრივადან ბოლომდე ყველაზე მეტად პროქართული განხყობით გამოირჩეოდა ხერთვისის და ახალქალაქის სანჯაყები. აქ უმეტეს სოფლებში სრულად შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ენა და ქრისტიანული სარწმუნოება, რისი წყაროც იყო, ალბათ, მათი ქართლთან მოსაზღვრეობა, საფაშოს ცენტრიდან დაშორება და სანჯაყების ადგილობრივი ბეგების (ფალავანდიშვილების და, მეტადრე, მემედ ბეგ ვაჩინაძის, რომლის ავტორიტეტიც, 1816 წლის მესხეთის სახალხო აჯანყების შემდეგ, ერთათად გაიზარდა) ქართული წარმომავლობა და ქართველებთან ბოლომდე ლოიალობა. კიდევ ისაც, რომ მაშინდელი ჯავახეთი ბევრი ქართლიდან და საქართველოს სხვა კუთხებიდან გაქცეული ყმა-გლეხის თუ პოლიტიკური მოღვაწის და წარჩინებულის (აღ. ბატონიშვილი, სოლომონ მეფე, სხვა და სხვა კუთხის ფეოდალნი და წარჩინებული) თავშესაფარად გადაიქცა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს სასანაულებრივად გადარჩენილი ეს ერთი მუჭა ჯავახები საკუთარ მიწა-წყალზე პრობლემებს და უხერსულობას აწყდებან, როგორც ორი საუკუნის წინათ ჩამოსახლებული მეზობლების, ისე თანამემამულებების მხრიდან. ერთნი მათ მიწა-წყალს და ჯავახეთის სახელს, მის კუთვილებას და კუმურდოს და ვარძიას ედავებიან, მეორენი ტომობრივ კუთვილებას, თმოგვს და ვარძიას! ისტორიული ჯავახეთის და სამცხის საზღვრებზე და ისტორიული ძეგლების კუთვილებაზე ისეთი გაცხარებული დავაა გაჩალებული თვისტომებს შორის, რომ ისტორიულმა პროვინციებმა ცვალებადი და პირობითი საზღვრარი ლამის სახელმწიფო საზღვრად გამოაცხადონ და თოთვეულ ბუჩქზე და ქვაზე დაასონ საზღვრის აღმნიშვნელი დროშა. დანარჩენ საქართველოში ხომ ბევრს ჯავახების არსებობა ან, საერთოდ, ავინყდება, ამ მათ ეროვნებაში ეჭვიც კი ეპარებათ! ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს. ეტყობა, ჯავახეთს ასეთი ბედი აპყვა, მაგრამ ასე დიდხანს გაგრძელება აღარ შეიძლება.

ზემოთ თითქმის ყველაფერი ვთქვით, მაგრამ მთავარი მაინც არ გვითქვამს. ასე მცდარი, ქართველების დამაბინებელი და საერთო ქართული ინტერესების დამაზიანებელი ტერმინი „მესხეთ-ჯავახეთი“ პირველ რიგში მაინც ჯავახებზე „პირდაპირ დამიზნებული ვერაგული იარაღი“ გამოდგა! ამ ტერმინმა ჯავახები იმთავითვე დააყენა დილემის წინაშე. ამ მათ ჩვეული სივრცუტით უნდა ელიარებინათ, რომ, დიახ-





აც ჯავახები არიან, რომელთა მესახობას უკვე გამოიცხავდა ეს ტერმინი და მათ ქართველობაშიც კი ზოგიერთს, შემდგომ, ალბათ, ეჭვიც შეეპარებოდა, ან უნდა დაეჩემებინათ მხოლოდ „სამცხელი-მესხობა“, რომელთა ქართველობას ეჭვეკვეშ არავინ დააყენებდა, მაგრამ ცოტა მათი მიწა-წყლის ისტორიული კუთვნილება შეუქმნიდათ უხერხულობას. სინამდვილეში ასეც მოხდა. ისედაც საკუთარ მიწა-წყალზე უმცირესობაში აღმოჩენილი ერთი მუჭა ჯავახეთის ქართველობა ორ ნაწილად გაიყო: საუკუნეების განმავლობაში მუდმივად თავის მწარე ბედთან ჯიუტად და მამაცად მეტობოლ, სასწაულებრივად გადარჩენილ და ბოლომდე ჯავახებად დარჩენილ ნაწილად, რომელიც ქართველებში სიჯიუტის სინონიმად ითვლებიან, ხოლო ბარის ჯავახები მათ „მწარე ჯავახებს“ რომ უწოდებენ და რომელთაც ახლა უკვე თანამოძმეების „განდგომის“ მიზეზით კიდევ ერთხელ ასე შეცოტავებულებს, მარტოებს უწევთ თავიანთი ჯავახობის, მესხობის და ქართველობის შინაურისთვის თუ გარეულისთვის ჯიუტად მტკიცება, პარალელურად კი მშობლიურ მიწა-წყალზე ყოველივე ქართულის ყველასაგან დაცვა და მეორე ნაწილად, რომელთაც „სახელშელახული ჯავახობით“ მესხობას, პირდაპირ მესხობა არჩიეს. ეს უკანასკნელნი, ჯავახეთის სამცხის მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ქართველებია. „ბოლომდე ჯავახების“ პრობლემებზე ზემოთ ნაწილობრივ უკვე გესაუბრეთ და ქვემოთაც შევეხებით, მანამდე ცოტა დაწვრილებით „მეორე ჯგუფის“ ჯავახების საქციელზე გვინდა მივაპყროთ თქვენი ყურადღება.

ჯავახეთის ერთ-ერთ ძირძველ და გასაოცარი ისტორიული ძეგლებით ცნობილ სოფელ საროს მოსახლეობაზე ნათქვამი ეს სტროფები: „სარველები თავის თავსა ჯავახელად არა სცნობენ, / ვრც ჯავახი დაუძახოს, იმ კაცს ჰეიცხენ, იმ კაცს გმობენ“, – თანაბრად ეხება მის მიმდებარედ ჯავახეთის ზეგანის ქვედა იარუსზე განვენილ ერთ-ერთ უძველეს და ისტორიულად სულ ადგილობრივი ჯავახებით დასახლებულ სოფელ ხიზაპვრას და მტკვრის ხეობაში მყოფი ქვემო ჯავახეთის რამდენიმე სოფლის ძირძველ მოსახლეობასაც. როგორც ჩანს, ბევრი მათგანი ისე დააფრთხო „შე ჯავახო“-ს ძახილა, რომ გულწრფელად ეთაკილებათ ჯავახობა და სურვილი აქვთ იწოდებოდნენ პირდაპირ მესხებად. ამ საჩითირო მოვლენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისევ მცდარი ტერმინი „მესხეთ-ჯავახეთია“, მაგრამ ამ ფენომენის სრულად ასახსნელად მაინც ცოტა შორიდან მოვლა მოგვინევს და მკითხველს ვთხოვთ მოთმინებას.

რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად მესხეთის ნაწილის რუსეთის შემადგენლობაში შემოერთების და გაყრილი და განდევნილი მუსულმანი ქართველების ადგილზე არზრუმელი და ბაიაზიდელი სომხების დიდი რაოდენობით ჩამოსახლების შემდეგ, რუსების და სომხების ინტერესები მაშინ ერთმანეთს დაემთხვა. პირველ მათგანს სამხრეთ საქართველოს საზღვრებთან მაქსიმალურად სურდა არამორჩილი ქართული ელემენტის მაქსიმალურად დასუსტება და

უფრო საიმედო მოსახლეობისთვის მიწების გამოთავისუფლება, ხოლო სომხებმა რუსების ხელით თავიანთი ავანტურისტული იდეის „დიდი სომხეთის“ აღდგენა, ქართული ტერიტორიების ხარჯზე განიზრახეს. დაინტეს სამცხე-ჯავახეთის ქართული მოსახლეობის მაქსიმალურად შევინორება. გასაკვირა, მაგრამ მაშინ რუსებმა ანატოლიიდანაც კი ჩამოიყანეს დაქირავებული მოლები და დაამთავრეს ძირითადად სამცხის გამუსულმანებული სოფლების მოსახლეობის ბოლომდე გამამადიანება, ხოლო ქართულ ეკლესიებში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვა ორად (მართლმადიდებლებად და კათოლიკებად) დაყოფილ სამცხე-ჯავახეთის ქართველ ქრისტიან მოსახლეობას გარუსების ან გასომხების საშიშროება შეუქმნა. თავის დროზე ფრანგი მისიონერების ბეჯით მცდელობის და შემდგომ ოსმალეთის იმპერიაში ვითომდაც ეროვნული იდენტობის შენარჩუნების იმედით, მესხეთის მოსახლეობის ნაწილის ნებით, იმულებით, თუ წაქეზებით კათოლიკურ სარწმუნეობაზე გადასვლა ვერც ისმალების და ვერც შემდგომ რუსების შემოსვლის პერიოდში ვერ აღმოჩნდა მათი მების სამიედოდ დამცველი ფაქტორი. ჯერ ისმალეთის, ხოლო შემდეგ, რუსეთის იმპერიაში ვატიკანის თანხმობით, ქართველი კათოლიკების მართვის სადაცებები მთლიანად სომხები ბერების, ტერტერების და გასომხებული ქართველი პადრეების ხელში აღმოჩნდა. ამათ „მოხერხებით და ოსტატობით, მათში ქართული ენა ძირითადად ამოაგდეს. დაავინებს კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეებს, ართვინის, არტანის, არტანუჯის, შავშეთის, ურუშეთის, ველის, კარტიკამის, ალასტანის, ტურცების, ხევის, ბასიანის, კოლას, რიზეს, ოქროპაგეთის, სათლეს და სხვ. ქართველობას“. შეუცვალეს გვარ-სახელები „თამარაშვილი თამარიანცად და ბაინდუროვად იქცა, ნასყიდშვილი — ნასყიდიანცად, კალატოზოვილი — კალატოზოვად, ბოკოშვილი — ფაფაზოვად, მეფისაშვილი — მეფისოვად, გულაშვილი — ლისიციანად, მერაბიშვილი — მერაბიანცად და აშტრაკიანცად, გურგენიძე — გურგენოვად, ხუციძე — ისრაელოვად, ვანაძე — პარმასისიანცად და ა.შ“, — წერს ზ. ჭიჭიაძე (ზ. ჭიჭიაძე, „ზურაბაშვილების გვარის ისტორია“, 1909, გვ. 56). სრულიად სამართლიანად შენიშვნას ქ-ნი თინა იველაშვილი „კათოლიკური სარწმუნეობის როლი ქართველი ხალხის ეროვნული მეობის შენარჩუნების საქმეში კარგად გამოჩნდა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მთელი რიგი სოფლების მაგალითზე. მოსახლეობა, რომელმაც ვატიკანის ფარული თუ აშკარა ლოცვა-კურთხევით სომხური ტიპიკონის კათოლიკური სარწმუნეობა მიიღო, რაღაც ერთ საუკუნეში დაკარგა ეროვნული თვითშეგნება, მეობა და ა.შ. რის შედეგადაც, ფაქტიურად, გასომხდა“ (თ. იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში, 2009, გვ. 168). იგივე პროცესებს ვერ ასცდა, მაგრამ საბეჭირებიდ გადაურჩა სოფელ ხიზაპვრის კათოლიკე მოსახლეობა. აქაც მაშინ მოვლენილმა სომხებმა ტერტერებმა აქტიურად დაინტეს სომხურად წირვა-ლოც-





ვა, ხალხისათვის გვარსახელის სომხურად გადაკეთება და მათი ეროვნების აღმსარებლობის მიხედვით დადგენა. 1886 წლის მონაცემებით ხიზაბავრაში სულ 1363 კაცი ცხოვრობდა, რომელთაგან შვიდის გარდა საოჯახო სიებში ყველა სომეხად იყო ჩაწერილი. ამ პროცესის წინააღმდეგ გაილაშქრეს სახელმოვანმა ქართველმა მოღვაწეებმა, მათ შორის მესხეთის კათოლიკე ქართველების ბრწყინვალე წარმომადგენლებმა, ჯერ იოანე ხუცესმა (ხოჯავანთი-ხოჯაშილი), პეტრე ხარისჭირაშვილმა, ივანე გვარამაძემ, მიხეილ თამარაშვილმა, ხიზაბავრელმა იოსებ ხუცაინოვმა (ხუციშვილმა, რომლის გარდაცვალების შემდგა ივ. გვარამაძე მოგონებაში წერდა: „ნეტარხსენებული ჩვენი მესხ-ჯავახი ჰუტემბერგი“) და მისივე ახლობელმა ანტონმა, მე-19 საუკუნის ბოლოს გააქტიურებულმა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, ე.ნ. „თერგდალეულებმა“, ხალხოსნებმა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს პროცესი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე გაგრძელდა. მაშინ მთელ საქართველოში სომხური ეკლესია და ბურჟუაზიული საზოგადოება შეთანხმებულად მოქმედებდნენ და სოციალური თუ სარწმუნოებრივი ზენოლის შედეგად მთელი თბილისის და მისი შემოგარენის, – ქართლის, ქვემო ქართლის და კახეთის ინტენსიური გასომხება მიმდინარეობდა, მესხეთისათვის სათანადო ყურადღების მისაქცევად მაშინ ცოტას თუ ეცალა. მერე იღბლად საქართველო დამოუკიდებელ რესუბლიკად გამოცხადდა. თავად ხიზაბავრელებმაც გვარიანად იყოჩალეს და ჯავახეთის სხვა კათოლიკებით დასახლებული სოფლებისგან განსხვავებით, რომელთა ქართველი მოსახლეობა ერთიანად გასომხდა (ტურცხი, აღასტანი ხულგუმო, ბავრა გულიკამი, თორია, ეტრია, ხიზაბავრა) ძალად გასომხებას გადაუჩი! ოღონდ გადარჩენილი ხიზაბავრის მოსახლეობა ისე დააფრთხო ჯერ თავიანთმა დროებითმა ხანმოკლე იძულებითმა „ვითომ სომხობამ“ და, შემდგომში, ისევ ჩვენივე ბედოვლათობით, სიტყვა „ჯავახი“-ს სომხების სინონიმად გადაქცევამ, იმის შიშით, რომ კიდევ ერთხელ არ დაბრალებოდათ „სომხობა“, არ ინდომეს „მესხ-ჯავახობა“, საერთოდ, უარყვეს თავიანთი ჯავახობა და დაიჩინეს მხოლოდ და მხოლოდ მესხობა! ეს ტენდენცია ხიზაბავრის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში დღესაც ბატონობს და საუკუნეების და, ალბათ, თათაწლეულების განმავლობაში, ჯავახეთის მიწა-წყალზე ცხოვრების მიუხედავად, არ სურთ და არ უნდათ თავიანთი ჯავახური წარმომავლობის „გამხელა-გამომზეურება“. მიუხედავად ამ დროებითი „გაუგებობისა“, ხიზაბავრელები, ჩვენი ღრმა რწმენით, ჯავახეთის ზეგანის ქვედა იარუსზე მცხოვრები ერთ-ერთი ყველაზე ძირძველი ჯავახებია. ქართული და სომხური წყაროებიდან ცნობილი ფექტია, რომ 842 წელს საქართველოში მესამეჯერ სადამსჯელოდ და საძარცველად შემოსული არაბი ხალიფა ჯავახეთის სოფელ „ხიზაბირში“ (ხიზაბავრაში) მოუკლავთ. ცხრა საუკუნის შემდეგ, 1770 წელს, ასპინძის ომში

გამარჯვებულ ერეკლე მეფეს ჯავახეთზე გადაუვლია. ხიზაბავრაში ერთ შეძლებულ გლეხს უამრავი საკლავი არ დანანებია და მეფის საპატივცემლოდ დიდი ნადიმი გადაუხდია. ასეთი გულუხვი მასპინძლობით ნასიამოვნებ მეფეს მოუხმია გლეხი თავისთან და აზნაურობა უბოძებია. ჭვევიან ჯავახს მეფის წყალობაზე უარი უთქვამს – რა თავში ვიხლი მეფეო, აზნაურობას?!.. აი, ის მთა მიბოძეთო... მეფე მცირედ დაფიქრებულა და როგორც ხალხურ ლექსშია, დასტურად უთქვამს, „ჯავახი არა ბრიყვობსო, / ეს მთაც მაგისი იყოსო“. ამბობენ, სამცხე-საათაბაგოში ოსმალების თითქმის სამსაუკუნოვანი ბატონობის დროსაც კი თურქ-ლეგთა მარბევალ რაზმებს ხიზაბავრაში ასვლა მანც ეშინოდათ და ერიდებოდნენ. აი, ასეთ ჯავახებს უცხოვრიათ ხიზაბავრაში სულმუდამ. ხიზაბავრელები დღესაც ძალიან გონიერი, მამაცი, გამაცადი და სტუმართმოყვარე ხალხია, რომლებიც იუმორის გასაცარი გრძნობითაც გამოირჩევიან. და გვჯერა, სწორად გაგვიგებენ გული რაზეც გვწყდება. დაფიქრდებიან ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე რამდენად მინშენელოვანია მათი დანარჩენ ჯავახებთან ერთად დგომა.

ასეთ სიტუაციაში არცაა გასაკვირი, თუ ვივარაუდებთ, რომ ასევე ძალიან ძირძველ ჯავახეთის სოფელ საროში მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველებიც, ჯერ „მესხეთ-ჯავახეთით“ დაბნეულნი და უშუალო მეზობლების, გასომხების საშიშროების წინაშე მდგარი ხიზაბავრელი კათოლიკე თანამომებების გასაჭირის შემყურები, „ჯავახი-სომხების“ დაძაბების საშიშროებისგან ისე გვარიანად „დაფრთხენ“, რომ ჯავახეთში ჯავახობაზე უარი ერთ-ერთმა პირველებმა, ალბათ, მათ თქვენს. გასომხებას გადარჩენილი ხიზაბავრელებიც მერე, ალბათ, მათ აპყვნენ და ჯავახობაზე „სამუდამოდ“ გულაცრუებულებმა ჯავახეთის ისტორიული საზღვარი თოვ-ვარგავისკენ „გადასწიეს“. ამ ორი სოფლის ქართველობასთან ერთად, ბოლო საუკუნეებში, მათ თავს გადახდენილი მძიმე თავგადასავლების და ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ჯავახეთის – სამცხის მიმდებარე, ასპინძის მუნიციპალიტეტის ჯავახურ ნაწილში მდებარე ქართველებით დასახლებული კიდევ რამდენიმე სოფელის მოსახლეობასაც, არ სიამოვნებს ჯავახებში გარევა და — ჩვენ მესხები ვართო! — ერთთავად ამას გაიძახიან! სწორედ ამითაა გამოწვეული ისტორიულ სამცხესა და ჯავახეთს შორის საზღვრების თაობაზე ასე გაცხარებული ყურადღება და „დავა“. არადა, ეს ქართველობა რა ძალიან სჭირდება დღევანდელ ჯავახეთს, და ისედაც ასე დაცოტავებულ, „ჯიუტად ჯავახებს!.. ბევრ მათგანს, ალბათ, ვერც კი წარმოუდგენია, რაოდენ საზიანოა ჩვენი ერთობისთვის და ეროვნული ინტერესებისთვის მათი მცდარი კუთხურობა და ამპარტავნობა! ერთეულების მცდელობით დღეს მცხოვრებით შეცვლილია სიტუაცია. სასიხარულია, რომ მათ შორის გამომჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ძალიანაც ეამაყებათ თავიანთი ჯავახობაც და მესხობაც, მაგრამ სასურველამდე ჯერ შორია.



ვიმეორებთ! ისედაც დაცლილი და დაპატარა-ვებული მესხეთის ნაწილში „მესხეთ-ჯავახეთის“ მც-დარი ტერმინის შემოტანამ (ან, იქნებ, სპეციალურად შემოგდებამ) და დამკვიდრებამ ქართველ ხალხში ისეთი გაურკვევლობა და ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, რომ ჩვენი გაუთვითცნობიერებლობით და დაუფიქრებლობით მისი ეროვნული ინტერესების საზიანოდ მოქმედება დღესაც გრძელდება. მაშინ როცა ჩვენდამი არაკეთილგანწყობლი ელემენტები მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედ-ვით აგებენ თავიანთთვის სასურველ თეორიებს და ამით სურთ ჯავახეთის ისტორიულად ტერიტორიული კუთვნილების დასაბუთება, ხელზე აქვთ დახ-ვეული ჯავახეთში ქართველების აბსოლუტური სიმ-ცირკ. ითვლიან მხოლოდ ახალქალაქი-ნინოშმინდის ქართველობას და გაჰკივიან, რომ ჯავახეთში ქართ-ველების რიცხოვნება 5 პროცენტსაც არ აღემატება. თუ ობიექტურად დავითვლით, ისტორიული ჯავახე-თის მთელ ტერიტორიაზე, საარაკო გმირობის ხარ-ჯზე, დღემდე შემორჩენილი ადგილობრივი მკვიდრი ქართველების რიცხოვნებას და მათ კანონიერად მი-ვათვლით ჯავახეთიდან, სარო-ხიზაბავრის მსაგასად, გულუბრყვილოდ, ხელოვნურად „განდგომილი“ ქვემო (ბარის) ჯავახეთის და ნიალის ზონის სოფლების მო-სახლეობასაც, გამოვა, რომ ისტორიული ჯავახეთის მინა-წყალზე დღეისათვის ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ნილი სულ ცოტა 12-15 პროცენტს მაინც შეადგენს, რაც, ცხადია, არაა ის, რაც უნდა ყო-ფილიყო და რაც გაგვეხარდებოდა, მაგრამ ჩვენ არა-კეთილმოსურნებას რომ ჰერონიათ, მთლად არც ისეა. ამას ვჩივით, ჩვენო ძვირფასო თანამემამულებრ, – ჯავახეთში ქართული ელემენტი ისედაც დასუსტე-ბულია და ჩვენივე ამპარტავნობით და გაუთვითცნო-ბიერებლობით, არანაირად არ შეიძლება მისი კიდევ უფრო ჩვენივე ხელით დასუსტება და არაკეთილმ-ოსურნების გახარება. სამწუხაროდ, დღესაც, ბევრ ჯავახს ჯავახობა ეთაკილება, ბევრს კიდევ, მხოლოდ, მესხი რომ იყოს, ის უნდა...

ჩვენ, სხვადასხვა კუთხის მესხებს, ის კი არ უნდა გვაღიზიანებდეს, სახელოვანმა ქართველმა ის-ტორიკოსებმა (ივ. ჯავახიშვილმა, პ. ინგოროვისამ, ნ. ბერძენიშვილმა, დ. მუსხელიშვილმა, დ. ბერძენიშვილ-მა, შ. ლომსაძემ და სხვ. მათ ნაწილობრივ არ ეთანხ-მება პროფ. მ. ბერძენი), ნერილობითი და მატერიალუ-რი კულტურის ძეგლების, ისტორიულ-გეოგრაფიული თუ ეთნიკური ფაქტორების კომპლექსური შესწავ-ლის და შეჯერების საფუძველზე, როგორ დაადგინეს სამცხე-ჯავახეთის ქრონოლოგიურად გაწერილი და მაინც პირობითი ისტორიულ-გეოგრაფიული საზ-ღვრები, როგორ მოხაზეს და გაატარეს მათი წყალ-გამყოფი კოდიანის მთისა და ბუზმარეთის ქედის სამხ-რეთ კალთებზე? ამისათვის კი არ უნდა ვექიშებოდეთ და ვწენდეთ ერთმანეთს, არამედ დღენიადაც იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, როგორ დავუდგეთ მხარში ერთ-მანეთს, როგორ დავიცვათ სახელმწიფოს ისედაც შე-ვინროებული სამხრეთის საზღვრები.



ახალციხელი ჯავახის ოჯახი, 1896 წ.

აქვე ვიყოთ გულწრფელი და ვალიაროთ, რომ, მიუხედავად ჩვენი ერის ოდითგანვე გამორჩეულად ტოლერანტული ბუნებისა, ქართველთა ნაწილის იმუ-ლებით თუ ნებაყოფლობით სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის თემებად დაყოფამ, მანც გამოიწვია ქართველებს შორის, რბილად რომ ვთქვათ, გარკვეუ-ლი გაუცხოვება და განკერძოება, რამაც, ცხადია, გაართულა საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესე-ბისთვის მათი გაერთიანება და კონსოლიდაცია. ამ-იტომ აღარაა საჭირო რელიგიური თუ ეთნიკური ნიშნით ისედაც აჭრელებული მესხეთის მოსახლეობის დამატებით კიდევ კუთხიურობის ნიშნით დაქსაქსვა და დაპირისპირება.

ვიდრე ჩვენ ასეთ უაზრო ურთიერთცილობაში ვართ ჯავახეთის ხსნება თითქმის აღარაა საკუთრივ ჯავახეთში! ჩვენი თანამემამულე ჯავახეთში მცხ-ოვრები სომხები, თუ კი აქამდე ერიდებოდნენ და ქართველებთან მაინც ვერ „ბედავდნენ“ ჯავახე-თის „ჯავახქად“ მოხსენიებას, ახლა, ვითომდაც ჩვე-ნი სახელმწიფოს სამსახურში მყოფი მოხელეები და ოფიციალურად დარეგისტრირებული რადიო-ტელე-ვიზიებიც კი, უკვე ველარ თუ აღარ „ბედავენ“ საჯა-როდ ჯავახეთის „ჯავახეთად“ მოხსენიებას. ყველა მიმართვაში „ჯავახქა“ გამოყენებული. მათთვის ჯა-ვახეთი „ჯავახქა“ და იქ მაცხოვრებელი ხალხი კი „ჯა-ვახებან“! არ ვიცი, უვიცობის, ან ამ გამიზნული პრო-ვოკაციის შედეგის გაუაზრებლობის თუ სიმძდალის გამო პირდაპირ გამაონებელია, რომ ამაზე საერთოდ არანაირი რეაქცია არა აქვს ჩვენს „გადალლოლ“ საზო-გადოებას! რა უნდა გაგვიკირდეს, როდესაც რამ-



დენიმე წლის წინათ საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე მომუშავე ჩვენი საკონსტიტუციო კომისიის სახელოვანმა და დამსახურებულმა თავმჯ-დომარემ (აკადემიკოსმა!), უურნალისტის შეკითხვაზე, თუ რატომ არ მიიღეთ კონსტიტუციის შესწორება ამა და ამ ფორმით, – „უპასუხა, – „მაგ ფორმით ცვლილების წინააღმდეგ გამოვიდა ჯავახების (!) მოსახლეობა და ვერ შევძლითო!..“ როცა ამას ასე დაუფიქრებლად და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ამბობს „დამსახურებული“ აკადემიკოსი, კონსტიტუციონალისტი, რატომ უნდა გაგვიკირდეს, რომ ახალქალაქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი პროვოკაციული სახელით „ჯავახები“, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე იყოს საქართველოს ფოლკლორული ფესტივალების არაერთგზის ლაურეატი?!

ახლა, როცა ასეთი შემოტევა და ბრძოლაა ტერმინ „ჯავახეთზე“, მათ ვინც ცდილობენ მის მაგივრად თავიანთ ცნობიერებაში და სხვების თვალშიც დაამკვიდრონ ახალი ტერმინი – „ჯავახები“, ძალიან კარგად იციან, გამიზნულად რასაც აკეთებენ. თქვენ გვინათ ქართულ სიტყვაზე ენა ეჩლიფებათ და იმიტომ „თარგმნიან?“ არა, ბატონებო, მათ სურთ დაამტკიცონ დაუკერებელი, რომ ჯავახეთი უხსოვარი დროიდან წმინდა ქართული მინა-წყალი და სულ ქართველებით დასახლებული ქვეყანა კი არ იყო, არამედ „ისტორიული სომხური“ პროვონცია „ჯავახებია“, რომელიც ვითომ ქართველებს აქვთ დიდი ხანა მიტაცებული და როცა იქნება, ნებისმიერი გზით იქნება დაბრუნებული... თანაც, წარსატაცად მარტო ჯავახეთს კი არ იმზადებენ! „ჯავახები“, მათთვის ჯავახეთან შედარებით გაცილებით დიდი ტერიტორიაა და მასში თრიალეთის და სამცხის უდიდეს ნაწილებსაც მოიაზრებენ,

– ნალექიდან გორი-ხაშურის ჩათვლით!.. ამიტომ მიდის ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ასე ბევრითად, ამ ტერმინის ჯერ შეპარულად და ახლა უკვე ასე ღიად, თავხედურად, ყველგან შემოპარება, დამკვიდრება, ჯავახეთის შესახებ ყალბი ისტორიის მოფიქრება, ათასჯერ ტირაზირება და მთელს დუნიაზე გავრცელება, ისტორიული ძეგლებისა და ტოპონიმების ხელყოფა, ბევრი მათგანის სრულიად უსაფუძლოდ სომხურად გამოცხადება. ამ დროს რა ხდება ჩვენი მხრიდან? საარაკოდ სდუმს და თითქოს ვერაფერს ვერ ამჩნევს ქართული სახელმწიფო და საზოგადოებრიობა!

როგორც სწორად შენიშნავდა, თავის დროზე, მე-19 საუკუნის დასაწყისში, ივანე ჯავახიშვილი, სომხების მასიურ გადმოსახლებას სამცხე-ჯავახეთში და თრიალეთში, ქართული საზოგადოება უყურებდა, როგორც დროებით მოვლენას და ყველანაირად თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა მეზობელი ქრისტიანული ერის წარმომადგენლებს იმის იმედით, რომ სიტუაციის დალაგების შემდეგ ისინი დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ისტორიულ – მშობლიურ მინა-წყალს და მათ ადგილზე უკან მობრუნდებოდნენ მესხეთიდან, მეტადრე, ჯავახეთიდან, იძულებით დეპორტირებული მუსულმანი ქართველება. თავიდან სომხების ნაწილმა მართლაც მოინდომა უკან დაბრუნება, ზოგიერთმა მოახერხა კიდეც თურქეთში გადასვლა, მუსულმანმა ქართველებმაც დაიწყეს უკან მობრუნება, მაგრამ ამას წინ აღუდგა თურქეთის და რუსეთის იმპერიული მთავრობები. ქართველი მუსლიმანები ქვეყნის შიგნით გადაისროლეს, და აკრძალუს ორივე მხრიდან მიგრანტების საზღვარზე გატარება. ასე და ამგვარად ქართველებისგან ხელოვნურად დაცლილ სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობა სამუდამოდ დარჩა



სამცხე ჯავახეთის ინტელიგენცია. ქ. ახალციხე



(მათი შემოდინება 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის და 1914-1918 წლების მოვლენებთან დაკავშირებითაც გაგრძელდა). დღეს ისინი ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან და მათდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისნავლეს ადგილობრივ ქართველებთან კეთილმეზობლურად თანაცხოვრება, არცერთხელ არ წამოეგნენ სერიოზულ პროვოკაციას და არ აჰყვნენ გარედან თუ შიგნიდან პროვოცირებულ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ მონძღვებებს. უფრო მეტიც, ჯავახეთის საქართველოდან გამოყოფის და სომხეთის შეერთების მიზნით რამდენჯერმე შექმნილ კომისიებში და რეფერენცულუმების დროსაც ყოველთვის პროქართული პოზიცია დაიჭირეს. მაგრამ, მაშინაც და ახლაც, მათ შორისაც მოიძებნება მცირე ჯგუფი სეპარატისტულად განწყობილი პროვოკატორებისა, რომელნიც არ აძლევენ მოსვენებას და ცდილობენ მშვიდობიან და პატიოსან მოსახლეობას აურიონ ჭკუა-გონება. გარედან მომარაგებული ყალბი ისტორიული რუკებით და მასალებით სურთ დაარწმუნონ თანამოძმენი, რომ ჯავახეთი მათი უძველესი ისტორიული სამშობლოა, რომელიც ადრე თუ გვიან, „დიდი სომხეთი“ ნაწილი გახდება და ეცდებიან, ამის დასამტკიცებლად, ყველანაირად წაშალონ ქართული კვალი, უკანონოდ ხელყოფენ ქართულ ძეგლებს და ტოპონიმებს, უყენებენ აბსურდულ მოთხოვნებს და პრეტენზიებს ხელსუფლებას, ვითომდაც მათი, როგორც ეროვნული უმცირესობის უფლებები ირღვევა. მათ ყურადღების მიქცევა და საკადრისი პასუხის გაცემა დღენიადაგ სჭირდებათ. ამაში გვჭირდება ჩვენი თანამოძმების თანადგომა და არა განზე გადგომა. ჩვენი ქვეყნის ვერც ერთი მთავრობა, ვერც მანამდე და ვერც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ვერ მოერია თავის ვწწრო, ეგოისტურ, მოკლევადიან აზროვნებას და ვერანაირი სასიკეთო კვალი ვერ დაატყო ამ პრობლემის მოგვარებას. ყველა მოქმედებს პრინციპით, – ვინმე რამის გამო ეროვნულ საკითხში გადაცდენა არ დააბრალოს, როგორმე მოჩვენებითი სიმშვიდე შეინარჩუნოს. ეს არაა სახელმწიფოებრივი აზროვნება! ასე პრობლემები კიდევ უფრო გროვდება. ერთ მუჭა სეპარატისტულად განწყობილ ჩვენს სომებს თანამოქალაქეებს და მათ აქტიურ დამბაქებს ქვეყნის გარედან არ უნდა მივცეთ საშუალება ჯავახეთში მცხოვრები პატიოსანი სომები ეროვნების აბსოლიტურ უმრავლესობას აურიონ ჭკუა-გონება და გაურთულონ ქართველებთან, ქართულ სახელმწიფოში თანაცხოვრება.

მაშინ, როცა, ბოლო წლებში, ჩვენი გმირი წინაპრების მიერ სისხლის ფასად შენარჩუნებული და ჩვენამდე მოტანილი ამდენი ისტორიული ტერიტორია დავკარგეთ. მაშინ, როცა ჩვენი ორი ულამაზესი რეგიონი – აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი დღემდე მტერს აქვს ოკუპირებული, ჭკუა მაიც ვერ ვისწავლეთ და იგივე შეცდომებს ვუშვებთ. არ უნდა დაგვაცინებულ არც მურჯახეთის და ნიალის, არც პა-

ლიასტომის ძმათამკვლელი ომები, ოთხმოცდათანი წლების სამოქალაქო დაპირისპირება და არც 2008 წლის ოკუპაცია. ქართველებმა უნდა დავიცვინულოთ უაზრო ამპარტავნობა და ქიმპობა, ურთიერთ სიყვარული და სახელმწიფოებრივია აზროვნება უნდა ვისწავლოთ.

XIX საუკუნის მიწურულიდან, თითქმის XX საუკუნის ბოლომდე, ბევრჯერ გვქონდა ამის მცირედი საშუალება მაინც, მაგრამ ჩვენ არ ვიყოჩაღეთ და ვერ მოვახერხეთ ჩვენი ძალად გამუსულმანებული და გასომხებული თანამემამულების დაცვა და ქართულ სამყაროში უკან მობრუნება. ახლა, უკვე, XXI საუკუნეში, რაღას ვეუბნებით ჯავახეთის მართლაც და გმირ მკვიდრ ქართველობას, რომელთაც თავგამნირვის ფასად თავიანთ სამცხელ თანამემამულეთა ნაწილთან ერთად გაუძლეს მათი სრულიად ამოწყვეტის, გამუსულმანების, გარუსების, გადაჯიშების ან გასახლების მრავალსაუკუნოვან მცდელობებს, რომელნიც, მართალია ამ უთანასწირო და გაუთავებელ ბრძოლებში, თითქმის განყდნენ, დაცოტავდნენ, მაგრამ თავიანთი მშობლიური მინა-წყალ მაინც არ მიატოვეს, საკუთარი ეროვნული იდენტობა, ენა და სარწმუნოება ბოლომდე შეინარჩუნეს, გადარჩენ და დღესაც სანთლებად უნთან და ბურჯვებად უდგანან დედა-სამშობლოს და ქართულ მინა-წყალს?! ერთი მუჭა ჯავახობა, რომელთაც ყოველივე ამის გამო სწორედაც რომ ძალიან დიდი გული აქვთ, სახელმწიფოსგან, ქართველებისგან სხვანაირ მოპყრობას, დაფასებას იმსახურებენ და თუ „თავფარავნელ ჭაბუკა“ ისევ „დიდი ზღვა“ უდევს წინ გასაღელელი და „ბოროტი ბებერი“ ისევ ლამობს მის დახრჩიბას, ან შენს თანამოძმეს თუ ისევ „ყივჩაყი შემოსჩვევია“, მას შენგან გვერდში დგომა და დამარება სჭირდება მხოლოდ და არა განზე გადგომა და გულსატები რაღაცების წამოძახება. ჯავახეთის და ჯავახების მიმართ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ან მათთან უაზრო ქიმპობა, ქართველთათვის მარტო მორალის პრობლემა არაა, ეს ძალიან არასახელმწიფოებრივი აზროვნების დასტურია და ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის ძალიან დიდი ზიანის მომტანია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მესხეთის და დანარჩენი საქართველოს ქართველობამ სამუდამოდ უნდა უაზრებოთ და დავიცვინულოთ მცდარი და საზიანო ტერმინი „მესხეთ-ჯავახეთი“! უნდა ვიცოდეთ და გვჯეროდეს, რომ სამცხეც და ჯავახეთიც ერთ დროს „დიდებული მესხეთის“ უმნიშვნელოვანების კუთხეებია და არც ერთია „აციკა“ და არც მეორეა „ჯავახები“! ჯავახელი და სამცხელი ორივე ტომით მესხია. მესხეთი ხომ თითოეული ქართველის სიამაყეცაა! უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სათაყვანებელი სამშობლო – საქართველო, რომელიც დღეს ასეთ განსაცდელშია, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ურთიერთ დაფასებით და სიყვარულით, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, გამთლიანდება და გადარჩება!

## პოეზია

### ავთანდილ პერის

22



მარტინ გურიაშვილი

მ ლ ი ტ ლ ი ტ ლ ი ტ ლ ი ტ ლ ი ტ ლ ი ტ ლ ი

ზარზბა,  
ზარზბა,  
ხელთუქმნელი  
ტაძრი ხარ ღვთიური,  
ზეწაში რომ გაგიშლია  
მხრები მარაფიული.  
ღმერთნაჯ ხომ ახლოსა ხარ,  
პირკვარის ფაგნერის იქსო,  
ამაყად რომ გადაპყურებ  
ველ-მინდვრებს და მთიებსო.

ავთანდილი შერიძე

### ვაი, რომ...

აქ ეს ცა უფრო ლამაზია,  
ეს მთაც, ეს ბარიც,  
აი, ეს მცირე ნაკადულიც  
ჩემთვის დიდია,  
მთელი მსოფლიოს სიმდიდრეც რომ შემომაჩეჩონ,  
რა ვქნა,  
სიზმარშიც არასოდეს გამიყიდია.

ეს ის მიწაა  
ჩემი პაპის პაპა რომ ხნავდა,  
სისხლით და ოფლით ვინაც რწყავდა ბალსა და  
ვენახს,  
ეს ის მიწაა, ათასჯერ რომ გადამიბუგეს,  
მიწა, რომელიც გადაურჩა  
მტერს შმაგს და ვერაგს.

ვაი რომ იგი ბევრისათვის არაფერია, –  
მიწა-მარჩენალს დასდებია დღეს ჩალის ფასი,

\* \* \*

მეც შენსავით ვუყურებ  
ამ მთას, ამ ცას, ამ მიწას,  
მეც შენსავით დამნათის  
მალლა მზე და ცა ლურჯა.

არ გეშლება ფერებში  
ფერი იასამანის,  
ერთნაირად სულ ვიცით  
თეთრი, შავი, რაც არი.

ცისარტყელა რომ შეკრავს  
შეორს, მთის თავზე კამარას,  
არ გვჭირდება ახსნა და –  
პასუხს გავცემთ თამაძ.

ცხრა მთას წედება ძალუმად  
ჩვენი მზერა თვალების  
და ცურემლებიც, ღმერთმანი,  
ერთნაირად ჩამოგვდის.

მაგრამ არის მთავარი  
ის, რაც ღმერთმა ინება,  
მე სხვაგვარად აღვიტვამ  
შენს დანახულ ბუნებას.

შენც სხვაგვარად შეიცნობ  
მიწას ათასფერებში,  
მე სხვაგვარად ამ მიწას  
ვკოცნი და ვეფერები.

### ზარზბა

ზარზბა,  
ზარზბა,  
ხელთუქმნელი  
ტაძარი ხარ ღვთიური,  
ზეცაში რომ გაგიშლია  
მხრები მარადიული.  
ღმერთანაც ხომ ახლოსა ხარ,  
პირჯვარს დაგნერს იქსო,  
ამაყად რომ გადაპყურებ  
ველ-მინდვრებს და მთიებსო.  
ღმერთის ნებით ჩუქურთმები  
მარგალიტად გასხია,  
შენი დიდი მოიმედე  
დღეს ბებერი სამცხეა.  
შენ აქ რწმენას უბრუნებდი  
ქართველს, როცა სისხლს ღვრიდა,  
შენი წმინდა სალოცავი  
დღეს მზესავით გაბრნყინდა.



## ნაპოლეონი

ბრძოლის ველს მაღლით  
გადავყურებ  
ნაპოლეონი,  
სისხლი მწყურია,  
დენტის სუნი,  
ვაი და ვიში,  
ვის რაში უნდა ობელისკი  
და პანთეონი,  
მთავარი არის გადავურჩე  
სიცივეს,  
შიმშილს.

მერე კი,  
მერე ისტორია იტყვის თავისას,  
ათასი მითი გაქარწყლდება  
ვით ფანტაზია,  
ვის რად ჭირდება, –  
ვინ ვიყავით,  
ახლა რანი ვართ,  
თუ დაემხობა შორეული ეს ევრაზია.

ღმერთები თავად დამადგამენ  
თავიანთ გვირგვინს,  
სატანაც,  
ალბათ,  
ჩემთან მოვა  
მუხლებმოყრილი,  
ფიანდაზებად დამიგებენ  
ვარდსა და გვირილს  
და დედამიწაც დაწყნარდება  
იავარქმნილი.

\* \* \*

ტირილი მინდა და  
ვერ ვტირივარ,  
შურისძიების  
ძალაც არ მყოფნის...  
თავს რად გვახსენებს  
ასე ხშირ-ხშირად,  
იქით გარნისი,  
აქეთ მარტყოფი?!..

## მაინუ ნამია

ჩვენ ვითვლით წამებს,  
ვითვლით წუთებს,  
საათებს ვითვლით,  
ვითვლით ყოველდღე  
განვლილ დღეებს, –  
მრგვალდება წელი,  
ავად თუ კარგად,  
მოვედით დღემდე,

იმედით მაინც  
ხვალის დღეს ველით...

თან გვიხარია,  
თან გვწყდება გული,  
რამდენ ზამთარსაც  
გადავაგორებთ,  
გაზაფხულის და  
ხვალის იმედით  
ვიმაგრებთ გულებს,  
იმედს ვიტოვებთ.

დროც ვერ გვიშუშებს  
ნელულებს, იარებს,  
ეხ, რამდენ ზამთარს  
ვხვდებით ეულად,  
დრო,  
იმედით რომ შევყურებთ ასე,  
ჩვენთვის რამდენჯერ  
გადარეულა.

ცხოვრება  
მაინც წამია დროის, –  
მაღალმა ღმერთმა  
ასე ინება,  
ვიხსენებთ წარსულს  
ლამაზ სიზმრებად,  
მივყვებით მაინც  
დროის დინებას.

## იყო დრო

იყო დრო,  
დრო რომ არ მყოფნიდა,  
ვერ ვეტეოდი დროში,  
საქმე ათასი იყო და...  
ჯიბეში –  
არცერთი გროში...

იყო დრო,  
ლოდინით ვიღლებოდი,  
თუმცა არ ვიწვოდი დროში, –  
ახლა ჩემთანა ხარ,  
ისევ გელოდები...  
და, მაინც...  
არცერთი გროშით.

## საქართველოს

ორ ზღვას შუა როცა გაჩინდი, –  
როგორც ღმერთმა ინება,  
დაგანათლა ლვითიურ ძალით  
რწმენა და მოთმინება.





განსაცდელი ბევრი მოგცა, –  
გძარცვეს, გტანჯეს, განამეს,  
ვისაც რითი, როგორც სურდა, –  
მიაღწია საწადელს.

ნიკოფისა-დარუბანდით  
თუმცა მხრები გაშალე,  
იმის შემდეგ გშალეს, გშალეს,  
გშალეს და ვერ წაგშალეს.

გული ბევრჯერ ამოგშანთეს,  
– მაინც შეგრჩა ზვიადი,  
ცრემლები არ შეგშრობია, –  
სისხლი ახლაც ღვარად გდის.

ნეტავ მტერი რას გიზამდა,  
ომში ნაწრთობს, ნამეხარს,  
ანი, ღმერთო, ამის შემდეგ  
კიდევ გასძლებ რამდენ ხანს.

თავზე ქუდი გვეხურა და  
თავსაც ვთვლიდით კაცურად,  
ახლა ვიღაც გარეწარი  
ხელებს გვიწვდის მაცდურად.

ძმობას ბევრი გვეფიცება,  
ამიერ და იმიერ,  
სად ცეცხლია, სად მეწყერი, –  
მიწას ვკარგავთ მშვენიერს.

საკუთარი გარეთ გარბის,  
უცხოს გული ენთება,  
ნეტავ, ღმერთო, ხვალინდელი  
რა დღე გაგვითენდება.

## ნაკადული

მთას ნაკადული ჩამოყენა  
და ისე ჩამოივაკა,  
როგორც ბუხართან მოხუცი  
იქცა ზღაპრად და არაკად.

მთის ამბებს ბარში ყვებოდა,  
გული უცემდა ბავშვივით,  
თითქოს თან ჩამოიყოლა  
მწვერვალი ცაში გაშლილი.

ხევ-ღელეს ახმიანებდა  
ახალ აქოჩრილ ჩქერებით,  
დროც კი არ ჰქონდა იმისი  
რომ ევლო სვენებ-სვენებით.

\* \* \*

ეს დღეც დაღამდა,  
ეს დღეც გათავდა, –

ხვალ დაიწყება  
ალბათ თავიდან,  
თუმც არაფერი მოუტანია,  
არც არაფერი დაუტოვია.

არც არაფერი  
გაუყოლია  
და არც არავინ  
არ გაჰყოლია...

გულიც არვისთვის  
დაუწყვეტია

და არც იმედი  
გადუწყვეტია.  
არც არაფერი  
უთქვამს ისეთი,  
არც მიწიერი,  
არც ზეციერი,  
ჩვეულებრივი,  
როგორც ყოველთვის,  
გავიდა ეს დღე  
მაინც ბოლომდის.

რაც იყო,  
იყო,  
წარსულს ჩაბარდა,  
ეს დღეც რაღაცით  
იმ დღეს მოჰგავდა...  
გაჰქრა, წაეიდა,  
არც კი დახანდა,  
მაინც სხვაგვარად  
შემოგვალამდა.

## ახლა რა მოგდის, ქართველო!

ხმალი ქარქაშში არასდროს  
არ ჩაგიგია ქართველო,  
მუდამ დარაჯად ედექი  
ოჯახს და მთელ საქართველოს...

არც სისხლი დაგიშურია,  
მიწას კვებავდი ოფლითა,  
არც არასოდეს გიცდია  
გაქცევა ამა სოფლიდან.

ახლა რა მოგდის, ქართველო,  
ვის წყევლამ ასე გინია,  
ასე ვინ დაგისამარა  
შენი ძალა და ნიჭია?!

## რა გითხრა...

„რა გითხრა, რით გაგახარო“!

ილია

„რა გითხრა, რით გაგახარო“,  
გასახარი გაქვს არც არა,  
შენი იმედი მომავლის  
ასე ვინ დაასამარა.



„რა გითხრა, რით გაგახარო“,  
სამშობლო თავზე გვექცევა, –  
ჩვენთვის იმედიც დაიმსხვრა,  
ჩამოიქუფრა ირგვლივ ცა.

„რა გითხრა, რით გაგახარო“, –  
უცხო გვიხდება მასპინძლად,  
რა ბასიანი, მარაბდა,  
რა დიდგორი და ასპინძა.

„რა გითხრა, რით გაგახარო“, –  
ზარზმა, საფარა, ვის უნდა,  
ვის უნდა ახლა გელათი,  
სვეტიცხოველი ვის უნდა!

„რა გითხრა, რით გაგახარო“, –  
ქართველო – იმერ-ამიერ,  
ამ ჩვენი უილაჯობით,  
წლები რამდენი გავლიერ.

„რა გითხრა, რით გაგახარო“,  
რა ვთქვა ისეთი, ცას ასწვდეს,  
ქართველი კაცი იმედით,  
რომ კვლავ ენიოს საწადელს.

„რა გითხრა, რით გაგახარო“,  
რა ვთქვა მე ასე უგულომ,  
რომ ჩემმა შთამომავლობამ  
დაიქუხ-დაიგუგუნოს.

„რა გითხრა, რით გაგახარო“, –  
რა გინდა, ჩვენგან, უფალო,  
რატომ გაგვხადე ასეთი  
უმაქნისი და უგვანო.

„რა გითხრა, რით გაგახარო“,  
რა ვთქვა მამულის სადარი,  
ჩემი ლამაზი ქვეყანა  
როგორიც იყო, – სად არი!

„რა გითხრა, რით გაგახარო“, –  
ოცნებაც ალარ მინდება,  
განა სამშობლოს მწველი მზე  
ოდესმე ამობრწყინდება?!

## საქართველო დამილოცე

გათენდება, პირჯვარს ვიწერ,  
გზას ვადგივარ – ისევე,  
ნეტავ ასე რად დამჩერდა  
ყველგან შენ რომ გიხსენებ.

ქვეყნად შენი მაღლით დავალ,  
მიწავ ჩემო, მზიანო...

საქართველო დამილოცე,  
ჩემის სულის ზიარო.

როცა მიჭირს, მაშინ რატომ  
მახსენდები უფალო?  
ამასა გთხოვ, საქართველო  
მარად რომ დაიფარო!

რას არა გთხოვ,  
რას, რას არა, –  
რად დამჩერდა ხვეწნა, რად?  
რატომ ლმერთო,  
რატომ,  
რატომ...  
შვება ვიგრძნო ნეტავ სად?

ეს ვედრება, ეს მუდარა,  
განა მქონდა მაშინაც,  
ახლა ვხედავ, უფრო გიჭირს,  
შენს ყოფამ შემაშინა,

საქართველოვ, ჩემო დედავ,  
თითქოს ყველა გერევა,  
მტერი მოყვრად შეიკედლე, –  
ძალაც როგორ გელევა,

ისევ ლოცვა გადაგარჩენს  
ათას ჯურის მტერისგან,  
ნეტავ მართლა დღე დაგიდგეს,  
განსაცდელის ძლევისა.

ლმერთო, მუმლი მოაშორე,  
მის თავს შემოსული,  
რომ არასდროს არ მეხილოს  
საქართველო ძლეული.

## აქ მინდა მოვკვდე და დავიმარხო

აქედან გაქცევას არ ვაპირებ,  
არასდროს ვყოფილვარ უილაჯო,  
აქ ვდგავარ ბებერი მეციხოვნე,  
ჩემი საქართველოს სადარაჯოდ.

ეს მიწა ათასჯერ ნაოხარი  
არ მინდა ოდესმე დამეკარგოს,  
მე მისი ტალახი მირჩევნია,  
სხვის ედემს, მწველსა და საარაკოს.

ბელტს ბელტზე კვლავ ისევ გადავაწვენ,  
მიწას მოვამზადებ სავენახოდ,  
მე სხვა არაფერი არ მადარდებს, –  
აქ მინდა მოვკვდე და დავიმარხო.



## როგაიები

\* \* \*

თუ კაცი შეცდა, ნუ ეცდები, რომ ის გარიყო,  
წარმოიდგინე, მის ადგილზე ახლა შენ იყო.  
დედამინაზე უცოდველი, მითხარ, ვინ არი,  
თითქოს და, მართლა, ანგელოზი თავადვე იყო.

\* \* \*

26



დღეს ნაღდი კაცი მართლა სანთლით საძებარია, –  
უსამართლობამ ქვეყანაზე ყველა არია.  
თუ ერთგულებში ორგულების ძეპნა დაინტე, –  
ტკბილი შარბათიც რომ მიირთვა, ისიც მწარეა.

\* \* \*

ჰეი, შენ, ძმაო! რა სიმაღლე დაგილაშქრია,  
შენს ზევით ახლა სიო კი არ, ქარნიც არ ჰქრიან.  
და თუკი მასე, მაგ ტატნობზე, დიდხანს გაჩერდი,  
გადმოვარდები და გაჰყვები ანგელოზს ფრთიანს.

\* \* \*

კანონის შიში მდაბიოთა ადათ-წესია,  
პატივისცემა, მორჩილება, უმეაცრესია,  
თორემ კანონის შემოქმედმა ხომ კარგად იცის, –  
ვისთვის ღებულობს ამ კანონებს თავად სესია.

\* \* \*

ადამიანმა ღმერთი შექმნა, ღმერთმა ადამი,  
ჭეშმარიტების ძიებაში ვიყოთ სადამდის.  
და ვიდრე მოკვდავს, მხრებზე თავი ისევ აბია,  
უნდა ეძებოს წყაროს წყალი, იგი, სადაც სდის.

\* \* \*

პატრონის ხელი თუმც ქვეყანას არ დამჩნევია, –  
არ თქვა: შემრჩება, ყველაფერი, რაც დღეს ჩემია,  
რადგან ყველაფერს თავად ხედავს უფალი  
ღმერთი,  
მის თვალსაწიერს არაფერი გამორჩენია.

\* \* \*


ოქრო და ვერცხლი მიწიერი სიმდიდრე არი,  
არ უნდა ნაგცდეს არასოდეს იმაზე თვალი,  
შენ შენი გარვებით მოიპოვე პური არსობის, –  
ქარის მოტანილს ამბობენ, რომ – წაილებს ქარი.

\* \* \*

შენ ის იკარე, რაც განგებით გეკუთვნის  
მხოლოდ,  
იცოდე, ღმერთის ბოძებული ცხოვრებით  
ცხოვრობ,  
რასაც ის მოგცემს, გირჩევნია ის რომ იკარო,  
მოპარულს მაინც არ შეგარჩენს, წაგართმევს  
ბოლოს.

\* \* \*

ფული ვინც ნახა, მოსვენებაც მაშინ დაკარგა,  
მისი ცხოვრება მშვენიერი, ამით გათავდა,  
ვინც ეკლესის დანახვაზე პირჯვარს გადინერს,  
რატომ გვინია, ამით ქრისტეს ხატი დაფასდა.



3mgbns

მარიზა  
ჯიპია

תְּבִ�ָה

ଯୁଧ୍ୟମିଶ୍ରାତ୍ମକ କୁଣ୍ଡଳ ଶରୀର,  
ନ୍ରୋଦିତ ଗ୍ରୂପଟାଗ୍ରୂପ ଶଲୋଇତା ନାହୁରାଙ୍ଗେବୁ,  
ଫ୍ରେଜିଵିଲୋକ୍ସ ନେନ୍ଦ୍ରାଜ୍ୟ ପିଲୋଇତା ଶ୍ରୀଳିନ୍ଦ୍ର...  
ଲୋମିଳେ ଫୁନ୍ଦିଗ୍ରେହ ଫର୍ମ ପ୍ରେର ଅତ୍ୱାଙ୍ଗେକ.  
ପରାତ୍ୟାଗର୍ଭଲୋଇତା ନ୍ରୋଦିତା ଓ ନ୍ରୋଦିତା,  
ଅତ୍ୱାଙ୍ଗେମିତା କାଳିତମ କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷାତ୍ ଫାଲୁକାନ୍ତିଲୋ,  
ନାଇକର୍ମ୍ୟଦ୍ୟ ମରିଲୁଙ୍କ ମରିଲୁଙ୍କ  
ଯର୍ଷ ମରିଲୁଙ୍କର୍ମକ, ବ୍ୟାପ୍ତି ଫାଲୁକାନ୍ତିଲୋ.

ପିତାମହ କୁର୍ଜିନ



ମନ୍ଦିର କିମ୍ବା ମହାକାଳଙ୍କିରଣ ?!

როგორ ამტკიცდი ჩემო სამშობლოვ,  
როცა შენს მიწას ფეხი დავადგი...  
ისტორიული ტაო გაცოცხლდა!..  
რა ვენა, თურქეთი მას ვერ დავარქვი.  
ახლა ერუშეთს გასცემის თვალი,  
და მეჩვენება ცას ხელს შევახებ...  
ქართულო მიწავ, ახლა ვისი ხარ?!..  
როგორ მინდოდა ჩემად მენახე!  
ბედუულმართი ისტორიაა...  
ურის ციხეს ვჭვრეტ მეჩეთის ფონით,  
ეს არტაანიც ხსოვნის ძაფია...  
ხანაკის ციხე გამოჩნდა შორით...  
კოროხის მთები დამცეტის რისხვად,  
კოლა-არტაანს თვალი შევავლე,  
შავშეთის ხედი სულის სალბია...  
აქ ისტორიის კარი შევაღე...  
დგას ხანძთა ერის მესაიდუმლედ,  
მადლად რომ მოსდევს ხანძთელის სული,  
და ხუროთმოძღვარ ამონას მიერ  
„სიბრძნით სრულიად გაშენებული“.  
ხახულისწყალი ნანას უგალიშს  
ხახულის ტაძრის გუმბათს, სამრეკლოს,  
ახლა მეჩეთად გადაქცეული,  
ცდილობს თურქეთის ყოფა არეკლოს...  
ერთ დროს მწიგნობართ კერა, აკვანი,  
სად მთანმინდელი განათლებულა,  
ოთხ ასეულ წელს მოითვლის ხანი,  
რაც აქ სანთელი არ დანთებულა!..  
ხეთა შორის ვჭვრეტ იშხანის გუმბათს,  
ულამაზესი, ფერად ზოლებით,  
ამაყი მზერით ოქროსფერ სხეულს  
რომ ათამაშებს შლილი ზმორებით.  
ჭმუნვით მიყურებს ოთხთას მშვენება,  
უნაკლოდ მოაქვს ნლების ქარიზმა,  
დიდება უფალს, მადლობა უფალს,  
აქ რომ ქართული ლოცვა გაისმა!..  
გულს მიკლავს ცაში აჭრილი ხმებით  
ტკიცილის ბურთი ყელში გამჩრია...  
ტკიცილის ბურთი ყელში გამჩრია...

ახლა ნანგრევებს დასცექტირის თვალი, ქვის სიმფონია გულზე მაჩნა...  
თვალს მაინც ხიბლავს მრგვალი ფორმები  
დიდებულება უხად აჩნა...  
და ამებანა ბანას აჩრდილიც, —  
ხსოვნა, სიმდიდრე, რაც გამაჩნა.

330153!

ვფიცავ ქართველთა რჩენის კედელს,  
სანთლის ნაღვენთებს,  
ვფიცავ ქართველთა სისხლდანთხეულ  
დროშის ნაფლეთებს!  
ვფიცავ ნინოს ჯვრის სიწმინდეს და  
საოცარ ძალას,  
ვფიცავ ქართველთა წამებულ სულს და  
ძვალშესალაგს!  
ვიფიცებ დავითს და თამარის  
დაკარგულ საფლაგს!  
ვფიცავ ილიას გახვრეტილ შუბლს  
ერისთვის მაშვრალს!  
ვიფიცებ მანდილს ქართლის დედის,  
ცხრა ძმის გმირობას!  
ლაშა-გიორგის მოურჩენელ  
სულის ჭრილობას!..  
ვფიცავ გორგასლის გოლიათურ  
გაელვარებას!  
პატარა კახის დიდ საქმეებს,  
ქართველთა ვნებას!..  
ვფიცავ სისხლნაწოვ ქართულ მიწას  
და ცისა ცარგვალს,  
მახვილს მივაგებ შინა მტერს და  
გარეულ მტარვალს!  
დავეძებ ქართველს, ვინც უნამლებს  
ქვეყანას სნეულს,  
არ დაივიწყებს ქეთევანის  
დაშანთულ სხეულს.





\* \* \*

ახლა ცივა და გარეთ ქარია,  
ისეთი ცივი და უმოწყალო...  
მიღიხარ, მოგდევს ფოთოლთ არია,  
რამ გაგიყვანა ქუჩაში ქალო?!..  
გარეთ დელგმა და ურცხვი ქარია,  
აშლილ თმას აღარ ისწორებს ქალი,  
ეს ფოთოლცვენაც ქარის ბრალია,  
ვერხვებსაც ვწებით აშიშვლებს ქარი.  
კვალში ჩაუდგა, ქალს გაეკიდა  
და წვივს უკოცნის აშარი ქარი,  
აშკარად მისი დაპყრობა სურდა,  
მოულოდნელად იცვალა მხარი.  
და ვწებაც წამით ქარს გაემიჯნა,  
სულს შემოაცვდა ქარის მაქმანი,  
და სმენას წწვდება უცხო არია,  
ის ხომ ჩემშია, ის ხომ აქ არი?!..  
დიდხანს უჩუმრად კიოდა ქარი,  
წვიმა გულდაგულ შლიდა ნაწვალებს,  
ტკივილის ნაწნავს იძლიდა ქალი...  
ღამის ჭინკებმა დრო ვერ ათვალეს.  
გადაუდებლად წვიმდა და წვიმდა,  
თვლემდა საღამო სევდად დალვრილი,  
ნაიარევზე მარილს მაცრიდა  
ყრუ მარტომბა, სული დაცლილი.  
და მე ამტკიცდა კვლავ უშენობა,  
ეს გიორგობაც ვწებას ამთქნარებს,  
წყენა აეკრა დაორთქლილ მინას,  
ეჭვი შეეხო სულის ქანქარებს...  
და ფიქრი ქარის სისწრაფით ქროდა,  
სადღაც შორს, წუთი ითვლიდა წამებს,  
სულის სიმები ვერხვივით თრთოდა,  
ვერ აყუჩებდა ღამეს ნაწვალებს...  
და წვიმასავით ატირდა სული,  
ურცხვად გაშიშვლდა ვერხვი, ჭადარი,  
მე ვერთხები ფარფატა ფოთოლს:  
აქ ქალი იყო... ახლა სად არი?!..  
გარეთ ცივა და ისევ ქარია,  
ისეთი ურცხვი და უმოწყალო...  
ნეტავ ასეთ დროს გარეთ რა გინდა,  
რამ გაგიყვანა ქუჩაში ქალო?!

## ქველი ტკივილი

ქველი ტკივილი დამდევს ნაწნალით,  
მესხეთის ცაო, სისხლით ფერილო...  
აპა, მოვედო მეხოტე შენი,  
სისხლით ბოლომდე არ შეფერილო.  
საპელისწერო დღეები გახსოვს...  
მტერმა წარგტაცა დიდება ძველი,  
ახლა სხვისია ტაოც და ხანძთაც,  
გამოიარე წარსული ძნელი...  
სხოვნის ძაფს მიკრავს საფარა, ზარზმა,  
კლდეში ნაკვეთი ვარია მიზერს...  
ბედუულმართი ტრიალებს ჩარხი,

მტერი ანაზდად გაშორებს მიზნებს.  
თითქოს ყველაფერს სისხლის ლაქა აქვს,  
შენარცხებია სული ქარაფებს!..  
მესმის ბრძანება: დაჰკარით შოლტი,  
ქრისტეს ჯვარს ვინც არ გადაალაჯებს!..  
და მყის ამტკიცდა ქედი სახარე  
და ამიჯანყდა სისხლი ტიალი,  
სმენას მიკანრავს მოთქმა დედათა,  
ისტორიული ორომტრიალი...  
და აღარ ვიცი რა ფრთა გაფარო,  
სისხლის მდნარეს ფიქრი შერთვია,  
მესხეთის მინა მაქვს საფიცარი...  
მტკვარი-ფოცხვი ერთურთს ერთვიან.  
დღემდე დავეძებ თამარის საფლავს,  
იერუსალიმს შოთას კვალს ვდიე...  
სოსლანის წეშტიც არავინ იცის  
სად განისვენებს, ოვსეთს ჩავდიე.  
ისევ ინახავს აკლდამა წარსულს  
და საიდუმლოს არავის უმხელს,  
ძველი მესხეთის ბებერი მიწა,  
რამდენს გვიმალავს უნახავს, უთქმელს?!  
მერე თორელებს ვდიე დელგმაში,  
ამიწიოეა სული სასულეთს!..  
მოწამებრივი სიკვდილის ლანდი,  
ჩორთით ვიდოდა ტაოს, ასურეთს.  
და მიახლებდა წარსულ ტკივილებს,  
მესხეთის მიწა სისხლით ფერილი,  
და მაოცებდა წარსული მძიმე,  
სისხლით ბოლომდე არდანერილი.

\* \* \*

ძალივით ვლოკავ სულის ქრილობებს,  
თუმც ჩემში რაღაც წამებით მოკვდა...  
დრო სულის ფსკერზე სტიგმებს მიმრავლებს  
და ქრისტესავით მანამებს მოკვდავს.  
ვებრძვი ატეხილ ტკივილებს სულში,  
როგორც იდალგო ქარის წისქილებს,  
„ჯვარცმულს ალდგომის ხომ მაინც გჯერა?..“  
შორს ლუციფიფერი ჩაიქირქილებს...  
არ შემიძლია მეტის ატანა,  
გამოვიყეტე სულის კარები,  
თუმცა, ღრიფოში ძვრება სატანა  
და შემოდგომის ცივი ქარები.  
შეშლილი მზერით დავიარები,  
დარჩენილ სითბოს ჩიტივით ვკენკავ  
და გიორგობის ქარი სიცელქით,  
ავპედით ფიქრებს მატყლივით პენტავს.  
თავის კანტურით მხვდება ვენერა,  
ცამ გაახილა ღამის თვალები...  
გაითავისე როლი თუ ვერა?!..  
მეკითხება და... ფიქრს ვემალები.  
გაუხედნავი კვიცივით ვკრთები,  
ქარში მახვილით მომდევს იდალგო,  
დამსხვრეულ სულით, რუდიმენტ ფრთებით,  
სამაგიერო მინდა მივაგო.



მზის ყიფლიბანდი გაწვდა პორიზონტს  
 და ვერხვის კონტურს დაუწყო ლოკვა...  
 მირაჟის ფონზე ზანტი პონი ძოვს,  
 დაბმული ფიქრი ზანგივით როკავს...  
 გველივით ძრება ღამე პერანგში,  
 დრო სულის ფსკერზე სტიგმატებს მითვლის,  
 მოუსავლეთში მხვდება იდალგო  
 და მეშინა მომდევნო კითხვის...  
 ვებრძო უმძაფრეს ქარებს ფოთოლი,  
 როგორც იდალგო ქარის წისქვილებს,  
 წმინდა გიორგის წამებულ ლანდთან  
 კვლავ ლუციფერი ჩაიქირქილებს...  
 ძალივით ვლოკავ ჭრილობებს სულის,  
 ჩემში რაღაცა წამებით მოკვდავს.  
 დრო მიფათურებს გრძნეულ ფალანგებს  
 და ქრისტესავით მაწამებს მოკვდავს.

\* \* \*

გარეთ უწყვეტი თოვა,  
 შიგნით შვება და სითბო,  
 ბეღურასავით მცირა...  
 გულის გათბობას ვითხოვ.

ვიღაც ნოტების „ტყვეა“  
 ფიქრმა მომტაცა ექო...  
 დღეს პოეზიის დღეა,  
 მინდოდა ლექსი მექო.

29



\* \* \*

მოლოდინში ჩაიარეს წლებმა,  
 მოძახილში დაიკარგა ექო...  
 მსურდა შენთან მოსულიყო ხმები,  
 დროს ულმობელს ცეცხლი არ ჩაექრო.

\* \* \*

დღეს შენ იების მაჩუქე კონა  
 და გამაოცე,  
 მე გამოგართვი, დავყნოსე და  
 არც კი გაკოცე,  
 ახლა შევნიშნე, თურმე იებს  
 არ აქვთ სურნელი,  
 იებს არა და...  
 ალისფერ ვარდს შენგან  
 სულ ველი,  
 როგორც ულრიკე, გოეთეს ვარდს  
 დამაქვს ტკივილი,  
 ისევ წარსულში მიმეგზურებს  
 სულის კივილი...  
 ვარდებს, რომელსაც შენ დამპირდი,  
 გასვლიათ ვადა,  
 მაშინვე ვგრძნობდი:  
 მოლოდინი უაზრო ჩანდა...  
 ახლა იების სამი კონა შემომრჩა ხელში...  
 უაზროდ ვყნისავ, ვკოცნი...  
 შიში ჩასახლდა ჩემში.

მერე დიდხანს გაჰკიოდა სული,  
 და ამაოდ დაგეხებდა ვწება,  
 მენატრება წლები გარდასული,  
 თუმცა დრონი ალარ აითვლება.

მერამდენედ ამიცრემლდა თვალი,  
 ან რამდენჯერ გამოვცადე თმენა?!..  
 სულში ისევ აკივლდება ქალი!..  
 გული გლოვობს, ვაი, ალარ თბება.

ალბათ განგებ ამირიე კვალი,  
 ალბათ ჩუმად დამადევნე ეშმა.  
 დაინავსა სიტყვა მომავალი,  
 როცა ცეცხლში თავით გადაეშვა.

გამიბრაზდა, იზიდა არ მწყალობს,  
 საიდუმლოს გული ველარ წვდება,  
 სამიზნეა ნოსტალგიის ხლართი.  
 ნაღდი გრძნობა არასოდეს ცვდება.

მოლოდინში ჩაიარეს წლებმა,  
 მოლოდინში დაიკარგა ექო...  
 როგორ მსურდა გაგეგონა ხმები,  
 გულის ცეცხლი, ვწება არ ჩამექრო.

## ყაყაჩი

ყაყაჩომ შემომანათა წითელი კაბის ფრიალით,  
 გულისპირს ნიავს ულებდა შავი წამნამის შრიალით,  
 თავბრუს იხვევდა პეპელა სატრიფოს გარშემო ტრიალით,  
 შავ გულისპირზე დააკვდა ნაზი ამბორის სიამით...  
 ყაყაჩო კაბას იკეცდა, შარბათს უწვდიდა ფიალით,  
 გული იჯერა მიჯნურმა უუიდეგანო ტრფიალით...  
 ნიავი ქარად გადიქცა გაშმაგებული სიავით,  
 ყაყაჩოს წვიგს შეუცურდა მოხერხებული სრიალით,  
 შემოაძარცვა სამოსი, წაიღო წიალ-წიალით,  
 წამნამის მტვერიც ადინა ცრუმლს დადენილი მდინარით...  
 მინდვრის დედოფალს შიშს გვრიდა ქარის შეშლილი რიალი,  
 შემცბარი კრთოდა კოკორი, დაჭმუჭნილ კაბის შრიალით.



### გივი ნემსაძე

30



მარტინ დავით გარებულიშვილის მიერ გამოცემის გარე გვერდი

არაფერია, ალბათ, გულმარჯ სიწივე იგრძნო,  
სიკარიელე ვერ შეიცხო მეტი ლოდინით.  
განვრიელდა ყველაფერი იმდენად, თითქოს,  
რომ ამ თოვაშივ გარეთ ვზიგარ უბნის ლოთივით.

რაღაც ფიქრებით ამოთქმული სიცუპა ჩამესმა,  
არ მასვენებს და თითქოს ქვევით მიმითრევს მინა.  
არ დამიჯერე, დამიჯერე, ვერასდროს ნაშლი,  
თუ შენუ ოდესმე შეიყვარებ, როგორზ მე მიყვარს.

გივი ნემსაძე

### გადამავინყდი

ნასვლა კი არა, გაფრენაც კი არაფრად არ ღირს,  
აზრი არა აქვს ხელის ნაცვლად ფრთაც თუ გექნება.  
მე დამიჯერე, დამიჯერე, ვერასდროს ნაშლი,  
ლექსებს, რომელიც უფრო ახლოს არის ხელებთან.

თვალების ნაცვლად, გულის ნაცვლად, გრძნობების ნაცვლად,  
არეულია ერთმანეთში ყველა ძახილი...  
მაპატიე და ვერც კი მივხვდი, რაც მოხდა ახლა,  
ჩემდა უეცრად, უნებლიერ გადამავინყდი.

გადამავინყა როგორც გუშინ, დღესაც ლოდინმა,  
გამალვიძა და ყველაფერი იყო ძველივით.  
გიხსენებ ახლა და ფრაგმენტებს ვითრევ შორიდან,  
რომ კიდევ ერთხელ ნავიკითხო შენი წერილი.

არაფერია, ალბათ, გულმაც სიცივე იგრძნო,  
სიცარიელე ვერ შეიცხო მეტი ლოდინით.  
გაცარიელდა ყველაფერი იმდენად, თითქოს,  
რომ ამ თოვაშიც გარეთ ვზიგარ უბნის ლოთივით.

რაღაც ფიქრებით ამოთქმული სიცუპა ჩამესმა,  
არ მასვენებს და თითქოს ქვევით მიმითრევს მინა.  
არ დამთავრდება ეს ცხოვრება, თუ შენც ოდესმე,  
თუ შენც ოდესმე შეიყვარებ, როგორც მე მიყვარს.

გოგო, რომელიც ავირჩიე ყველაფრის ნაცვლად,  
გოგო, რომელიც ჩემს თვალებში აღარ გაივლის,  
მაპატიე და ვერც კი მივხვდი რა მოხდა ახლა,  
ჩემდა უეცრად, უნებლიერ გადამავინყდი.

### შენ და პოეზია გეძღვნება მხოლოდ შენ

ჩემი სამყაროა ასე საუცხოოდ ცარიელი,  
შენც ხომ წახვედი და, ჰოდა, გამიძელი სამარემდე.  
როგორც არასოდეს ერთხელ ამინდივით აირევი,  
ჰო და, ერთ დილასაც ისევ ამინდივით დალაგდები.



ჩემი სამოთხიდან ჩუმად გაქრები და მოეშვები,  
ფიქრი უჩემობის თავზე პოეტივით დაგათვრება.  
თავსაც გაიმართლებ, ასე კვდებიანო პოეტები,  
ვიცი, ჩემი მოკვლაც, ალბათ, პოეზიას დაბრალდება.

ცაზე ღრუბელია ჩემი ლექსებივით გაფანტული,  
ჩემი ოთახივით თუ არ მივალაგებ, რა მოხდება?!  
ტანზე ვარსკვლავები ვარდის ეკლებივით დაზაფრული,  
ზლაზვნით გაგივლის და ჩემზე მონატრებას მოგიყვება.

ჩემი ცხოვრებაა, ისე უშენობით გაფხეკილი,  
ზარის დარეკვასაც სულში კვაზიმოდო მეცილება.  
ხვალ რა იქნება და, ალბათ, უჩემობაც გადაგივლის,  
მაგრამ სიყვარული შენთვის პოეზია არ იქნება.

ჰოდა, რა თქმა უნდა, ჩემი სისლძარლვივით ვიწროვდები,  
გულზე ალესილი კალმის ნატყვაიარი მამჩნევია.  
გარდა პოეზიის ქვეყნად არაფერი მიმონებდა,  
ჩემი ცხოვრება ხომ ქარზე მიჯაჭვული მარხილია.

ფიქრი უჩემობის თავზე პოეტივით დაგათვრება,  
ჩემი სამოთხიდან ჩუმად გაქრები და მოეშვები.  
ჩემი სუიციდიც ალბათ პოეზიას დაბრალდება,  
თავსაც გაიმართლებ, ასე კვდებიანო პოეტები!

## მე მუდამ ასეთი

მე ყოველდღიური არც ისე რთული ვარ, როგორც ეს სამყარო,  
როგორც ეს ბუნება, როგორც ეს ხალხი და როგორც ეს ამინდი.  
მე ჩემი ღიმილით, უბრალოდ შექმნილი, წარსულით ვამაყობ  
და გენიოსივით ყველა გამოთქმაზე ანდაზა არ ვიცი.

მე ვიწყებ საუბარს ყოველდღე, ერთი და იგივე ფრაზებით,  
მდუმარე ბერების ცრემლებით აღსავსე თვალების საშველად.  
და ყოველ საღამოს ვიბრძვი და ისევე მარტივად ვმარცხდები,  
რომ პირქვე დაცემულს ჩემივე შექმნილი მარცხისაც არ მჯერა.

მე ვცხოვრობ მარტივად, ყოველდღე თუთუნის ბოლით და არაყით  
ვივინყებ ყველაფერს, რაც მინდა უბრალოდ, რომ აღარ მახსოვდეს.  
მე ვტირი მთვრალი და მერე კი, საერთოდ, არავინ არ არის,  
ვინც მეტყვის ნუგეშს ან მიზეზს იმისას, თუ რისთვის ვარსებობ.

მე ყოველ საღამოს ვზივარ და ფიქრებით თავს ვმარხავ ცოდვებში,  
ვერ ვითვლი, რამდენი გაქცევა გავბედე ჩემივე თავისგან.  
მე ასე უბრალო, ჩემივე ქცევებით, შენამდე მოვედი  
და წასვლა არ მინდა! და წასვლა არ მინდა! და წასვლა არ მინდა!!!

მე ჩემი სამყაროს მფლობელი კი არა, ვეზირიც არა ვარ,  
ქედებზე მიჯაჭვულ არნივის ფრთებიდან მომძვრალი ბუმბული.  
გრიგალმა კი არა, წიავმა ატარა შეორეულ მთადამთა,  
ატარა, ბოლოს კი მიაგდო სადაღაც სველი და უძლური.

და ყოველ საღამოს ვიბრძვი და ისევე მარტივად ვმარცხდები,  
რომ პირქვე დაცემულს ჩემივე შექმნილი მარცხისაც არ მჯერა.  
მე ვიწყებ საუბარს ყოველდღე ერთი და იგივე ფრაზებით,  
მდუმარე ბერების ცრემლებით აღსავსე თვალების საშველად.





## დავლივარ ახლოაზ

ბოლო ლექსიდან დიდი დრო გავიდა.  
გეძლვნება მხოლოდ შენ.  
შენ დაიპატვე ჩემში მაშინ, როცა შენ შეგხვდი.

სად არ ვიარე მე ამ ღამით და ბოლოს მაინც,  
შენი სახლის წინ ავეტუზე ბებერ ლამპიონს.  
ვუცეკერდი ცას და უნებლიერ მახსოვდა მარტი,  
მარტი, რომელმაც არ მინდა რომ გადაგვაჩვიოს  
ერთმანეთს, რადგან უშენობით დგება წყვდიადი,  
მუსიკის ფონზე სიბერესთან ვიწყებ საუბარს,  
რომ შემძლებოდა, სიყვარულსაც გადავიტანდი,  
რომ შემძლებოდა, ავივლიდი ახლა სხვა უბანს.  
მაგრამ დასახუისს დასასრული ვეღარ ვუპოვე,  
მივყვები გზას და მგონია, რომ მოგყვები გვერდით.  
და, რა თქმა უნდა, შენ ერთი ხარ, ვისაც ვუწოდე,  
მე პირველ მცნება დარღვეულმა, ჩემივე ღმერთი.  
ახლა იქ ვდგავარ, სადაც ერთ დროს ვიდექით ორნი,  
ვიხსენებ ლიმილს რიურაჟიდან დაღამებამდე,  
არ მემეტება ერთი წამიც, მე და შენს შორის  
დასაკარგავად, ვინაიდან წამში ვეწამე.  
სახლში, რომელშიც ჭერი მადგას სარკოფაგიით  
დგას სიბნელე და მარტოობის სრული ქაოსი.  
ღმერთმანი, შენი გალიმებაც იყო ფაქიზი,  
იმდენად სათნო, ისე მძიმე, რომ ვერ დავოკდა.  
და ყოველ ღამით უძილობას ვათევ ქუჩაში,  
ვერაფერს გიმხელ და ყველაფერს ვიწერ ფურცელზე,  
რომ ერთხელ მაინც თუ დაგჭირდეს ჩემი ნუგეში,  
აიღე ხელში და უჩემოდ თავსაც უშველე.  
დავდივარ ახლაც და ბილიკებს ცრემლებით არ ვშლი  
გიტოვებ შენ და არ იდარდო ჩემზე, რადგანაც,  
რუსთაველს ისევ ამოვყევით და ბოლოს სახლში,  
მიგაცილე და გამოვბრუნდი შენ დასანახად.

## თითქოს დაგძლიე

რაც დრო გავიდა, ყველაფერი თითქოს დავძლიე,  
მარტის არევას დავაბრალე შენთან სიშორე.  
შენ არც კი იცი, რომ გგონია მაშინ არ მძინავს  
და უშენობაც მაგ უმთვარო ღამით ვაპოვე.

გადის დღეები, ყველაფერი ცოცხლად იწყება,  
ყველა უშენო დაღამებას ვითვლი თითებზე.  
შენ თუ გგონია ყველაფერი დამავიწყდება,  
მაშინ ეს ლექსიც გააქრე და გადაიშორე.

თუ დავმთავრდები, ყველაფერი დღეს სულ ერთია,  
აზრი არა აქვს თუ მახსენებ სიცხის ბოდვებში.  
როგორ ვჩქარობდი, შენთვის ხელი რომ ჩამეკიდა  
და როგორ მძიმედ ვბრუნდებოდი დამშვიდობებით.

ვიხსენებ დღეებს, ლიმილებს და სახის სიწითლეს,  
როცა ვერაფერს ვბედავდით და იდგა დუმილი.  
ვიხსენებ ქუჩებს, შენი უბნის შარაც მივიწყებს,  
და აზრიც არ აქვს ახლა, ახლად თუ ამოვივლი.





## არასდროს

შენსავით თხოვდებიან ფიქრები,  
მარტონი არ რჩებიან არასდროს.  
არასდროს დაგივიწყებ, გპირდები,  
მე შენი გაბუტვითაც ვამაყობ.

ფერები მოვარდისფროდ უცვლელი,  
კიბოსფრად ვეგებები ოქტომბერს.  
ღვინისგან გაიხეთქეს მუცლები,  
ჭურებმა და სიმთვრალით მორცხვობენ.

ვერავინ, ვერასოდეს, ვერაფრით,  
ვერ შეცვლის არარსებულ არაფერს.  
უშენოდ აღვსილი ვარ ყელამდე  
და წარსულს შემოდგომას ვაბრალებ.

სიცივეს, გადმოხეთქილს მაჯიდან,  
ვენების გადასერვის სიცივეს.  
მე შენი მონატრებით დავდივარ  
და ტკივილს არაფერზე ვიფიცებ.

შენამდე ცარიელი მოვედი  
და საესე სიყვარულით მივდივარ.  
ვშთანთქე და შევიწირე მორევი,  
გრძნობებით ამაზონზე დიდი ვარ.

სურათი გაციებულ სარკმელთან,  
ვით ქვრივი დასტიროდეს სატირალს.  
შენ ჩემთვის ერთადერთი სახე ხარ,  
რომელმაც სიყვარულში დამცინა.

მე შენი გაბუტვითაც ვამაყობ,  
არაფრით დაგივიწყებ, გპირდები,  
მარტონი არ რჩებიან არასდროს,  
ოდესლაც თხოვდებიან ფიქრებიც.

## კეთანე

კესანე თავიდან ბოლომდე,  
არ დავიწყებიდან იწყება.  
კესანე, თვალები მორცხვობენ,  
მძიმდება ფიქრები,  
იმდენად...


რთულდება ხსომებაც,  
შენ იცი!  
ენამე და შეცვლი ყველაფერს,  
დრო ყველა სახსოვარს შეგიცვლის,  
მაგრამ ვერ შეგიცვლის კესანებს.

კესანე... ტირიან დღეები,  
სტკივათ და თავებსაც იკლავენ.  
ყველაზე რთულია შეეშვა,  
დროისგან ვერ მოკლულ იმედებს.

სად შენ და სად ჩემი კესანე,  
სად ჩემი ჩამწვარი ლექსები.  
კესანე, სურნელით შენამდე  
მოსული, საფლავთან შევჩერდი...

ყვავილის ბალი თუ მინდორი,  
ზაფხული მომწვანო ფერებში.  
აქამდე იმასაც ფიქრობდი,  
რომ წარსულს ანმყოში ერევი.

კესანე, თვალები მორცხვობენ,  
ცრემლებში ჩახედვაც მძიმდება.  
კესანე თავიდან ბოლომდე,  
არ დავიწყებიდან იწყება.





## დურმიშეან პერიპე

საქართველოს განაკვეთის მინისტრის ბრძანებულების მიხედვით

განთიადამდე თვალებგაბრწყინებული უსმენტონენ თანამდებობები ქიხისთვეს. ერთხმად ინტენსიური სულ მაღლ თამარის დროშას გაშლიდა მისი ნაშიერი, სამრბოლო ყიჯინის დაზემდნენ ვერაგ მონაცემებს, ლის იქითა და ლის აქტა საქართველო კვლავ ერთ სამეცნიერო გაერთიანდებოდა და, რაფ აქტდე დაუკალით მჭირიანობის, კულტურულ ურთის ერთხმად ამოიყრინენ ურკულობზე. მოხურ ნინო ნამდაუწყმ ინტენსიური თვალზე მომდგან რეელის, ლოგიკური კარგი ამინის მომცენ შვილის, საკუროდა, მცენის მამის სისხლის არ შეარჩენდა გოგინა და ამ წევნიდან გულდამშვიდებით ნაიღებდა ქმართან მონაცემის დამარტენის აშჩადა.

დურმიშეან შერიძე

საქართველოს განაკვეთის მინისტრის ბრძანებულების მიხედვით

### რა პარგი ხარ, ჩიხორიშო!

თბილისიდან კვირაძალ საღამოს მობრუნდა გოგინა ვარძელიძე. ნისლს დაეფარა ღართისა და კოდიანის მთები. ასპინძის ციხეც ბურუსში იყო გახვეული. ღამის ბინდში ვერც კი იცნო მისმა საყვარელმა ქედანამ, ფეხზე წამოიჭრა ჭიშერის ჭრიალზე, ყეფით გაქანდა შავი ლანდებისკენ. წკმუტუნით ხელები დაულოკა ერთი თვის წინ დაკარგულ პატრონს. ძალის ყეფაზე ოდის კარი გამოაღო მოხუცმა ნინომ, იცნო ბეჭებში ოდნავ მოხრილი შვილის სილუეტი, თვალცრემლანი გადაეხვია. მერე ვეღარ შეიკავა ქვითინი. გოგინამ ცრემლები ამოუწმინდა და შეტლზე ეამბორა მოხუც მშობელს.

მეციხეოვნები რიგრიგობით მოდიოდნენ ციხისთავის სანახავად. ყველას თბილისის ამბები აინტერესებდა, რას ფიქრობდა მეფე, როგორი მებრძოლია, ეშინია თუ არა მონაცემების, რას ფიქრობს მდაბითა მოწყალე მესტუმრე ჯიქური. გოგინა კიდევ ერთხელ იმეორებდა ათასჯერ ნათევამს: იმედს უდვივებდა მტერთან საპრძოლველად ამლილ მეომრებს. ცოტა კიდევ და ერთბაშად ალდებაო მთელი საქართველო. რომის პაპს წიგნი მოუწერია მეფისთვის, მალე მთელ საქრისტიანოს აგამხედრებ, ურჯულობების წინააღმდეგ ახალ ჯვარისნულ ომს წამოვინებოდა.

განთიადამდე თვალებგაბრწყინებული უსმენტონენ თანამებძელები ციხისთავს. ერთბაშად ირწმუნეს: სულ მაღლ თამარის დროშას გამლიდა მისი ნაშიერი, საპრძოლო ყიჯინის დასცემდნენ ვერაგ მონაცემებს, ლის იქითა და ლის აქტა საქართველო კვლავ ერთ სამეფოდ გაერთიანდებოდა და, რაც აქამდე დაუკლიათ მტრისათვის, ყველა ჯავრს ერთბაშად ამოიყრიდნენ ურჯულობზე.

მოხუცი წიგნი ნინო ნამდაუწყმ იწმენდდა თვალზე მომდევარ ცრემლს, ლოცავდა კარგი ამბის მომტან შვილს, სჯეროდა, მტერს მამის სისხლს არ შეარჩენდა გოგინა და ამ ქვეყნიდან გულდამშვიდებით წაიღებდა ქმართან მონაცემთა დამარცხების ამბაეს.

\* \* \*

როცა კოხტასთავის ქედზე შზე ამოისვეტა, მხოლოდ მაშინ დარჩა დედა-შვილი მარტო. წიგნი სას-

თუმალი გაუშალა მამისეულ ტახტზე. ერთხანს შავი თავსაფრით იწმენდდა ცრემლებს, მერე გაუბედა სათქმელი:

— იმ წყეულებს, ორი დღის წინათ, ჩვენი ბიჭები დაუჭრიათ კოდიანის მთაზე...

გოგინა შეცპა. ტუჩებთან მიტანილი წყლით სავსე ჭიქა ძირს დაუშვა.

— არ მინდოდა წელან გუნება წამებდინა შენთვის, შვილო, ვერც ბიჭებმა შემოგბედეს... ჩვენებიანთ კოტეს ბიჭი ქიტესა შედავებია: ვერ გაგატანთო პატრონის უკითხავად ცხვარს, მერე ქვრივ თებრონეს ბიჭი, გოგია წამოშველებია. ქიტესა ჯერ ხმლით დაუკოდავთ, შემდეგ კი თოკით უთრევიათ ველზე, ხოლო გოგია ისე უცემიათ, მხოლოდ მეორე დღეს მოსულა გონზე.

უწყალოდ დაუეუილი ტყავში გაუხვევიათ ბიჭებს და ძლიერსა ჩამოუყანიათ მთიდან მამაწმინდაში მცხოვრებ მოყვრებამდე. ორას სულამდე ცხვარი წაუსხიათ იმ ძალის ლეკებს. ლამე ყოფილა და ვერ შეუწინავთ ლენჭის ხევში გადამაღლული ფარის ნახევარი...

გოგინა გულისყურით უსმენდა მშობლის მონაყოლს, თან ტუჩებს იკვნეტდა სიბრაზისგან.

— როგორ გათამამდენ, დედაჩემო, აღარაფერს დაგიდევენ ეგ ტილიჭამიები, თბილისში გავიგე: მეფის სამზარეულოშიც კი ხოჯა-აზიზს თავისი ხალხი ჰყოლია, ყოველ ხორაგს სათითაოდ აღრიცხავენ და მერე გადასახადმი მიაქვთ ნახევარი. აკრეფილ ხარჯს, თურმე, თვითონ ითვისებენ... მეფე დავითს საჩივრის წიგნი მოუწერია დიდ ურდოში მანგუ-ყაენისათვის. ხოჯა-აზიზს იქაც ჰყოლია ხალხი ქრთამით შეკრული. წიგნი მანგუ-ყაენის დიდ ვეზირს ჯამალს ჩავარდნია ხელში. მალემსაბოლო იქვე უუკუნავთ, წიგნი კი მანგუ-ყაენის მაღლულად დაუწვავთ, აქედან დახმარებას წუელითო. ასე შემოუთვლა მესტუმრე ჯიქურის მსტოვარს დიდი ურდოდან. ყოველივე ეს ერთმა სანდო პირმა მითხრა, თბილისში.

— თუკი მეფეს ასე ექცევიან, შვილო, უბრალო ხალხს რაღას უზამენ, ეგ წყეულები... გამოდის, რომ აღარ ყოფილა ჩვენი საშეელი.

— იქნება, დედაჩემო... მეფე დავითი, როგორც გავ-



იგე, ჭოჭმანობს კიდევ, არ უნდა ახლავე შეეტაკოს მონღოლებს. მოკავშირეებს ეძებს, თავის გარშემო ხალხს იკრებს, რჩეულ მებრძოლთა ათასეულს მიუვად მთებში წვრთნის. ყური მოვკარი, წელს თუ არა, მომავალი წლის ამ დროს მაინც გაშლისო თამარის დროშას. ჩვენს პატრონს, – ციხისჯვრელ სარგის ჯაყელს კარგი რჩევა მიუცია მეფისთვის:

– ჯერ ხოზა-აზიზი მოვიშოროთ თავიდან, მერე გუნდ-გუნდად დავეცეთ სათარეშოდ გამოსულ მონღოლებს. მესტუმრე ჯიქურსაც ამგვარივე გეგმა ჰქონია, მაგრამ მეფე ვერ ბედავს, მონღოლთა რისხვისა ეშინია.

– რატომლა ეშინია, ამაზე უარეს დღეში ხომ არ ჩავვარდებით, შვილო?!

– დამარცხების როდი ეშინია მეფეს! ასე უთქვამს, ირანის ილხანს, ოქროს ურდოს ყანიც რომ მიეშველოს, მაინც დავამარცხებო, მაგრამ...

– მაგრამ რაა, შვილო!..

– უძეობა გულს უკლავს, დედაჩემო, ტახტის მემკვიდრე არ შესძენია დედოფალს. მეფეც ასე ვარაუდობს: ვაითუ ბრძოლაში დავეცე და მთელი ჩემი სამეფო ფეხქვეშ გათელონო. მემკვიდრე რომ ჰყავდეს, მასინ არაფრის დარდი არ ექნებოდა მეფეს. უჯლისწულს მთებში გახიზნავს, თვითონ კი ლომივით დაერევა მონღოლებს. და თუ ბრძოლაში დაეცემა მეფე, საქართველოს ახალი მეფე მოევლინება, ხალხს წინ წარუდღება და ობლობას არ აგრძნობინებს.

გოგინამ შეატყო, უძეობის ხსენება ეკალივით მოხვდა მოხუც მშობელს გულზე. ხელი მოხვა მხრებზე, ჭალარა თმებზე ეამბორა.

– აღთქმა მქონდა დადებული: გვანცას შემდეგ არავის შევირთავ-მეთქი ცოლად, მაგრამ დვოთის წინაშე პირშვად გამოვდივარ დედჩემო. ამ კვირას ფეხშიშველი ვეახლები ვარდის ღვთისმშობელს, შენდობას შევთხოვ. განა ჩემი ბრალია, თუ პირობას ვტექ? ვარდის განგებამ მომივლინა ქორსატეველასთან წმინდა ანგელოზი, ძალა მომცა გვანცას ორეულის გადასარჩენად. საღვთოს შევწირავ, სულს გავინწყნდ, მერე კი ელჩებს ვახლებ ვარაზულს, თამარის ხელსა ვთხოვ. იმედია უარით არ გამომისტუმრებს ბასიანის ომის გმირი, მერე ქორწილის დღესაც დავთქვამთ. – ნუ გეშინია, ვარძელისძეთა გვარს უმემკვიდრეოდ არ დავტოვებ, დედაჩემო.

სიხარულისგან თვალებგაბრწყინებულმა ნინომ შვილის ხელები გულში ჩაიკრა. დამჭენარი თითებით ერთხელ კიდევ მოეფერა შევერცხლილ თმებზე და სიხარულით ავსილი გულით მოსასვენებლად მარტო დატოვა ერთი თვის წინ დაკარგული შვილი.

\* \* \*

სიხარული იყო ვარაზულის ოჯახში. გოგინა ვარძელისძის მიერ გამოგზავნილი მაშვალი სიხარულით მიიღეს. ვიდრე თამარისა და გოგინას ნიშნობაზე სიტყვა ჩამოვარდებოდა, ვარაზულმა სტუმრებს თავისი დარბაზები მოატარა, შემდეგ ვეება ჭადრებზე შემოვეულ მუხლის სიმსხო ვაზებთან მიიყვანა ისინი, არწმუნებდა: პაპაჩემა დარგოო დარუბანდის ბრძოლის სამახსოვროდ.

მოენონა ანანიას ორმოცის ველზე გაშლილი ბალები, შეუქო მასპინძელს მარჯვენა. გაიცინა ვარაზულმა. ერთ ვეება ტოტებგაშლილ თუთას შემოხვია ხელები. ბავშვივით ხარობდა, მერე თვალი ჩაუკრა გვერდზე მდგარ ქიტესას.

– აბა, თუ გამოიცნობ, რამდენი წლისა იქნება ეს ხე, ანანია! ახედ-დახედა ანანიამ ხეს. თითები გადაუსვა კანზე. გაოცდა.

– ამ ხეს, ბატონი ჩემი, სამი კაციც ვერ შემოაწვდებს ხელებს... ისე ამაყად და მხრებგაშლილი გასცემის ხერთვისის ციხეს, ასე მგონია, ერთ იმდენს კიდევ იცოცხლებს, რამდენიც უცოცხლია აქამდე.

– ღმერთმა ქნას, ჩემო ანანია, იმდენ ხანს მდგარიყოს ფეხზე, ჩემი თამარის შვილიშვილებასაც ეგემოს მისი ნაყოფის სიტყბო, – თქვა ვარაზულმა. მერე ხელი გადაუსვა თუთის დახეთქილ კანს:

– ამ ხეს ერთი რამით ვგავართ ადამიანები, ანანია!

– მაინც რით?

– იმით, ჩემი ანანია, რომ თუ გადაჰკაფე და წყალი არ მოაკელი, იმ წელსვე ამოიყრის ყლორტებს, ერთ წელშივე დაიმსხვილებს ტოტებს და ნაყოფსაც მოისხამს. ასე ვართ, ჩვენც. რა გინდა მწვავედ არ დაგვიქციონ სახლ-კარი, სამშობლოს სიყვარული ყლორტებს მაინც ამოგვაყრევინებს, ხვალინდელ დღეზე მაინც დაგვაფიქრებს.

ანანიას მოენონა მოხუცის ბრძნული ნათქვამი. ხელი კვლავ გადაუსვა თუთის ხეს დახეთქილ ტაზზე. მერე თვალი გაუსწორა ცის ლაჟვარდში აჭრილ ხის ჰაეროვან ტოტებს, შეშურდა კიდეც მისი...

იმ საღამოს დიდმა სიხარულმა დაისადგურა ვარაზგულის ოჯახში. ანანიამ, ქიტესამ და თანდილამ წვევასაც არ დაუცადეს, თვითონვე შეაგსეს ჭიქები. ვარაზგულის დიდი ოჯახი დალოცეს.

– მოხუცდი, შვილო. – თქვა ვარაზგულმა, რამდენიც არ უნდა ვეცადო, ახლა სიჭაბუკე მაინც არ დამიბრუნდება. ჩემი ბედნიერება ამჟამად ის არის, ჩემს შთამომავალთა ბედნიერება ვახილო. – ვარაზგულს ხელი უკანასკნებდა, ანეული ჭიქიდან წვეთ-წვეთად ელვრებოდა ღვინო სუფრაზე. – ერთი, ნისქვილის ქვა არ დაბრუნებულა ჩემს თავზე, შვილო, თორემ ცხოვრებაში ყველაფერი მინახავს. ახლა ჰაეროვან ტოტების სის გულზე ერბო-კვერცხიც რომ შემინვა და მომართვით კვერცხი ვერ გამაკვირვებ.

დიდი დარბაზი შეესოთ სახელდახელოდ მოწვეულ სტუმრებს. ვარაზგულს არაფერი დაეშურა მათოვის. სადლეგრძელო თვითონ ვარაზგულმა წარმოთქვა. პირველს მეორე მოაყოლა და ასე თამადობაც თვითონვე იკისრა.

– რა ვქნა, სიჭაბუკედანვე ძალაუფლების მოყვარული კაცი ვიყავო, – დასძინა სიცილით. ანანია ხედავდა ვარაზგულის დიდ ოჯახს, გულით უხაროდა თამარისა და გოგინას ბედნიერება. როცა შეატყო, აუცილებელი სადლეგრძელოები მოათავა, ჭიქა გვერდზე მიწია, მასპინძელს მიუბრუნდა და უთხრა:

– დღევანდელი შეხვედრა იმას მანიშნებს, რომ ჩვენს საქმეს კარგი დარი უდგას. ამიტომ ჯობია ახლავე დავთქვათ ქორწინების დღე.

ანანიამ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ





დარბაზის კარი ორმა მეომარმა გამოაღლო. ზღურბლი თორ-აბჯარიანმა მეომარმა გადმოჰკვეთა, მიმოიხედა ირგვლივ, მოუბოდიშა მოწვეულ სტურებს, მერე მზერა ვარაზგულზე გადაიტანა და მუხლი მოიყარა მის წინაშე.

— რაიმე ხომ არ მოხდა, მგელიკავ! — თქვა ვარაზგულმა და ფეხზე წამოდგა.

— ჩემი ბიჭები ფხიზლად იცავენ ყველა გზაჯვარედნს. მათ უკითხავად სულიერი ვერ გადმოლაბას ორმოცის ციხის საზღვრებს, მაგრამ... მორჩილად თავი დახარა მოსულმა:

— ბატონო ჩემო, თუ შეიძლება, ერთი წუთით, გადახედეთ ხერთვისის ციხისკენ საეჭვოდ მომავალ ცხენოსნებს. იქნება არც ლირდა მათ მოძრაობაზე უურადღების შეჩერება, მაგრამ, ვშიშობ, მონლოლთა ნაშიერნი არ იყვნენ სადმე ჩასაფრებულნი.

\* \* \*

ვარაზგული სუფრიდან წამოდგა, დაამშვიდა სტურები:

— ჩემს დარბაზებს ისეთი სქელი კედლები იცავენ, თვით ჩინგის-ხანიც კი ვერ დალაშქრავდაო თავისი რჩეული მხედრობით, — მერე ანანიას გადახედა:

— მე მაინც ვაპირებდი ჰაერზე გასვლას, იქნება თქვენც გსურდეთ ხუთიოდე წუთით სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა.

ანანიამ ხელით ანიშნა ქიტესას და თანდილას, — თქვენ დარჩითო აქ.

სუფთა ჰაერი ესიამოენა ნაღვინევ ჭაბუქს, ახედა ცაზე მოყიაფე ვარსკვლავებს. მთვარის შუქზე განაბულიყო ხეობა, მხოლოდ მტკვრის ჩჩრიალი არღვევდა მყუდროებას. საროს ქარაფებზე ჰეკიოდა ჭოტი.

ვარაზგული და მეგლიკა ხერთვისისაკენ მომავალ გზას გაპყურებდნენ. დაბალი ხმით რაღაცას უმტკიცებდა მეგლიკა პატრიონს. ხელი ჩაიქნა ვარაზგულმა, გვერდით ჩაუარა ანანიას:

— რაღაც ჩრდილები აფრთხოს ამხელა კაცს. მონლოლთა ამბავი კარგად ვიცი, მელიასაც კი გაეჯიბრებიან სიეშმაკეში. არც მე ვარ მაგათზე ნაკლები. ორიოდე დღის წინ ჩვენს ბიჭებს მგლის ხაფანგები მოვაწყობინე ციხის გარშემო. თუ გაბედეს და ამ ღამით მოუახლოვდნენ ჩემს დაბრაზებს, ხვალ დილით, კარგი საყურებლები იქნებიან. არ ლირს, ჩემი ანანია, მათი გულისფერის ტყბილი ლუკმის ჩამნარება.

ანანიამ ერთხელ კიდევ გადახედა მთვარის შუქით განათებულ მტკვრის ხეობას, შეისწორა მოვერცხლილი სატევარი. წელი ნაბიჯით დაჲყა ქონგურიდან დაბრაზისაკენ მიმავალ კიბეებს.

— ერთი წუთით, ნუ აჩქარდებით, ბატონო! — მოესმა ზურგს უკან. შედგა ანანია. მოხედა ჩრდილში მდგარ თორ-აბავარიანს.

— მე მეუბნები?

— დიახ, თქვენ! იმედია არ გამინერებით, თუ ორიოდე წუთს დაგაკარგვინებთ, თან გულში ჩაიჭედავთ ჩემს ნათევამს და გოგინას გარდა ამას არავის გადასცემთ!

ანანია წუთით ჩაფიქრდა, ვერ გადაეწყვიტა, რა ეპასუხა თორ-აბჯრიანისათვის. ან რა ჰქონდა სათქმე-

ლი ვარაზგულის მსახურს ასპინძის ციხის პატრონისათვის.

— მაინც რა გადავცე ჩემს პატრონს? — ისე თქვა ანანიამ, რომ თვალი არ მოუშორებია სიბნელეში მდგომისათვის.

— ის, რასაც ახლა გეტყვი!

— გისმენ ბატონო!

— ასე უთხარი, ჩიხორიშელმა მგელიკამ შემოგითვალა, — დაუინტერ ორმოცის ციხისკენ მიმავალი გზა, თორებმ, ვფიცავარ დედაჩემის წმინდა საფლავს, სამუდამოდ დაგუბნელებ მზის სინათლეს.

ანანიამ იგრძნო, როგორ უნებურად გაექცა ხელი სატევრისაკენ და კედლისაკენ ისკუპა სხარტად.

სინათლის შუქით განათებული დარბაზიდან სიცილ-კისკისით ვიღაც ქალი გამოვიდა, წინ ჩაუარა ისე, რომ არ შეუნიშნავს სატევარმომარჯვებული სტუმარი, თან მწვადის სამო სუნი გაიყოლია.

— ნუ სულელობ, სტუმარო! — მოესმა გვერდიდან. ახლადა შენიშნა — შორისახლოს შებმომარჯვებული ორი მეომარი იდგა.

— ნუ სულელობ, სტუმარო! — კვლავ მოესმა ჩუმი, დაბალი, გამყინავი ხმა, — ნუ სულელობ, თორებმ ამ შუბზე მწვადივით აგაგებ.

— ჩააგე ეგ სატევარი და რაც გითხარი, ის გადაეცი შენს პატრონს. მგელიკამ შემოგითვალა — ძმასავით მიყვარხარ, მაგრამ ცოცხალი თავით თამარს არ დაგანებებო. გაიგე? ხოლო თუ ჭკუით არ იქნებიო, თავისი მონლოლი მოთარეშებით ასპინძის ციხეს ნაცარტუტად აქცევს და ორმოცის ციხესაც ზედ მიაყოლებსო. უთხარი, უფრო დიდი სანთლები დაანთოს ვარძიაში. უფალს შესწიროს მადლობა, რომ თამარის გულისათვის აქამდე არავისათვის დამშავებია რამე... შენც ჭკუით იყავი, იციდე, ნიშნობაზე ენა არ დასველო, თორემ...

— თორემ, რა!

— თორემ ის, რომ ცოცხლად მარტო შენ კი არა, აქედან ვერავინ გაალენებ!

— მაშინებ, კიდეც?

— როგორ გეკადრება, ბატონო, მხოლოდ გაფრთხილებ!

თორ-აბჯრიანები ჩუმიად გასცილდნენ იქაურობას. ანანიამ იგრძნო, როგორ დაჲკარგოდა ფერი. ლრმად ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი, ამორვდილი სატევარი ქარქაში ჩააგო, ხელები ჩამოისვა სახეზე, ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, რა უნდოდათ ამ თორ-აბჯრიანებს მისგან.

ერთხანს გარინდებული იდგა, მერე სწრაფად ჩაიარა კიბე და დაბრაზმი შევიდა. ვარაზგული მამულის სადლეგრძელოს ამბობდა. ყველა ფეხზე იდგა და სულგანაბულები უსმენდნენ მხცოვანი თამადის სიტყვებს. სადლეგრძელო სულმოუთქმელად გამოსცალა ყველამ.

ანანიამ ცოტა ხანს დაჲყო სუფრასთან, მერე ვარაზგულს მოუბოდიშა: — შეუძლოდ ვარო და გაეცალა ლხინს.

ვარაზგული ფეხდაფეხ გამოჰყვა სტუმარს.

ანანიამ დაიმარტოხელა მასპინძელი.

— კეთილ საქმეზე მოვსულვარ, თქვენთან, ბატონო, ამიტომ მინდა ყველაფერს დასასრული ჰქონდეს.



მონლოლთა გაუთავებელმა თარეშმა შეგვიბლალა ყველა წმინდა, ამიტომაცაა, რომ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ადათს. იმედია, მომიტევებთ, თუ ჩემი პატრონის აზრს გეტყვი: ასპინძის ციხის პატრონის სურს, თუ თქვენი დიდი ოჯახის ნებაც იქნება, თოვლის მოსვლამდე, დაინეროს ჯვარი. ქორნილის დღეს პატრონის უკითხავად ვერ დავთქვამთ, სანდო კაცის პირით შემოგითვლით ამ დღეებში ყოველივეს, წრილად, – თქვა ანნიამ. მერე ერთხელ კიდევ გაიმეორა ათასჯერ ნათქვამი: გოგინა სულმოუთემელად მომელის, ამიტომ ირიურაუებს თუ არა, თქვენი ციხე-დარბაზების მიტოვება მაქვსა განზრახული.

ვარაზგულმა შეატყო – რაღაც ცეცხლი ტრიალებდა ანანიას გულში. აღარ დააძალა სტუმარს, ძილი ნებისა უსურვა და თან ეჭვებით საქსე მზერა გაიყოლა.

\* \* \*

ორმოცის ციხეში მომხდარი ამბავი დაწვრილებით აუწყა ანანიამ პატრონს, თან ისიც დაუმატა, ამის შესახებ ვარაზგულსა და თამარს არაფერი შეუტყვიათო.

გოგინა ერთხანს გაოგნებული მიმდიოდ ითახში, მერე კარადასთან შეჩერდა, დაგრაგნილი უსტარი ამოიღო.

– თქვენი წასვლის შემდეგ მომიტანა მალემსრბოლმა ეს წიგნი... მესტუმრე ჯიქური სასწრაფოდ ხლებას მიბრძნებს, თბილისში. როგორ მოვიქცე, არ ვიცი, ანანია. ცოლის შერთვა სახვალიოდ რომ გადავდო, ვფიქრობ, სამუდამოდ დავკარგავ მას. არ იფიქრო, მეღლიკა მაშინებდეს თავისი მითარეშებით... მე იმისა მეშინია, თამარს არ აუტეხონ რამე. შენ კარგად იცი, ჩემი კეთილი სამსახური არავისოთვის დამიმადლებია, ანანია. არც ვარაზგულის დიდ ოჯახს დავაყვედრებდი, უარით რომ გამოესტუმრებინეთ, მაგრამ გვანცას ორეულს მგელიკას კი არა, მაღალი ღმერთიც რომ შემედავოს, მასაც კი არ დავუთმობ ნებით....

შენ კარგად იცი, ფიცი მქონდა დადებული – გვანცას შემდევ არავის შევირთავა-მეტები, ცოლად... მაგრამ, თვითონ თამარმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი: სანდო პირით შემომითვალა: – შენთვის ვლოცულობო დღედაღამ, მოდი და მისატრონები, თორებ უცრემლოდ მოკვდება შენი თამარი...

ანანიამ მხრებზე ხელი მოუცაცუნა პატრონს, სამფეხა სკამი მოიჩინა გვერდით, – ჩამოჯექიო, – სთხოვა მორიდებით.

არასოდეს ენახა გოგინას თვალზე ცრემლი.

მზერა მოარიდა პატრონს.

– მე ვფიქრობ, დაყოვნება კარგს არ მოვიტანს. ამიტომ, სკობია, ხვალვე ვესტუმროთ ვარაზგულს საქორნილოდ.

– ხეალ არა, ანანია! სჯობია ახლავე დავიჭიროთ თადარიგი, რადგან მესტუმრე ჯიქურს არ უყვარს, როცა მის ბრძანებას უგულოდ ეკიდებიან. გული მიგრძნობს, რაღაც უჩვეულო უნდა მოხდეს, ჩემს ცხოვრებაში... არასოდეს მეშინია ბედისა, მაგრამ, ვშიშობ, ვაითუ ბედმა ისე მიგვერდოს, სამუდამოდ წავიდე სამართლიანობისათვის მებრძოლი, ცხოვრებაში გაუხარელო. ათოვდე მოლაპქე ვიახლოთ თან. ქიტესასა და თანდილას საიდუმლოდ გაანდე, ასპინძის ციხიდან ჩვე-

ნი გასვლის შემდეგ, დაიჭირონ საქორნილო თადარიგი. აბა, შენ იცი, თუ ოდესში გყვარებია შენი პატრონი, ახლა უნდა დაუმტკიცო ეს სიყვარული...

ანანიამ შეატყო, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა გოგინა, აღარ დაუცადა სათქმელს, სწრაფად მოტრი-ალდა კარისკენ. ეზოში გამოსულმა მეჯინიბეს უხმო. ცხენების სწრაფად შეკაზმვა უპრძანა. შემდეგ თანდილა გაიხმო გვერდზე და ჩურჩულით გაანდო პატრონის ნააზრევი.

საბრძოლო აბჯრებზე საზეიმო ჩიხები გადაიცვეს ბიჭებმა. ცხენები გამოაჯირითეს მოედანზე. ლაგამს ხრავდნენ მუხლმაგარი, ნასუქი ულაყები. დორბლიანი ლაშებით ცდილობდნენ აღვირი წარტაცათ მხედრებისათვის.

მცირე ხანში გამოვიდა გოგინა ვერცხლის ძეც, სიხარულის ნაპერნკლები ელავდნენ მის მუქ, ღრმა თვალებით. დაკოურილი ხელები მოუთათუნა ბრძოლებში დაკენწლილ „მერცხალას“, მერე სწრაფად მოექცა ცხენზე და პირვევარი გადაიწერა.

– რაც არის არის, ანანია! გნამდეთ, ღმერთი ჩვენთანაა, რადგან მისი სახელით ვებრძივით ულმერთობას.

მერე, გამეტებით სტკიცა მათრახი ლაჯებში მომწყვდეულ მერანს, – მომყევითო! – დაიძახა და ნახევრად ლია კარიდან ისარივით გაიჭრა შარაზე.

\* \* \*

ვარაზგულმა ხელები გაშალა. გაოცებისაგან სასწრაფოდ მეყარა ტაძრეული.

გოგინამ ერთხელ კიდევ წაუკითხა მესტუმრე ჯიქურის მიერ გამოგზავნილ წვევის წიგნი, – სასწრაფოდ ხლებას მთხოვსო. თბილისში რომ არ წავიდე, ლალატს დამწამებენ სამშობლოსა და მეფის წინაშე. წასვლის შემთხვევაში კი, ვინ იცის, ეგების რამდენიმე თვე მომიწილო თბილისში ყოფნამ.

ვარაზგული ატყობდა, რაღაც ცეცხლი ტრიალებდა გოგინას გულში. ხალხის თანდასწრებით ვერც ჭმუნვის მიზეზი გამოჰკითხა, ვერც აჩქარების. არადა, ასე წაუცადევად ქალის გატანება იმას ნიშნავდა, რომ სახელი გაეტეხა ხალხის თვალში.

უპურმარილოდ მაინც ვერ გაგშვებ, ჩემო გოგინავ, მამა-პაპათა ამ წმინდა ადათზე წუ დამადგებენინებ ფეხს. ასე ადვილად ვერ შეველეოდი თამარს, მაგრამ მისი სიცოცხლე შენ გეუუთვნის. გაუფრთხილი და შენი ერთგული იქნება მრავალუამს... ოღონდ, თქვენ მეყოლეთ კარგად და ეშმაკაც წაულია ჩემი ბებერი სული. ოღონდ, თქვენზე გავიგო კარგი და იმ ქვეყანაშიც კი, თქვენზე ვილოცებ, მუდამ, შვილები!..

– მერე თვალზე მომდგარი ცრემლი ამოიწმინდა მოხუცმა, გადახედა შორიახლო მდგარ ქალებს, ახალგაზრდულად დაუტაცანა, – რას მომჩერებისართ, ჩქარა გამალეთ ლხინის სუფრარა.

დატრიალდა დიდი და პატარა. ბუხარში გაჩაღდა ცეცხლი, აბლავლდა საკლავი, აკრიახდნენ ქათმები, რიცხვები აცეკვდნენ ორაგულები...

ძლიერს მოძებნა გოგინამ თუთის ძირში განმარტოებული თამარი, გვერდით მიედგა ჩაყვითლებული მსხლით სავსე კალათა, ჩაფიქრებული იჯდა და მტკკრის მოლივლივე ტალღებს მისჩერებოდა ლამზი, მავი თვალებით.

37



ოქტომბერი №3, 2019





— რამდენი ხანია დაგეძებ. შენ კი, აი, თურმე, სად მემალები! — თქვა გოგინამ.

შეკრთა ქალწული, სწრაფად წამოდგა ფეხზე, მი-მოხედა, ძლივს დაიოკა მოძალული სუნთქვა.

— ვინც დაეძებს, ყოველთვის იპოვისო, ასე მითხრა პაპა ვარაზგულმა. — მერე მზერა გაუსწორა ჭაბუქა: — ასე აჩქარება კარგს არას მოასწავებს. ალბათ, მოხდა რაიმე და სათქმელს მიმალავ.

— რა უნდა მომხდარიყო ისეთი, მესატუმრე ჯიქურის წიგნმა დამაჩქარა, დედაჩემი მეცოდება, ამ-დენი ხანია რძლის მოლოდინში ათენებს და აღამებს საპრალო ქალი. შეშობს, ვაი თუ კიდევ არ მეღირსოსო შენი ბედნიერება.

გაიღიმა თამარმა. მსხლით სავსე კალათა მიაწოდა გოგინას.

— თან მიირთვით, თანაც წამომალებინე, თორემ, აქ რომ ვინმემ დაგვინახოს, რას იტყვის ხალი.

— დაე, იქვეინანონ, სხვასთან ხომ არ ვარ, ჩემს სა-ცოლესთან ერთად კვრეფ მწიფე მსხალს.

— აბა, ჩქარა მოუსვით აქედან, თორემ... — იცინო-და თამარი და თან ციხისაკენ ეწეოდა გოგინას.

— თორემ რა, ჩემო ვარდო.

— თორემ, ისა, რომ მეშინია არ დავკარგო დღევან-დელი ბედნიერება.

— მერე, ვინ უნდა წაგვართვას იგი?

— აბა, რა ვიცი, ქვეყნაზე განა ცოტაა გულბორო-ტი ადამიანი?

— გულბოროტებისა გულსუსტებს ეშინიათ, ჩემო ვარდო, შენს თავს კი ცოცხალი თავით არ დავუთმობ არავის...

იცინოდა თამარი.

— ცოცხალი თავით არ დამთმობ, განა?!

— არ გვერა? — შედგა გოგინა, კალათა ძირს დაუშვა, მერე გვერდზე მდგარ კაკლის ხეს შემოხვია ხელები. — ასე მგონია, რომ მოვინდომო, ამ ხესაც კი ფესვებიანად მოვთხრი.

— აბა, ჰე... ტარიელმა ქაჯეთის ციხე დალენა, შენ კიდევ ამ კაკლის ხის მოთხრით დამიმტკიცე სიყვარუ-ლი, მზად ვარ გიერთგულო — ისევ ახარხარდა თამარი...

მეოვეზებმა პირდაპირ გადმოჭრეს გზა. მძიმე კა-ლათები შეედგათ მხრებზე, გოგინამ შეატყო, თუ არ გაეცლებოდნენ, თავს წამოადგებოდნენ ფეხებ დაკა-პინებულები. სწრაფად წამოავლო კალათას ხელი, იღ-ლიაში ამოიჩარა, ორიოდე წაბიჯით დაეწია წინ წასულ თამარს. კალათა წუთით დადგა ძირს. ხელი მოხვია ქა-ლწულს, გადაუწია კისერზე შემოხვეული მანდილი და... ყვრიმალზე აკოცა. მერე უშვა ხელი, წაბიჯით უკან წარსდგა და თითქმის ჩურჩულით თქვა:

— პაპა ვარაზგულს გადაეცი, დღეს, დაღამებამდე, უნდა დავბრუნდე ასპანძის ციხეში. ხათოს ვერ გაგი-ტებს მოხუცი, რადგან შენი სიტყვა მასთან ყველაზე მეტად სჭრის.

— კარგიო, — თავის დაქნევით თქვა ქალმა, მერე სწრაფად გადაეცილო ქვის ყორეს და გოგინაც ციხის ეზოში გაიყოლია.

ტრონს, გვერდზე გაიხმო, — მთელი ციხესიმაგრე ფეხდაფეხ დავიარე ბიჭების თანხლებით, მგელიკას კვალს ვერ მივაგენი. ვარაზგულსაც ვკითხე მისი ასავალ-დასავალი. დილის შემდეგ არავის უნახავს იგი.

— რატომ დაეძებო? მეითხა მოხუცმა. ისე-მეთქი, ვიცრუე.

— ვფიქრობ, ავი განზრახვა უდევს გულში, თორემ ასე მელიასავით არ გაიპარებოდა ორმოცის ციხიდან. სჯობია ვარაზგულს საიდუმლოდ გავინდოთ ეს აბბავი, თან გავაფრთხილოთ — ჩვენი წასვლის შემდეგ არაფერი აუტეხოს მის ციხესიმაგრეს მგელიკამ.

— კარგი, — თქვა გოგინამ, — მე მოვახსენებ ვარაზ-გულს. დაე, იცოდეს, რა სულის პატრონია მგელიკა. ისე, ჩემი ბრალიცაა, ერთხელ გზაზე გადამელობა და ვპატი თაგებდობა მხოლოდ იმისათვის, რომ ერთად ვერძირიდით ჯალალ-ედინის ურდოებს, გარნისის მიდ-ამოებში.

შემოდგომის მიმქრალი მზე დამზერდა თავს ორ-მოცის ციხეს. საროს ფერდობებზე შეფენილი ცხვრის ბლავილი მოისმოდა შორიდან. მტკვრის ტალღების ჩხ-რიალი იკარგებოდა მოქეიფეთა სუფრულში. ხარობდა მრავალჭირგამოვლილი ვარაზგულის ოჯახი.

\* \* \*

მექორნილები ხვილების ხევს ასცდნენ და სოფ-ლის ეკლესიას გაუსწორდნენ. ლამის მყუდროებას ძალების ყეფა არღვევდა. თავანეული „მერცხალა“ უთქმელად მიიკვლევდა გზას.

გოგინას მხარდამხარ მიჰყვებოდა მტრედივით თეთრ ჭაკზე მჯდარი თამარი.

მექორნილები უინუილებით ანათებდნენ გზას, მხ-იარულობდნენ, უხაროდათ პატრონის ბედნიერება.

ლალობდა გოგინა. გზადაგზა ათასგვარ ამშებს მოუთხრობდა თამარს.

— ეს ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ეკლესიაა სამცხეში, ვინმე დაყუდებულ ბერს — გიორგის აუშენ-ებია მეშვიდე საუკუნის დამდეგს, ჩემო ვარდო!

ქრისტეს მსახურნი ოდითგანვე მწირ ადგილებს ეტანებოდნენ ეკლესიათა მშენებლობისას. მაგრამ დღემდე ვერ გავრცელებულვარ, ამ გზათა შესაყარზე რად ალმენეს ეს ეკლესია.

თვითონ ფეხდაფეხ მაქვს დავლილი ახჩის, ალან-ძის, ზედა ვარძისა და წუნდის ეკლესიები. თითოეუ-ლი მათგანი ტყუპის ცალივით გვანან ხვილიშას. ად-ვილი შესაძლებელია, კოხტას ხევის გამოქვაბულებში დაყუდებულ ბერს ქვა-კარკლების სიახლოვემ შთაგო-ნა იმ ადგილას მისი მშენებლობა.

რამდენიმე წუთის წინ ჩიხორიშის ხევი გამოვი-არეთ, ალბათ, შენიშნე კიდეც, ხევში ჩაკარგული სოფე-ლი.

— მგელიკას სოფელია, არა?! — წყნარად თქვა თამარმა.

— დიახ, ჩემო ვარდო, მგელიკას სოფელია ჩიხო-რიში. ათიოდე წლის წინ მონღლოებმა დალაშქრეს იგი. რის წალებაც შეძლეს, წაიღს, რისაც არა და, ცეცხლს მისცეს ყოველივე...

ორმოცამდე ოჯახი ასპანძის ციხეში შემოიხიზნა მაშინ. შემდეგ ხელახლა დასახლდნენ სოფელში, არავინ



სადარბაზოში შესვლისას ანანია შემოეყარა პა-

ისურვა მამა-პაპათა უძველესი კერის გაციება...

ალფ-ასლანის დროსაც დაულაშქრავთ სამცხის სოფლები თურქ-სელჯუქებს. მეფე ბაგრატი ამ მიდა-მოებში დახვედრია მტერს, მაგრამ ვერას გამხდარა.

თურქ-სელჯუქებს სხვა სოფლებთან ერთად ჩიხორიშიც გაუძარცვავთ და დაუწერთ. მთელი სოფლის მოსახლეობა შეუპყრიათ. მოხუცები დაუხოციათ. ახალგაზრდები კი ახალქალაქის ციხეში მდგარ ალფ-ასლანისათვის მოუგრიათ. მათ შორის ყოფილა თექქსმეტი წლის ასული თამთა...

ულამაზესი ყოფილა თამთა, მის რძისფერ სახეს, შავ თვალებსა და მსხვილ ნაწნავებს ვერვინ აღუდგე-ბოდა წინ.

გაოცებულ ალფ-ასლანს მუხლი მოუყრია მის წინაშე და ვით არამინიერ, ზეციდან მოვლინბულ არსებაზე, ისე ულოცა.

გვერდიდან არ იშორებდა თურმე მრისხანე მპრძანებელი თამთას, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისი სილამაზე ედგა თვაწლინ.

ვერც ოქრომ და ვერცხლმა, ვერც ალმოსავლეთ მპრძანებელთა აურაცხელმა სიმდიდრემ და ფუფუ-ნებამ ვერ მოხიბლა თამთა, სამშობლოზე ფიქრით ჩამომდნარა საწყალი ქალი.

არავისთვის გაუმხელია ქმუნვის მიზეზი. გულში ჩაუკლავს დარდი და ვინც არ უნდა მისულიყო მის სა-ნახავად, დასტაქარი თუ დავრიში, ყველას მშობლიური სოფლის ამბავს ეკითხებოდა, თურმე.

დადარდიანებულა ალფ-ასლანიც. დასტაქები-სათვის წვრილად გამოუკითხავს თამთას სწეულებათა მიზეზი... ისიც გაუგია – ძველი ბერძნები ამ სწეულებას „ნოსტალგიას“ უწოდებენ, თავიანთ ენაზე, რასაც ჩვენებურად „სამშობლოს სევდა“ ჰქვია, ჩემო ვარდო...

გულისყურით უსმენდა თამარი გოგინას მონათხ-რობს. თამთას ბედმა დაალონა, თავის ცხენი გოგინას ცხენს მიაკრა ისე, რომ გოგინას სუნთქვაც კი ესმოდა ლამის წყვდიადში.

– თამთას ბედმა ხომ არ შეგაშინა, ჩემო ვარდო! – თქვა გოგინამ და ალვირი მიუწინ „მერცხალას“.

– შენთან არც ჯოვოხეთში შემეშინდებოდა, – თქვა თამარმა, მერე ალვირი მიუშვა ცხენს, რძნავ წინ გაუსწრო გოგინას.

– მერე, მერე, რა დაემართა თამთას? – იყითხა ცნობისმოყვარედ.

– სამშობლოზე ფიქრით დასწეულებულიყო თამ-თა... რა მოგარჩნსო, – ეკითხა ალფ-ასლანს.

– რა და, ჩემი სოფლის წყალიო, – უთქვამს თვალ-ცრუმლიან თამთას.

– შენი სოფლის წყალიო?! – გაოცებით უკითხავს ალფ-ასლანს, – ნუთუ ისეთია, სწეულებას რომ კურ-ნაესო, იგო?

– უბრალო როდიაო ჩემი სოფლის წყალი, იგი წამალიაო სამშობლოსათვის დაკარგულისათვის, – უთქვამს თამთას.

იმავე დღეს გამოუგზავნია ალფ-ასლანს მალემსრ-ბოლი საქართველოში, დღე და დამე უვლიათ. მიულწე-ვიათ ჩიხორიშამდე, გაუესიათ თუნგი, სწრაფად შემჯ-დარან ცხენებზე.

ამ ადგილებში რომ მოსულან, მალემსრბოლს



შხატვარი სოფომ ჭელიძე

უფიქრია, რა წყალია ნეტავი ისეთი, სწეულებას რომ ჰქურნავსო.

რამდენიმე ყლუპი მოუსვამს თუნგიდან, მერე შეშ-ინებია, ნაკლული თუნგი როგორ მივუტანო პატრონსო და ხვილიშის წყლით შეუესა იგი...

სწრაფად გადაუვლია მთები და ველები, დროზე შეუსრულებია თურქ-სელჯუქთა სარდლის ბრძანება.

საკუთარი ხელით მიურთმევია წყლით საგსე თუნ-გი თამთასათვის ალფ-ასლანს...

ღონებიხდილ თამთას ძლიეს წამოუწევია სარე-ცელზე თავი, სიხარულით მოუსვამს წყალი, მერე პირ-ჯვრი გადაუწერია და უთქვამს: „რა კარგი ხარ, ჩიხ-ორიშო, ხვილიშა რომ არ გერიოსო“... – უთქვამს და იქვე განუტევებია სული.

დამწერებულ ალფ-ასლანს დიდხანს უგლოვა თამთა, მერე უბრძანებია: – თამთას ნეშტი წაიღეთ და მის მშობლიურ სოფელში დაკრძალეთო.

სოფლის შესასვლელთან ერთ პატარა ბორცვზე დაუკრძალავთ გაუხარელი ასული.

ამბობენ, თურმე, საღამოობით მოფრინდებაო თამთას სული ამ საფლავთან, ესალმუწებაო ჩიხორიში წყალს. განთიადისას კი ერთ პეშვ მინას უბეში ჩაიყრის და ისევ მიფრინავსო უცხო ქვეყნებში სახეტიალოდ.

ბევრჯერ უცდიათ ჩიხორიშელებს სულის დაჭ-ერა, მახეც კი დაუგეს საფლავის სიახლოვეს, მაგრამ გრძნეული ყოფილა თამთას სული, წინდაწინ გრძნობსო მოახლოებულ ხიფათს და დროულად გაეცლებაო ჩასა-ფრებულებს.

გოგინამ შეატყო სიბნელეში იცრემლებოდა თამ-არი.



– ნუ, ნუ სტირი, ჩემო ვარდო, თორემ არასოდეს ალარ მოგითხობ ასეთ მწუხარე ისტორიას.

გაიცინა თამარმა, ცხენს მათრახი გადაუჭირა, წინ გაიჭრა სიბნელეში. ფეხდაფეხ მიჰყვა გოგინა, – მომყენითო, – გასძახა მაყრიონს.

– დღეს ჩენი ბეგნიერების დღეა, ჯობდა უფრო მხიარული ამბები გაგვეხსენებინა, – მოესმა გოგინას თამარის ხმა.

– მხიარული ამბებიც ვიცი, ჩემო ვარდო, – გასძახა გოგინამ, – გინდა მოგითხო, როგორ დამაფრთხო კოდანის მთაზე კურდლლის ბაჭიამ?!

– ეგ მერე იყოს, ახლა ის მითხარი, რომელია ცისკრის ვარსკვლავი ცაზე.

– აი, პირდაპირ, ღრუბლებში რომ გამოანათებს ხოლმე, მთვარესთან ერთად.

– პაპა ვარაზულმა მითხარა, ერთ დაყუდებულ ბერს გაუვლიაო გზაზე. ბზე მიჰქონდა გოდრით, თან უპნევია გზადაგზა. ამიტომაა ვარსკვლავთა ზოლი რომ გადაჰყება ცას პორიზონტიდან პორიზონტამდე.

ასპინძის ციხე გამოჩნდა თრიალეთის მთათა სწორად. თოვლიან მწვერალებს ესალმუნებოდა მთვარე შერიდან. მეციხოვნები უნუილით ანათებდნენ ცხის მიდამოებს.

– მახარობლად ვინ გავაგზავნო, ჩემო ვარდო?

თამარმა შეაჩერა ცხენი, დაელოდა, როდის მიუახლოვდებოდა გოგინა.

– ვინ და... სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, დაფრთხა ცხენი, ალვირი წარსტაცა პატრონს, მკერდით შეეჭიდა ბინდს და საურმე გზიდან გადაიჭრა ჭალაში.

– მიშველეთ! – მოესმა თამარის კივილი მაყრიონს.

ცხენს გამეტებით სტკიცა მათრახი გოგინამ და ფეხდაფეხ მიჰყვა თამარს. რამდენიმე ცხენოსანი აესვეტა წინ, გზა უყველეს და ლოდებთან მიიმწყვდიეს „მერცხალა“. უცხო ენაზე უხმობდნენ ერთმანეთს. გაშიშვლებული ხმლები ეკავათ ხელში. უთავბოლოდ იქნევდნენ აქეთ-იქით. გოგინასა და მაყრიონის შეკავებას ცდილობდნენ დამხვდურნი.

– ვინა ხართ, რა გინდათ! – დაუყვირა შემოფეთებულებს გოგინამ. ხმა არ გაიღეს უცნობებმა. ალმართული ხმლებით მიეტევნენ ზედ, ალაფს მიტანებული ტურებივით აკივლდნენ ირგვლივ.

ანანია წამოენია პატრონს.

– ჰეა, მაგათ! – დასძახა ხმამაღლა. ყალყზე შეაყენა დაოთხილი ცხენი, შიშის მომგვრელად დასჭყივლა დამხვდურებს, მერე შემოჩეხილთ მერდით ატაკა ყალყზე შემდგარი ცხენი, გამეტებით გადაჰყრა ხმალი, ლოდებში ჩასჩარა ცხენიანად მხედარი. უზანგებზე გასწორდა წელში, – მომყევითო! – გასძახა წამონეულ მაყრიონს.

დაფრთხენ უცნობები, პირი იბრუნეს და თავქვე დაეშვენენ, ჭალაში.

გაშლილ ველზე მისდევდნენ ტანმორჩილ ცხენებზე მჯდომი, ბეჭებ ბრტყელი მეომრები თამარს. „მერცხალას“ სადაცე ბოლომდე მოუშვა გოგინამ, გავაზე სიბრტყით გადაჰყრა ხმალი. ამას ელოდა თითქოს ცხენი. ელვასავით გააპო ჰაერი და ისარივით გაიჭრა წინ.

მკერდით ატაკა ცხენი შემოჩეხილ მონლოოს

გოგინამ, მერე გამეტებით გადაჰყრა გაშიშვლებული ხმალი. რკინაზე გაინკრიალა ნაწრთობმა ჯავარდენმა, სწრაფადვე მოუნაცვლა დარტყმა, ჯავშანიანად გაჰკვეთა დამხვდური.

ყურებში უწიოდა თამარის ძახილი. გრძნობდა, როგორც იქ, ვარძის მიდამოებში, მტკვრის მღვრიეტალები ხელიდან გლევჯდნენ გვანცას, ახლაც, ამ ბინდში, ასპინძის ციხის სიახლოვეს, ეცილებოდნენ მას სიბნელებან ასევეტილი შავი მაჯლაჯუნები გვანცას ორეულს.

– თამარ! – უმისამართოდ იძახდა ველზე, თითქოს თვალებში ბინდი ედგა, ვერაფერს ხედავდა, გარდა წინ მქროლავი თამარისა.

– აუუ! – ჰეიოდა სხვისი ხმით.

თავგამეტებით მიუშვა ცხენი, უზანგზე წამოიწია, კვლავ თავგამეტებით გააპო ჰაერი.

მტკვრის ნაპირზე ალმართულ ძენებთან გამოჩნდა ხუთიოდე მხედარი, რომლებიც მანდილაფრიალებული ქალის მომწყველევას ცდილობდნენ შუაში.

წამოენინენ უცნობებით თამარს, ლაგამი წაჟავლივეს ხელიდან და კაკავეთის ფონისაკენ იბრუნეს პირი.

გზა გადაჰყრა მაყრიონმა ცხენოსნებს, ქვა-კარკლებთან მიიმწყვდიეს თავდამსხმელები. მხოლოდ ყიუინი ისმოდა ირგვლივ. ხმლების წკრიალს მეომართა გმინვა და ყვირილი უერთდებოდა მთვარის შუქზე. ხელჩართულმა ბრძოლამ მცირე ხანს გასტანა, როცა ასპინძის ციხიდან ჩამოეშველნენ მაყრიონს, მათ ბრძოლა უკვე მოგებული ჰქონდათ.

\* \* \*

დიდხანს ეძებს მექორნინებმა თამარი. ბოლოს მტკვრის ნაპირზე, კლდეკარულას შესართავთან მიაგნეს, რიყეზე ესვენა დედოფალი. თეთრი ცხენი თავზე ადგა გულწასულს და წამდაჟუნუმ ფრუტუნებდა და ობლად დარჩენილივით, ცივი წყალი ასხურა სახეზე გოგინამ. თუთის არაყით დაუზილა საფეთქლები, ძლივს გაახილა თვალი თამარმა: – სად ვარო, – იკითხა შეშფოთებით. შემდევ მზერა გაუსწორა გოგინას. მტრედივით მიეკრა მძლავრ მკერდზე, მერმე ცრემლები წასკდა მის შავ თვალებს და ხმამაღლა ატირდა.

თვალები ამოუმშრალა გოგინამ, თითებით გადაუვარცხნა სახეზე ჩამოშლილი თმა. მკერდზე მიიკრა მოცახცახ ასული, თან თავისთვის ბუტყუტებდა ხმამაღლა: – ნუ, ნუ ტირი, ჩემო ვარდო. ვიდრე სული მიდგას მკერდში, ვერავინ წამართმევს შენს თავს.

ბავშვივით იცრემლებოდნენ გარშემოხვეულნი, გულით ინანილებდნენ პატრონის ბედნიერებას.

ბავშვივით აიტაცა ხელში გოგინამ თამარი და ჭალიდან საურმე გზაზე გამოიყვანა:

– ნუ მოგიწყნიათო! – გასძახა მაყრიონს. კვლავ სიხარულით აენთო მისი გული...

კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს ოვაბში, ჩემო ვარდო. – ჩემად, თითქოს ყურში წასჩურჩულა მკერდზე მინაბულ თამარს. მსუბუქად წამოაყენა ფეხზე, ამაყად მიმოხედა ირგვლივ და...

– „მრავალუამიერო!“ – გასძახა მაყრიონს.



## კონკრეტული მოდებაძე

სირთულის გრძნობა დაუკარგვთ  
თოვლიან ქედებს  
და შინის ნინაშე მოძველერულ  
სამოსას იწყლიან,  
თითქოს მწყემსებმა იალალი გამოიყენეს  
და ჟარად ჩაჲყუნენ ხევებს ნისლიანს.

კონკრეტული მოდებაძე

41



სირთულის გრძნობა დაუკარგვთ  
თოვლიან ქედებს  
და შინის ნინაშე მოძველერულ  
სამოსას იწყლიან,  
თითქოს მწყემსებმა იალალი გამოიყენეს  
და ჟარად ჩაჲყუნენ ხევებს ნისლიანს.

## რირჩეულო

ნეტავ გვიანი გრძნობის ცირცელი  
მზეს შემახედა შენი თვალებით,  
გამაგებინა, მაგ შენს კენეროს  
რად ვერ აშინებს ცივი ქარები?

ანდა, დროებამ რით ვერ მოღალა  
ყოფა ტებილ-მწარე, როგორც იელი?  
რომ განერიდოს ფერთა მუქარას  
შემოპარება გადამთიელის.

დროა გვიანი – გრძნობა ცირცელის,  
ფოფინა რტოთი ვუმზერ განთიადს,  
ალარ გაკლია ფერი წითელი,  
ალარც ლიმილი ალარ გაკლია.

ნეტავ გვიანი გრძნობის ცირცელი  
მზეს მომახვია შენი მელავებით,  
აგერ ნიავი ისე პირფერობს  
ვით კაცისმეკლელი ხელთათმანებით.

ვიცი, ამ ყინვას გაუძლებს დიდხანს,  
მიტომაც მცირე ვარ შებრალებით,  
რომ პეპლებივით დღემოკლე ფიფქვას  
დარჩები მარად მიუკარები.

ნაგვიანებო ჩემი ცირცელი  
რით ვერ გაშინებს ღია კარები?  
შენ იცი, ალბათ, რა უძირძველო  
ჟინით დაჰჭრიან ცივი ქარები.

\* \* \*

უპოვარ არსის ამაო განცდას  
გადაჲყუნენ ნლები და გული დამწყდა  
და უიმედო იმედის დაცდა,  
როგორც არასდროს მომეპყრო მკაცრად.

რაც კი დრო გადის, მატულობს დარდი,  
ამაოებას ვეძახი: წადი!  
უსიყვარულოდ რა ფუჭად გადის  
ყოველი დღე და ყოველი წამი.

## საქორწილო

ჭაშნიკ-ჭაშნიკ დადუღდები,  
მარნიდანვე გამოვთვრები,  
კოცნა-კოცნით დაქალდები,  
საქორწილოდ მოირთვები.  
ვინაც უსხედეს სუფრას მაშინ,  
დაგვიკარით ყველამ ტაში,  
რომ სიცოცხლე ვიგრძნოთ მასში,  
უსასრულო ამ ტრფიალში.  
ჭაშნიკ-ჭაშნიკ, მაგ დალალში  
სამუდამოდ დავმკედრდები,  
კოცონ-ალში, სწორედ მაშინ  
აღმაფრენით გავმდიდრდები.  
მარნიდანვე, ქვევრის თავში,  
გავეხვივ თრობის ხსნაში,  
მე იმიტომ მიყვარს თრობა,  
რომ ვბედავდე შენთან არშიყს.  
ჭაშნიკ-ჭაშნიკ, კოცნა-კოცნით,  
ღმერთო, მარად მალოცვინე,  
ორი გულის სიყვარული  
ახარე და ალორძინე.

\* \* \*

რა საოცრად გაზაფხულდა,  
რომ დაგვითბა მიზნის მოსხმად,  
მზე ღიმილით დაგვიპრუნდა  
და მომინდა ყოფნა მგოსნად.





სხივმა ჩრდილი მიმოფანტა,  
მიახატა მთების კალთებს,  
ციკლამენთა თოთო ფარდა,  
გაზაფხულო, დაგვიფარე.  
თუ არ გენვის სული ძველით,  
რას გაუგებ ახალ სითბოს,  
უმიზეზოდ არ რბის წლები,  
არ დაგიცდის, არ დაგინდობს.  
სად ხარ, სად ხარ, სიზმრის მგვანო  
სიჭაბუკევ გაქუსლულო?!  
დრომ კვლავ უნდა გადიკაროს,  
ნატვრა უნდა აგვისრულოს...

## გრძაფხულის ჟურნალი

სირცხვილის გრძნობა დაეუფლათ  
რტყოშიშვებ ხეებს,  
ვით ადამ-ევას,  
შეცდომის მერე...  
შლიან მარაოს  
ყვავილები სიფრიფანები  
და სურნელს ფენენ.  
სირცხვილის გრძნობა დაეკარგათ  
თოვლიან ქედებს  
და მზის წინაშე მოძველებულ  
სამოსს იცვლიან,  
თითქოს მწყემსებმა იალალი გამოიკეტეს  
და ბარად ჩაჰვინენ ხევებს ნისლიანს.

\* \* \*

უფერო, უჩინარი,  
მაგრამ მგრძნობიარე,  
შენი ჰაერი გაზაფხულო,  
შენი ჰაერი...  
მდიდარო ნიავო  
სულში გამიარე,  
ეგებ ამარიდო სევდა-ნალველი...

ოცნებით რამდენი არე მოვიარე,  
მხოლოდ მოგონებით ვიპრუნებ გაფრენილს...  
ჩვენდა სანუგეშოდ,  
ჩვენდა საიმედოდ,  
ამბარმსხმოიარე შემოდის აპრილი.

პირველ წვიმას ველი,  
– ბინულთ გახევებას,  
ილოცეთ, მიტევებით  
ოცნება აგიხდეთ,  
სადაც ძალუმია ტრფობის აღზევება,  
ყველას, ყოველივეს  
ღვთის გული დაიტევს.

ოცნებით რამდენი არე მოვიარე,  
მოდის აყვავება,  
ლოდინით ნაფერი,  
სულში შემოიჭრა ამბარმსხმოიარე,  
შენი ჰაერი გაზაფხულო,  
შენი ჰაერი.

## ზორჭომი

აქ კაცს რა მოჰკლავს,  
თუ სილამაზით ელდა არ ეცა?  
ხეობის ქალაქს სტუმრის თვალით  
დაჰყურებს ზეცა.  
ჩემო ქალაქო, სილამაზით  
ამაყი თუ ხარ,  
ეგ უნებლიე სიამაყე  
მოგშლოდეს ნულარ!  
შენთან წამოვალ ტყის პირებზე,  
ის საკრეფად,  
შენთან ამოვალ მზის პლატოზე,  
ცაში აფრენად.  
ჩემს ბორჯომ-ქალაქს,  
მარადიულ სიგრილის ქალაქს,  
სიტურფის მგვრელად  
ქალის ეშის აღმური ფარავს.  
აქ კაცს რა მოჰკლავს,  
ამ მიწის წყალს თუ ეზიარა?  
ან ამ ცის ჰაერს,  
სურნელებით სავსეს ტრფიალად?  
დამაშვრალ სულის სავანეში  
შესვლა დამძალავს  
და სევდისაგან განწმენდილი  
შევძახებ სალაში.  
ჩემს ბორჯომ-ქალაქს,  
მარადიულ სიცოცხლის ქალაქს,  
მთაში თუ ბარად შვებისმგვრელი  
სიმწვანე ფარავს.

## ალაზანის იქილ

შენი თვალები სახსოვარები,  
შენი ტუჩები და ალუჩები,  
ისევ მეძახის სიშორის გამო,  
ამ გრძნობას ველარ გადავურჩები.

ალაზანს იქით დამრჩა ოცნება,  
ალაზანს აქეთ მომყვა ფიქრები,  
მთხოვდი: – დაბრუნდი, ისევ დაბრუნდი,  
თრობის მარანში ერთად ვიქნებით.

წვიმა მოიჭრა ლეკეთის მხრიდან,  
როცა სალხინო სუფრა გაშალეს,



შემოესია კახეთს ლეკივით  
სუტყვანარევი ხელის შემშლელი...

გადაინაზა სუფრა ნამული  
ეზოდან სახლში, აივნის ძირას,  
გამხიარულდა კახთა მამული,  
ამტევნებული ალაზნის პირას.

ომ, ვერ დაგპირდი, რად ვერ დაგპირდი,  
იმ დაპრუნებას, კოკობ-ვარდებით?!  
რომ დავიწყება არ დამედარდა  
ასე სისხამი გულში ნადების...

შენი თვალები სახსოვარები,  
შენი ტუჩები და ალუჩები,  
ისევ მეძახის სიძორის გამო,  
ამ გრძნობას ვეღარ გადავურჩები.

\* \* \*

ქარბორია, არბორია,  
ბორიალა ქარი,  
აი, თურმე როგორია  
ზამთრის ბოლო ზღვარი.

ეფემერულ მარტის ნამქერს  
ნაიყოლებს ჩქარი,  
ეს რუები, ეს მდინარე,  
სათნოების მგვანი.

შინდი ფერავს ყვითლად რტოებს,  
სიოდ დანდა ქარი,  
ეთხოვება სიმარტოვეს  
ენძელათა ჯარი.

ნაზად ამხელს მარტის სათქმელს  
ბორიალა ქარი;  
აი, თურმე, როგორია  
გაზაფხულის ძალი.

## კალმახი

თავნება თქეშის უცნაურ ხმებში,  
მზე იმალება ვნებან ეშით,  
და ეს მდინარე უცხო თარეშით,  
აალიმილებს სიცოცხლეს ხევში.  
გაახელს ფორებს ჭალაკის ტევრში,  
კალთაში შეხლილ ბედის თარეში,  
მფრთხალი ოცნება, როგორც თამაში,  
შემოსეული ნალკოტ მხარეში.  
თევზად ქცეული ლერნმის ასული,  
სიცოცხლით საგსე ზღვა ნეტარებით,  
კალმახი ძენნის რტოზე ასხმული  
და სიხარული ნამწვერვალები.

## ნეინდა ხარ

კუძღვი ჩვენს პატრიარქს – ილია მეორეს

შენ იწმინდები სანთელივით  
და გზას ნახულობ,  
შენ გაზაფხულის ჰაერივით  
სურნელი გმოსავს,  
გალობად ჰყავი მრისხანება  
ზენას მსახურო,  
გალობად ჰყავი გაზაფხულო,  
აღდგომის მოსვლა!  
გალობად ჰყავი... რადგან ისევ  
თეთრი აპრილი  
ააბიბინებს სირცხვილნარევ,  
რტოშიშველ ბალნარს,  
განვედ სატანავ, შერცხვენილი  
და თავდახრილი!  
განვედ ურჯულოვ, შორიშორად,  
ამ მიწის გაღმა!  
დაე, აპრილმა დააფინოს  
ნაზი ყვავილი,  
უცხედრო საფლავს,  
ანგელოზთა საფეხურებად,  
ცაც შეიკაზმოს აისიდან  
ფერუმარილით,  
ფრთა დაუკოცნოს ლვთის ამალას  
მზის ალმურებამ.  
სიმსუბუქეში სვლა სულისა  
სასიხარულო,  
სიასამურის სილამაზით  
მელამუნება,  
დიდო მოძღვარო, მადლი შენდა  
და სიყვარულო,

## იმერეთის გაზაფხული

იმერეთის გაზაფხულო,  
ჩემი შთაგონების წყარო,  
ჩემო თვალებდათაფლულო,  
მუდამ გეტყვი, – მიყვარხარო!  
ბალო, მარწყვებდართვიდლულო,  
ბალო, ნესვებდათაფლულო,  
ეგებ ისევ მასვა ღვინო,  
ეგებ ისევ დამაბურო.  
მიმოზებში გარინდულო,  
ნეტავ მწარედ არ იხუმრო,  
გულის კარი სამიჯნურო  
ნეტავი არ დამიხურო.  
ჩემო სახეგაბადრულო,  
სილამაზევ არნახულო,  
ტრფობის თვალით დანახულო  
იმერეთის გაზაფხულო.





რომ ცისმარება უკვე აღარ  
მენაკლულება.  
მოაკრიალებს კვლავ რიურაჟი  
ცას უსასრულოს,  
შეახმიანებს მახარობლად  
უბადლო მგოსანს,  
გალობად ჰყავი, მრისხანება  
ზენას მსახურო,  
გალობად ჰყავი, გაზაფხულო,  
აღდგომის მოსვლა!

## გასეირნება სიურთლეში

მე რა მინდოდა, ვინ დამეკითხა?  
ასე ყოფილა ნება განგების,  
მე მოვევლინე, რომ ვყოფილიყავ  
სიკეთისა და ცოდვის ჩამდენი.

რადგან მებედა, ცად ამეხედა,  
ნამიც მადლია ჩემი აქ ყოფნის,  
ვეთაყვანები ქვეყნის შემქმნელს და  
მცირედისთვისაც უფლით კმაყოფილს.

გასეირნება არასდროს კმარა,  
გასეირნება ტკბილ-მწარე გზაზე,  
და ეს სიცოცხლე მადლის ბეგარად  
ჩუმად შეგვმოსავს სიბერის ხავსით.

მე რა მინდოდა, შენ რა გინდოდა,  
ეს არჩევანი ჩვენი სად იყო?  
ბოლოს, განკითხვის სანაპიროსთან  
შენ გადარჩები გზავ, ჭეშმარიტო.

მე რა მინდოდა, რისთვის მეკითხა?  
მადლობელი ვარ, ნებით განგების,  
მე მოვევლინე, რომ ვყოფილიყავ  
სიკეთისა და ტრფობის ჩამდენი.

## ქეგობრობა

შეფერავს დრო თავის მინანქარს,  
დრო ფერით იგრძნობა სოფელში,  
მოქარავს წარსულის მინაქარს  
შეხვედრა ძირძველი ძმობილის.

შეფერა დრომ მთაში ცირცელი,  
ნათიბარ ზეგნების ნაპირას,  
მონავდა ნიავი პირფერი,  
ფოთლები ღრეუები ჩაფინა.

ჩაფინა და მაინც ისეთი  
სიყრმული ოცნება ანთა,  
ხატავდა დღემოკლე მილეთი  
ფერადი ტყეების განთიადს.

და მაინც რაღაცას მალავდა  
ფრთასავით ფოფინა ნიავი,  
ჰყვებოდა ცხოვრების ბალადას  
ლეკების ლეკური შრიალი.

შეფერავს დრო თავის მინანქარს,  
დრო ფერით იგრძნობა სოფელში,  
მოქარავს წარსულის მინაქარს  
შეხვედრა ძირძველი ძმობილის.

## ქრისტე

შენ ჩემი ცეცხლის გარდამოსვლა ხარ,  
– საფლავის ლოდის გადაგორება,  
შენ ჩემი შვება, სულის მოთქმა ხარ,  
– ბედნიერების განმეორება.

შენ აღდგომა ხარ, შენ ამაღლება...  
გადარჩენა ხარ და მოთმენა ხარ,  
მანამ გინამე, ვიდრე მირონი  
ჩამოლვენთილი ხატზე მენახა.  
შენ სისხლი ღვარე, შენ ხორცი დათმე,  
გადარჩენისთვის, კაცთა მოდგმისთვის,  
შენ ხარ მესია, შენ ხარ ახდენა,  
შენ გზა ხარ, ჩვენი ტაძრამდე მისვლის...  
შენ, ვრაც გაგცა, დაგაკლო არც რა,  
კვლავ აღდგომილი აენთე ზეცად;  
– ბოროტთა მიმართ გამოსარჩლებად,  
მდაბალთა სულის გადასარჩენად.

## ჭრილების ფლეხანული

სანთლების ხეივანი გადახრილი სიალით,  
როგორც უფლის ლიმილი,  
მსურდა შენი ტრფიალი.

სასწაული მინდოდა და ღმერთის სამკაული,  
შენი ერთი შეხედვა არის დღესასწაული.  
კურთხეული სანთელი დალვენთილი კალთაზე,  
ჩემი სულის ტაროსის შენა ხარ სილამაზე.  
მუხლოყრილი ტაძარში არვის შეებრალები,  
ჩემი რწმენის თავდები არის შენი თვალები.  
სანთლების ხეივანი გადახრილი სიალით,  
ამ სანთლების ალია სულის სიიდიალე.  
მირონჩამონადენი აბრძანია ხატები,  
გუმბათიდან აისის შუქის შემონათებით.  
ეს ლვთის ათინათია, შენს შუბლზე რომ ეშვება  
და მწვავს სულის ტაროსი სიტურფისგან  
შეშლილი.

მირონჩამონადენი აბრძანია ხატები,  
რარიგ სასწაულია, გიმზერ და მენატრები!



ავტონომიური  
ივანები

გამოყენებას შინდჭი მოერთ,  
გულზე ანეთ ფარადი მძიმე:  
ვარსკვლავებო, რას გვპირდებით,  
თვალები რომ გირგმირებო?

ରୀତ କିମ୍ବାଖି ଗ୍ରାମ୍ୟରେ, ରୀତୋତ  
ମନ୍ଦିରଙ୍ଗଳରେ ମନ୍ଦିର ମେଘାନ୍ଦାର୍କି, -  
ରୀମି ପ୍ରେରାଭଗରେ ଗ୍ରାମ୍ୟରୁକୁଳଫିଲ  
ମିଶର-ମାର୍କେଟ ଫରନ୍ଦାନ୍ଦାର୍କି.

ავთანდილი ივანიძე



၁၂၈၃၅၂၀၉၉၂

მაღვენებს, ნაზს და ასე ვნებიანს,  
მაგ ყელს შორიდან როცა ვუცქერი...  
ანდა ეგ შენი ბაგებია,  
თუ უნაზესი ვარდის ფურცლები,  
ვეტრფი შენს მზერას და ვეფერები,  
ბინდისფერით რომ არის ნაზავი...  
და მიყვარს შენი თეთრი ხელების  
ნაზი შერხევა მტრედის ფრთასავით.  
განსაცდელშია სამშობლო როცა,  
დღესაც განგაშის ზარებს რომ რეკენ,  
ო, უნაზესო! მე ისევ გლოცავ,  
მამულს რომ უზრდი ალგეთის ლეკვებს.  
და ახლა ვდგები ნარიყალასთან,  
როგორც დაბჯრულ ქართველს შეჰვერის,  
ვარ გმირი: მართლა, ანდა – ანაზდად,  
ქართველ ქალის დამფასებელი.  
არ გაგიკვირდეს, თუ სევდაც მახლავს,  
ზოგჯერ მიზეზი არის მოწყენის...  
იმ ქართლის დედას გადარებ ახლა,  
მთელ საქართველოს რომ გადმოსკერის.

კრთის მაგ თვალების გიშერი,  
აპა, შენ ვინ და მე ვინა...  
ღმერთი უშველის, ვინც შენით  
თვალს წყალი დაალევინა.

ମୁଦ୍ରଣ

ლამეა და არემარეს  
ჩვილ ბავშვივით მშვიდად სძინავს,  
გალეულა დარღით მთვარე:  
– რა მოელის დეფამინას?

დღოა ისევ ბრძოლის, დავის...  
ქართველი რომ ვეღარ ხარობს –  
რა იქნება ხვალ ნეტავი?  
რაზე ფიქრობს ეს სამყარო?

გახვეულან ბინდში მთები,  
გულზე ანევთ დარდი მძიმე:  
ვარსკვლავები, რას გვპირდებით,  
თვალები რომ გიციმზიმებთ?

რა პასუხი გავცეთ, რიდით  
მომავლიდან მოსულ მსტოვარს, –  
რომ ვერაფრით გავუფრთხილდით  
მამა-პაპის დანატოვარს.

ქართლის დედავ, მთვარის შუქზე  
თეთრ მანძილს რომ მკრთალად აჩენ,  
კიდევ ერთხელ გაგიზარდე,  
ვინჯ ქართულ გენს გადაარჩენს!

მოგვაცილე დარდის სალტე,  
სინაძღვილედ იქცეს მითი....  
კიდევ ერთხელ გაგზიზარდე  
გორგასალი, ან დავითი!..

## ხალხური მოტივებიდან

ქალო, ყვავილი უფრო ხარ,  
დედაბუნების ნახატი,  
ემაგ წამნამთა ჩეროდან  
მიგონა დამინახაუდი.

კაცს (თუმცა მანიც არ მჯერა)  
ლუპავს გრძნობების აყოლა;  
იმისი მზერა გაჩვენა  
ვინც თვალი გამოიაყოლა.

## საწყობო

სიცოცხლიდან სიკვდილამდე  
ერთი, ბეწვის ხიდია.  
ძალით მიჰყავთ ხიდთან, ზოგნიც  
თავის ნებით მიდიან.

ვარსკვლავები განაგებენ,  
მარსია, თუ მარიხი...  
იქ სწერია დაბადების  
და სიკვდილის თარიღიც.

46

შენ სიცოცხლე უწოდე და  
სიზმარია პატარა...  
და რომ გვიჭირს საწუთოში  
ერთმანეთის გატანა, —  
უხარია ჩვენს მტერსა და  
უხარია სატანას.

\* \* \*

უნდა ვირწმუნო,  
რომ ალარსად ალარ მელიან,  
თუმცა ეგ ყელი  
ჩემთვის თეთრი მთის ჩანჩქერია.  
თუმცა სხევისი ხარ,  
მავინდება, რომ ვარ მოვალე —  
არ გავეკარო შენი მკერდის მაღალ ოვალებს,  
მაგრამ დამტანვას  
მოლოდინი უძიედობით, —  
ბედის განაჩენს  
არ ვმორჩილებ, რომ არ ვენდობი.  
რომ არ მიყვარდე  
მაშინ ღმერთი ჩემი ნეკნიდან  
შენს სილამაზეს,  
შენს ხატებას ხომ არ შექმნიდა.  
შენ ყვავილი ხარ,  
სამშვენისი მწვანე მდელოა,  
რომ არ მიყვარდე...  
საკვირველი ის იქნებოდა.

## ჩელოზი ხარ

გნახე და მაშინ გათენდა  
ჩემთვის, გიყურებ როცა, —  
ხატის წინ სანთელს ვანთებ და  
შენს დაბადებას ვლოცავ.  
ისეთი შეგქმნა განგებამ,  
სიტურფე — განაცვიფრები,  
ველარას გეტყვი საქებარს,  
უფალს ვერ გავეჯიბრები.  
არც შემინდობს და არც ვითხოვ, —  
ღმერთი ზვარაკად ამირჩევს...  
ანგელოზი ხარ და თითქოს  
ხატიდან გადმოაბიჯე.

\* \* \*

(ნ.ი.-ს)

ველს შვენის ვარდის სვირინგი,  
ყაყაჩოსფერი გზებია...  
დებო, ოცნების ბილიკით  
საითკენ გაგიწევიათ.  
სიამით შეიფრთხიალა  
გულმა, რა ბედი მწვევია, —  
ვიფიქრე, დები კი არა,  
ირმები მოირწევიან.

გულო, დამშვიდდი, ჩიტივით  
რად გსურს რომ მაღლა იფრინო...  
იმ ერთ დას ისე ვუყურებ,  
როგორც გნოლს თეთრი მიმინო.

სენი ყოფილა პოეტის, —  
ვინც გვიყვარს, რას არ ვადარებთ  
და მის ხატებას ყოველთვის  
ავგაროზივით ვატარებთ.

\* \* \*

ხდება ხანდახან,  
ცხოვრებაში არის წუთები, —  
მარტოონბისა  
გვეშინია და ვუძლურდებით.

თუ არ დაეძებ  
სიყვარულს და გულით მეგობარს,  
მარტო დარჩები  
და სასჯელად ეგეც გეყოფა.

სჯობდა ვეტანჯე  
სიყვარულს და ქარში ხეტიალს,  
ახლა უშენოდ...  
დალამდა და უკუნეთია.

## ქართლის გზებზე

ქართლში ვაზებს დახვევიან ფუტკრები,  
გზის პირებზე ცეცხლოვანი ანწლია...  
მხოლოდ მაშინ დაგივინებებ, თუ მტრები  
გულს მკერდიდან ძალით ამომაცლიან.  
შენს მშვენებას ვიცი არ აქვს სამანი, —  
თითქოს ქართლის გზებზე დადის ფერია;  
სილამაზე სიყვარულს შობს... და მაინც  
მისი მტერი და მოშურნეც ბევრია.



\* \* \*

უაზრობაა, ვამბობ სწორედაც,  
ამ წვრილმანებზე ატყდეს ხმაური, –  
მერე რა?! თუკი მომეწონე და  
შეგხედე, გითხარ ქათინაური.

აქ ყველაფერი მშვენიერია:  
ზურმუხტის ველი და მწვერვალები;  
აქ ყველა ქალი არის ფერია,  
ცისკრისფერი თუ შავი თვალებით.

დედას, დას, სატრფოს რომ უგალობოს,  
ამ ჩვევას კაცის გულში ვერ მოშლი.  
ძეგლს, ძეგლს უდგამენ ქართველ დედას და...  
ქალს ადიდებენ საქართველოში.

უაზრობაა, ვამბობ სწორედაც,  
ამ წვრილმანებზე ატყდეს ხმაური, –  
მერე რა?! თუკი მომეწონე და  
მინდა შეგამკო ქათინაურით.

\* \* \*

ადგილად განდევნი  
დარდს, განცდას სიმწარის,  
მანამდე იცოცხლებ,  
ვიდრე გაქეს მიზანი.

თუ სევდა ფიქრებში  
ხვლიკივით მოძვრება, –  
გულს გაგიხალისებს  
და გიხსნის ოცნება.

შრომით და სიმშვიდით  
შეიქმნი ბარაქას,  
ნუ შეუშინდები  
ფლიდსა და არაკაცს.

არა, – განსაცდელში  
მოგვრილი სიხარბე,  
ქმნა სიკეთის და...  
მამული გიყვარდეს.

\* \* \*

სხვისი ხარ, არავინ დამითმობს  
შენსას არათერს მისხალსაც...  
აქ დამნაშავე ვინ არის,  
ან დანაშაულს ვინა ზღავს?  
ჩემი ცხოვრების გზა-შარა  
მიქციე კლდე-ლრედ, ორწოხად...  
და მაინც ბედნიერი ვარ,  
რომ გიყურებ და მომწონხარ.

\* \* \*

ხარ შშვენიერი, ვითარც ღვთაება,  
კვლავ ახალგაზრდულ ფიქრებს გამიჩენ.  
სიცოცხლის ძალას და უკვდავებას  
კაცს სიყვარულის ძალა ანიჭებს.  
ფუჭია, რასაც მიზნად ვისახავ,  
ჩემი ცხოვრება მიდის ტაატით...  
შენ რაღაც, ოცდახუთი წლისა ხარ,  
მე კი... შევსრულდი სამოცდაათის.

## თოვს

თოვს, თეთრი არის და ფერმიხდილი  
სივრცე, სათქმელი მოდის ლექსებად...  
და, ვიცოცხლოთ, თორემ სიკვდილი,  
თორემ სიკვდილი სად გაგვექცევა.  
თოვს, ამ თოვლს რომ გავს სიცოცხლე კაცის,  
რად გვახსენდება ძალიან გვიან...  
ჩვენი ნათქვამის სულ მცირე ნაწილს,  
სულ მცირე ნაწილს სიმართლე ჰქვია.  
თოვს, სისპეტაკე აოცებს თვალებს,  
რასაც ვგრძნობთ, მასაც უნდა დანახვა,  
თორემ ეს თოვლი ძალიან მალე  
გადაიქცევა წყლად და ტალახად.

## ვარსკვლავი

რა არის შენში,  
ცეცხლი გიზგიზა,  
თუ ოქრო, ვერცხლი, ანდა ბარიტი?..  
შორიდან ტყორცნი ცეცხლოვან ისარს  
და პანაწინა ხარ მარგალიტი.

იქნებ შენს მკურდზეც ბიბინებს ღოლო,  
ცხოვრობს კაცი და ჩემებრ განიცდის.  
შორიდან ასე ციმციმებ მხოლოდ  
და პანაწინა ხარ მარგალიტი.

## რყსთაველს

გარდაცვალება არ ნიშნავს სიკვდილს,  
აბა რას ვიტყვი მე ისეთს, ახალს;  
გასაოცარი ფიქრების წიგნით  
დედამინაზე შენ ისევ დახვალ.  
და კვლავც ივლი, დედასამშობლოს  
არ მოაკლდება სიბრძნე, სინათლე...  
და გარდაცვლილის ასეთ სიცოცხლეს  
დედამინაზე ყველა ინატრებს.



### ვლადიმერ ველიჩანაშვილი

48



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ გამოცემა

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სანამ კალაპი  
უფრო ძლიერი არ იქნება,  
ვიდრე მახვილი,  
ქვეყანას  
არაფერი ეშველება.

ვლადიმერ ველიჩანაშვილი

### ქრისტე

მე ჭირთა მდგომი  
ვიყავი კაცთა,  
მე ლხინსა მყოფი  
ვიყავი კაცთა,  
მე სულთა მფენი  
ვიყავი კაცთა  
და მაინც,  
ამა ყოვლისა მაინც,  
არ ამცდა  
ჯვარცმა.

### გაუფრთხილი

სწავლით, ცოდნით  
ვიყავ ოდით,  
გელათით და  
იყალთოთი.  
ვწერ თუ ვფიქრობ  
მუდამ განცდით,  
ოშკით, გრემით  
ზარზმით, ხანძთით.  
სული მქონდა  
სავსე ყოვლით,  
სამებით და  
სვეტიცხოვლით.  
ორნამენტი  
ფრჩხილის სიგრძეც,  
ჩემ სისხლად და  
ხორცად ვიგრძენ.  
ყინწვისს და  
ჯვარისფრესკა,  
ჟამს უამურს  
მუდამ ფრენდა,  
ვარძია და  
ნიკორნმინდა  
ჩემს დიდ წარსულს  
მიკოცნიდა.  
არა სხვისით, ჩემი ნებით

მიღრენია მფრინავ ქარით,  
მომიხატავს გვირგვინები  
ალმასით და მინანქარით,  
მამულისთვის რა არ ვქარგე,  
მითენია უკუნეთი  
და მამულს მტლად გადავაგე  
ჭრილობები უკურნები.  
გადავლახე მთა და ველი,  
ვიყავ იქაც მასპინძელი,  
იბერით და რუსთაველით,  
პეტრინით და მთაწმინდელით,  
გრძელი გზები გავიარე  
შავშეთით და არსანით  
და ჩემი მზე ვაბრდლვიალე  
დიდგორით და ბასიანით.  
ჩემი სისხლით, ჩემი გენით  
სად არ ვიყავ, რა არ ვნახე,  
არსად შემხვდა დამამშვენი  
ამნაირი სავენახე.  
ქვეზე ვკვეთდი, ხეზე ვჭრიდი  
მამულისთვის საგალობლებს,  
ახლა კი შენ გაუფრთხილდი,  
ლმერთისაგან ნაწყალობებს.

\* \* \*

ყველას  
ვალის გადახდას შევძლებ  
გარდა ერთისა,  
ჩემთვის სამშობლოვ!

\* \* \*

არაფრის თქმაც ხომ  
ცოდვაა,  
თქმა –  
სინათლეა ცისთვის,  
არაფრის ცოდნაც  
ცოდნაა,  
თუმც გააჩნია ვისთვის.





\* \* \*

ჟამი უჟამობის  
არ მოითმენს  
ჩვენ გვდევს უთმენელი  
მარადისი,  
რადგან ყოფა ჩვენი  
მოცომციმე  
გაელვებაა მხოლოდ წამის.

\* \* \*

ერთ კაცში იყრის  
ზოგჯერ მსოფლიოს  
სიხარული  
და სევდაც.

\* \* \*

სიკვდილო ჩემთან ვალში ხარ,  
მეცა ვარ შენი მევალე,  
სამყაროს უძლებ კანონებს  
ვერცერთი ვერ დავემალეთ.

\* \* \*

ასე ადვილად  
ნუ მოხოვ  
ვერ დავთმობ,  
ამ ალელვებულ  
სულის სიმღერებს.

\* \* \*

უდიდესი თავშესაფარი  
სამყაროში თუ რამ არის  
ეს  
სიყვარულია.

\* \* \*

როცა აქა ხარ  
არაფერიც ყველაფერია,  
როცა აქ არ ხარ  
ყველაფერიც არაფერია.

\* \* \*

ზოგჯერ დუმილით  
უფრო მეტს ვამბობთ,  
დუმილი  
სიპრძნის საბუდარია.

\* \* \*

ვიცი  
ამ ტკივილს  
თუ გავუძელი  
სიკვდილი  
აღარ დამელოდება.

\* \* \*

სამყარო  
თუ არსებობს,  
მხოლოდ სიყვარულით  
არსებობს.

\* \* \*

სამყაროს  
ყველაზე დიდი ტკივილი  
ჭეშმარიტებაა.  
ნუ,  
ნუ ეცდები მის შეცვლას.

\* \* \*

ეჭვი ყოველთვის  
ახლავს სიყვარულს,  
როგორც თოლიას  
ზღვის მღელვარება.

\* \* \*

ცოდვა და მადლი  
ყველგან და ყოველთვის  
გეხვდება,  
გააჩნია,  
რომელს ავირჩევთ.

\* \* \*

შეუცვლელი  
მხოლოდ ღმერთია,  
ღმერთის ღმერთი  
არ არსებობს.

## იქნება გვიან

გადავალთ ცეკვით ხიდზე თუ ხიდით  
მერე შუბლშეკვრით, წვალებით, ხვნეშით,  
არავინ უწყის ვინ საით მიდის  
მუდარით, ფიქრის თოკებით ხელში.  
ყვავილობს კანქვეშ მზვერავი ფითრი,  
ისევ გვერდით გვყავს შმაგი და ფლიდი,  
ისევ იღვიძებს, დღეს ისევ გვითრთის  
ცუდს თუ რამეს დროდადრო ვშლიდით.





## ქამაჩები

### შტრიხები პორტრეტისათვის

არ მახსოვეს:

სიტყვასთან ეთამაშოს,  
საქმესთან ეთამაშოს,  
გრძნობებთან ეთამაშოს,  
არ მახსოვეს:  
სიტყვა შემებრუნებინოს,  
თქმული არ შემესრულებინოს,  
არ მახსოვეს:  
ნაქცეული კაცისთვის გადაევლოს,  
ჩაჩოქილი ხარისთვის დაერტყას,  
გაქცეულ ბავშვს გამოდევნებოდეს,  
არ მახსოვეს:  
ლხინში რომ არ ელხინა,  
ჭირში რომ არ ეგლოვა,  
ოშში რომ არ ებრძოლა,  
არ მახსოვეს:  
მარილიანი სიტყვის ფასი რომ არ სცოდნოდა,  
სწავლა-შეგნების ყადრი რომ არ სცოდნოდა,  
გაჭირვებაში მყოფის დახმარების  
მადლი რომ არ სცოდნოდა,  
არ მახსოვეს:  
დღო რომ არ ეგრძნო,  
ზიზღი რომ არ გამოეხატა,  
სიყვარული რომ არ გამოემულავნებინა,  
არ მახსოვეს...

\* \* \*

გმადლობთ შენ,  
შენი წყალობა არის  
გვირაბის ბოლოს,  
სინათლე რომ ჩანს.

\* \* \*

შენი სიცრუით  
თუ დავიწვები,  
უფრო ბევრის გულს  
მოვინადირებ.



\* \* \*

მზე ჩადიოდა  
ჰორიზონტზე,  
თვალს უსწორებდი,  
შენ ჩემთან იყავ,  
ჩემთან იყავ  
ძალიან ახლოს.

\* \* \*

სანამ კალამი  
უფრო ძლიერი არ იქნება,  
ვიდრე მახვილი,  
ქვეყანას  
არაფერი ეშველება.

\* \* \*

ამ სულის  
ლოცვას  
უპირველესად  
შენ მოგასმენ,  
მხოლოდ შენ.

\* \* \*

ყველაფრის ამტანი,  
ყველაფრის მიმტევებელი,  
უწყინარი  
თოვლის ზენარი...  
ქალალდი.

\* \* \*

კანონიერი  
არ ნიმნავს ყოველთვის  
სამართლიანს,  
უკანონბას, ზოგჯერ,  
თვითონ კანონი აკანონებს.

\* \* \*

შენში რომ  
ჩემი მკვლელი არსებობს,  
ო, ეს მამშვიდებს.

\* \* \*

რა პატარა  
ყოფილა დედამინა  
ოცდამერთე  
საუკუნეები?



\* \* \*

დედამიწა

ერთანი და მთლიანია,  
ადამიანთა უგუნურობა  
ქსაქსავს მას ნაწილ-ნაწილ.

\* \* \*

ჩანჩქერთან ვდგავარ  
ხელებს ვისველებ,  
მგონია შენს თმებს  
ვეალერსები.

\* \* \*

(„ო, ენავ ჩემო...“)  
დაბადებიდან დღემდე  
თუმც გიცნობთ  
და მაინც  
შენი ფასი არ ვიცით.

\* \* \*

ჩემი წარსული  
სიზმარ-ცხადში  
სულ თვალწინ მიდგას,  
ის არის ჩემი,  
ერთადერთი,  
სწორი გზამკვლევი.

\* \* \*

თურმე ძალიან  
ძნელი ყოფილა  
საკუთარ მე დან  
ჩუმად გაქცევა.

\* \* \*

ხმელ სიტყვებს ვლოლნი,  
როგორც ბავშობაში  
ჯიბეში ჩარჩენილ  
მჭადის ნატეხს.

\* \* \*

აქ შეა ღამით  
ვითვლი ვარსკვლავებს,  
მზისა და მთვარის  
მუდმივ წინილებს.

\* \* \*

ჩემი სიყვარული  
გალაქტიკას ჰგავს,

რომელსაც საზღვრები  
არ აქვს.

\* \* \*

კანონმა რომ იკანონოს,  
იგი ადამიანისთვის  
უნდა არსებობდეს  
და არა ადამიანი  
კანონისთვის.

\* \* \*

მოახლოებულ სიკვდილის ლანდით,  
როდესაც მიმქრალ სიცოცხლეს ვითმენ...  
ვწერ, წამნამებთან შემოპარულ  
ცრემლების თარეშს.

\* \* \*

ხშირად მგონია  
მოგუზგუზე ფიქრებში წასულის...  
ჩუმად ვიბრუნებ  
გასხვისებულ არარაობას.

\* \* \*

შენი არ ვიცი  
მე კი  
ნიავის ნაკბენიც  
მტკიცა.

\* \* \*

ვხმაურობ თუ ჩუმად ვწევარ,  
მესმის სიტყვა თვით მესის,  
რომ მე ორის მევალე ვარ  
მამულის და პოეზის.

\* \* \*

ამ წუთისოფლის ტრიალი,  
ჩუმად გავანდე არაკებს,  
ხან ციცქა ქალის ტრფიალი,  
ხან სევდა მალაპარაკებს.

\* \* \*

...და კანკალებდა შიშველი ქარი,  
როგორც ყინვაში მდგარი პატარა  
და იშლებოდა წარმართის კვალი  
ო, ძალზედ მშვიდი ქრისტეს სამოსით.



# პერსი პისი შეღი ემილი დიკინსონი

52



საქართველოს მთავრობის განაცხადის მინისტრის მიერ გამოცემის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს მთავრობის განაცხადის მინისტრის მიერ გამოცემის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადახვევია მზე – ფედამინს, მთვარე, ზღვას ჰელინის, სხივერით ლორწყა, რაღა ფასი აქვს ყველა მათ ალეონს, თუ არ მელიონა, მერ, შენი კოწნა.

პერსი პისი შეღი

გადახვევია მზე – ფედამინს,

მოგი, კვირა ფლეს, საყდარში მიდის, მე კი შინ ვრჩები, ჩემს სახლში უბრაფ, ჩიტი მყავს ფაძლის მგალომლის ნაწლავდ და ჩვენს წალჩაში ვაშენებთ გუმბათს.

ემილი დიკინსონი

## სიყვარულის ფილოსოფია

ნაკადულები მდინარეს ერთვის  
მდინარეები კი ოკეანეს,  
ქარებმა ზეცის ლურჯი თავანი,  
ტკბილი ალერსით მოაკრიალეს.  
არაფერია, ქვეყნად, ცალ-ცალი,  
ყველა არსებას მართავს სამყარო,  
სული-სულს ხვდება, ერთმანეთს ერთვის,  
რატომ არ უნდა, ჩვენც გაგვასაროს?  
ნახე, მთა ჰკოცნის უძირო ზეცას,  
და ტალღა-ტალღას ალერსით ეკვრის,  
არ პატიობენ დობილ ყვავილებს,  
თუ ძმას უმზადებს გვირგვინებს ეკლის.  
გადახვევია მზე – დედამინას,  
მთვარე, ზღვას ჰკოცნის, სხივებით ლოცავს,  
რაღა ფასი აქვს ყველა მათ ალერსს,  
თუ არ მელიონა, მეც, შენი კოცნა.

## მოვარე

ლამის მხატვარო, ფერი წაგსვლია მოწყენილობით  
და ცის ტატნობზე მაღლა სრიალით დაღლილხარ ისე,  
რომ დედამინას გადმოსცექრი ცივი ციალით  
და მოყიალე ეულივით გულცივად გვიმზერ  
ვარსკვლავებიდან – რაღაცით, რომ განსხვავდებიან:  
დაბადებით თუ წარმოშობა-გარდაცვალებით,  
ვერსად იპოვე მტკიცე, შენი – ღირსი მეწყვილე  
მსგავსი მნათობი, თანამგზავრი, მკრთალი თვალებით.

\*\*\*

ნითელება მთის ფერდობზე,  
იდუმალ დროს ინახავს,  
იმ მინდორში, მშვიდ შროშანში,  
თეთრკაბიანს სძინავს ქალს.  
სიომ მტვერი გადაფერთხა,  
ათავთავდა მთა-ველი...  
პრანჭიკელა ლამაზებო,  
ვის მოელით? რას ელით?

მეზობლების გაოცება,  
ტყებ ღიმილით შეცვალა:  
იმ დროს ბალჩა, ბაიები,  
რომ დაკოცნა მერცხალმა.  
დუმს მიდამო, ტყე და მდელო,  
უდარდელი ფერია,  
საოცარ ცის გაცოცხლება,  
თითქოს არაფერია.



\*\*\*

მე არავინ ვარ! შენ ვინდა ხარ?  
 წუთუ ჩემსავით, შენც ხარ არავინ?  
 მაშინ, ჩვენ ორნი ვყოფილვართ წყვილად –  
 არ თქვა, გაიგებს, ვინმე მავანი,  
 იცი შენ კარგად და გაგვაქრობენ...  
 მოსაწყებია აქ ვინმედ ყოფნა –  
 ხალხის წინაშე, ბაყაყის მსგავსად  
 იყიყონ და მთელი დღე, მოსთქვა:  
 ვინ ხარ და რა ხარ? – შენი სახელით  
 აღტაცებაში მოიყვანო ჭაობი მყაყი.

\*\*\*

ეს წერილია სამყაროს მიმართ,  
 ვისაც არასდროს მოუწერია –  
 ახლა, უძრალო, სუფთა ამშები,  
 ბუნებამ, მე რომ გამიზიარა  
 თავისი ნაზი დიდებულებით,  
 მსურს, რომ გადავცე უხილავ ხელებს,  
 როგორც მესიჯი, ამის დასტურად,  
 მოყვასნო, ნაზი სიყვარულისთვის,  
 ალბათ, გამიგებთ, ჩემს გულს, რაც სურდა.

\*\*\*

თითქოს, ერთი პაწანინა ყვავილი,  
 არქტიკული, პოლარული ფერია,  
 წამოვიდა ქვეყნად სახეტიალოდ  
 და დაუყვა განედ-მერიდიანებს.  
 ვიდრე, იგი, სახტად გაოცებული,  
 არ მიადგა წალკოტიან კუნძულებს,  
 სად, ცის თაღზე მარად, სულ მზე ანათებს  
 და ჩიტები უცხო ენით გალობენ.  
 ვამბობ, თითქოს ის პატარა ყვავილი,  
 დაბნეული, მაშინ მოხვდა ედერში.  
 რაო, მერე, არაფერი, ჩემთვის ვთქვი,  
 შენ, რაც გინდა, გაიფიქრე ის შენძი!

\*\*\*

ობობამ მოქსოვა ქსელი,  
 სინათლის გარეშე, – ბნელით,  
 გათენებამდე თმენით.  
 თითქოს ნაზ მაქმანს ქსოვდა,  
 თუ გნომის სუდარას ჰგავდა,  
 მან თვითონ, მან თვითონ, არ თქვა.  
 უკვდავებისა სწამდა  
 და ოსტატობით რთავდა,  
 საკუთარ სახეს ჰგავდა.

\*\*\*

გარდავიცვალე სილამაზისთვის,  
 ვერ შევეგუე ცივ, მწირ სამარეს,  
 სიმართლისათვის მკვდარი ჭაბუკი,  
 გვერდით, მეზობლად დაასამარეს.  
 მან, მშვიდად მკითხა: „რატომ დაეცი“  
 – და მე მივუგე: „სილამაზისთვი“. „მე სიმართლისთვი“ – ორთავ ერთია:  
 ბერ-მონაზონი, – უფლის დასისთვის.  
 შინაურივით შევხვდით ბნელ ღამეს  
 და ვსაუბრობდით საფლავებს შორის.  
 მანამდე, ვიდრე ხავსი არ მისწვდა  
 ჩვენს სახელს, ტუჩს და დაგვფარა ორივ.

53




\*\*\*

ზოგი, კვირა დღეს, საყდარში მიდის,  
 მე კი შინ ვრჩები, ჩემს სახლში უბრად,  
 ჩიტი მყავს ტაძრის მგალობლის ნაცვლად  
 და ჩვენს ბალჩაში ვაშენებთ გუმბათს.  
 ზოგს, კვირაობით, სტიქარი მოსავს,  
 მე, შალის ნაცვლად მასხია ფრთები,  
 სამრეკლოს ზარის შენწყვეტის შემდეგ,  
 პატარა მნათე, ბალში, მიმღერის.  
 ქადაგებს ლმერთი, უზენაესი  
 და მლვდელი წირავ, როგორც ცის ლმერთი,  
 სასუფეველში შესვლის მაგივრად,  
 დავდიგარ ბალში, ვსეირნობ ჩემთვის.

\*\*\*

გამარჯვებასთან დრო გვიან მიდის  
 და ამიტომაც დაიგვიანა,  
 ყინვით დაზაფრულ გაყინულ ტუჩებს,  
 ეს აღტაცება ალარ ეამათ.  
 არადა წვეთი,  
 როგორც ნექტარის,  
 ლვთაებრივ ბადაგს ემგვანებოდა.  
 წუთუ უფლი იყო მომჭირნე?  
 ასე მალლა რომ გააწყო სუფრა,  
 თითის წვერებზეც რომ ავინიო,  
 და სადილისთვის მადლობა ვუთხრა.  
 პურის ნამცეცით გავსებულ პირით,  
 ბუტბუტა ჩიტი, ალუბლებს კენკავს,  
 და დაე! კენკოს რომ არ დაიღრჩოს,  
 მცირე ულუფით მივიდეს ლმერთან.  
 და არწივების ოქროს საუზმით  
 ლმერთი, ბეღურებს, არ გაანბილებს,  
 მათ, ნაშიმშილარ სიყვარულისთვის  
 ჩამოურიგებს წმინდა ნაწილებს.

ინგლისურიდან თარგმნა  
 ციური მესამებილება



ოლქ, №3, 2019



### ნათო ყრუაშვილი

54



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პედაგოგიკის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის  
უფროსი მეცნიერ-მუშავი

მ ბრძოლაში გაუგონარი სიმარტე გამოიჩინა შალ-

ვა ახალგიხელმა. მისწვდო რუქინაზის „მალალ საჩრდი-  
ლოების“ და სასულონო დროშის. ხმაში შემოჰკრა  
მეფიროშეს და ორივე ფასა: დროშა და მეფიროშეს,  
საჩრდილოების თავზე ფასა სულონო. ბრძოლის  
ველიდან გაიქან რუქინაზი და მას მიწყვა თავისი  
ლაშქროვ. თავისი მარტინი, გამარტინის ალექსიშვილი  
ტრიუმფზე თურქთა სამართლი დროშები თამარის ფერი

ნაფო ყრუაშვილი

მ ბრძოლაში გაუგონარი სიმარტე გამოიჩინა შალ-

### შალვა ახალციხელი

საქართველო მრავალჭირნახული ქვეყანაა.  
დასაბამიდან დღემდე ქართველ კაცს ყოველთვის  
უზდებოდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. იყო  
დრო, როცა ქვეყნის ბედი ხშირად მხედართმთავრე-  
ბის ნიჭისა და მოხერხებაზე იყო დამოუკიდებული.  
ზოგიერთ მეფესაც კი იმდენი ამაგი არ მიუძღვის  
საქართველოს წინაშე, რამდენიც მათ. ასეთი მხე-  
დართმთავრების ზრუნვითა და ბრძოლით საქა-  
რთველო ცოცხლობდა, იბრუნებდა წარმეულ  
თავისუფლებას, იბრძოდა დამოუკიდებლობის შეს-  
ანარჩუნებლად. ბრძოლა დამოუკიდებლობისათ-  
ვის ხომ ქართველი ერის თანამგზავრი იყო მუდამ.  
დიახ, ასეთი ეკლიანი გზით მოაღწია საქართველომ  
ჩვენს ეპოქამდე. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყველა  
თაობამ თავისი სიტყვა თქვა. ჩვენს თაობასაც თავ-  
ისი სათქმელი აქვს...

მერმისზე ფიქრი გვავალდებულებს კიდევ  
ერთხელ დაკვირვებით გადავხედოთ ჩვენს ისტო-  
რიას. გავისხენოთ ის ადამიანები, რომელებიც თავი-  
ანთი ჭკუა-გონებით, მარჯვენით იღვწოდნენ მამუ-  
ლის დაცვა-გაძლიერებისათვის, დავაფასოთ იმათი  
ლვანლი, რომელთაც თავისით დაუღალავი შრომი-  
თა და ბრძოლით შეგვინარჩუნეს ენა, სარწმუნობა,  
ეროვნული ცნობიერება, უკვდავყოთ იმათი სახელი,  
ვინც სიცოცხლესაც კი არ იშურებდა დედა საქართ-  
ველოსთვის, მისი დამოუკიდებლობისა და ქრისტეს  
რჯულის შენარჩუნებისათვის.

ჩვენდა საბედნიეროდ საქართველოს მრავლად  
ჰყავდა ასეთი შვილები. მათ რიცხვს ეკუთვნის შალ-  
ვა ახალციხელი – „სახელოვანი იგი მებრძოლი“.

შალვა ახალციხელი სამოღვნეო ასპარეზზე XII  
საუკუნის დასასრულს – თამარის მეფობის პერი-  
ოდში გამოვიდა. მემატიანის ცნობით: „განკარგვის  
მეფისა თამარისაგან მანდატურთუხუცესობისა  
პატივეცა და მხედართა შორის მთავრად დადგო-  
მა“. მას მოღვანეობა მოუხდა სამი მეფის: თამარის,

ლაშა გიორგისა და რუსუდანის მეფობის პერიოდ-  
ში. იყო აყვავებული და იავარქმნილი საქართველოს  
მომსწრე. თავისი გამჭრიახი გონებით დიდი წვლი-  
ლი შეიტანა ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცების  
საქმეში. მას, როგორც მხედართმთავარს, სიცოცხ-  
ლის მანძილზე, ხმალი არ ჩაუგია ქარქაშში. მრავალ  
ბრძოლაში ისახელა თავი. მისი გმირობა განსა-  
კუთრებით უნდა აღინიშნოს შამქორის, ბასიანისა  
და გარნისის ბრძოლებში.

1195 წლის 16 ივნისს შამქორის ველზე გაიმარ-  
თა ძლიერი ბრძოლა თურქთა და ქართველთა შო-  
რის. მაშინ, როცა თურქთა სარდალს აბუბექრს  
ომი მოგებული ეგონა, ბრძოლის ველზე შემოიჭრა  
„დროშა იგი გორგასლიანი“. დანინაურდა შალვა  
ახალციხელი, მტრის მედროშებს დაურია, ერთი  
ასჩესა, დანარჩენები დაიფრინა და გამოიტაცა  
ხალიფას დროშა. შამქორის ველზე თურქებმა სას-  
ტიკი მარცხი განიცადეს. გამარჯვებულმა დავით  
სოსლანმა და მხედრობამ თამარს მიართეს „ნიჭი  
არმაღანი და განძი აურაცხელი, მრავალი ტყვე  
ნატყვევანი“. თამარმა კი უმთავრესი ნატყვევანი  
„დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოილო შალვა ახ-  
ალციხელმან, წარგზავნა ეს მონასტერსა დიდსა  
წინაშე ხახულისა ღვთის მშობლისასა“.

სწორედ შამქორის ბრძოლაში გამოვლინდა  
საქართველოს სამხედრო ძლიერება. ქართველები-  
სათვის განსაკუთრებით სასახელო იყო ხალიფას  
მიერ უძლეველობის ნიშნად (ღაზოდ) წარმოგზავნი-  
ლი დროშის წარმევა. ამიტომაც იყო, რომ თამარმა  
ქართველთა ძლევამოსილების ეს ძვირფასი ნიშანი  
ხახულის დიდებულს ტაძარს შესწირა – აღნიშნავს  
ივანე ჯავახიშვილი.

შამქორის ბრძოლას ბასიანის ბრძოლა მოჰყვა.  
მაჰმადიანურმა ქვეყნებმა ვერ იპატიეს ქართველთა  
ბრწყინვალე გამარჯვება შამქორში. რუმის სულ-  
თანმა რუქინადინმა მოციქულის ხელით შეურაცხმე-



ოფელი წერილი გამოუგზავნა – მაჰმადის რჯულის აღიარება მოსთხოვა თამარს... ჯარი ჯავახეთში შეკრიბეს, თვითონ თამარი ვარძიას მივიღა და „ცრემლით შევედრა სოსლან დავით და სპა მისი და დრობა“. ვარძიოდან ბასიანს გაემართა მხედრობა. მემატიანე გადმოგცემს: „განაწყო მებრ კანონისა ბრძოლაისა იოანემან ათაბაგმან ლაშქარი და წინა ბრძოლ ჰყუნა მესხი და თორელნი, რამეთუ მათდა იყო წილხდომილ მამულადრე წინა – ბრძოლობაი, რომელთაცა მთავარ ეყუნეს მანდატურთუხუცესი შალვა და ძმა მისი იოანე ახალციხელნი“. ამ ბრძოლაშიც გაუგონარი სიმამაცე გამოჩინა შალვა ახალციხელმა. მისწვდა რუქნადინის, „მაღალ საჩრდილობელს“ და სასულთნო დროშას. ხმალი შემოჰკრა მედროშეს და ორივე დასცა: დროშაც და მედროშეც, საჩრდილობელიც თავზე დაამხო სულთანს. ბრძოლის ველიდან გაიქცა რუქნადინი და მას მიჰყვა თავისი ლაშქარიც. თბილისში, ბასიანის გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფზე თურქთა საომარი დროშები თამარის ფერხთა წინაშე დაჰყარეს.

შალვა ახალციხელის ვაჟკაცობა საუკუნეთა მანძილზე აღაფრთოვანებდა თანამემამულეთ, რომელიც მისადმი სიყვარულსა და პატივისცემას ლექსებში უკვდავყოფდნენ:

„შალვა შურისა მძებნელი  
მთას ქორებულად ჰკიოდა  
მე მონადირე მეგონა  
მას თურმე გული სტკიოდა.  
გულს ერჭეა თეთრი ისარი  
კილოზე სისხლი სდიოდა,  
თავის თავს არა სუვარობდა,  
თავის სწორებსა სჩიოდა.  
ორასი თურქის მომკვლელი  
უომრობასა სჩიოდა.“

შამქორისა და ბასიანის შემდეგ თამარის ლაშქარს კიდევ მრავალჯერ მოუხდა ხმლების გაშივლება... 1204 წელს დავით სოსლანის სარდლობით ქართველებმა აიღეს, კარი (ყარსი). კარის (ყარსის) მცველად თამარმა „დაუტოვა ახალციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ და უბოძა ათაბაგობა და ამირთამირობა“. ე.ი. თორელებმა მიიღეს ათაბაგობა.

თამარის სიკვდილის შემდეგ, როცა ახალგაზრდა მეფეს – ლაშა გიორგის მოხარკენი აეშალნენ, შალვა თორელ – ახალციხელმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ერთგულება მამულისადმი. უამთამწერელი გადმოგცემს, რომ გიორგიმ იგი კერჩიოლს წარგზავნა „რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“. შალვამ კერჩიოლი კვლავ შემოუმტკიცა საქართველოს.

შალვა ახალციხელის გმირობაც და სახელიც ყველაზე მეტად გამოიკვეთა გარნისის ბრძოლაში. 1225 წლის აგვისტო იდგა. ციხე-სიმაგრე გარნისთან (სომხეთი) ჯალალ ედინის მრავალრიცხვან ლაშქარს დაუხვდნენ ქართველნი. მოწინავე ლაშქარს სარდლობდნენ შალვა და ივანე ახალციხე-



შალვა ახალციხელი

ელები, სწორედ ისინი ეკვეთნენ მტერს პირველნი. მთავარსარდალს ივანე მხარგრძელს მათთვის ერთი მერმარიც კი არ მიუშველებია. ბრძოლის ველზე ორივე მხარემ თავი მოუყარა დიდ ძალას: 200 000 მაჰმადინი, 60 000 ქართველი. აქედან 4000 მესხი იყო – მენინავე ლაშქარი. საშინელი სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. მოგვიანებით ეს ბრძოლა შესანიშნავად დასურათა გრიგოლ აბაშიძემ:

„ომი კი არა ზეციდან  
დაცემა იყო მეხისა  
გარნისის კლდესთან კვეთება  
ოთხი ათასი მესხისა“.

ბრძოლაში ორივე ძმას დაუხოცეს ცხენები და ქვეთნი მხნედ იბრძონენ თურმე. უამთამწერელი მოგვითხრობს: „ძლიერად მბრძოლობდეს შალვა და ივანე, ახოვანთა და ძლიერთა სრვიდეს. და ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, ხრმალნიცა ახალციხელთანი განტყდეს ჩაბალახსა ზედა, ხოლო შალვა მუნვე შეპყრობილ იქმნა სიმრავლისა ფრიადისა მიერ და ივანე გარნისისა კლდეთა შელტოლვილი ზენა კერძო მოტევებულთა ქვითა მოიკლა“. ამრიგად, საბედისწერო გამოდგა ახალციხელთათვის და არა მარტო მათთვის, არამედ თვით საქართველოსთვისაც გარნისის ბრძოლა...

ჯალალედინის წინაშე წარდგენილი შალვა ახალციხელი: „იცნეს ნახტევნელთა და ადარბაგნელთა და მოახსენეს სულტანა ახოვნება და წყობა შინა სიქველე“. ჯალალედინმა „შენწყარა პატივით და ადარბაგანს შინა მიანიჭა ქალაქი მამულად და მთავრათ თვისთანა თანა პატივჰსცა“. მემეატიანის გადმოცემით, შალვა ახალციხელი ერთი წლის განმავლობაში დიდ პატივისცემაში ჰყავდა სულთანს.



ერთი წლის შემდეგ კი მოსთხოვა ქრისტიანობის დათმობა და მაპმადიანობის მიღება. ფიცით აღუთქ-ვამდა, თუ მის ნებას აღასრულებდა „უდიდეს პატი-ვითა მხედრობითა ქალაქთა, სოფელთა, ოქროსა და ვერცხლთა, ურიცხვ მონათა და მრავალთ“. შალვა ახალციხელმა ჯალალედინს უარი განუცხადა სარწ-მუნოების შეცვლაზე. ასეთი პასუხი შეურაცხმყოფე-ლად მიღლო სულთანმა და განრისხებულმა ბრძანა: „განშიშვლებაი პატიცაცა, შალვაის და სამოხელთ-აგანაც და გუამად უწყალო“. ჯალალედინის გან-რისხების მიზეზი გარდა ზემოთქმულისა ისიც იყო, რომ თბილისის ასალებად წამოსულს 1226 წელს მდინარე არეზისთან მიართვეს შალვა ახალციხელის მიერ თანამემამულებთან გაგზავნილი წერილი, რომლითაც თბილისზე სულთანის გამოლაშქრე-ბის ამბავს ატყობინებდა თურმე. ე.ი. ამჟღავნებდა ჯალალედინის სამხედრო გეგმას. ეს დალატი იყო. ამიტომ, სულთანის ბრძანებით იქვე წყლის პირზე ხმლებით აჩეხს. უამთალმწერელი გვაუწყებს, რომ: შალვა მოიკლა სულთანისა მიერ არა დატევები-სათვის სჯულისა“. დაახ, ტყვეობაში პატიცაცა და საკუთარ კეთილდღეობას შალვა ახალციხელმა სამ-შობლოსათვის სიკვდილი არჩია, რითაც ლირსეულ მამულიშვილთა ბედი გაიზიარა: ქართულმა მართლ-მადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და 30 ივნისი მისი სულის მოხსენიების დღედ დაადგი-ნა. ხოლო მადლიერმა ქართველმა ხალხმა ლირსეულ მამულიშვილს იმთავითვე უძღვნა ხალხური სიმღე-რა „შავლეგო“. (რასაც პოეტმა აკადემიკოსმა გორგი ლეონიძემ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მიაკვლია):

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,  
სისხლში გაგიხამებია, შავლეგო.  
ყანიძები გიხდებოდა, შავლეგო,  
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო,  
მაშველი არ გჭირდებოდა, შავლეგო.  
შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო.“

თითქმის რვა საუკუნე გვაშორებს შალვა ახალ-ციხელის ეპოქასთან, რვა საუკუნეა ქართველი კაცი მძერის შავლეგოს, რამდენადაც მისთვის შავლეგო გახდა ვაჟაცობის, გმირობის, სიმტკიცის, ქვეყ-ნის სიყვარულის სიმბოლო. ამიტომაც არის, რომ ქართველი ყოველთვის ცდილობენ მარადიულად აცოცხლონ საყვარელი გმირი თავიანთ ხსოვნაში. ამიტომაც, ხალხური სიბრძნის მრავალი მარგალ-იტი უძღვნეს:

„შალვა ცხენს მოაგელებდა  
ვიწროსა და ავს ალაგსა,  
შალვას ცხენი წამოექცა  
ვიწროსა და ავს ალაგსა,

თავსა თურქი წამოადგა  
ვიწროსა და ავს ალაგსა.  
– დამკარ, თურქო, რასა ჰშიშობ,  
თუ გული გაქვს მამაცისა!  
დაცკრა თურქმა, დასჭრა შალვა  
თეძოსა და ავს ალაგსა...

დედას კაცო მოუვიდა:  
„შენი შავლეგ მოგიკლესა“.

შალვას დედა მოტიროდა,  
თუ არ იყო ბედის წერა,  
ას-ორასი მაგისთანა  
ხორასინიდან ტყვე მოჰყვანდა –  
არცა თოფო, არცა ხმალო  
სულ მათრახით გადმოჰყვანდა!  
– შავლეგ, შენი ყანიძები  
როგორ შემიყვარებია,  
შემდეგ შენი თეთრი ჩოხა  
მავად შეგიხამებია.“

XXI საუკუნის დამდეგის გადასახედიდან კიდევ უფრო ნათლად იკვეთება შალვა ახალციხელის ღვანლი თავისი კუთხის, სამშობლოსა და ერის წი-ნაშე. საუკუნებმა უკვდავების შარავანდედით შე-მოსა მისი სახელი. მის გმირობასა და ვაჟაცობას არ ივინწყებრ მის მშობლიურ ქალაქშიც. 2004 წლი-დან დადგინდა „ახალციხელია“ და შალვა ახალციხე-ლის ხსენების დღე – 30 ივნისს აღინიშნება ქალაქის ძველ ნანილში – რაბათში. იმავე დღეს ახალციხის ციხის ტერიტორიაზე – მუზეუმის ეზოში აღმარ-თა ძეგლი ნარჩერით: „აქ აღიმართება შალვა ახალ-ციხელის ძეგლი“. (ეს შესანიშნავი იდეა ჯერ არ განხორციელებულა). ამასთანავე, ახალციხის საზო-გადოების თხოვნით უწმინდესმა და უნეტარესმა ილია || შალვა ახალციხელი ახალციხელთა მფარველ წმინდანად დაადგინა. ყოველივე ეს იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც ქართველმა ხალხმა ჩაუ-ყარა საფუძველი შალვა ახალციხელის სახელის უკ-ვდავსაყოფად. გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ახალციხის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი მიენიჭა. უკვე რამდენიმე წელია გამოდის გაზეთი „შავლეგო“. ამ ბოლო დროს კი ახალციხე დაამშვენა შალვა ახალციხელის სახელობის ტაძარმა, რომლის მშენებლობა დაიწყო ერთმა ჩვენმა თანამემამულემ ვასილ ივანიძემ (სამწუხაროდ, ვასილ ივანიძე გარ-დაიცვალა, მისი ნეშტი დაკრძალულია ტაძრის ეზო-ში).

და კიდევ, ქალაქი ახალციხე და ახალციხ-ელებიც ერთგვარად ვალში ვართ შალვა ახალციხ-ელის წინაშე, რამდენადაც თამარის ისტორიკოსი მისი მოხსენიებით პირველად აფიქსირებს ქალაქ ახალციხის სახელს.



Եղիշեն

## იოსებ გიქოვალი

תְּבִ�ָה

ପ୍ରକ୍ଷାପ-ଫଶମାଲା, ରନ୍ଧୀଲୀଙ୍କ ମହେଲୀ ତାଵାଳୀ ବାଦିରେଣ୍ଟିଲା  
ଦା ପ୍ରସରିତିରୁଥିପୁରୀ ମନ୍ଦ୍ୟକାନ୍ତରୀତ ତାପତାପତ୍ରିତ ରକ୍ତକ-  
ଦା କାରଣମୁଖୀ ଏବଂ ସିନ୍ଧିକାନ୍ତରୀତଙ୍କିଳ, କାରଗାଢ଼ ଗର୍ଭନବଦ୍ୱାରା,  
ରନ୍ଧି ଇଶ୍ଵରା ଗଲୋବରଲ୍ୟାପୁରୀ ମିଠିଳୀଙ୍କ ମିଶରନ୍ଦ୍ରପ୍ରାତଃ, ରନ୍ଧ-  
ଗର୍ଭନିଃ ଯିମ ମିଶରଲ୍ୟାପୁରୀ କ୍ଷେତ୍ରନିଃ ଶ୍ରୀପିତାରାତ୍ରି ଧୈତିଲ୍-  
ଦ୍ୱାରା କାନ୍ଦିଗରିବା ଦ୍ୱାରା କାରାକାରା, ମିଶରପ୍ରାତଃ ଦା  
ମେନ୍ଦ୍ରାଜାକାନ୍ଦିକାନ୍ଦା ମିଶିଶ୍ଵରନ୍ଦ୍ରିଲା ମନ୍ଦ୍ୟକାନ୍ତରୀତଙ୍କିଳ  
ପ୍ରକାଶିତାକାନ୍ଦିକାନ୍ଦା ମିଶିଶ୍ଵରନ୍ଦ୍ରିଲା କ୍ଷେତ୍ରନାମ ଗର୍ବନ୍ଦ୍ରିଲା  
ଦା କାରଣମୁଖୀ ଏବଂ କାରଣମୁଖୀ ମିଶିଶ୍ଵରନ୍ଦ୍ରିଲା କାରାକାରା,  
ମିଶିଶ୍ଵରନ୍ଦ୍ରିଲା କାରାକାରା ଏବଂ କାରାକାରା ମିଶିଶ୍ଵରନ୍ଦ୍ରିଲା

ოსეან გიქოშვილი



57

ეროვნული თვალსაზრისი ვაჟა-ფშაველას

## ପୁରୁଷଙ୍କର ମାନ୍ୟତା ଓ ଅନୁଭବ

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მექანიზმების უძრავი და საპატიო ადგილი უკავებია პუბლიცისტიკას. ის მრავალრიცხოვანი სტატიები, წერილები, ფელეტონები, კორესპონდენციები, რომლებმციც მოცემულია მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო და სანონტერესო პანორამა, ორგანულად ერწყმის მნერლის მხატვრულ შემოქმედებას. იგი საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩა-კიხედოთ მის სულიერ სამყაროსა და შემოქმედებით ლაპორატორიაში. ნიძანდობლივია, რომ ვაჟა-ფშაველას, როგორც პუბლიცისტის საჭიროებაც იმდროინ-დელმა სინამდვილემ განაპირობა. ეპოქა, კვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები აქტიურ, ოპერატიულ ჩარევას მოითხოვდა. სწორედ ამიტომ იქცა მნერლისთვის მგზნებარე პუბლიცისტური სიტყვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების პირუთველი და შეულამაზებელი შეფასების, ყოველგვარი მანკიერებისა და დრომოფმულის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ბასრ იარაღად.

ვაუკაფშაველის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა  
ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ, დაძ-  
აბულ ეპოქას დაემთხვა. რუსეთის ცარიზმის კოლონი-  
ზატორულმა პოლიტიკამ ქვეყნის წინაშე სხვა, უაღრე-  
სად მწვავე და საჭირობოროტო პრობლემები დააყენა.  
მე-19 საუკუნის დასასრულს, ადგილობრივი მოსახლე-  
ობის ეროვნულა ჩაგვრამ უკიდურეს ზღვრს მიაღწია.  
მძიმე ეკონომიკური პირობები და პოლიტიკური უუ-  
ფლებობა უბიძგებდა მოსახლეობას აქტიურად გამო-  
სულიყო სოციალური უსამართლობისა და ცარიზმის  
დამცყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. მასობრივი  
ხასიათი მიიღო გამოსვლებმა, ქვეყნის ბევრ კუთხე-  
ში იფეთქა გლეხთა აჯანყებებმა, ფართო მასტებით  
დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაო-  
ბაში მეტ-ნაკლებად საზოგადოების ყველა კლასი და  
სოციალური ფენა მონაწილეობდა, რომლის პირველ  
ეტაზზე ფართო გავრცელება ჰპოვა დამოუკიდებელი,

სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოჩნდნების  
იდეამ. ამ მხრივ, 1832 წლის ცნობილი შეთქმულება,  
ქართველი თავადაზნაურობის ლიბერალური ფენების  
მისწრაფებრად ერთად, მთელი მოსახლეობის სამარ-  
თლიან უკამოყოლებასაც ეხმალურებოდა.

ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში ახალი ძალით იჩინა თავი 60-იან წლებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასპარეზზე ახალი, პროგრესული იდეებითა და მისწრავებებით გამსჭვალული თაობის გამოსვლისას, რომელსაც სათავეში ედგნენ პეტერბურგისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამიღებული, ქართველი ახალგაზრდები. „სამოციანელთა“ (თერგდალეულთა) საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჯგუფი მიზნად ისახავდა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისაკენ სწრაფვის გაღვივებას, ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოვიძებას, უკომისრომისო ბრძოლას კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. „თერგდალეულთა“ მონინავე თაობის სულისჩამდგმელმა და ხელმძღვანელმა – ილია ჭავჭავაძემ, მისმა თანამებრძოლებშა: აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ და პროგრესულად მოაზროვნე სხვა ქართველმა მოღვაწეებმა უდიდესი როლი შეასრულეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გავრცელების, ერის სულიერი აღმორჩინების კეთილშობილური იდეების დამკვიდრებაში. გარემომცველმა სინამდვილემ, განსაკველის წინაშე მდგარი ქვეყნის პრობლემებმა, მნიშვნელოვნად განსაზღვრეს ვაჟა-ფშაველას აქტიური და ქმედითი უურნალისტური მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებანი და თემატიკა. მისი პეტლიცისტური ნაწერების დიდი უმრავლესობა საქართველოს ნარსულის, ანტყოსა და მომავლის საჭიროობო საკითხებს შეეხება. ეს გახდავთ გზების ძიება ეროვნული და სოციალური თავისუფლებისაკენ, უკეთესი მერმისისაკენ. „ჩვენი პოეტი, მწერალი





და საზოგადო მოღვაწენი, – წერდა ვაჟა-ფშაველა, – რომელნიც ეროვნულ თუ გონებრივ ლირებულებებს ქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალული იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის, დღევანდელი ხალხი ცალ-ცალკე და საერთო საჭირო აზრით და გრძნობით აღიჭურვოს. მოქმედებაც თითოეული ჩვენგანისა იყოს აზრშენინილი. დღევანდელის თითოეულის ჩვენთაგანის მოქმედებას იქ უნდა მივყვანდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა“.

ვაჟა-ფშაველას, როგორც მწერალსა და მოაზროვნეს, ზედმინევნით კარგად ჰქონდა შეგნებული ცარიზმის კოლონიზაციონული, დიდმპყრობელური პოლიტიკის მიზანი და აქედან გამომდინარე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება მიაჩნდა. მისივე თვალსაზრისით უაღრესად ნიშანდობლივია, მისი დამოკიდებულება იმ პერიოდის ერთ-ერთ უმნიველეს და საჭიროოროტო საკითხისადმი, რომელიც შირაქში ქართველების დასახლებას შექებოდა. 1889 წელს ხელისუფლებამ შირაქში რუსების ჩამოსახლება გადაწყვიტა. მთის მოსახლეობამ, რომელმაც იგრძნო თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა მთავრობის აქციას, პრაქტიკულად შეუდგა შირაქის მიწების ათვისებას. გაჩნდა პირველი პატარა სოფლებიც – ზემო და ქვემო ქედი, არხილოსკალო. ბუნებრივია, მეფის მთავრობას არ ეჭაშნიკა ეს ამბავი, ქართველ მთიელთა საქციელი თვითნებურად ჩათვალა და განიზრახა ჩამოსახლებულთა აყრა. სიტყუაცია დაიძაბა. მას დაემატა თუშების არაგონივრული პოზიცია, რომლებსაც შირაქის ველის საძოვრებად შენარჩუნება სურდათ და მთავრობის პოლიტიკას აუბეს მხარი. უფრო მეტიც, მათ აშკარა მტრობა გამოიუცხადეს შირაქში ჩამოსახლებულ ფაზევლებს. მთავრობამ თუშების გაუაზრებელ მოქმედებაში თავისი პოლიტიკის საიმედო დასაყრდენი დაინახა და ყოველნარად უწყობდა ხელს ძმათ შორის შუღლის გაღვივებას. კონფლიქტი გამწვავდა. თუშების მხარეს იყო მთავრობა, ძალა, ფული, გამოცდილი ადვოკატები, ფშავლების მხარეს კი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია და ეროვნული ინტერესები.

საყველთაოდ ცნობილია ის უდიდესი ამაგი, რომელიც ვაჟა-ფშაველამ დასადო შირაქის ტერიტორიაზე ქართველთა დასახლებას. იგი ხშირად ჩადიოდა შირაქში, აქვეყნებდა წერილებს პერიოდულ პრესაში. ამ მხრივ საინტერესოა მისი კორესპონდენცია – „ქართველთა ახალშენი შირაქში“, რომელშიც ნათლად აისახა მწერლის დამოკიდებულება ამ საჭიროოროტო ეროვნული საკითხისადმი. წერილის დასაწყისში ვაჟა-ფშაველა, მიმოიხილავს რა შექმნილ სიტყუაციას, წერს: „გადმოსახლებულთა რიცხვში მოიპოვებიან თითქმის ყველა თემისანი, გარდა თუშებისა. ეს უკანასკნელი, გარდა ამისა, რომ თვით არ დასახლდნენ შირაქში, დასახლებულთაც კი ხელს უშლიან და ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რათა შეავინორონ მხენელ-მთესველი ხალხი. გაუტეხონ გული, აალებინონ სახლ-კარზე ხელი და იძულებულჲონ ეს უკანასკნელი აიყარნონ და დაუბრუნდნენ ისევ მთას“.

მწერალი გულისტყაივილით აღნიშნავს, რომ თუშები გუბერნატორთან ჩივიან – შეგვავინროვეს და გვიშველეთო. ამას მე ვერ დავიჯერებდი, ჩემის ყურით რომ არ გამეგონაო, წერს იგი და ყველანაირად ცდილობს, თუშებს თვალი აუზილოს, მოყვარე და მტერი გაარჩევინოს, აგრძნობინოს ის საბედისწერო შედეგი, რომელიც ამგარ სიჯიუტეს შეიძლება მოჰყვეს. ვაჟას ბრძოლამ და ამაგმა დიდი შედეგი გამოიღო. დღეს საქართველო წარმოუდგენელია „პურის ბელად“ წოდებულ შირაქის გარეშე. საზამთრო საძოვრებიც ბევრია და ზვრებიც განთვალისწინებული. ამიტომ ლოცულობენ შირაქელნი დღესაც ვაჟას სახელს და ყოველ წელს ზემობენ „ვაჟაობას“.

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკაში განსაკუთრებით გამორჩეული ადგილი უკავია მის მოლგანეობას მშობლიური ენის დასაცავად. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მე-19 საუკუნის 60-იან წლებიდან ქართული ენისთვის ზრუნვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად იქცა. ცხადია, ვაჟა-ფშაველაც, ქართული ენის თავდადებული მოამაგვ და მოტრიფიალე, აქტიურად იყო ჩაბმული იმ ბრძოლაში, მაგრამ ვიდრე ამ პრობლემას შევეხებოდეთ, უნდა გავიხსენოთ ის პოლემიკა, რომელიც იმ პერიოდში გაიშალა ქართულ სალიტერატურო ენასთან დაკავშირებით. 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიხეჭდა ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილი – „ენა“ (მცირე შენიშვნა), რომელშიც მწერალმა უპასუხა მათ, ვინც ბრალს სდებდა სალიტერატურო ენაში დაძველებული, უკარგისი ფორმების შემოტანაში. „დიახ, მოდის ენაც მდინარესავით, – წერს იგი, – თუ სათავეში, ე.ი. იქ, საიდნაც იბადება, არ დაშრა, ქვეით, ბოლოთგან მისი დაშრეტა ყოვლად შეუძლებელია და ძალაც მისი სწორედ რომ სათავეშია, გამომდინარეობს ულევლად, უკლებლად“... ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს ვაჟასეული მრნამსი. ის, რომ ენის მოსპობა, განადგურება და გარცხა მანამდეა შეუძლებელი, სანამ ენის სათავე, დასაწყისი სუფთაა და ხელშეუხებელი. ვაჟა-ფშაველას კი ასეთ სათავედ, ქართული ენის თვითმყოფადობისა და სიმტკიცის მასაზრდოებლად მთამიაჩნდა. ქართული ენის დაცვა-სინმინდის საკითხებს მთელი სიმწვავითა და კატეგორიულობით დაუბრუნდა ვაჟა-ფშაველა 1910 წელს „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილ წერილში – „მცირე შენიშვნა“, სადაც მას უკვე კონკრეტული აღრესატი ჰყავს. იგი პუბლიცისტური შემართებით, მკაფიოდ და მკაფიოდ აყალიბებს თავის დამოკიდებულებას იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც მშობლიური ენა დაივინებს და რუსულად წერას ამჯობინებენ. ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი წერილის დასაწყისშივე კატეგორიული და ყოველგვარი კომპრომისის გამომრიცხავია. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიცისტს ქართველების მხრივ რუსული ენის დაუფლება კი არ აწუხებს, არამედ მათი დამოკიდებულება დედაენისადმი. ....ოფლოში ინურებიან იმოდენასა სწერენ რუსულად მხოლოდ და მერე როგორ ცდილობენ, – ამბობს ვაჟა, – რომ ლამაზი რუსულით დასწერონ თავისი





წერილები: რუსეთის საუკეთესო მნერლების ფრაზების და ლექსიკონი აქვთ ყველა იმათ შედგენილი, რათა კოტება, კოპტია გამოვიდეს იმათი ნაწერი – წაიკითხოს ქართველმა კაცმა, გულში შური აღეძრას და თქვას: ნეტავი ასეთი რუსული მეც მესნავლა, ნეტავი ამისთანა „სტატია“ რუსულად მეც დამარტინია. მოკლედ რომ ვთქვათ, მყითხველი გადაბირების გზაზე დგება... ამისთანა ლამაზზ რუსული ენის პატრიონი კი ფიქრობს სამშობლოს ვემსახურებით. ვაი, ამისთანა სამსახურს!“

ვაჟა-ფშაველა კარგად გრძნობდა, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, თავისი მოქმედებით წყალს ასამდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წისქვილზე. „ამას ჰქვიან განა სამშობლოს სიყვარული? განა ამისთანა ონებით აყვავდება ქართული ენა და მწერლობა? განა ეს ლვანლია? ლვანლი კი არა, ეს პირდაპირი ლალატია, თაღლითობა! ამას ჰქვიან ციხისა შიგნიდან გატეხა და, ხომ მოგეხსენებათ, იმაზე მეტი უბედურება ქვეყნისათვის სხვა რა შეიძლება იყოს, როგორც დალატი შინიდან გამომდინარე“ – წერდა იგი. აი, ასეთ „შინიდან გამომდინარე დალატად“ აღიქვამდა მწერალი ინტელიგენციის ზოგიერთი ნარმობადგენლის მოქმედებას... „ნუთუ ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო რუსული გაზეთი გამოეცა, – განაგრძობს იგი, – ეწერა რუსულად და ესაზრდოვებინა თავისი ნანარმობით ქართული საზოგადოება, როგორც მისი თანამედროვენი შვრებოდნენ? მაგრამ არა, ის კარგად ხედავდა, ჰერძნობდა, რაც ვნება და გათასირება საზოგადოებისა მოჰყვებოდა ამგვარ მწერლობას“.

ვაჟა-ფშაველა იმასაც შესანიშნავად გრძნობს, რომ მსგავსი აზრებისათვის შეიძლება ნაციონალიზმი ან სეპარატიზმი დასწამონ, ამიტომ მკითხველს სთავაზობს უალრესად საღ, ლოგიკურ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც: „საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმი კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც რუსული სანოვაგე, არამედ მათ ედგას გვერდით, როგორც ცოცხალი საღი არსება რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე“.

ვაჟა-ფშაველა, რომელიც მთელი თავისი სამწერლო და პუბლიცისტური მოღვაწეობით თავდადებით იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის, კარგად გრძნობდა, რომ ისეთი გლობალური მიზნის მისაღწევად, როგორიც იყო მშობლიური ქვეყნის ჭეშმარიტი კეთილდღეობა, არ არსებობდა დიდი და პატარა, პირველი და მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის მოვლენები. მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქინდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას, ქართველთა მეობის აღორძინებას, იმის გარკვევას, თუ რანი ვართ. სწორედ ამიტომაა, რომ პუბლიცისტის გარეშე აღიქვამდინარე არც ერთი ღირსეული ქართველის ლვანლი, საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა.

უალრესად საგულისხმოა, რომ მაშინაც კი, როდესაც ვაჟა-ფშაველა თეორიულ და ზოგადფილოსოფიურ ასპექტში განიხილავდა კონკრეტულ ფაქტებსა და სიტუაციებს, საერთო-საკაცობრიო იდეებსა და შეხედ-

ულებებს, მათ შორის თავისუფლებისა და პროგრესის იდეებს და კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით საყურადღებო განზოგადებებს იძლეოდა, მათ ყოველთვის განიხილავდა ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში, მჭიდროდ უკავშირებდა ეროვნულ სატევარს. ასეთი სასიათისა მის მიერ 1905 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილი – „ესისმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელშიც იგი არ ემხრობა იმათ აზრს, ვისაც ჰგონია, რომ პატრიოტიზმი ენინალმდეგება ან თვისობრივად განსხვავდება კოსმოპოლიტიზმისაგან. მისი შეხედულებით „ყველა ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია, ისე როგორც ყველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია“, როგორ? – სვამს იგი კითხვას და იქვე აყალიბებს საკუთარ შეხედულებას, რომლის ამოსავალი წერტილი, ლოგიკა, უბრალო და ნათელია. მისი აზრით, თუ სწორად გავიაზრებთ პრობლემას, თუ ადამიანი თავის ერს კეთილსინდისერად ემსახურება, იღვნის საკუთარი სამშობლოსა და მშობელი ხალხის გონიერივი, მატერიალური და ზერგბრივი დონის ასამაღლებლად, ამით იგი არამარტო თავის ერსა და ქვეყანას ემსახურება, არამედ მთელი კაცობრიბის წინსელასაც. „მეცნიერება და გენიოსები, – წერს იგი, – გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განვითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეთ თავისი ეკონომიკური, პიოლიტიკური მდგრამარება, თავისი სოციალური ყოფნის ავ-კარგი, მოსპერ დღევანდელი ეკონომიკური უკულმართობა და უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რჩევა, ომები, რომლებიც დღეს გამეფებულია დედამინის ზურგზე“. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიც პუბლიცისტი თავისი პოზიციის ჩამოყალიბებისას ქართულ სინამდვილეს ემსახურება. პირველი რიგის საჭიროებად მშობლიური ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიძნელეების მოგვარება მიაჩნია. უალრესად ნიშანდობლივია, რომ მწერალი შორს დგას ეროვნული კარჩაკეტილობისა და შეზღუდვისაგან, პირიქით ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და პატივისცემას ქადაგებს: „...კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს, – წერს იგი, – გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანებ მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე“.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველამ კოსმოპოლიტიზმი პატრიოტულ იდეას აზიარა, პატრიოტიზმის უმთავრესი პრინციპებიდან გამომდინარე საკაცობრიო სიკეთედ აღიქვა. ასეთ კონცეფციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქინდა 1905 წელს, როდესაც კი წერილი გამოქვეყნდა, განსაკუთრებით იმათ გასაგნონად, ვინც ეროვნულ საკითხზე ლაპარაკს ჩამორჩენილობად თვლიდა და გამორიცხავდა მას ზოგადსაკაცობრიო ინტერესების სფეროდან.

მწერალი ზედმინევნით სწორად გრძნობდა,





რომ შეუძლებელია არსებობდეს პატრიოტიზმი დიდი ეროვნული თვითშეგნების გარეშე და სწორედ ამიტომ იყო, რომ ყოველთვის ცდილობდა გაელრმავებინა, თითოეულ თანამემამულემდე მიეტანა ეს გრძნობა, რომელიც მას ბევრი ეროვნული სატკივარის განკურნების ერთ-ერთ უებარ საშუალებად მიაჩნდა. ამის გამო აძლევდა ვაჟა-ფშაველა უმაღლეს შეფასებებს ყველა იმ ქართველის მოღვაწეობას, რომელიც თავისი შრომითა და გარჯით ერის წინსვლის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა. სწორედ ამიტომ იქცა მისთვის უდიდეს ტრაგედიად ერის თავკაცის – ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. ვინ-ვინ და ვაჟა-ფშაველამ კი მშვენივრად იცოდა ილიას ფასი და დამსახურება ქართველი ერის წინაშე. ჯერ კიდევ თავის ადრინდელ წერილში – „რამე-რუმე“ მწერალი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას: „ნიჭიერება ეროვნულის მწერლისა იმით ქვეყნისა და ერის საჭიროება, მით თუ რამდენად მაღლიანად ემსახურება ამ ნაკლის შევსებას სიტყვით თუ საქმით“ – წერდა იგი.

„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველო-საც მოჰკლავენ“, – წერდა ვაჟა-ფშაველა და უდიდეს გულისტკოვილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ჩვენში არ იციან ლირსეული მამულიშვილის დაფასება: „ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ველავთ როგორც ავაზაქს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!“ ვაჟა-ფშაველას ასეთ სევდას ისევ და ისევ სამშობლოს მომავალი განსაზღვრავს და საგულისხმოა, რომ ილიას მკვლელობა მისთვის უიმედო პესიმიზმისა და იარაღის დაყრის მიზეზად არ ქცეულა. პირიქით, იგი მხერვალედ მოუწოდებდა თანამემამულებს, საქმით განეხორციელებინათ ილიას ანდერიძი. – „დიდო მგოსანო! წერს იგი სიტყვაში ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“, – ყველანი ერთად ესდება ფიცის წინაშე შენი დიდებულის ნეშტის, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭირის მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძვ იდეალებს – ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას, მტკიცედ, შეუდრევლად“.

ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და პროგრესულად მოაზროვნე სხვა ქართველი მოღვაწენი, ვაჟა-ფშაველაც უდიდეს ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა მომავალი თაობის აღზრდას, ქვეყნად სწავლა-განათლების ფართოდ განვითარებასა და გავრცელებას. ცნობილია მისი უაღრესად საინტერესო და პროგრესული პედაგოგიური შეხედულებები. გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარის დამთავრების შემდეგ ვაჟა-ფშაველამ მასწავლებლობა თავისი ცხოვრების უსაყვარლეს საქმედ მიიჩნია და პრაქტიკულადაც შეუდგა სკოლაში მუშაობას სოფელ დიდ თონეთში, მაგრამ, ჩინოვნიკურ აპარატთან გამუდმებული კონფლიქტებისა და მისადმი უსამართლო დამოკიდებულების გამო, ვერ შეძლო ამ ასპარეზზე მოღვაწეობა. მოუხედავად ამისა, ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა სწავლა-აღზრდის საკითხებს და მათ დიდ ეროვნულ მნიშვნელობას

ანიჭებდა. ეს კარგად ჩანს მისი პუბლიცისტური წერილებიდან, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა – „საუბარი ბავშვებზე“, „გავზარდოთ ახალი თაობა“ და სხვა.

სწავლა-განათლებისა და აღზრდის პრობლემას ეხება წერილი „გავზარდოთ ახალი თაობა“, რომელშიც ნათლად გამოჩნდა ვაჟა-ფშაველას, როგორც პუბლიცისტის საგულისხმო თავისებურება – დიდი სათქმელის ლაკონურად გადმოცემის, პრობლემის არსის სრულყოფილად წარმოჩნდის უნარი. „უფრო კარგი იქნება – წერს იგი, – შევხედოთ ჩვენზე უკეთესებს და მიგბაძოთ: გავზარდოთ ახალი თაობა, ნურაფერს დავიშურებთ სკოლების დასახმარებლად, რადგანაც როგორც ზევითა ვსოდეთ, იმაში იმალება ყოველი ხალხის მომავლის ბედი და უბედურობა...“

პუბლიცისტი მკითხველის ყურადღებას მიაცყრობს იმას, რომ უსწავლელი და გაუნათლებელი ერის ბედი ტრაგიული და განნირულია, რომ სწავლა-განათლების საქმის მოგვარება ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული პრობლემა. ვაჟა-ფშაველამ სწავლა-განათლების საკითხების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაამდაფრა 1891 წელს გამოქვეყნებულ წერილში – „სადიდმარხვოდ“, აქ ყურადღება გაამახვილა საზოგადოების ერთ წანილში გავრცელებულ დამლუპეველ სენზე, რომელსაც პირობითად „გონიერის მარხულობა“ უწოდა და რომლის უპირველეს მიზეზად უნიგნურობა, გაუნათლებლობა მიიჩნია.

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქვეყნის სულიერ განვითარებაში ინტელიგენციის როლისა და დანიშნულების ჩვენებას. მისი აზრით, ამ მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა პერიფერიაში მოღვაწე ინტელიგენციას აკისირია, რადგან „პროვინციელი ძლიერ ჩამორჩენილია“, როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით და მას შევლა სჭირდებაო. ეს აზრია გატარებული წერილშიც – „დავირვება“ (პრივინციული ტიპები), „ჩვენებური პროვინცია სწორედ ბნელეთია, – წერს იგი, – ქვეყანა წყვდიადით მოცული. სინათლეს ტყუილად ეძიებ, ვერ იპოვნი. რატომ? არ არის თუ? შეიძლება იყოს, მაგრამ ისეთ აღაგას არის დამწყვდეული, გარეშე ადამიანს გაუჭირდება მისი თვალით დანახვა“. ამჯერად მწერლის გულისტყივილს საგანს ქართული პროვინციის უკულმართი სინამდვილე წარმოადგენს, მის გაძლიერება-გაღონიერებაში ხედავს ქვეყნის პროგრესის დიდ სტიმულს და ამ დიდმიშვნელობანი საქმის მოგვარებას ინტელიგენციას აკისრებს. მისი აზრით, „ინტელიგენციაა სინათლის მფლობელი“, სწორედ მან უნდა მოჰკინოს ნათელი „უმრავლესობის ბნელ გონებას, გაასპერტაკოს ერის გრძნობა, მოპორის ჟანგი და ჭუჭყი მის გულს“. ვაჟას აზრით, სამწუხარო სინამდვილე სრულიადაც არ აიხსნება ინტელიგენციის სიმცირით „სიმცირ არაფერს შუაშია, – წერს იგი, – თბილისში ათასობით დაითვება ინტელიგენციი, აზროვნების ტაძრები – სამკითხველო, რედაქცია, ბიბლიოთეკები, მაგრამ სწორედ ამ რედაქციების ახლო-მახლოს თვალყური რომ ადევ-





ნოთ, ახალმთვარეზე მსხვილს მაგალითს ჰნახავთ, მოქალაქე მთვარეზე მუხლს იყრიდეს, რომ შაურიანს აჩვენებდეს და თან უნრუნებდეს – რა არის ახალმა მთვარემ იმის ჯიბეს მარაგი მისცეს“. ავტორის აზრით, საქმე ჭეშმარიტ მამულიშვილობაშია, ხალხისათვის სამსახური იმას შეუძლია, ვინც უანგაროდ მოახმარს ენერგიას ერის სიკეთეს და არა იმას, ვინც მხოლოდ თავისი ჯიბის გასქელებისათვის ზრუნავს და ვისთვისაც ცხოვრების იდეალი მხოლოდ საკუთარი კეთილ-დღეობაა.

ვაჟა-ფშაველა პუბლიცისტურ წერილებში ხშირად უბრუნდებოდა ქეყნის წინავლა-განვითარებაში ინტელიგენციის წამყვან როლს და მნიშვნელობას, მოუნიდებდა, რომ იგი არა ცარიელი სიტყვებით, არამედ რეალური საქმეებით გამოსდგომოდ ერს. ეს ნათლად ჩანს 1905 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ფიქრი, სულ ფიქრი...“, რომელშიც იგი დიდი გულწრფელობითა და გულისტყვილით საუბრობს ამ საკითხზე. ავტორი გულგრილობაში დებს ბრალს ინტელიგენციის იმ წარის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფიქრობს, მსჯელობს და საქმით კი წაკლებად აკეთებს რამეს. ინტელიგენტთა ამ კატეგორიის დასახასიათებლად, პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად მწერალი ხატავს ინტელიგენტის ზოგად ტიპს, ვინმე ფიქრიანისაძეს და მასზე მსჯელობით ცდილობს მთავარი სათქმელის წინ წამოწევს, ამასთანავე, არ ერიდება იუმორსა და ირონიას, რათა უფრო მკვეთრად გამოხატოს თავისი აზრი: „აახ! და კარგი იქნებოდა, – წერს იგი, – ფაქრიანისძეს ფიქრები რომ ასრულებოდა უჯაფოდ, თავისთავად, მაგრამ მთავარი ის არის, თუ ფიქრს კაცმა მოქმედებაც არ მიადევნა, ნაფიქრი არ განახორციელა, არაფერი არ გამოვა. მოწიფეულს ყანას ჯერ მომეკუნდა, შემდეგ კალოზე მიტანა, გალენვა, მერე დაფქვა, ახლა გამოცხობა. მხოლოდ მაშინდა ხდება სარგოდ, სასარგებლოდ ადამიანის ნაღვანი“.

იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მწვავე ეროვნული პრობლემა დაყენებული ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ წერილში სათაურით: – „საახალნო ფიქრები“, რომელიც საკითხის ღრმა ფილოსოფიური გააზრებით გამოირჩევა, „ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისია, – წერს იგი, – უსათუოდ ხვალინდელი დღისაგან მოველით რასმე კარგს: ეს გვასულდგმულებს, გვამხნევებს, ძალას გვმატებს, ყოველდღიურს ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაყვარებს. კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისაგან არაფერს მოელის, გადაუწყდება იმედი, ცოცხალ-მკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა...“ მწერლის აზრით, ასეთი კაცის ცხოვრებას არც შენ და ლაზათი აქვს, არც აზრი და დანიშნულება: „საპრალო ქვეყანა, საწყალია ის ერი, რომელსაც დაუკარგავს იმედი ხვალინდელი დღისა, საუკეთესო მერმისია“, შენიშნავს იგი და დაასკვნის: „თამამად ვიტყვი, რაც უნდა დაბერავებული იყოს ერი, რაც უნდა გასაწყლებული, თუ საუკეთესო მერმისს მოელის და არ გადაუწყვეტია იმედი და არ ფიქრობს: ეგ, არის ჩემი საქმე მორჩე-

ნილია, დაღუპული ვარო, ის ერი არც დაიღუპება, არც მოკვდება“.

ვაჟას ღრმა რწმენით, ინტელიგენციის უიმედობა და პესმიზმი, მისი უმოქმედობა დამღუპველია, რასაც ერი გადაგვარებამდე მიჰყავს. ინტელიგენციის ასეთ პოზიციას მწერალი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეურიგებელ ომს უცხადებდა. და, სწორედ ამ პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, წერილის ბოლოს ამომწურავად აყალიბებს იმ მთავარ სამოქმედო პროგრამას, რომლის წარმატებით განხორციელებაც აუცილებლად მიაჩნია უმთავრესი ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად. „საცა უცხოვრობთ, და რომელ ქვეყნის შვილებიცა ვართ, – წერდა იგი, – რომელი ქვეყნის პურით, ლვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, გავაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ლონის დაგვარად რაც კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს – ეკონომიკური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვ. თუ ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისთვის ვიქებით კარგი, ჩვენს საკუთარს შინაურ საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ კაცობრიობისათვისაც სასარგებლონი ვიქებით“...

ეკონიმიკის პრობლემათა წარმატებით გადაჭრა, ლიტერატურის, მხატვრული სიტყვის ერის სამსახურში ჩაყენება, პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობა, ხალხში სხავლა-განათლების შეტანა, ერის კეთილშობილური ზნეობრივი პრინციპების გაღრმავება-დახვეწა, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ვაჟა-ფშაველამ „საახალნო ფიქრებში“ დააყენა.

მწერალი ფილისოფიურ-ეთიკური პოზიციებიდან განიხილავს საზოგადოების მოწყერი მორჩილების მავნეობას, ეროვნული ჩაგვრის მთელ სისაძაგლეს. „მოთმენაც არის და მოთმენაც, – წერს იგი, – რა უნდა დავთმოთ? რა უნდა მოვითმინოთ? მოთმინებას სჯობს ჩვენი საკუთარი აზრით ვიხელმძღვანელოთ გარეშე საღვთო წერილისა, შავი თეორისაგან სჯობია თავის საკუთარის თვალებით გავარჩიოთ...“

კეთილისა და ბოროტის ბრძოლის უზოგადეს საწყისიდან („შენ შენის მოთმინებით ხელს უწყობ მტარვალის ბუნებას გაძლიერდეს...“) გამომდინარე, პუბლიცისტი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ყოველგვარ დაბეყრიბლურსა და ძალმომრეობაზე დამყარებულს, დახავსებულსა და დრომოქმულს, ჩამორჩილსა და პროგრესის დამამურჩერუქებელს.

საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნებას, ენის სიწმინდისა და თვითმყოფადობის დაცვას, ერის გამოღვიძებას, თვითშეგნების გაღრმავებას, გამრავლებას მწერლის ღრმა რწმენით, სასიცოცხლო მნიშვნელობა პჟერდა ქვეყნისათვის. საგულისხმოა, ალინიშნოს, რომ მწერალი პრობლემებს განიხილავდა ურთიერთკავშირში, დამაჯერებლად ცხადყოფდა მათ აუცილებლობას, ყოველივე ეს, შეერთებული ვაჟა-ფშაველას დიდ ისტატობასთან, ნათელს ხდის მისი პუბლიცისტური წერილების ზემოქმედების დიდ ძალას იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაზე.



## უჩა გლუსვილი

62



მარტონ ბარათ გლუსვილი და მარტონ ბარათ გლუსვილი

### ქართული ხასიათი

ისტორიულ-ფსიქოლოგიური ნარკოვი

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მაღავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“

ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს –

ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

ილია

ყოველი ხალხის მენტალიტეტს, მის ნიშან-თვისე-  
ბებს და ხასიათს მისი ისტორიული ნარსული, სოციალ-  
ურ-ეკონომიკური განვითარების სპეციიკა, ბუნე-  
ბრივ-გეოგრაფიული გარემო და სხვა მრავალი ფაქტორი  
განსაზღვრავს. ქართული ხასიათის ძირებიც ჩვენს ის-  
ტორიულ წარსულშია საძიებელი. აურაცხელ მტერთან  
გამუდმებული ომები, ცენტრალური ხელისუფლების  
ქრონიკული სისუსტე, ჩვენი გეოპოლიტიკური მდგო-  
მარეობა და ლანდშაფტის მრავალფეროვნება საუკუ-  
ნების მანძილზე ძერნავდა ქართველთა ხასიათს. ჩვე-  
ნი ისტორიის უამთააღმნერელი უძველესი დროიდან  
ჩაჰკირკიტებდნენ ამ ფენომენს, ცდილობდნენ აეხსნათ  
მისი რთული და წინაღმდეგობრივი ბუნება. ქართულ  
ხასიათზე წერდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ  
უცხოელებიც.

მაინც რა მთავარ თავისებურებას გამოყოფდნენ ქა-  
რთულ ხასიათში მისი მკვლევარები? ჯერ დიდ ინდოელ  
ფილოსოფიოს, ვივეკანანდას მოვუსმინოთ: „ყოველ ერს,  
ისევე, როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის  
საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბეჭ-  
რა, რომლის გარშემო დანარჩენი ბეჭრა იკრიბება... თუკი  
ერი მას უკუაგდებს, თუკი იგი უკუაგდებს საკუთარი ცხ-  
ოველმყოფლობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გადმოცე-  
მულ გეზს, ეს ერთ კვლება.“ ქართული ხასიათის შესანიშ-  
ნავ მევლევარს, გურამ ასათიანს მოჰყავს ვივეკანანდას  
ეს სიტყვები და იქვე სვამის კითხვას: „...სად, რა მიდამობ-  
ში უნდა ვეძიოთ ჩვენი, „ცენტრალური ბეჭრა?“ აი, რას ამ-  
ბობს იგივე ვივეკანანდა: „კაცთა შორის უფრო მაღალთა  
და მაღლა მხედთათვის არარა სახელის მოხვეჭა“. შევა-  
დაროთ ახლა ამას რესოველისეული „სჯობს სახელისა  
მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ და დავინახავთ, თუ  
რაოდენ განსხვავებულია ადამიანის საზრისშე ქართ-  
ველთა და ინდოელთა წარმოდგენები.

„სახელის მოხვეჭის“ გარეშე ქართული ხასიათი

ქართული ხასიათი არა მხოლოდ როგორი, მრავალ-  
უროვანიერა. კახური სიღინჯიფან და პირდაპირობიდან  
გურულ სიფიზემდე და მოქნილობამდე იმხელა ეთ-  
ნოლოგიური და მენტალური სივრცეა, რომ უქო  
თვალის უფიოს კიდევ მათ შორის საერთო-ქართული ნი-  
შან-თვისერების დანახვა. თუმცა, ქართველური ეთნოსე-  
ბის მრავალფეროვან მოზაიკში, სხვადასხვა კუთხური  
კოლონიების მიღმა ფაკირებული თვალისოვის მაინჯ  
იყვნება საერთო-ქართული ნიშან-თვისერები.

სწორედ ამ ზოგად-ქართულმა ფულაბრძანი-  
ნა ჩვენს ხალხის ამდენი განხარდელი.

უჩა ბლუსშვილი

გაუგებარია“, წერს გურამ ასათიანი და ძნელია მას არ  
დაეთანხმო.

თუმცა, ეს მაინც წვრილმანია, ოლონდ, ძალზე  
მნიშვნელოვანი წვრილმანი. მთავარი სხვაა.

ქართული ხასიათის უმთავრესი თავისებურება,  
მისი „ცენტრალური ბეჭრა“, კონტრასტულობაა. ქა-  
რთველები უკიდურესობის ხალხი ვართ. ჩვენი ხასიათი  
რთულია და წინაღმდეგობრივი. ჭირიც გადაჭარბებუ-  
ლი ვიცით და ლხინიც, სიყვარულიც და სიძულვილიც.  
სასწაულებრივად მაღალი ზეობაც გვახასიათებს და  
უზნეობაც შემაძრუნებლად მდაბალი გვჩევევია. უანგა-  
რობაშიც სწორუპოვარნი ვართ და შურიანობაშიც წრე-  
გადასულნი...

ეს ურთიერთგამომრიცხავი, წინაღმდეგობრივი  
თვისებები ქართველ კაცში უკიდურესი ფორმით თა-  
ნაარსებობენ. ისინი კი არ ასუსტებენ, არამედ ავსებენ  
და აძლიერებენ ერთმანეთს. სწორედ ეს არის ქართული  
ხასიათის შინაგანი დრამატიზმის ერთ-ერთი მთავარი  
მიზეზი. ქართულ ხასიათში უკიდურესი იდეალიზმი შერ-  
წყმულია უკიდურეს რეალიზმთან. ქართველი მეოცნე-  
ბეა. სულის სილალე მისი ხასიათის ერთ-ერთი ძირით-  
ადი თვისებაა. ამავე დროს, ქართველისთვის არაფერი  
ამქვეწიური უცხო არ არის. მასში სულიერება პარმონი-  
ულად ერწყმის ნივთიერს, მატერიალურს.

ქართული ხასიათის ამ მთავარ თვისებაზე ამახ-  
ვილებდა ყურადღებას ვაზუშტი ბატონიშვილი. მისი  
თქმით, ქართველებმა ერთნაირად „უწყოდნენ ურთ-  
იერთოთა მტერობა და მოყურობა, ლხინთა ლხინობა და  
ჭირთა ჭირობა“. ისინი ერთნაირი წარმატებით ყოფილან  
„კეთილ-ბოროტიზედ აღრე მიმდრეკნა“-ც.

ქართული ხასიათის ეს ობიენებოვანება, მისი წი-  
ნააღმდეგობრივი ხასიათი, ერთ საფრთხეს შეიცავს. ამ  
ხასიათის მხოლოდ ერთ მსარეზე ყურადღების გამახ-  
ვილება ან მისი იდეალიზაციისენ გიბიდგებს, ან მისი



სრული დაგმობისკენ. აი, რას ამბობს ჟან შარდენი ქართველებზე: „ისინი ბინიერნი არიან, ლოთინი, გარყვნილნი, უნამუსონი, სიტყვის გამტეხელნი, უპირულნი, გამცემ-მოლალატენი, გაიძვერანი, ლოთობაში და გარყვნილებაში ერისკაცთ სასულიერონიც არ ჩამოუკარდებიან. სრულიადაც არ მიაწინათ სირცხვილად სასულიერო პირთ, რომ ლამაზი მხევლები ჰყავთ ხახებად“. იოანე გოტფრიდ ჰერდერი კი, რომელიც საქართველოში საერთოდ არ ყოფილა და ქართველთა შესახებ მხოლოდ სხვათა მიერ შეკრებილ ცნობებს ჰყდნობა, წერს: „კიდევ უფრო საბრალოა ქრისტიანული საქართველოს ბედი. აქ ეკლესიებიც არის და მონასტრებიც, პატრიარქებიც ჰყავთ, ეპისკოპოსებიც და ბერებიც. ქართველი ქალები ლამაზები არიან, მამაკაცები – გულადნი. და მანც, აქ მშობლები შვილებს ჰყიდიან, ქმრები – ცოლებს, მთავრები ქვეშევრდომებს, ხოლო მორწმუნენი – ღვთისმსახურთ. უცხაური ქრისტიანობა სუჯევს ამ სულიო მხნე და გულიო ურწმუნო ქურდბაცაცა ხალხში“.

ქართველთა ასეთი დახასიათება აშეარად ტენდენციურია. მასში აქცენტი მხოლოდ უარყოფით, ხშირ შემთხვევაში, მეორესარისხოვან თვისებებზეა გადატანილი. თუმცა, გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: ზემოამოთვლილი თვისებები ჩვენთვის უცხო არასოდეს ყოფილა. ფაქტია, რომ გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში მამა შვილს ჰყიდად და ძმა – ძმას. სამეცნიეროსა და გურიის მთავრები ყოველწლიურად 12-15 ათასამდე თავიანთ ყმას ჰყიდდენ, ან ცხოველებზე ცვლიდნენ. იმერეთის სახელოვან მეფეს, სოლომონ პირველს, სპეციალური კანონის გამოცემაც კი დასჭირდა ტყვეთა სყიდვის შავი ჭირივით გავრცელებული პრაქტიკის აღსაკვეთად.

ჩვენთვის არც ლოთობა (უფრო ზუსტად – სუფრასთან დროისტარებისადმი მიღრეუილება) და გარყვნილება იყო უცხო. ლოთებსა და გარყვნილებს კი აღარც სირცხვილ-ნამუსი მოეკითხებოდათ.

და მანც, ქართველებისადმი თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ჰერდერი ქართველი მამაკაცების „გულადობას“ და „სიმხნევეს“ უსვამს ხახს, შარდენი კი სხვა ადგილზე ქართველთა ნიჭიერებაზე, ზრდილობაზე, მეომრულ შემართებაზე, მათში ღირსების მაღალ გრძნობაზე საუბრობს. ქართველთა ამ თვისებებს უცლებლივ ყველა უცხოელი აღნიშნავს. უცნობი არაბი ისტორიკოსი ქართველ მეომრებზე წერს: „ქართველი მეომრები არიან წვეროსანი, პირქუში, ზორბა ტანისანი და სარდლის ერთგულნი. მათ სხვა მეომრებთან ისე აქვთ უპირატესობა, როგორც მტაცებელ ცხოველებს სხვა სუსტ ცხოველებთან. ომში საოცრად იძრდებინ, აქვთ შემზარვი ხმა და საოცარი ვაჟუკობა. ქართველები იმშიც კი მღერიან და საბრძოლოს უკრავენ... ქართველი ლაშქრი ერთი მთლიანი რაზმია, რომლის ერთობის შემთხვევაში მათი დამარცხება შეუძლებელია“. ჯონ სტაინბეკი ქართველებზე წერდა: „... ეს საოცარი ქართველები ყველაფრით გვვანდნენ: ჭამაც ჩვენზე მეტი შეეძლოთ, სმაც, ცეკვაც, სიმღერაც... ყველაფერი გამოსდიოდათ, რასაც ხელს მოჰკიდებდნენ!.. მათ სულს ვერაფერი დასცემს, ამ ხალხს თვითმყოფადობას ვერაფერი დაუკარგავს! დამპყრობლები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ მათ წახდენას, მაგრამ კალიც

ვერ დაამჩნიეს მათს ძლიერ სულისკვეთებას.“

ქართული ხასიათისთვის სრულიად უცხოა პრაგმატიზმი და პედანტური აუკრატულობა. ის ვერ ეგუება ვერანაირ მერკანტიილიზმს, ანგარიშიანობას. ქართული სულის სილალე ხშირად ყოველგვარ გონივრულ საზღვრებს სცილდება. ერთი მაგალითი: გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს რესი მწერლების ჯგუფი ეწვია. ქართველი კოლეგები მათ ჩვეული გულუხვობით მასპინძლობდნენ. ერთ სალამის რესი მწერლები შესანიშნავმა ქართველმა პოეტმა, იოსებ ნონეშვილმა წყნეთის აგარაცზე მიიპატიუა. რა თქმა უნდა, სულირას ჩიტის რძეც არ აკლდა. ჩინებული კანური ღვინით შეზარხოშებულ ერთ სტუმარს მოულოდნებული ხელიდან ძვირფასი ანტიკვარული ფინჯანი გაუვარდა და გაუტყდა. ყველას უხერხულობის გრძნობა დაუუფლა. ამ დროს იოსები სამზარეულოში იყო გასული მზარეულებისთვის მორიგი მითითების მისაცემად. ოთახში დაბრუნებულმა ჯერ დამსხვერეულ ფინჯანს შეხედა, შემდეგ სტუმართა დაზაფრულ სახეებს მოავლო თვალი. „რა თავპირი ჩამოგცირით? ამას დარღობთ?“ – ნამსხვერებისკენ გაიწინა მან თავი. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ იქვე მდგარ დიდ ბროლის ვაზას წამოვალო ხელი და იატაკზე მთელი ძალით დაანარცა. „აბა, გყვიფათ გლოვა. მოუმული სახეები აღარ დავინახო აე“, – თქვა მან და გულიანად გაიცინა. „ვერანაირი სიტყვები ვერ განმუხტავდა სიტუაციას, იოსების ამ ჭეშმარიტად ქრისტულმა უქსტმა კი ერთი ხელის მოსმით მოხსნა უხერხულობამ“, – ისესებდა მოგვიანებით ამ ამბის შემსწრე ევგენი ევტუშენკო.

პრაგმატული თვალსაზრისით ნონეშვილის საქციელს გამართლება არა აქვს. ალბათ, ძნელად თუ მოძებნება სხვა ხალხი, რომლის წარმომადგენელსაც ასეთი რამ, საერთოდ, მოუვა თავში. და ეს არა იმიტომ, რომ ვაზა დაენახება, უბრალოდ, მის გენეტიკურ კოდში ჩადებული პრაგმატიზმი ამ მიმართულებით ფიქრის საშუალებას არ მისცემს.

ქართული ხასიათის ეს თვისება ისეა ჩვენს სულში ჩადუღაბებულ-ჩაკირული, რომ ეროვნულ ცნობიერებადაკარგულ ჩვენს თანამემამულებებიც კი პირველყოფილი სინმინდით არის შემონახული. ისევ მაგალითი: თურქეთში სუნიშვილების ანსამბლის ერთ-ერთი გასტროლების დროს ილიკო სუხიშვილს ერთ პატარა მაღაზიაში მამაკაცის პერანგი მოეწონა. მაღაზის მეპატრონებ 30 ლირა დაუფასა. ილიკო შეევარა – 25 ლირად მომეცო. გამყიდველმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა; 30 ლირას გროში არ დააკლდება. კარგა ხნის ვაჭრობის შემდეგ მეპატრონებ მომყდა – 28 ლირად წაიღე, ეს ბოლო ფასია, უთხრა. ილიკო გაბრაზდა – ვინ არის შენი 2 ლირას მათხოვარი, უთხრა გამყიდველს. მერე ჯიბიდან ორი ლირა ამოილო, დაჭმუჭნა და ქუჩაში მოისროლა. ამის დამნახავ გამყიდველს სახე გაებარის: „შენ ჩვენებური იქენი, სხვა ამას არ იზამდაო“, უთხრა ილიკოს, პერანგი შეუფუთა და უფეშეაშა.

ეს ვაჭარი ლაზი გამოდგა. თხემით ტერფამდე გათურქებულმა ილიკოს საქციელში თავისი თვისება ამოიცნო, ის დაინახა, რის გამოც სხვებს ზემოდან უყურებს, რომლითაც თავი მოაქვს... დაინახა და გაეხარდა. გახარება კი სრულიად არავაჭრულ, ჭეშმარიტად ქართული უქსტით – უცხო კაცისთვის საქონლის





ჩუქებით გამოხატა.

ქართული ხასიათი ბედის მაძიებელი ხასიათია. ქართველებისთვის ბედნიერებისკენ ლტოლვა შინაგანი მოთხოვნილებაა. ამასთან, ბედნიერება მას აქ, ამქვეყნურ ცხოვრებაში სჭირდება. ამიტომაც ქართველისთვის „მოთმენა“, „თვითშეზღუდვა“, „აკრძალვა“ ყველაზე საძლებელი სიტყვებია. ის არ ურიგდება დრამატულ ან-მყოს და ყველაზე გამოუვალ სიტუაციაშიც სწავლა, რომ მომაგალი აუცილებლად ბედნიერი იქნება. მას ჰაერივით სჭირდება ბედნიერი გარემო და, როდესაც ბედნიერების პირობები არ არსებობს, ის ამ პირობების ილუზიას ქმნის. „ქართულ სიმხიარულეს საფუძველი არა აქვა. მე ვიტყოდი, კანონიერიც არაა. ეს მხიარულება არის ყველაგრის მიმართ და ყველაფრის სანინაალმდევოდ. მაშინ, როდესაც ქართველს ყველა საფუძველი აქვს იყოს უბედური, ქართველი ბედს არ ეპუება და ბედნიერებისთვის ჭიდლში იგი მხიარულია...“ – წერდა მერაბ მამარდაშვილი. „ტრაგედიას ქართული სული არ იცნობს: რაც უნდა გაჭირვება იყოს, ჩვენ მაინც ოცნებებსა და იმედებში ვართ... ჩვენს ერს უფრო ეფუძები ამოძრავებს, ვიდრე მოვალეობა“. ამას უკვე კონსტანტინე კაპანელი ბრძანებს.

ქართველთა ეს თვისება – ბედისადმი დაუმორჩილებლობა და ოპტიმიზმი კარგად ჩანს ხალხური სიმღერის ტექსტში: „მტერო, დამჩაგრე, არ ვსტირი / ტირილი დიაცო წესია / მაცადე, ერთი ავლესი, / ხმალჩახმას ცეცხლის მკვესია / სულ წმინდად მოგამკინო / რაც ჩემთვის დაგოთხსა!“

ქართული ხასიათი არა მხოლოდ რთული, მრავალ-ფეროვანიცაა. კახური სიდინჯიდან და პირდაპირობიდან გურულ სიფიცხემდე და მოქნილობამდე იმხელა ეთნოფსიოლოგიური და მენტალური სიყრცეა, რომ უცხო თვალს უჭირს კიდეც მათ შორის საერთო-ქართული ნიშან-თვისებების დანახვა. თუმცა, ქართველური ეთნოსების მრავალფეროვან მოზაიკაში, სხვადასხვა კუთხური კოლორიტის მიღმა დაკირვებული თვალისთვის მაინც იკვეთება საერთო-ქართული ნიშან-თვისებები.

სწორედ ამ ზოგად-ქართულმა დუღაბმა გადაატანია ნა ჩვენს ხალხს ამდენი განსაცდელი.

საქართველო აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ სამყროებს შორის გზისაყარზე მდებარეობს. ჩვენი კულტურაც და, შესაბამისად, ჩვენი ეროვნული მენტალიტეტიც ამ ორი კულტურის სინთეზს წარმოადგენს. ოღონდ, ეს არ არის აღმოსავლური და დასავლური კულტურების მექანიკური ჯამი. ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში შეითვისეს და შეისისხლხორცეს აღმოსავლური სამყროს უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა, ჰარმონიულად შეუსაბეჭირებელი გადასავლურ ქრისტიანულ კულტურას. ეს ყველაფერი შემდეგ ქართულ ეროვნულ ქურაში გამოატარეს, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სრულიად ორიგინალური, თვითმყოფადი კულტურა, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას ქართული ეროვნული ცნობიერება, ეროვნული ხასიათი წარმოადგენს.

აღმოსავლური და დასავლური კულტურების გავლენა ჩვენი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა. აღმოსავლეთთან შედარებით ჩვენ, რა თქმა უნდა, ეროვნულები ვართ. მაგრამ ევროპელებთან უშუალო კონტაქტისთანავე ვგრძნობთ,

რომ მათგანაც მნიშვნელოვნად განვსახვავდებით. და, არა მხოლოდ წმინდა ქართული, აბსოლუტურად თვითმყოფადი, არამედ – გაცილებით ზოგადი წარმომავლობის ნიშან-თვისებებითაც (გ. ასათიანი).

საქართველოში ძლიერი ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება ისტორიულად მეტად ხანძოელე დროის მანძილზე – მხოლოდ ფარნავაზის დროს და დავითიდან თამარის ეპოქამდე გვექნდა. დავითი მეცნიერად განსჯიდა სახელმწიფო წესისა და რიგის დამრღვევთ, განსაუთორებით შეუბრალებელი იყო იგი ქვეყნის ინტერესების გამყიდველთა მიმართ. ქართულმა სახელმწიფომ თავისი ძლიერების ზენიტს თამარის ეპოქაში მიაღწია. სწორედ მაშინ შეიქმნა იდეალური პირობები ქვეყანაში სახელმწიფო წერივი აზროვნების დამკაიდრების, სახელმწიფო წესისა და რიგის განმტკიცებისთვის. სამწუხაროდ, ამ დროს სახელმწიფოს ძალისმევა ამ მიმართულებით, ერთგარად, მოღუნდა. სათონ მეფე-დედოფალმა ქვეყანაში შეუსაუკუნეებისთვის სრულიად უცხო სახელმწიფოებრივი ჰუმანიზმი დამკვიდრა. მან, პარატკიულად, გააუქმა სიკვდილით დასჯა (სიკვდილით დასჯის კანონი არ გაუქმებულა. მოსამართლებს ასეთი განაჩენები გამოქინდათ კიდეც). მაგრამ თამარს არცერთი მათგანი არ დაუმტკიცებია. შესაბამისად, სიკვდილითაც არავინ დაუსჯიათ). ეს მაშინ, როცა მაშინდელ თუ უფრო გვიანდელ ევროპაში, რუსეთში, აღმოსავლეთის დესპოტურ სახელმწიფოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სიკვდილით დასჯა მართლმაცულების ჩვეულებრივი ნორმა იყო. სახელმწიფოს წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვისთვის კი მოქალაქეს წამებით ხდიდნენ სულს. ამას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ცოცხლად დარჩენილთა დაშინება.

თამარის საქართველოში კანონისადმი რიდისა და პატივისცემის ჩამნერგავი შიშის ნაცვლად, აქცენტი პიროვნების მოქალაქეობრივ შეგნებაზე გაკეთდა. ეს საკითხისადმი ჰუმანური, ცივილიზებული მიდგომა იყო, მაგრამ დროის კონტექსტიდან ამოვარდნილმა ამ ნაბიჯამა კანონისადმი აგდებული დამოკიდებულების დანერგვას შეუწყო ხელი.

სახელმწიფოებრივი შეგნების განმტკიცების მთავარი საფუძვლის – ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მოშლის შემდეგ მეტი გასაქან ადათ-წესების, ტრადიციების ინსტიტუტის განვითარებას მიეცა. კანონზე მეტად პატიოსნება დაფასდა. ამოიძრობდა კაცი ულვაშის ღერს და ისესებდა თანხას. გამსესხებელს კი არც თამასუქი სტირდებოდა და არც მამასახლისის მიერ დამოწმებული ხელნერილი – ჯიბეში მოვალის ულვაშის ღერი ედო და გულიც საგულეს ჰქონდა.

მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა შარაბდელში“ არის ასეთი ეპიზოდი: ზაალ ბარათაშვილი თავის ყმას ხანჯლით ყურს ჩამოათლის. თავადს ვიღაც უსაყველურებს – რას ერჩოდა ამ საცოდვეს. ის კი წარბშეუბრელად პასუხის: „რა გინდა, ვეუ, ყმა ჩემია და მისი ყურიც მე მეკუთვნის, როგორც მინდა ისე მოვეპყრობიო.“ დიახ, ზაალ ბარათაშვილმა არ იცოდა და არც ანტერესებდა, რა ენერა ამის თაობაზე სამართლის წიგნში. ისე იქცეოდა, როგორც საუკარი ჭკუა და ზნეობა უჭრიდა.

ამის მიუხედავად, მაშინ, ავად თუ კარგად, ჩვენი თავი ჩვენადვე „გვეყუდნოდ“ და ქვეყნის საუკარის შეილები გამუდმებით ფიქრობდნენ სამშობლოს ბედზე.




მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. უზარმაზარი სახელმწიფოს მარწუხებში მოხვედრილი სამშობლოს ხსნის იმედი გადაგვეწურა. „სამშობლოს ველარაფერს ვუშველით. ისლადაგვრჩენია – საკუთარ ოჯახებს მაინც მივხედოთ“, – ჩათვალა ქართველობამ (ცხადია, იყვნენ გამოუსწორებელი ოპტიმისტებიც, მაგრამ ისნი ამინდს ვერ ქმნიდნენ). ასეთ პირობებში სახელმწიფოს განცდა, პრაქტიკულად, მოიშალა. მოქალაქეობრივი მოვალეობები უკანა პლანზე გადავიდა. საბოლოოდ სწორედ მაშინ გავთითოვაცდით....

ორი საუკუნე ამ მორალით, ამ შეგნებით ვიცხოვრეთ. ერთადერთ საზრუნავად საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა გავიხადეთ... ქართველისთვის დღეს საკუთარი ბინის ზღურბლი ერთგვარი წყალგამყოფია: ბინის შიგნით იდეალური სისუფთავე და წესრიგი, ბინის გარეთ კი – სადარბაზოდანვე დაწყებული სიბინძურე და უწესრიგობა ჩვენი დეფორმირებული მენტალიტეტის ცოცხალი გამოხატულებაა.

„ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრება ქართველმა ხალხმა ისე გაატარა, რომ სისტემატურად, განუწყვეტლივ თითქმის ორი საუკუნე არ ცხოვრიბდა წესიერ სახელმწიფოებრივ პირობებში და ამიტომ, ცხადია, ქართველის სულძი არ არის არავითარი მოთხოვნილება სისტემისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იშვიათად შეგხვდებათ კულტურულ ხალხში ისეთი ადამიანი, რომელიც აგრეაუტანებლი იყოს საზოგადოებაში, როგორც ქართველი... საზოგადოებრივ ინტერესებს ქართველი უპირისპირებს ჯგუფურ, ან პერსონალურ ინტერესებს – ძმაბიჭობის კულტს;“ – წერს კონსტანტინე კაპანელი.

ეროვნული ხასიათის ესა თუ ის თვისება ხშირად ყველაზე რელიეფურად ანგედოტებში ჰპოვებს ხოლმე ასახვას. კანონისადმი, წესისა და რიგისადმი ქართველის დამოკიდებულებას კარგად ასახავს შემდეგი ანგედოტი: ხიდზე მდგომი ერთი კაცი მეორეს დაენიძლავება – ყველა გამვლელს ვაძებულებ ხიდიდან გადახტესო. ხედავს, მოდის ქართველი. ეს კაცი წინ გადაუდება. „რა გინდა? – ეკითხება მას ქართველი. „რა მინდა და აქ გადახტომა არ შეიძლებაო!“, პასუხობს ეს კაცი. „რატომ?“ – ინტერესდება ქართველი. „გორძაჩივის ბრძანებაო“, კვლავ პასუხობს კაცი. „ვინ კითხავს გორბაჩივს, რას ვიზამ მე ჩვენს ხიდზე“, – ყვირის გაცხარებული ქართველი და ხიდიდან ხტება!

კანონისადმი ქართველთა აგდებულ დამოკიდებულებაში გარკვეული წვლილი, უსათუოდ, ქართველთა მკვეთრად გამოხატულ ინდივიდულიზმაც მიუძღვის. ერთი მხრივ ის, რომ თითოეული ქართველი თავისი ინდივიდუალიზმით პიროვნებაა, ცხადია, ღირსებაა, მეორე მხრივ, ჩვენი ეს თვისება ხელს გვიშლის ეროვნული ენერგიის კონცენტრაციაში. გაცილებით იოლია მილიარდნახევარი ჩინელის ენერგიის ერთი მიზნისკენ წარმართვა, ვიდრე სამი მილიონი ქართველის ძალისახმევის გაერთიანება. საკმარისია ბელადმა ბრძანის და ჩინეტში მყისვე ყველა მარჯვენი შეტრიალდება. ჩინელებს ესმით: ბელადი, თუნდაც მათოვის



ქართული ხასიათი. მხატვარი ზურაბ მარტიაშვილი

არასასურველი, მაინც უფროსია და მისი ბრძანების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ეს სიბრძნე მათ აღმოსავლური დესპოტიის სასტიკი საუკუნეებში მყარად შეითვისეს. საქართველოში კი უფროსის ბრძანებას აუცილებლად აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვება: ერთი იტყვის – რატომ მარჯვნივ, როცა მარცხნივ შეტრიალება სჯობსო, მეორე – მაგას, საერთოდ ვინ ჰყითხავსო, მესამე – რა დროს ტრიალია, ხომ არ მოსცლია და ა. შ.

არადა, თუნდაც მარჯვნივ შებრუნების ბრძანება მცდარი იყოს, ერთი მიმართულებით წარმართული საერთო ენერგია ბევრად სჯობს ასე ყველას ჭუაზე მიტრიალ-მოტრიალებული, გათითოვაცებული ერის ენერგიას.

ქართული სულის სიძლიერე ყველაზე კარგად ჩვენს გუნდურ ხალხურ სიძლერებსა და ცეკვებში ვლინდება. ოლონდ, როგორც გურამ ასათიანი ალნიშნავს, „ქართულ გუნდშიც მთავარი თაგისობავად თანხმიერება კი არ არის, არამედ ის, რომ ეს არის პოლიფონიური თანხმიერება, ანუ ისეთი თანხმიერება, რომელიც თავის თავში აუცილებელ სხვადასხვაგარობას გულისხმობს.

ერთხმოვანება, ერთგვაროვნება, ერთსახოვნება, საფუძველშივე მიუღებელია ჩვენი ესთეტიკურ მსოფლმხედველობისთვის.

ასეთია ქართული სიძლერაც, ქართული პეიზაჟიც, ქართული ხუროთმოძღვრებაც, ქართული ვერსიფიკაციაც: ხოლო ქართველური ტომების ხასიათები ხომ ნამდვილად პოლუსებისგან შედგება (ამ უკანასკნელთა მიხედვით ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ქართველები ყველაზე მეტად ერთმანეთს არა ჰგვანან).

ჩვენ სიქრელეს ვერ ვიტანთ (თუ რაიმე ბოლომდე ვერ მივიღეთ აღმოსავლური კულტურიდან, პირველ რიგში, სწორედ სიჭრელის კულტი), მაგრამ ვერც ერთგვაროვნებას ვეგუებით. მონოტონურობა ისევე გვიხუთავს სულს ცხოვრებაში... როგორც აზროვნებასა და მხატვრულ შემოქმედებაში.

ჩვენი იდეალი ერთმანეთისგან განსხვავებულ, ერთმანეთისგან განზიდულ ერთეულთაგან შემდგარი კონტრაპუნეტია. „სიჭრელისა“ და „ერთგვაროვნების“ არა უპრალოდ ნაზავი, არამედ თვისობრივად ახალი, განსხ



ვაცებული სინთეზი“.

ესეც ქართული ხასიათის ორპოლუსიანობის, მისი ორბუნებოვანების გამოხატულებაა.

ინდივიდუალიზმისგან უნდა იღებდეს სათავეს ქართული ხასიათის კიდევ ერთი თვისება – ამპარტავნობაში და თაგებედიბაში გადაზრდილი თავდაჯერებულობა. ქართველთა ამ თვისებაზე ჯერ კიდევ ვაცებული ბატონიშვილი მიუთითებდა. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მასზე უყრადღება კრისტანტინე კაპანელმა გაამსხვილა. „ჩევენს ხასიათში არის რაღაც ისტორიულად შეძენილი თავხედობა, ერთგვარი პრანჭიაობა – „ნახალობა“, – წერდა ის. და, მართლაც, ქართველი კაცის თავდაჯერებულობა, ეგოიზმი, თაგებედიბა, ხშირად ყოველგვარ დასაშევებ ზღვარს სცილდება. გააჩერეთ ქუჩაში ნებისმიერი რიგითი ქართველი და ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობა შესთავაზეთ, ნუ გვინიათ, რომელიმეტ უკან დაისიოს – ჩემი ცოდნა და გამოცდილება მაგ საქმეს ვერ შესწვდება, პირიქით – აქამდე სად იყავითო, – გეტყვიან.

ქართული ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებას თავისი დაღი დასვა საუკუნების განმავლობაში ჩვენში გაბატონებულმა სეპარატისტულმა განწყობილებებმა. „კუთხური სხვაობა და თავისებურება ქართველში ქმნიდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კუთხურ ფსიქოლოგიას, პროვინციალობის კულტს, განკერძობისა და განაპირების ჩვეულებებს“, – წერდა კონსტანტინე კაპანელი. მნიშვნელოვანილია, ამის შედეგიც უნდა იყოს ჩვენთვის ესოდენ დამახასიათებელი ურთიერთგაუტანლობა, კინკლაობა და შუღლი. ამასთან, თავისი მრავალსაუკუნოვნი ისტორიის მანძილზე ქართველი ხალხი არაერთხელ დამდგარა ფიზიკური არსებობა-არარსებობის, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. და სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ის ყოველთვის ახერხებდა თავისი ფიზიკური და სულიერი ენერგიის მოპილიზებას. გარეშე საფრთხისგან დაცვის მექანიზმი, თვითშენახვის ინსტიქტი ქართველ ხალხში სწორედ კრიტიკულ სიტუაციებში ამოქმედდებოდა ხოლმე.

მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება. ამჯერად მხოლოდ ერთზე შევჩერდები: მე-17 საუკუნის შუახანებში ფიზიკური გადაშენების საფრთხე კახელებს დაემუქრა. შაპ-აბასა ალაზნის ველზე თურქენული ელები (ტომები) ჩამოასახლა, რომლებიც მოკლე ხანში კალიებივით მოედვნენ მთელ კახეთს. ვენახი გაიკაფა, კახეთის მდიდარი ველ-მინდვრები ამ მომთაბარე ტომების ცხვრების საძოვრებად იქცა. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეს კარგად არის ასახული: „ბახტრიონის სხედან თაორები/ სიტყვას ამბობენ ძნელსა/ ახმეტას ჩავჭრით ვენახსა/ შიგ ჩავასახლებოთ ელსაო.“

მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა ჩვენს მთასაც, რადგან ზამთრის საძოვრებისკენ კახეთზე გამავალი საქართველო გზა მათვისი გადაშენების აღმოჩნდა.

ცხადი იყო, რომ კახელთა ფიზიკურ გადაშენების შემდეგ ქართლელთა ჯერი დადგებოდა. ქართლ-კახეთის გარეშე კი დასავლეთ საქართველოსაც იგივე ბედი ელოდა.

აი, ამ კრიტიკულ მომენტში ქართველ ხალხში კვლავ გაიღვიძა თვითგადარჩენის ინსტიქტი. გამოჩნდნენ გმირები, რომლებმაც ითავეს ცალკეულ სამეფო-სამთავროებში ჩაკეტილი და ურთიერთთან კინკლაობას

გადაყოლილი ქართველების გაერთიანება. ზაალ ერი-სთავის, ბიძინა ჩიოლოყაშვილის, შალვა და ბიძინა ქარის ერისთავების, ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის და სხვა ქართველ გმირთა ხელმძღვანელობით 1660 წელს აჯანცებულმა ქართველებმა ერთიანად გაავლეს მუსიკი ყიზილბაშებს. თავზარდაცემული თურქები კახეთიდან გადაიხვენენ.

ამ ბრძოლაში ქართველებმა მათვის სრულიად უჩვეულო სისასტიკე გამოიჩინეს. მემატიანე წერს, რომ ისინი არც ქალს და არც ბავშვს არ ინდობდნენ.

ქართველთა ასეთი სისასტიკე ძნელი ასახსნელია, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც გააფთრებულმა შპპ-აბასმა თურქენების კახეთში კვლავ დაბრუნება მოინდომა, ისინი მას ფეხებში ჩაუვარდნენ: აქვე დაგვხოცეთ, მაგრამ იქ დამბრუნებელი კი აღარა ვართო. ირანის შპპი იძულებული გახდა თავის განზრახვაზე ხელი აღდო. თურქენთა მეორედ ჩამოასახლების შემთხვევაში კი, ძნელი სატქმელია, გვეყოფოდა თუ არა ძალა ხელმეორედ მათ განსაღევნად.

ქართველთა მიერ მაშინ გამოჩენილ უჩვეულო სისასტიკეს, ამ კონტექსტში, თითქოს, მისტიკური მინშენელობა ეძლევა. რაღაც ინსტიქტმა უბიძგა ქართველებს უარი ეთქვათ მათთვის ესოდენ დამახასიათებელ ლმობი-ერებაზე და მათივე ხასიათის წინააღმდეგ წასულიყვნენ.

ორი სამყაროს გზაჯვარედინზე მდებარეობამ ჩვენს ქვეყნას, სიკეთესთან ერთად, მრავალი თავსატეხიც გაუჩინა, უხსოვარი დროიდან ვინ აღარ შემოხეტებულა საქართველოში. ბევრი მოყვრულად მოდიოდა, უფრო მეტი მტრულად. უცხოტომელთ აქ წარმტაცი ბუნება და ბარაქიანი მინა იზიდავდათ. ჯერ კიდევ ძველი წელთა აღრიცხვით მე-6 საუკუნეში დასახლდნენ ჩვენს მინაზე ბაბილონელთაგან დევნილი ებრაელები. მოგვიანებით საქართველოში ბერძენითა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა, ქურთა, რუსთა და სხვა ეთნოსთა მასობრივი დასახლებები გაწნდა. საუკუნეთა მანძილზე უცხოტომელებთან გევრდიგვერდ ცხოვრებამ ქართველებს მათთან ურთიერთობის მაღალი კულტურა გამოიუშავა. აქედან იღებს სათავეს ჩვენი შემწინერებლობა, რასაც თითქმის, ყველა უცხოელი მკვლევარი აღნიშნავს. საქართველოში არასოდეს ჰეპნია ადგილი რომელიმე ეთნოსის დევნა-შევინწროებას. ჩვენ სრულ რკულთიშემწყნარებლობას ვამჟღავნებდით სომხურ-გრიგორიანული, კათოლიკური, მაპამადინური თუ იუდაური რელიგიების მიმართაც ქსენოფობია, საერთოდ, უცხოა ქართული ხასიათისთვის. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩამდგარი სისხლის გუბერნების მოუხედავად, აფხაზებისა და ოსების მხრივ ქართველების მიმართ გამომჟღავნებული უმადურობის მიუხედავად, ქართველ კაცში აფხაზისა და ოსის სიძულების ვერ იხარისა.

რესენტის მიერ შემწინერებლობას მისტიკური აღნიშნავს მინების მიუხედავად, ქართველ კაცში აფხაზისა და ოსების სიძულების ვერ იხარისა. რესენტის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული პირდაპირი აგრესის, მის მიერ ქართული მიწების ოკუპაციის მიუხედავად, ვერც რესოფობიამ მოიკიდა ჩვენში ფეხი.

ეს არც გულუბრყვილობით მოგვდის და არც უჭკუობით. მცხოვრისაც კარგად ვხედავთ და ვერაგობა-საც ვამჩნევთ. ისიც ნათლად გვაქვს გაცნობიერებული, თუ რა ძვირად გვიჯდებოდა ეს ჩვენი ზღვარგადასული შემწინერებლობა.



და მაინც, ცუდს უფრო ადვილად, მე ვიტყოდი, ერთგვარი ხალისითაც ვივიწყებთ, ვიდრე კარგს. ქართველ კაცს მტრობა და შურისძიება სიამეს ვერ გვრის. ვერაგობას ადვილად პატიობს, სიკეთე კი ნაღრძობივით ახსოვს და სამაგიერო მადლის მიგების ნიჭი ჭიასავით ღრძნის... ასეთები ვართ. და, „რამდენჯერაც არ უნდა წავიმტვრიოთ კისერი, ჩვენ ამ ჩვევას ვერ მოვიშლით“ (გ. ასათიანი).

კიდევ რა თვისებები ახასიათებს ზოგად ქართველს, რა განასხვავებს მას დანარჩენი ეთნოსებისგან?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს არის არტისტიზმი, თეატრალური ბუნება. ქართველი არ ცხოვრობს – ის ცხოვრებას თამაშობს. მისი ნებისმიერი ქცევა სხვათა შეფასებაზე გათვლილი. სპექტაკლია ჩვენი სუფრა, ქორნილისა და დაკრძალვის რიტუალები. გურამ ასათიანი ამას ქართველი კაცის ყოველივე ამაღლებულისკენ, „პათეტიკურისკენ“, შემოქმედებისკენ, ხელოვნებისკენ თანდაყოლილ სწრაფვას უწოდებს. თუმცა, უკანასკნელ როლს არც ჩვენთვის ესოდენ დამახასიათებელი სხვის თვალში თაგმოწონების სურვილი ასრულებს. გავიხსენოთ, როგორ მოითხოვდენ მონლოლთა ომებში განვეული ქართველები მონლოლებისგან ბრძოლის დაწყების უფლებას. უარის შემთხვევაში კი საშინად ნაწყენდებოდნენ. არადა, სხვის ომში, მით უმეტეს, შენი დამპყრობლის ომში, რატომ უნდა გინდოდეს ბრძოლის ქარცეცხლში პირველს გადაშვება? ეს ხომ შენი ომი არ არის... მაგრამ... ხომ უნდა ეთქვათ მონლოლებს – რა თავგანწირული და უებრო მეორები არიან ეს ქართველებიო.

ქართველი კაცის მუდმივად სცენაზე ყოფნის სურვილი ერთ ასეთ ანეგდოტემია ასახული: კითხვაზე – თუ დაამყარებდი ინტიმურ კაცშირს კიმ ბესინჯერთან უკაცრიელ კუნძულზე, გაოცებული ჭიჭირა პასუხობს: ვის მოვუყვე მერე, სიმონ, იქნეო.

არტისტიზმი, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ახასიათებს. შესაბამისად, ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაციის თეატრალიზებაც იქ უფროა მიღებული.

ქართული ხასიათის ერთ-ერთი მთავარი თვისება „სიკეთის დამსწავლელობა და მიმგებლობა“ (ვაზუშტი). სამაგიეროდ, ისტორიამ მრავლად შემოგვნახა ქართველთა სიკეთეზე უმაღლერობით მიგების მაგალითები. შორს ნუ წავალთ: ხალხი, რომელთა ახლო წინაპრები ქართველებმა თავიანთ მინაზე ძმებივით მიიღეს, ცხოვრების მოწყობაში მიეხმარენ, მათთან ჭირი და ლხინი გაიყვეს, დღეს ძირძეველ ქართულ მინას გვედავება.

ვასტუშტი ბატონიშვილი ქართული ხასიათის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად უყარითობაში გადაზრდილ ჩვენს გულუხვობას ასახელებს. „უხუნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალავენ“, – წერს ის. და, მართლაც, გალალება-დარტიმანდობის, დროსტარების სურვილი ქართველ კაცს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ისევ გურამ ასათიანს მოვუსმინოთ: „გავიხსენოთ, როგორ იწყება „არსენას ლექსში“ მთავარი გმირის დახასიათება:

„ქეიფი იმას უყვარდა,

გზებზე სუფრის გადაფენა...“

რომელი ლიტერატურული პერსონაჟის პორტრეტის ხატვა დაწყებულა ამ შტრიხით? მსოფლიოს რომელ

ხალხს წარმოუსახავს თავისი რჩეული გმირი იმგვარად, რომ მისი ხასიათის, ვინაობის, რაობის უპირველელეს ატრიბუტად ეს თვისება წარმომდგარიყო?

„ქეიფი იმას უყვარდა“... ეს გაძლიერი ეპითეტი უპრალო დარდიმანდობას, ან, მით უმეტეს, მემთვრალეობისენ ჩვეულებრივ მიდრეებილებას როდი აღნიშნავს. ეს ცოტა სხვაგვარი „ქეიფის“ სიყვარულია:

„გზებზე სუფრის გადაფენა...“ ეს იმგვარი სილალეა სულისა, რომელიც თავის თავში კი არ იხარჯება, არამედ საყველოთაოდ გაშლას, განფენას, სხვათა საამოდ და სასარგებლოდ დახარჯვას ლამობს...“ – წერს ის.

უკეთესად ვერ იტყვი. ქართველისთვის გალალებული, მოქეიფე, გზებზე სუფრის გადამფენი, გულუხვად მომლხენი კაცი იდეალია. უპირველესად, ამიტომაც ხატავს ხალხური ზეპირსიტყვიერება ასეთი სიყვარულით არსენას პორტრეტს.

თუმცა, ისიც ხომ ცნობილია, რომ ნებისმიერი უკიდურესობა სისულელესთან მეზობლობს. ყველა ლირსება შეიძლება უაზრობაში გადაიზარდოს. სტუმართა პატივისცემა ქართველებს, პარველ რიგში, პირთამდე გადავსებული სუფრა გვგონია. ჩვენს შესანიშნავ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ნაჩქარევად შემოვარდენინებთ ხოლმე, ჩვენი წარმტაცი ბუნებით ტკბობას არ ვაცლით. სუფრასთან მინვევას ვწერარობთ. აქცენტი პირის გემოზე გვაქვს გადატანილი. ამიტომაც გაგვკენლა მსუბუქად შესანიშნავმა თურქმა პოეტმა ნაზიმ ჰიქმეთმა. ჩვენს კითხვაზე: როგორ მოგეწონათ ჩვენი ბუნება და ხუროთმოძღვრებაო, გვიპასუხა: „ბუნებასა და ხუროთმოძღვრებაზე ვერაფერს გეტყვით, თქვენი რესტორნების ჭერზე კი დაწვრილებით შემიძლია ვისახერო, რადგან თქვენთან სტუმრობის დროს, უფრო ხშირად, მას ვუყურებდი ტუჩე მიღვმული ყანნით ხელშიო.“

ქართული ხასიათის უცხოელი დამკვირვებელინი ჩვენს ისეთ უარყოფით თვისებებსაც აღნიშნავენ, როგორიცაა სიმამაცით ტრაბაზი, უდარდელობა, სიზარმაცე, ლოთობა, გაიძევრობა, გარყენილება (შარდენი) და ა. შ.

ტრაბაზი უცხო ხილი ჩვენთვის ნამდვილად არ არის. უდარდელობა, თავშეუქრაობა ხომ არაერთხელ გამხდარა ჩვენი მარცხის მიზეზი. ქართველთა ლოთობაში უცხოელნი სუფრასთან დროსტარებისადმი ჩვენს მიდრეებილებას გულისხმობენ და ამაშიც მართალი არიან. რაც შეეხება სიზარმაცეს, უცხოელთა დაკვირვება აქ აქარად ზედაპირულია. ქართველი მართლაც, უნდილად, უნტერეზოდ ეკიდება ხელისნობას, ვაჭრობას. ტრადიციულად ამ დარგებს საქართველოში უცხოელნი (სპარსელნი, ბერძენი, ებრაელნი, სომენი) მისდევდნენ. ქართველი გლეხი მუდამ თავის ბარაქიან მინას ჩასციუნებდა. თავადაზნაურობა ან ქვეყანას იცავდა, ან ლრეობდა, ან რაღაც ამაღლებულისკენ, პათეტიკურისკენ მისწრაფოდა... ამიტომაც რაინდული შემართება, ხელოვნება... კი ბატონო, მაგრამ ვაჭრობა და ხელოსნობა მის სულს არ ეცხებოდა. ვაჭრებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ჯერ კიდევ რუსთაველმა გამოხატა: „თქვენ ვაჭარნი, ძაბანნი ხართ, მამაცობის უმეცარინი,“ – ათემევინებს ის ავთანდილი. ან, ავთანდილი რა მოსატანია, როცა თვით მცონარე და არაფრის მაქნისი ლუარსაბიც კი ვაჭრობას უკადრისობს: ეგ რა კაცია, გლეხები სავაჭროდ დაუდისო, – ამბობს ის თავისი ძმის –





დავითის მისამართით. რა გასაკვირია, რომ საზოგადოებრივი საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანები, უაღრესად საჭირო დარგების მიმართ საუკუნეების განმავლობაში ასეთი დამოკიდებულების გამო ქართველებში ვაჭრობისა და ხელოსნობის კულტურა ნაკლებად განვითარდა. იყიდის ქართველი ერთ ქუჩაზე ორ ყუთ კოკა-კოლას, გადაიტანს მეზობელ ქუჩაზე, მოძებნის ჩრდილიან ადგილს, დაადებს თავის საქონელს სამმაგ ფასს და ზის იქ თავის ყუთებთან ორ კვირა. არ იყიდება მისი უზომოდ გაძვირებული კოკა-კოლა, მაგრამ ქართველ „ვაჭარ“ აზრად არ მოსდის ფასის დაკლება, რადგან ვაჭრობის ანბანის არა გაეგება-რა.

აბა, სთხოვეთ სომეს დალაქს – მეტად ნულარ აფხ-ეს უკვე სუფთად გაპარსულ სახეს. მანამდე არ მოგეშვებათ, სანამ თვითონ არ იგრძნობს კმაყოფილებას თავისი ხელობით. ქართველი დალაქ კი, თუკი წინააღმდეგი არ იქნებთ, ნახევრად გაპარსულ სახეს შეგიმშრალებთ....

მეტისმეტ უტრირებას ვახდენ. ცხადია, არც ასეა საქმე, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ ქართველს ასეთი პროზაული საქმიანობა არანაირ სიამოვნებას არ ანიჭებს. ამიტომაც მისდამი მისი დამოკიდებულებაც შესაბამისია – ფორმალური, დაუდევარი, გულგრილი....

სამაგიეროდ, გვახსოვს, როგორ ბოლომდე იხარჯებოდა, პირდაპირ იწვიოდა სცენაზე კოტე მარჯანიშვილი, როგორ გონების დაკარგვამდე ვერ გაიყანეს ბრძოლის ველიდან დაჭრილი პეტრე ბაგრატონი... მოხმობილი მაგალითები გამონაკლისებს არ წარმოადგენს. შემოქმედებითი საქმისადმი ქართველთა დამოკიდებულება, როგორც წესი, სწორედ ასეთია.

ქართველი მოწეულ მოსავალს „ტირნაზულს“, ანუ დიდი შრომის, ოფლის ღვრის ფასად მოპოვებულს უწოდებს. განა შვილივით ვაზის მომვლელ ქართველ გლეხს ზარმაცი ეთქმის? განა ზარმაცი ხალხი მცხეთის ჯვარს მთის მწვერვალზე ააშენებდა? ხალხს, რომელსაც სილამაზის, შშენიერების ესთეტიკური განცდა იმ დონეზე აქვს განვითარებული, რომ ყოველი გორაკის კონცხზე ეკლესიას ან ციხესიმაგრეს აშენებს, რათა შემდეგ ქვემოდან შეხედოს და მისი სილამაზით დატყებეს, ზარმაცი არ ეთქმის.

ქართული ხასიათის კონტრასტულობა განსხვავებული აზრისადმი ჩვენს დამოკიდებულებაშიც მუდავნდება. ქართველთა უმრავლესობისთვის არსებობს მხოლოდ ორი აზრი – ერთი საკუთარი და მეორე – მცდარი. ჩვენ არა თუ საკუთარისაგნ განსხვავებული აზრის გაგება-გათავისების, არამედ მისი მოსმენის უნარიც არ გაგვაჩინია. აქედან უნდა იღებდეს სათავეს პოლემიკის უაღრესად დაბალი კულტურა, როცა დისკუსიის მონაწილენი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან (მართალია, თვითონ ისინი ამას თავიანთი „ცხელისხმიანობით“ ხსნიან, მაგრამ ეს სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი უკულტურობის გამართლების უნიჭო მცდელობა).

ქართველებს განსაკუთრებული, მოწინებითი დამოკიდებულება გვახსასიათებს ზოგადად ქალის, განსაკუთრებით კი დედის მიმართ. დედა-ენა, დედა-სამშობლო, დედა-მწანა, დედა-ბოძი, დედა-აზრი... ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ცნებებს წინ ამ სიტყვას წავუმდღვარებთ ხოლმე და ამით საკუთარ თვალში მათი მნიშვნელობის გაზრდას ვცდილობთ. ქალისადმი კდემამოსილი

დამოკიდებულება მშვენიურად არის ასახული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ცეკვებსა და სიმღერებში, ქართულ სადლეგრძელოებში... თუმცა, აქაც ჩემის თავს ჩვენი კონტრასტული ბუნება. ერთი მხრივ, ქალისადმი რაინდული დამოკიდებულება, მეორე მხრივ – ხელში მძიმე ჩანთებით მომავალი ქალი, მის გვერდით კი ჯიბებში ხელებჩანყობილი მეუღლე. ესეც ჩვენი ყოფის რეალური სურათია.

დღეგანდელი ქართველი საზოგადოების დიდი სირცვილია ახალ თაობაში ასე ფეხმოკიდებული საკუთარი დედის გინება. როგორ უნდა მოუბრუნდეს ადამიანს, ისიც ქართველს ენა საკუთარი დედის საგინებლად? ნორმალური ფსიქიკის ადამიანის პოზიციებიდან ამის ახსნა შეუძლებელია. ალბათ, ამის საფუძველი დედის დაფიცების ჩვეულებაა, რომელიც ბილნისტყვაობას მიჩვეულმა ქუჩის ბიჭებმა საკუთარი დედის გინებად აქციებს. ამ საშინელებაზე პასუხისმგებლობა კი მთელ საზოგადოებას გვეკისრება. საზოგადოება დამნაშავეა იმაში, რომ არაფერს, ან თითქმის, არაფერს (პრესაში გამოქვეყნებული თითო-ოროლა საპროტესტო წერილი აშეარად არასაკარისია) ქართული მენტალიტეტისთვის ამ სრულიად უცხო და მიუღებელი, ჩვენი ზნეობისა და ლირსების შემლახავი ჩვევის მიმართ შეუწყნარებელი ატმოსფეროს შესაქმნელად.

ქართული ხასიათის თავისებურებებზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. ამჯერად ზემონათქვამით დაგემაყოფილდეთ. ძალზე მნიშვნელოვანია შევთანხმდეთ: ჩვენი მთავარი მტერია არა გარეშე ძალა (რუსთი), არამედ ის ზერელე თავებრინობა, თავისებობა, რომელიც უარყოფას არა მხოლოდ თანაცხოვრებისთვის აუცილებელ პირობითობებსა და ლირებულებებს, არამედ დასავლეური სამყაროს მთავარ მიღწევას – გონების ძალას და ამ უკანასკნელს ზერელე პათეტიკით ანაცვლებებს.

ჩვენი მტერია პრიორიტეტიბში გაურკვევლობა, ჩვენ ჭეშმარიტების მატარებლად ის მიგვაჩნია, ვინც ჩვენს ბანალურ სტერეოტიპებს შეეფერება. ამიტომაც არის ასე იოლი ჩვენი წამოგება ემოციურ სატყუარაზე, ამიტომაც ვექცევით ასე იოლად სიტყვების ტყვეობაში მათი შინაარსის გააზრების გარეშე.

ნებისმიერი ერი ცდილობს (უნდა ცდილობდეს) თავისი ხასიათის დახვენას. ჩვენც უნდა ვიმუშაოთ ჩვენი უარყოფითი თვისებების დაძლევაზე. სხვებისგან უნდა ვისწავლოთ კანონისადმი პატივისცემა, საზოგადოებაში ქცევის ელემენტარული წესი და რიგი, ყოფითი კულტურა, პრაგმატულობა, სიბეჭითე, მომჭირნეობა, ყაირათიანობა და სხვ. ოღონდ, ეს ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ის არ დავკარგოთ, რაც სხვებისგან პოზიტიურად გამოგვივს არამედ რაც ჩვენი ლირსებაა. პატრიოტიზმი არ ნიშნავს ყოველივე ეროვნულის ჩაბლაუქებას. წარსულისგან ჩვენ უნდა ავილოთ ყველაფერი საუკეთესო და არა, საერთოდ, ყველაფერი.

მხოლოდ ასე შევძლებთ ფეხი ავუწყოთ დროის მსვლელობას.



## წერილი

### ცირი ლაფაჩი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
მუზეუმის მენეჯერი, ისტორიის  
მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს მთავრობის მეცნიერებათა სამსახურის მინისტრი

აშკარა, რომ ასპინძისთვის მჭრის ფარგლებ-ზე ქართველების ზრნუნვალე გამარტვება, მათმა გმირობამ და სამშობლო ქვეყნის უანგარო სიყვარულო-მა განაპირობა. ამას, როგორიც მჭრელევარი ვ. მაჭარაძე აღნიშნავს – „ქართველ ჭარის სათავეში ეფექტური მუზეუმია და მუზეუმის ამების ვეტერანი, დიდი სამდაბლიუ ერეკლე მეორე. იგი იმპოდა მშობლიული მინა-წყლის გასათავისუფლებლად. მას ფეხურები მშობლიული მინა ჰქონდა, ხოლო ნინ ნანგრევებად ქრისტი კულტურის აკვანი – მესხეთი.“

ერი ლაფაჩი

69



### ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის

(ისტორია-ზეპირსიტყვიერება)

ვახტანგ სუდაძის არქივის მიხედვით

საქართველოს არაერთი მძეინვარე ავრესორი უნახავს, მაგრამ თურქ დამპყრობება ბარბაროსული ბატონობის დამდუპველ შედეგებთან, როგორც მკვლევარი ვალერიან მაჭარაძე აღნიშნავს, აღნათ შაპ-აბასის ველური ურდოების სისხლიანი საქმებიც კი დაიჩრდილება. ამიტომ ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ-დამპყრობება წინააღმდეგ შეუპოვრობითა და თავგანწირულობით ხასიათდებოდა.

სწორედ ამის მიზეზით იყო, რომ სამეფო სამთავროებად დაყოფილ საქართველოს ყოველდღე საშიშროება ემუსტებოდა... აქედან გამომდინარე 1752 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფებმა ერთმანეთთან სამხედრო კავშირი შეკრეს: „როდესაც ქვეყანაში მტერი შემოიდეს, ერთმანეთს შევეშველნეთო“. ეს კავშირი ერეკლესა და სოლომონს შორის 1770 წლამდე არ დარღვეულა.

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას ქართველი მეფეები დიდი სიხარულით შეხვდნენ. დასავლეთ საქართველოს მეფე სოლომონი ფიქრობდა, რომ რუსეთის ჯარს თავისი საშინაო და საგარეო საკითხების მოსაგარებლად გამოიყენებდა და მეფე-თავადებსა და მთავრებს დაიმორჩილებდა, რსმალთა მიერ მიტაცებულ ქვეყნებს დაიბრუნებდა და დამპყრობლებს იმერეთიდან საბოლოოდ გააძევებდა.

უნდა აღნიშნოს ისიც, რომ რუსეთის დახმარებით მეფე ერეკლეც დიდი საქმების გადაჭრას ფიქრობდა. კერძოდ: მეფე პირველ რიგში რსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შემორტებას, ჭარ-ბელაქნის დაპყრობას და ქართლ-კახეთში ლეკიანობის მოსპობას აპირებდა. ამიტომაც იყო, რომ მეფე ერეკლეს რუსეთის ჯარის ამიერკავკასიაში შემისვლა ახალ ხანად ეჩვენებოდა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე რუსეთსაც თავისი მიზნები ჰქონდა და იგი ფიქრობდა: ისმალთა წინააღმდეგ ომით ქართველებს მტრის დიდი ძალები დაეხანდებინათ, რომ ამით ომის მთავარ ფრონტზე მათ ხელი შეშლოდა (ვ. მაჭარაძე, „ასპინძის ბრძოლა“,

თბილისი 1957 წ. გვ 12;).

(ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, ნაწ 1, თბილისი, 1948 წ. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, გვ. 393).

1769 წელს, ზაფხულის ბოლოს, რუსთა ჯარი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. ტოტლებენი, როგორც ამას ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა ზედაცემული კაცი იყო. დიდი საქმისათვის საჭირო მას არც ხალისი გააჩნდა, არც ნიჭი. პირადი გამდიდრება-განადიდება იყო მისი მთავარი საზრუნავი. ამიტომაც საქართველოს მეფებს ეს გენერალი იმსავითვე ვერ შეეგუა. მას განსაკუთრებულად არ მოსწონდა ის, რომ, ქართველ მეფებს, ერეკლეს და სოლომონს, საკუთარი მიზნები ჰქონდათ, ხოლო ტოტლებენი საქართველოს ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევას საჭიროდ არ თვლიდა და ქართველი მეფების – ერეკლეს და სოლომონის მხრით უსიტყვით მორჩილებას მოითხოვდა. „ამიტომ, – აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი – გენერალმა ტოტლებენმა წყალობის თვალით შეხედა სოლომონ მეფისა და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების მტრებს – დადიანსა და გურიებს. ასევე, ერეკლეს წინააღმდეგ გენერალმა ქართლის რეაქციონერი თავადები დაიხლოვა – დავით ქარის ერისთავი, ზაალ ორბელიანი, მაჩაბელი, ამირაჯიბი და სხვანი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1769 წელს 3 სექტემბრის პატაკით მოურავოვი 6. პანძის სწრედა: „სოლომონ მეფე ძალზე სუსტია და ერეკლეს გარეშე არავითარი მოქმედების ნარმოება არ შეუძლია“.

ტოტლებენი ჯარის გადიდების მოტივად სწორედ ამ ფაქტს იყენებდა – „საჭიროა ჯარები გადიდეს იმის გამო, რომ სოლომონ მეფის ჯარების დახმარების არავითარი იმედი არ მაქვს“.

ამით ტოტლებენი აუწყებდა მეფის რუსეთის სამეფო ტახტს, რომ ქართლ-კახეთის ძლიერი, ჭკვანი და თვითმმარტინი მეფე ჯარის გაუდიდებლად იმში ჩაბმას არ აპირებდა..., ამიტომ ქართ-კახეთის ომში ჩაბ-

ოლე, №3, 2019





მით, უმოკლეს დროში, აუცილებლად შეიძლება დიდ შედეგებს ველოდოთ რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ.

ასეთი და სხვა მრავალი მიმოწერის შემდეგ, რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორე ხელს ანერს ჯარების გადიდების საქმეს და, მაშინ, როცა იმერეთში თურქების შემოჭრის შედეგად შორაპნის ციხესთან საქმე კარგად ვერ წავიდა და ერეკლე მეფის ომში ჩაბმის იმედიც ჰქონდათ, ტოტლებერმა და **მურავიოვმა** ქართლში დაბრუნება გადაწყვიტეს... დარწმუნდა რა ერეკლე მეფი, რომ რუსეთის მთავრობა საექსპედიციო ჯარის რაოდენობის გადიდებას პრინციპულად დათანხმდა და დამხმარე ძალებიც გზაში იყო, ამიერიდან, როგორც ამას მკვლევარი ვ. მაჭარაძე წერს – „ერეკლეს ომში ჩართვა გადაწყვეტილი იყო“.

თუმცა ქართლ-კახეთის ბრძენ მეფეს, ისიც არ ავიწყდებოდა, რომ რუსეთთან მის კავშირს საგარეო ურთიერთობების გართულება, მეზობელი მაპამდიანური ქვეყნების მხრივ მტრობის გაძლიერება მოჰყვებოდა.

ამის შესახებ ერეკლე მეფე დასძენდა: „რადგან სარწმუნეობის სარჩულით მოქმედება კეთილ აღრჩევა ესე, ზედმინევნით ვუწყით, იგინიც, ჩვენდამი მტერობას შეძლებისაებრ უმეტესად ჰყოფებ“ და „განსწავლებული ჯარი გუებობოს, რომ საფარველი ჩვენდამთ ყოველთა თანა განეცხადნეს.“

მეფე ერეკლე არ სცემოდა. რუსეთის ჯარების შემოსვლამ საქართველოში, როგორც ამას მკვლევარი რ. გოგოლაური წერს, ყველაზე ძალიან აღაშფოთა ახალ ციხის, ანუ ჩილდირის ვალი ნამან ფაშა (1769-70).

ნამან ფაშა გამაპმადიანებული ეპრაელი იყო. როგორც პროფესორი შ. ლომისაძე თავის წიგნში – „სამცხე-ჯავახეთი“ ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ნამან ფაშა ადრე ეპრაელი ყოფილა, შემდეგ გამაპმადიანებულა და ფაშობა მოულია“. მკვლევარი ფიქრობს, რომ „ნამან ფაშას დანიშვნა ამ თანამდებობაზე რუსეთთან ომის მდგომარეობითაც იყო გამოწეული“. – თუ „ლეონის ცნობას ვირწმუნებთ, – დასძენს იგი, – ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ახალციხის საფაშო ტახტზე არაქართველი წარმოშობის, არაჯაყელთა გვარის შთამომავალი ავიდა.“

1769 წლის ნოემბერ-დეკემბრით დათარიღებულ წერილში ნამან ფაშა ერეკლეს სწერდა: „სოლომონმა უდალატა თურქებს და რუსეთის რაზმი მოიწვია იმერეთში.

ახლა ეს რაზმი თქვენს ქვეყანაში გადმოსულა. ასეთი რამ ავნებს ჩვენს მევოპრობას და გაართულებს თქვენს ურთიერთობას სპარსეთთანაც. ამიტომ რუსები თქვენი ქვეყნიდან დაითხოვეთი“.

როგორც ისტორიული ფაქტები ადასტურები, ასეთ რთულ ნაბიჯს ქართლ-კახეთის მეფე იმიტომ დგამდა, რომ რუსეთთან კავშირს და მის მფარველობას ფართო საგარეო პოლიტიკურ გეგმებს უკავშირებდა, რომელთაგან, უმთავრესი სამხრეთ საქართველოს თურქი დამპყრობლების ხელიდან გამოგლევდა იყო. ამასთანავე, იგი აგრძელის ბაზას წარმოადგენდა და ქართლსა და იმერეთში შემოსასვლელ გზებზე ბატონობდა...

1770 წლის 17 აპრილს, ერეკლე მეფე და ტოტლებენი რუს-ქართველთა ჯარით ანუკურის ციხეს შემოადგა. ის იყო ომი გაჩალდა, რომ ტოტლებენი, თავისი ჯარით, უეცრად, უკან გაპრუნდა. ბუნებრივია, გენერალ ტოტლებენის საქციელმა, ქართველთა ჯარში, დიდი აღმოფოთება გამოიწვია. გაგულისებულ მტერს, რაკი ეს შეამჩნია, გული მიეცა, ციხიდან გამოიდა და ქართველებს თავს დაესხა. ერეკლემ ჯარის რჩეული ნაწილი შეაგება მტერს და დაზარალებული, ისევ ციხეში დაბრუნა. მეორე დღეს მეფე ერეკლე ასპინძის მიმართულებით წაიდა. ბუნებრივია, ახალციხის ფაშამ მთელი ძალები მის წინააღმდეგ დაძრა. ერეკლე მეფის და მოურავოვის ცნობით, მტრის 4000-იანი კორპუსი მისულა ასპინძასთან...

19 აპრილს მთავარ ძალებთან ბრძოლა არ გამართულა, ხოლო ქართველი მემატიანის ცნობით: „გამოვიდნენ უკვე ნახევარი მტრის ჯარებისა ხიდსა ასპინძისასა და ნახევარიცა ლამობდნენ მეორესა დღესა გამოსვლად, ხოლო ლამესა მას წარგზავნა მეფება ერისთავის შვილი აღმართა, სვიმონ მუხრანბატონის შვილი წასალჩიბაში და ხედია ბორჩალოელი, ჩინებული და მამაცი ყოველსა საქართველოსა შინა და ამცნო მათ, რათა აპყარონ ხიდი ასპინძისა და მათ სრულ-ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მეფისა“.

1770 წლის 20 აპრილს გაიმართა ბრძოლა. ქართველები ერეკლე მეფის სარდლობით შეტევაზე გადავიდნენ და სწრაფი და გაძელებული შეტევით მტრის წინა რიგები გატყდა. ამას ისიც დაემატა, რომ უკან დასახელები გზა მოქრილი ჰქონდათ, მეფის ბრძანებით, ხიდის წინასწარ დაზიანების გამო. თურქები მორალურადაც დაეცნენ და ბრძოლის უნარი დაკარგეს. მტერს ბრძოლის ველზე 4000 მებრძოლი დაეღუპა. მეფე ერეკლე პანინისადმი გაგზავნილ წერილში მოკლულთა შორის ასახელებს: არტანბელ ბეირშექს, გოლა ფაშას, შავშეთის ფაშას და სხვა. ლევთაგან: მალაჩილას (კოხტა ბელადი), უსუფ ბელადს, პაჯი მამედ ბელადს და სხვა. უნდა ალინიშოს ისიც, რომ მეფე დაღუპულად თვლიდა ყუმუშის მთავრის შვილს პაჯი გაპხაის, სულთნის მიერ წინასწარ თბილისი ფაშად დანიშნულს, რადგან ამ უკანასწელის ცხენი მეფეს მიჰყვარეს.

შეკარაა, რომ ასპინძასთან მტრის ჭარბ ძალებზე ქართველების ბრწინინგალე გამარჯვება, მათმა გმირობამ და სამშობლო ქვეყნის უკანგარო სიყვარულმა განაპირო-





ბა. ამას, როგორც მკვლევარი ვ. მაჭარაძე აღნიშნავს – „ქართველ ჯარს სათავეში ედგა ყირხბულახისა და მჭადივერის ომების ვეტერანი, დიდი სარდალი ერეკლე მეორე. იგი იბრძოდა მშობლიური მინა-წყლის გასათავისუფლებლად. მას ფეხქვეშ მშობლიური მინა ჰქონდა, ხოლო წინ ნანგრევებად ქცეული კულტურის აკვანი – მესქეთი.“

ასპინძის ოპერაციით ქართველი ხალხის გმირული ისტორიის მატინეში ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაინერა. აქვე მინდა კიდევ ერთხელ მოვიშველი ბატონი ვ. მაჭარაძის სიტყვები: „ქართველმა ხალხმა დიდების შარავანდებით შემოსა ასპინძის გმირები და გმირი სარდალი ერეკლე მეორე და ქართველი ხალხის ერთ-ერთ საყვარელ ეროვნულ გმირად გადაიქცა“.

აღბათ დამეთანხმებით, თუ ვიტყვით, რომ ასპინძის გმირულ ბრძოლაში ადგილობრივი მოსახლეობაც აქტიურად მონაწილეობდა და ვის როგორც შეეძლო (ხშირად შეუძლებელსაც აკეთებდა) ისე ედგა მხარში გმირ მეფეს და თავდაუზოგავად იბრძოდნენ მტრის მძიმე და ხანგრძლივი უღლელისაგან თავის დასალნევად.

ასპინძის ომის რეალიები ფართოდ აისახა, როგორც ქართულ მეცნიერებაში, ასევე ჩვენი ხალხის მესახურებაში და იგი ლეგენდებით, გადმოცემებით და სხვადასხვა სახით გავრცელდა ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ამასთანავე, როგორც ხალხურ პროზაში, ისე პოეზიაში. ამ მხრივ ალსანიშნავია, რომ ნლების განმავლობაში ძალიან ბევრმა და საინტერესო მასალამ მოიყარა თავი ჩვენი მუზეუმის ფონდებში და მკვლევართა არქივებში. აქედან გამომდინარე, გადავწყიოთ, ასპინძის ბრძოლიდან 250 წლისთავთან დაკავშირებით, ისტორიულ ფაქტებთან ერთად საზოგადოებისთვის შეგვეთავაზებინა პროფ. **შოთა ლომისაძის** არქივიდან ერთი წერილი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში მისთვის გამოყვანილია გერმანის, ქ. ჰაიდენბურგში მცხოვრებ ვახტანგ სუდაძეს. იგი ერთ-ერთი თანამშრომელი გახლდათ 30-იან წლებში განახლებული ახალციხის მუზეუმისა.

მას შემდეგ, რაც ვ. სუდაძე გასცნობია ბატონ შოთა ლომისაძისა და სხვა ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებს, გადაწყვეტილება მიუღია, რომ ასპინძის ომის შესახებ და არა მხოლოდ ასპინძის ომის შესახებ მისთვის გაეზიარებინა თავისი აზრი. ამ თვალსაზრისით იგი სწერს შემდეგი შინაარსის წერილს და უგზავნის პროფ. შ. ლომისაძეს (წერილის სტილი დაცულია):

„გამარჯობა პატივცემული შოთა.

გისურვებ ჯანმრთელობას და გულწრფელ ბედნიერებას შენს ცოლ-შეითან ერთად.

ბატონი შოთა, თქვენმა და გაგას მეგობრულმა ინიციატივამ ჩემს მიმართ უზომოთ გამახარა. რადგან თქვენ შალვას დახვდით თვითმმრინავეის სადგურზე და ახალციხეში გაამზავრეთ.

გული მტკივა, რომ დრო გადის და ერთმანეთს ვერ ვნახულობთ, რომ ურთიერთს გაუზიაროთ ჩვენი ქართველი წრისთვის სასიკეთო აზრები... თქვენ, როგორც მკვლევარი, სხვებისათვის უმნიშვნელო ამბავი თქვენთვის ლირებულ საგანად გადაიქცევა.

მაგალითად, ძველი და ახალი მკვლევარების გა-

მოუსწორებელი შეცდომები. ძველი მკვლევარებიდან: არტურ ლაისტი, ნაკი მარი, ექვთიმე თაყაიშვილი. მათ შემდეგ ახალი თაობიდან: სერგო (სერგი) მაკალათია, მიხეილ ჩიქოვანი და მათი მოწაფე, ქართველი ერის მოსიყვარულე – ვახტანგ სუდაძე.

ჩემი სტუდენტობის დროიდან მინდა ერთი პატარა ეპიზოდი მოგითხოვ. ასე მგონია 1933 წელს პედაგოგური ინსტიტუტის ნაცნობის დახმარებით მათემატიკურ ფაკულტეტზე მოვხვდი. წლის განმავლობაში უგულოდ ვისმენდი ლექციებს. ლექტორმა აღბათ შემამჩნია და მამულიშვილური საუბარი ჩამიტარა. გამომიძახეს დირექტორთან და მითხრეს, მომავალ წელს ლიტერატურის პირველ კურსზე მოისმენ ლექციებს. მე პრინციპულურად მოვითხოვ ნებართვა პირველ კურსის ცველა საგნის ჩაბარებისა. სწორედ იმ დროს ისტორიის პროფესიონალი სარგის კავაბაძე ატარებდა ისტორიის გამოცდას, მონერილობა მომცეს, შეველ მის კაბინეტში, კიდევ ორი სტუდენტი შემოვიდა, დაჯდნენ, მე ყურადღება არ მოაქცია, ჩემ მიცემულ წერილს უყურებდა, სტუდენტებს უთხრა: თქვენ იფიქრეთ რუსის გენერალ ტოტლებენზე. სტუდენტებმა მიცემულ თემაზე სწორედ ვერ უპასუხეს, ისანი რომ გავიდნენ, მე ვუთხარი – ბატონი პროფესიონალ, რატომ არ გაუსწორეთ? პროფესიონალ ალმაცერად შემომხედა. მე ვუთხარ, ასპინძის ხიდს მარჯვენა მხრიდან ვერ ჩახერხსავდნენ, რადგან იმ ვაკე მინდორზე, ხიდის თავამდე, თურქეთის ჯარი იდგა. პროფესიონალი წამოდგა – ახლა მე უნდა წავიდე, აგერ ჩემი ადრესი (მისამართი) შვიდ საათზე მოდი და ჩემთან სახლში ვილაპარაკოთ.

დანიშნულ დროს, შეიდ საათზე, ვესტურე ოჯახში, თავაზიანად მიმიღო. მისმა მეულლებ მიმიპატიუა ვახშამზე. ვახშის შემდეგ პროფესიონალი თავის სამუშაო ოთახში მიმინვია. წიგნების სიმრავლემ თავისკენ მიმიზიდა. პროფესიონალი შემამჩნია და მითხრა, როცა დრო გექნება, გამოიარე და რომელი წიგნიც მოგეწონოს, წაილე წასაკითხადო. შემდეგ მომმართა: მესხო სუდაძე, ახლა დავუპრუნდეთ, დღევანდელი იმ ორი სტუდენტის გამოცდას, რაც სწორი არ იყო, შენ განმარტე, მე გისმენ.

სტუდენტი სუდაძის განმარტება: – ბატონი პროფესიონალ, მე სიმართლედ მიმართია, სოფელ საკირის და სოფელ დგვარის ღრმად მოხუცების გადმოცემა, მომუნდა დანებულიყო მეფე ერეკლეს სარდლობით. ტოტლებებს კი უნდოდა (თავისი) სარდლობით, ეს რომ ვერ შეძლო მოის ჩასაშლელად გამოიყენა ყოველგვარი რუსული ხრიკები. მომა გადაინაცვლა ასპინძის მიმართულებით, საკირის და დგვარის მცხოვრებმა დიდი შრომა გასწიეს ჯარის განმარტების გარეშე გადასაყვანად ასპინძის მიმართ ასპინძის. ორი დღე-ღამის განმავლობაში ერეკლე მეფე თავის ჯარით ასპინძის მისადგომებთან აღმოჩნდა. ახალციხის ვილაიეთის ქართული სოფელებიდან ათასამეტ კაცი იქნებოდა ერეკლე მეფის ჯარში, რასაკირველია, საიდუმლოდ. ჯარმა დაიკავა სოფელ ტამალის მისადგომები.

ერეკლე მეფემ მოიწვია თავის ჯარიდან რჩეული ადამიანები და ჰერთა: როგორი ხერხით იბრძოლოს, რომ გამარჯვების სასწორის ქართველების მხარეს დაეძლია.





**ბადალა:** ბატონი მეფევ, ახალციხიდან ახალქა-ლაქამდე, სადაც საქეყნო საქმე სწყდებოდა, აზრს მე მეიოთხამდენ, არსად არ წამიგია და ვიმედოვნებ, არც ახლა წავავო, გთხოვდით, მე და ერკოტელი ჯვარიძე ამ-აღამ ასპინძის მიდამოებში თურქეთის ჯარის განაწილე-ბას და სიმაგრეებს შევისწავლით. თქვენ ბრძანეთ ხიდის რამდენიმე ადგილზე ჩახერხვა. მცც მაგას ვფიქრობდი, თქვენ დამასწარით, ამიტომაც ამ საქმეს ძალიან კარ-გი შეწავლა უნდა, ამიტომ მე და ნიკოლოზ ჯვარიძე წავალთ, დაწვრილებით შევისწავლით, განსაჟუთრებით კი ხიდს, შევეცდებით გათენებამდის დაგბრუნდეთ, ღვ-თის დახმარებით, სწორი ამბავი ჩამოგიტანოთ.

**მეფე:** – აბა, ბადალ და ნიკოლოზ, წმინდა გიორგი იყვას თქვენი მფარველი. ხვალ დილით გელოდებით.

ღამის სიბძელეში ბადალა და ნიკოლოზი გაუჩინარდნენ. შემოიარეს ასპინძის გარშემო, არავითარი სიმაგრეები არ არსებოდა. ჯარის მთავარი ძალა ასპინძის ქემოთ, ველზე, ბანაკობდა. ეს ორი მებრძოლი გათენებისას დაბრუნდა და მეფეს წანახი სურათი გადასცეს.

ბადალამ პრინციპული უარი განაცხადა ხიდის მარ-ჯვენა მხრიდან ჩახერხვაზე, რადგან თურქეთის ჯარი ხიდის თავიდან „პალატკუებში“ უდგათ, ხიდი უნდა ჩაიხ-ერხოს მეორე მხრიდან, საიდანაც რამოდენიმე მცველი იქნება. იმასაც თავს მოუვლით.

მეფე ხელების მალლა აპყრობით: – გმადლობთ, ღმერთო. გვყოლია ერის მოჭირანახულე გმირები ბადა-ლას და ნიკოლოზის სახით. – ბადალ, გაძლევ კიდევ ოთხ კაცს – ორი ხიზაბავრელი, ორი ერკოტელი, კიდევ რამ-დენი კაცია საჭირო იქ მოძებნეთ, ამას საქმე დაგანახ-ვებთ. მეფის მშვიდობა თქვეს და გზას გაუდგენ.

ბადალა: – მებომ, მეფის გამარჯვება ქართველი ერისთვის ჩვენ ვართ და გადამწყვეტი სიგნალის მიმ-ცემი. ხიზაბავრელებო, ოცი კაცით განთიადამდის ნი-კოლოზის იჯახში უნდა მოხვიდეთ, ხიდის ჩასახერხად საჭირო იარაღებს ჩვენ მოვამზადებთ, გათენებისას ისადილებთ, დაიძნებთ და ღამისას წამოიშლებით, ივახ-შმებთ და დაბრუნელებისას გაუდგებით გზას.

ათი კილომეტრის გავლით აღმოვჩნდით მტკვრის სანაპიროზე, 50 ხიზაბავრელი და ერკოტელი, სულ ახლო ჩავსაფრდით. ბიჭებო, მომეცით ბადე. მე და ნი-კოლოზი მათთან მივალთ, როგორც მეთევზენი. მონ-ინებით შეველაპარაკებით: მთვარე არ ამოვიდა, რომ ბადე გავშალოთ, ფაშებს ახალი თევზი უნდათ. ისინი დარწმუნდებიან, რომ ჩვენ მეთევზები ვართ. მე რომ ჩავახველებ, კურდლის ნახტომით ჩვენთან გაჩნდით, საშუალება არ უნდა მივცეთ, სასროლი იარაღი იხმარონ, თორემ, მეორე მხარეს გაიგებენ და საქმე ჩაგვეშლება.

ბადალა და ნიკოლოზი ბადით ხელში მივიდნენ ხიდის მცველებთან და შესჩივლეს: – სიბძელის გამო ბადეს ვერ ვშლითო. ერთი კაცი შეეხებრა: – თევზი ჩვენც გვინდაო. ბადალამ შენიშნა, რომ ხიდის მცველე-ბად ექვსი კაცი იყო. მაგრად ჩაასველა, ჩასაფრებულები გარს შემოერტყონენ. ის ექვსი კაცი მოკლეს და მტკვარს გაატანეს ახალციხის მიმართულებით.

აბა, ოსტატებო, სამი ხერხი გაანყეთ, ხიდი სამ ადგილას უნდა ჩაიჭრას. ჩაჭრის დროს ერთგვარი წონასწო-

რობა დაიკავეთ, ხიდი უნდა ჩატყდეს იმ დროს, როცა ჯარი შესდგება გასავლელად.

პატივცემულო ძმებო, მეფის დავალება პირნათ-ლად შევასრულეთ, ჩვენი ქართველი ერის სადიდებლად. ერთი რაგ გახსოვდეთ, ჩვენს მიერ შესრულებული საქმე საიდუმლოდ უნდა დარჩეს, თორემ მეზობელ მუსლი-მანებს არ გაუხარდებათ.

ხიდის ჩამხერხავებს თუ სურვილი აქვთ, მე გამო-მყვნენ, დანარჩენი ოჯახებში დაბრუნდით, მე და ნი-კოლოზი თუ ვერ დავბრუნდით, ეკლესიაში სანთელი დაგვინთეთ.

ამ სამამულო დახმარებისათვის ყველას მეფის სახელით მადლობას მოგახსენებთ, თქვენ გაემართეთ საკუთარ ოჯახში და ჩვენ მივაკითხავთ მეფქს.

ეს ათი ცხენოსანი, მეფის შესახედრად გაემართ-ნენ, მათ შორის პატრე ხიზაბავრელმა ურჩია თანამგზა-ვრებს: დადეშზე გავლით ხიზაბავრის ბალებთან მტკვარი ფართოდ გაშლილია და ცხენებს გასვლა არ გაუჭირ-დებათ. ბიჭო, პეტრე, თქვენ, ხიზაბავრელები მართლა ფრანგები ხართ? ბატონო ბადალ, მოგებაში და ეშმა-კობაში ფრანგები ვართ, ლვინის სმაში და თამადობაში ქართველები...

პეტრე, ფრანგებიც ხომ სვამენ ღვინოს? კი ბატო-ნო, ნორმალური ჭამა-სმა მარგებელია, ასე გვასწავლის ქრისტე მდერთი, ხოლო ნორმაზე მეტი საზიანოა...

ასე, შინაურული საუბრით მივაღწიეთ მეფის სად-გომს. უკვე თენდებოდა, მთელი ღმევე მეფეს ლოცვა-ვე-დრებაში გაუტარებია და რომ შეატყობინეს, ბადალა დაბრუნდაო, სამიც წელს მიტანებული მეფე ახალგაზრ-და ჭაბუკივით წამოდგა...

ბადალა: – ბატონო მეფევ, თქვენი ბრძანება პირ-ნათლად შევასრულეთ. აი ეს ექვსი კაცი, რომელიმაც შეუსვენებლად ჩახერხეს ხიდი, დანარჩენი ჩვენი დამცვე-ლი ორმოცდათი კაცი იჯახები გავუშვი... თქვენს მიერ დავალებული საჭირო შესრულებისათვის თავი გამოიჩინა ნიკოლოზ ჯვარიძემ, კერძიდ, სამუშაო საგნების შეკრ-ბისათვის.

მეფე: – თქვენდა საპატივცემულოდ ეს ორმოცდა-თი ცალი წმინდა გიორგის ჯვარი მეფისაგან საჩუქრებად გადაეცით ქართველი ერის გულშემატკივარ ადამიანებს. გისურვებთ თქვენს იჯახებში მშვიდობით დაბრუნებას. ბადალა და ნიკოლოზი აქ დარჩებიან.

მეფემ დიდებულები შეკრიბა და მიმართა: თანამ-ემამულებო, დროა გადავიდეთ შეტევაზე. ყველამ შეს-აფერისი აზრი გამოთქვით. მოლაპარაკების შედეგად გამოითქვა ასეთი წინადადება, რომ პირველი შეტევა მი-ვიტანოთ ცენტრალურ სიმაგრეებზე. მაგარი დარტყმით ცენტრში არეულობა მოხდება, თათორული ჯარი ზურგს გვიჩვენებს გაქტევით, ხიდი ჩაენგრევათ, ჯარის ერთი ნაწილი მტკვარში დაიღუპება, დანარჩენები იძულებული იქნებიან იარაღი დაპყარონ და ჩაგვებარდნენ.

ბადალა: ბატონო მეფევ, მე არ გეთანხმებით.

ჩვენ იმიტომ შევიტრიბეთ, რომ ყველას აზრი მოვის-მინოთ, ავნონ-დავნონოთ, რომელიც ჩვენი გამარჯვების საწინდარი იქნება, ის აზრი მივიღოთ.

ბადალა: გმადლობთ მეფევ, მე დღემდის არ წამიგია



და ვიმედოვნებ დღესაც გამარჯვების გზით წავალთ... ჩემი შეგნებით და თვალთახედით, ჯარი სამად გაიყოფა, რადგან მტერს სამი მხრიდან უნდა შევუტიოთ.

- და რატომ თქვენი „პლანით“? ცენტრი რომ შევანგრიოთ, თათრების ჯარი დაიხევენ უკან ხიდზე გადასასვლელად, ხიდი ჩაინგრევა, პატარა ნაწილი დაიღუპება. აპა, ოცდაათიათასანი არმია მძიმე იარაღით დაბლობში დგას, ისინი ახალციხის და ხერთვისის მიმართულებით გაიწევენ, ახალ პოზიციას დაიჭერენ და გაიმართება გაუათვებელი ომი, ასეთი მოვლენა მაჩვენებელია ჩვენი მარცხისა...


ეს მარცხი რომ ავიცილოთ და ზუსტ გამარჯვებას მივაღწიოთ, ამისათვის ჩემი მოთხოვნა არის ჩვენი ჯარი სამ ნაწილად გაიყოს. პირველი ძლიერი ნაწილი ცენტრზე მიიტანს იერიშს, მეორე, კიდევ ძლიერი ნაწილი, ახალციხის მიმართულებით გასაქცევ გზას ჩა-კეტავს და მესამე პატარა ნაწილი - ხერთვისის გზას გადაკეტავს...

თათრების მთავარ ჯარში, არეულობა რომ მოხდება, პირს იბრუნებს გასაქცევად, ხიდზე გავლით, ხიდი ჩაენგრევათ და იქ უნდა დახვდეს ჩვენი ძლიერი ჯარი, რომელიც სიმაგრებშია, გზააბნეული თათრის ჯარი რომ გაიწევს ახალციხის მიმართულებით, სიმაგრეში დახვდება ჩვენი ჯარი, ფიცხელი შეტაკებით იერიშს მიიტანს - თურქეთის ჯარს დაიხევს უკან და მტკვრის სანაპიროსაკენ შეგროვდებან. ამ დროს ქართული არტილერია თურქეთის ჯარს ყუმბარებს (ჭურვებს) დაუშენს, აუარებელი ხალხ დაიხიცება და იძულებული გახდებან არაალი დაჟყარონ და ჩაბარების დროშა ასწიონ...

ამ გეგმით ქართველების გამარჯვებით დამთავრდა ასპინძის ომი.

მეცე ერეკლე: პატივცემულო ახალციხელებო, ბადალა ნებაძე და ნიკოლოზ ჯვარიძე, მე არ გვითხვათ, ვინ რომელი სოფლიდანაა, ჩემთვის და ისტორიისათვის ყველა დიდებული მესხეთ-ჯვარებიდან ხართ. მე სიტყვა არ მყოფნის თქვენს ვაჟაცურ, თავვანნირულ ბრძოლის შეფასებაში. ვთხოვ ქართველ ერსა და ისტორიას თქვენი პიროვნება შეილომვილებს არ დავიწყებოდეს. ჩემდა სამასტოებროდ, მიიღეთ წმინდა გიორგის ჯვარი და მშეოდობით“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ბატონი ვახტანგ სუდაძე კვლავ მიმართავს ამ სტატიის მკითხველს, პროფ. შოთა ლომისაძეს და აგრძელებს თხრობას ასპინძის ომის გამარჯვების მონაწილეთა შესახებ და აღნიშნავს, რომ სამშობლოსათვის თავდადებული ორი გმირი - ბადალა ნებაძე და ნიკოლოზ ჯვარიძე მესხეთ-ჯვარების მხარეში სახელგანთქმული მებრძოლები იყვნენ და, რა თქმა უნდა, ახალციხის ფაშის კარზეც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ამიტომ, ფაშას ეჭვი რომ არ აეღო ასპინძის ბრძოლაში მათ მონაწილეობაზე, ბადალამ და ნიკოლოზმა ხმა გაავრცელეს - ეს რამდენიმე თვეა ჩრდილო კავკასიაში, ლეკეთში, ჩეჩენეთში და დაღესტანში არიან სავაჭროდ.



ამიტომაც ორ-სამ დღეს ოჯახში დაისვენეს, ორი ცხენი დატვირთეს პურისა და სომინდის ფქვილით, ლობიოთი და კიდევ სხვა წვრილმანი საჩუქრებით და ერთ მშვენიერ სალამოს ოთხი ცხენით გაუდგნენ გზას სომხეთზე გავლით, რომდენიმე დღე-ღამის მგზავრობით მიაღწიეს ლეკეთს.

ბადალამ და ნიკოლოზმა, დიდი დალლილობით მიაღწიეს მეგობრების ბინებს. მასპინძლებმა გამოუტქმელი სიხარულით მიიღეს სტუმრები. დღე-ღამის შესვენების შემდეგ წამოლებული საჩუქრები მეგობრებზე თანაბრად გაანანილეს... ერთი კვირის შესვენების შემდეგ გაირეს ქალაქებში, დაათვალიერეს სავაჭრო პუნქტები და შეკვეთა მისცეს მეგობრებს, განსაკუთრებით შალის ნაქსოვზე, როგორც მამკაცისათვის, ისე დედაკაცისათვის და სხვადასხვა ნაქსრგ ქსოვილებზე. ერთი თვის განმავლობაში შეიძინეს ყველა დაკვეთილი საგანი. შეძენილი საგნების სიმრავლემ სურვილს გადააჭარბა. მათ ოთხი ცხენი ჰყავდათ, კიდევ ორი აქლემი იყიდეს. მომსახურებისათვის დაიქირავეს ორი ლეკე და ხანგრძლივი მგზავრობით ჩააღწიეს ახალციხეში.

ბადალა კარგად იცნობდა ხითარიშვილებს... სავაჭრო ბინა დაიკავა მათთან და ალიოზაშვილებთან. სავაჭრო გამოფენას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მუშტარზე და მნახველებზე.

ბადალას მხედველობიდან არ გამორჩენია ნაცნობ-მეგობარი ფაშები და ბეგები. ყველას საკადრისი საჩუქრარი შესთავაზა.

- „ამდენად, ალინძნაეს ბატ. ვახტანგ სუდაძე – პატივცემულო შოთა, ასეთი საუბრით ჩავაბარე პირველი კურსის ისტორიის საგანი პროფესიონალ სარგის კაკაბაძესთან.“

პატივცემულო შოთა, ასპინძის ომის ორი გმირის - ბადალა ნებაძის და ნიკოლოზ ჯვარიძის პიროვნებების შესწავლა და დახასიათება მსურდა, მაგრამ მათი ნინაპრები ძალიან შორიდან იღებენ სათავეს. ასე მგონია, მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოიხსენებიან, ეს უკვე ცალკე შესასწავლი თავია. ასე რომ, ამ ზაფხულში დავამუშავებს“...

ჩვენდა სამწუხაროდ, ამის შემდეგ შეწყდა პროფ. შ. ლომსახის არქივში ბატონ ვახტანგ სუდაძის მიერ გამოგზავნილი მასალების სერია...

### წოდვა და მადლი

ვიტყვი და ვიტყვი, შეიძლება,  
თუ არ ვიტყვი, არ იქნება,  
დედის ავად მოკიდება  
შვილისაგან რათ იქნება!

74



ვიცი, ზოგიერთი შეიძლი  
დედას წიხლით ზედ შედგება,  
მამას გარეთ გამოაგდებს:  
„წადი, თვალიმც დაგიდგება“!

სადაც წავა ანუგეშებს,  
ბედის წერა წინ დახვდება,  
ბენვის ხიდი ვიწრო არის,  
ცოდვიანს არ გაესვლება.

მადლიანი რომ შედგება  
ბოგირ-ხიდათ ეჩვენება,  
ცოდვიანი რო შედგება  
მოწყდება და ჩაგარდება.

ცოდვა-მადლი წიგნს ასწონის,  
საით უფრო დამძიმდება,  
ერთი წლის სავალ გზაზედა  
ეკალ-უკალი ჰეფენია.

დგას კუპრიელის ქვევრია  
გარს უკიდია გენია,  
ამხანაგის მოღალატეს  
შიგ უდევს ენის წვერია,

ნათლიისა შემცოდესა  
გამოსჭრიან სამწვადესა,  
გაუხვრეტენ ენის წვერსა,  
შიგ უყრიან წითელ გველსა.

დედა ობლების გამშვები  
ეფარება კაცის შევლელსა,  
უბეში უსხედს გველები,  
ეცვევიან ძუძუებსა.

\* \* \*

სიმხიარულე გიხდება,  
სიცილი ლაზათიანი,  
მინახამს შენი გვირგვინი:  
წითელი ლალის ფრიანი,  
უკან მაყრები მოგდევნენ  
თოფიანი და ხმლიანი.  
მე უკან მივჩანჩალებდე  
ჩემი სტვირ ქამანჩანით,  
ფულები ბევრი ამეღოს:  
ჯიბეს გაჰქონდეს ჩხრიალი.

\* \* \*

სადილობიდან სამხრამდი  
დაგით აიღო ქალაქი,  
თუ ძროხა არ მოიწველის,  
სიდან იქნება კარაქი?

\* \* \*

ბალჩაშია გადვიხედე,  
გატეხილი ცულისთვინა,  
გოგოვ, ერთი მაკოცნინე  
მამაშენის სულისთვინა.

### შაქშეთი რომ აიღეს

შაქშეთი რომ აიღეს  
იყო ორშაფათ დილაო,  
ქალები ბევრი წაასხეს, –  
მარიამი და თინაო.

ახალციხეს გადიყვანეს,  
მტრის სარდლებს ჩაეძინაო,  
ერთ ტყვეს ვაუკაცსა გმირიძეს  
ულვაშში ჩაეცინაო.

მიწყიტ-მოწყვიტა ჯაჭვები,  
ყველა ტყვეს მოელხინაო,  
მტრების იარაღს აიღებს  
იერიში მიიტანაო.

თითო მოქნევით სამ-სამსა  
კუნავდა, როგორც ჩალაო,  
რაც იმათ დღე დააყენა  
ის სხვებისთვისაც კმარაო.

\* \* \*

ჰოი, შენ კი გენაცვალე,  
შენ ბასრი ხანჯალ-ხმალისა,  
წვერ-ულვაშით შემკობილხარ  
ჯერ არა ხარ ოცი წლისა,  
გიყვარს შენი ქვეყანა,  
გამწყვეტი ხარ მისი მტრისა.

\* \* \*

როცა კაცსა ლმერთი სწყალობს  
ციდან მოუვა წესია.  
ნაფუზარივით მიუვა,  
თუნდ კლდეზე დაუთესია.



## ჭოჭოხეთის ამჩავი

ჯოვანხეთის ამბავს გეტყვით,  
სათქმელათ საზარელია,  
მეტადრე ცოდვიანისა,  
სულის ამოხდა ძნელია.  
დედ-მამის მაგინებელსა  
ეხვევა ჭრელი გველია,  
ამხანაგის არ გამტანსა,  
ცეცხლს უდევს ენის წვერია  
და მამულის მოლალატეს  
პირს უზის მორიელია.

\* \* \*

ნუ დასდევ ჭრელსა პეპელას,  
გაფიფრინდება, წაგივა,  
ხორცი ხომ არას გარგია,  
ტყავი სულ არათ გაგივა.

## ჭკვავაძემ დამპატიუა

ჭავჭავაძემ დამპატიუა,  
ღვინო მასვა ტკბილიო,  
იქიდან რომ წამოვედი  
მამერია ძილიო.

ერთი ბუჩქი მამენონა,  
შეველ, შევყე ცხვირიო,  
ერთ მელორეს ჩემიევლო,  
მიეპარა სტვირიო.

ჩემი სტვირის მამპარავსა  
გაუსივდეს ცხვირიო,  
იმისი ცოლი მენახოს  
შვიდი დღის მერე ქვრივიო.

ჩემ ძმისათვინ მამეყვანოს,  
გამენიოს ლხინიო.  
ზითებშიაც მოჰყოლოდეს  
ჩემი ჭრელი სტვირიო.

მთქმელი ბასილ ზაქარია ძე გოგოლაძე,  
70 წლის, მცხ. სოფ. ბარალეთში, ჩანერილია 1937 წელს.

\* \* \*

ძალომა რომ ყეფა დაგინტოს,  
ჯოხს ნუ მოუქწევ მასაო,  
ყეფა თითონვე შერცხვება,  
არ ამოიღებს ხმასაო.

## შირობა

პირველი:  
ნამგალობა მოვიდა,  
ნამგალობა და ნამჯობა,  
წრევანდელ მამითადშია  
მკაში ვერავინ მაჯობა.

მეორე:  
თქვენი სოფლიდან გამოვა,  
ეშმაკობა და ქაჯობა,  
თუ ვირი არ იქნებოდე,  
რატომ ვერავინ გაჯობა?

პირველი:  
კარებზე შეშა გიგდია,  
წვრილი მოზვრების სათარი,  
თუ შენი ქალი კარგია,  
გასათხოვარი რათ არი?

მეორე:  
გეტყობა, ქალაქს ყოფილხარ  
მოგიტანია სათალი,  
შენ იმნაირად გახველებს,  
სიკვდილი შენთვის მზათ არი.

## ზარმაზური ზიფი

ბიჭო, ეგ შენი ქებაო,  
არა ვთქვა, არ იქნებაო,  
პური ჭამაზედ მარდი ხარ,  
საქმეზედ წელი გწყდებაო.  
შენით არაფერს აკეთამ  
არც რამეს გეტყვის დედაო.  
ამისთანა სიცოცხლესაც  
თვალიც კი დაუდგებაო.

## ქალის

ადი, ქალო, მაღლა ხესა,  
ჩამოყარე ბრონეული,  
ჩამო და გვერდით მამიჯექ,  
ქამხა მოგცე დაწერილი.

– არცა მინდა შენი ქამხა,  
არცა შენი დაწერილი,  
ჩემი ქმარი მირჩევნია,  
გვირგვინშია ჩანერილი.

\* \* \*

ყოვლად წმინდა გარს გადგია,  
გეყურება გალობაო,  
ჩაიცვი და დაიხურე  
მოგიხდება ქალობაო.





## ნაჭვრთ

ნეტავი იმის დედასა,  
ვისაცა ჰყამს კარგი ცოლი,  
ომში იბრძეის ლომივითა,  
ვერა სჯობნის თავის ტოლი.

## თოფის კუხნა

თოფმა სთევა: ჩემსა პატრონსა,  
ჩემს უკეთესი რა ჰქონდა  
ერთი ისეთი თხა მოვკალ,  
თორმეტი ადლი რქა ჰქონდა.  
ვინც იმით ღვინო დაღია,  
ფეხები ვეღარ დაჰქონდა.  
იმ ღვინის დალევისაგან  
ზემო ქარივით დაჰქეროდა.

\* \* \*

დედამ რომ ცოლი მითხოვა,  
შავი იყო, არაბს გამდა,  
მე რომ სადმე წავიდოდი,  
ის შინ ქათამს დაიკლამდა.

\* \* \*

ლამაზი გოგო დედასა  
ეზომებოდა ადლითა,  
ეტყოდა, ჩემი მეოცნელი,  
ამსებოდა მადლითა.

\* \* \*

ამოდულდი მარგალიტო,  
საგუბარში ჩადეგ წყალო,  
არც ისეთი ლამაზი ხარ,  
რა თავს იმადლები ქალო.

\* \* \*

ლამაზო, დავდნი, ჩამოვხმი,  
ვეღარ ვძლებ შენსა დევნასა,  
ვეღარც გშორდები, ვერც იქნა  
ვეღირსო შენსა ხვევნასა.



\* \* \*

მკერდში მოხვედრილ ტყვიისგან  
მარჯვე ვაჟუაცი ჰეიოდა,  
ისე თავს არა ნანობდა,  
ცოლსა ლამაზისა ჩიოდა.

## წისქვილში

თითულ წისქვილში ატირდა  
ნინა თორლვას ქალია,  
შემოგვიცვიდნენ ლეკები,  
ლამით გატეხეს კარია,  
იქ თან ძმა მყამდა, მამიკლეს,  
დაგუბდა სისხლის ტბანია.  
ხელნ დამსჭრეს, უბეს ჩამიდეს,  
გადამატარეს მთანია,  
სამშობლოს ვეთხოვებოდი,  
უკან მრჩემოდა თვალია,  
ვერც დედას ვნახამ, ვერც მამას,  
ვამე ჩემი ბრალია.

მთქმელი ნენი ყირიმელაშვილი (ყირიმელათ ნენი).  
სოფელ ბარალეთი, 35 ნლის. სოფ. ხიზაბავრა. ჩაინერა  
გიორგი გოგოლაძემ 1937.

\* \* \*

უფლისგან გვაქვს ბოძებული  
ბაღჩა-ბალი, ძროხა, ხარი,  
სიმინდი და დოლის პური,  
მოგიზგიზე შავ-ბუხარი.

\* \* \*

თოფმა იქუხა ხენაში,  
ქვევით, იფნების ტყეშია,  
დაგორდა ორი ურჯულო,  
ჩაცვივდნენ უფსკრულ-ხევშია,

– ნეტავ, ვინ მოჰკლა თათრები,  
ეს ვინ იცინის წვერშია?

– ბიჭი გიორგა იქნება,  
თოფი უჭირამს ხელშია.

\* \* \*

გაიხარენით, თათრებო,  
დავბერდი, მიჭირს თვალთაო,  
ვეღარც ხმალდახმალ მოგყვებით,  
ფიქრებიც ამეხლართაო,  
– ეჱ, ვერასოდეს გაიგებთ,  
ჩემი ყვირილის ხმასაო!

\* \* \*

ჭირიმე, თქვენი ხვანელნო,  
ხელი იკარით ხმალზედა,  
თორემ, თათრები მომძლავრდნენ,  
ქართველთა ნასახლარზედა.

ასე ამბობდნენ საქვეყნოდ:

– კაი დედის გამოზრდილია!

**მთქმელი ოსიპო გიქოშვილი,  
83 ნლის, ახალციხე, სოფელი ივლოტა.**

\* \* \*

ხვანელი კაცი ხარობდა,  
შაშვის წვერს, მაღლა მთაზედა,  
მოეკლა ორი თათარი,  
ნამოსდგომოდა თავზედა.

\* \* \*

ოცხეს ხევო, ღრმა და ბნელო,  
გაუვალო, ხშირო ტყეო,  
ყაჩალთათვის თავსაფარო,  
მოკეთისთვის სამოთხეო.

77



\* \* \*

სტეფანეი შეჯდა კხერზედა  
ვაჟეაცი, ნაომარია,  
თან წაიყვანა ანტონაი,  
ალესილი აქვს ხმალია,  
წინ შეეყარნენ თათრებსა,  
ცხრაპირ გააძრეს ტყავია,  
დიდანს იომეს, იქამდინ,  
მინამ უჭრიდათ თვალია,  
გამთენისას დაბრუნდნენ,  
თვითონაც ნახანჯლარია.

ნუ გამწირავ გულისსწორო,  
რით ვუშველო ჩემსა თავსა,  
ხეზე გავალ აკაციის  
და იქ ჩამოვიზრჩობ თავსა,  
ან დიდ წყალში ჩავვარდები,  
ნაჩლიქარსა ხარისასა.

\* \* \*

ხმალმა სთქვა: ომი ვერ დამდლის,  
პატრონი მყავდეს ფხიანი,  
მალ-მალე შემოუძახოს,  
ლაშქრული ომაზიანი!

**მთქმელი გიორგი (გოგი) აპულაძე,  
ადიგენი, სოფ. უდე, 78 ნლის.**

\* \* \*

მესხი ბიჭი ვარ, ვაჟეაცი,  
მთაში, ზეკარზე გაზრდილი,  
ალალი მწყემსი, მშრომელი,  
ბრძოლაშიც შეუდრეებელი.  
სამშობლოს მოსიყვარულე,  
ოჯახის დაუთმობელი.

\* \* \*

ხვანელნი ომსა ნატრობდნენ,  
ერთად ვართ ცხრანი ძმინია,  
წინ წვეუძღვებით ლაშქარსა,  
რომ ვისახელოთ თავია.  
ერდოებიდან გვიცერდნენ  
შავთვალა ქალთა ჯარია,  
ბევრ მათგანს მოვეწონებით,  
დაავიწყდებათ ქმარია!

ჩვენი მეგუთნე ანტუშა  
გაკვართულია ტანშია,  
ხარიც კარგი ჰყავს, თვითონაც  
დიდად ნაქები გვარშია.

\* \* \*

ფარეხელი არ გეგონოთ,  
სოფლელი ვარ, თუთაჯვრელი,  
ლამაზებო, ნუ გამირბით,  
ხვევნა ვიცი საკვირველი.

## დეფის ნატვრა

მინდა, რომ იყო ვაჟეაცი,  
ცხრათვალა მზისა დარია,  
მოყვრის გამხარე, მტრის მგმობი,  
ერთგული, განა ფლიდია,  
ხმალსა ხმარობდე ხელმარჯვედ,  
მტერს ჰქონდეს შენი რიდია,  
ქვეყანას შენი იმედი,  
მომლხენი, სუფრა დიდია,

თეძოებს რომ მიმოიქნევ,  
ქარში ეკალ-ნარივითა,  
თერევ, ცოლად არ მოგიყვან,  
თუგინდ გახმე სარივითა.

ოლქ, №3, 2019





\* \* \*

ხვანაში რომ წვიმა მოდის  
ჭანჭახებში დარია,  
ჩემი შტერი დედამთილი  
ბუხარივით შავია.

\* \* \*

მაღლიდგან გიცქერთ ხეანელნო,  
შაშვის მთის მრგვალი სერითა,  
ნეტავი კიდო გამლერათ,  
რა საამოა თქვენი ხმა.  
ბუზმარეთს მიიჩქაროდით,  
ჰარი-ჰარალეს მლერითა,  
ნინ ანტონა გიძლოდათ  
კომბალზე ბჯენა-ბჯენითა,  
უკან ქალ-რძალნი მისდევდათ  
პირვერის ნერა-ნერითა,  
ლოცვას იტყვიან ლვთისმშობლის,  
ძალ-ძადლიანი ენითა.

\* \* \*

ქალი ვარ მზისა სადარი,  
ნაქები სოფელ თემისა,  
ბევრი მყავს ხელის მთხოვნელი,  
ვაუები ალვის ტანისა.  
ერთია სახელოვანი,  
მცხოვრები სოფელ ხვანისა,  
თათრების რისხვა, მოყვარის –  
დიდი იმედი ხვალისა!

\* \* \*

ვაუკაცნო, ხვანას შვილებო,  
გააალმასეთ ხმალიო,  
არდაგანს გაუტაცნიათ  
ჩვენი ლამაზი ქალიო.  
შინ ძალით გამოათრიეს,  
შელენეს სახლის კარიო  
და თანაც ხელს გააყოლეს  
ცხვარი, ძროხა და ხარიო.  
საცაა ფოცხოვს გადავლენ,  
თხელი ყოფილა წყალიო,  
სოფელ ბადელას მიადგნენ,  
ძირზე ჩამოსვეს ქალიო.  
ეს რომ გიორგამ გაიგო,  
ალესა ხანჯალ-ხმალიო,  
– ჰაი, დედასა, თათრებო,  
ხომ არ გგონივარ მხდალიო,  
ქალს არ გაგატანთ, რჯულძალლნო,  
ღმერთმა მიდიდოს გვარიო!  
გზა გადაუჭრა თათრებსა,  
თოფმაც იქუხა ჩეამიო,  
მზეზე ლაპლაპებს ფარ-ხმალი,  
ადინა სისხლის ღვარიო,  
სულ ამოხოცა თათრები,  
შინ დააბრუნა ქალიო!



\* \* \*

ჩვენი სოფლელი ვაუკაცნი  
ომშიგან ნიავ-ქრიანო,  
მოღალატეს და ორგულსა  
ღელე-ღელესა ჰყურიანო.

\* \* \*

მე ვარ ანტონა გოგილაშვილი,  
ხვანაში მყვანდა ცოლი და შვილი,  
ვხნამდი, ვთესამდი, არ მქონდა დარდი,  
ახლა დავბერდი, დამიჭქუნა ვარდი.

ცოლი მამიკვდა, გამექცა შვილი,  
წუთისოფელმან მამკერძა ჭირი,  
არვის ვუნდივან, არც მტერს, მოყვარეს,  
ამისთვის ვგლოვობ, ამისთვის ვტირი.

\* \* \*

ქარი ჰერის შაშვის წვერზედა,  
ღრუბლებიც ბერდებიანო,  
მინა-წყალს ითხოვს გვალული,  
გულ-მკერდი გაულიანო...  
წვემავ, იწვიმე ჩეარადა,  
ალარა დაიგვიანო,  
ბაღჩა და ბაღი მოგვირწყე,  
ჩვენ არა შეგვიძლიანო,  
გვაშორე ჭექა-ქუხილი,  
უფალო, ხელმადლიანო!

\* \* \*

ხმალი დაუანგდა გიგოსი,  
ამბარზე დაკიდებული,  
პირი დაჩლუნგდა უქმობით,  
ქვეყნისთვის დაფიქრებული.

გალეულიყო ხმლის ვადაც,  
სულ უანგით გაყვითლებული,  
ესიზმრებოდა ომებში  
ლაშქარი გამარჯვებული.

\* \* \*

ჰაი, გიდი გოგილაშვილო,  
მფრინავო ცხენივითაო,  
აგილესია ფარ-ხმალი,  
მტერს თიბამ, ცელივითაო,  
შენგან ნახოცი თათრები  
ძირს ჰყურიან თავთავითაო.

\* \* \*

მამლის ყივილზე ავდექი,  
კერას შევავლე თვალია,  
სალაშქროდ გზაზე გავწიე,  
ხმალს დავუმაგრე ტარია.

მტერს შევეფეთე, შევები,  
როგორც ულელში ხარია,  
ომახიანად დავჭექე,  
ცოცხალი არვინ არია,  
სულ წავახდონე თათრები,  
ბევრს დავუბრმავე თვალია.

\* \* \*

შენი ჭირიმე, ხანჯალო,  
ემაგ პრიალა ყელისა,  
დატრიალდები ომშიგან,  
გაულეტა იცი მტერისა,  
შენა ხარ ქვეყნის იმედი,  
ძალ-ლონე მტრების ძლევისა.

\* \* \*

არ შეგაშინოს თათარმა,  
გაუხტი, როგორც შველია,  
გამარჯვებული დარჩები,  
ოფლად დალვრილი, სველია!

\* \* \*

გიშერა ღონიერია,  
გუთანს მიათრევს ხისასა,  
გინდათ ურემში შები,  
წაიღებს თუნდაც სხვისასა.

\* \* \*

პატარა ბიჭი შესკუპდა  
ნათალსა ულელზედაო,  
ჰეი, ხარებო, გამიწით,  
არ მოგხვდეთ ბეჭებზედაო.

\* \* \*

შავშეთის მთისკენ გავწიე  
წინ მიმიდვოდა ცხვარია,  
ლიმილს თან გამაყოლებდა  
შავთვალა, მესხი ქალია.

\* \* \*

ერთი ხვანელი ყმაწვილი  
ვაჟკაცად იქნა ხმლიანი,  
ცხენიც რო ჰყვანდა თეთრონი,  
ვით შევარდენი ფრთიანი.  
სათათრეთს გადავარდა და  
ურჯულოთ შექნეს ღრიალი,  
თითოს ესროლა თოფიდან,  
ხმალმაც გაილო წერიალი,  
დასად დაწყო თათრები,  
დაყარა ოხერ-ტიალი.

\* \* \*

ვაჟკაცმა ხმალს შეუძახა:  
– ომში გამამყე თანაო,  
გამიძეხ, ნუ შეშინდები,  
მივდივართ თათრებთანაო.  
დატრიალდი და გასჭარი,  
არ დამიუანგდე ტიალო,  
მტერი ბევრი გვყავს, იცოდე,  
მათ კისრით გაგაპრიალო.

\* \* \*

სიკვდილო, მაგარ ვაჟკაცსა  
ნუ ჩაუსვენებ მზესაო,  
ნუ დაუიბლებ ცოლ-შვილსა,  
ნუმც გაუხარებ მტერსაო.  
თორემ გზად ჩაგისაფრდება  
გიჩვენებს ომის წესსაო.

\* \* \*

ახალციხეში ჩავედი,  
პურ-შაქარის საყიდლადა,  
მე გემოზე გამოვთვერი  
პურის ყიდვის მაგიურადა,  
ცარიელი შინ დაბრუნდი,  
ცოლი იდგა სატირლადა:  
– ყადთან უნდა მიგათრიო,  
მოემზადე საჩივრადა.  
შენს ცოლობას ისევა სჯობს,  
მარტო ვიყო ათწილადა.

\* \* \*

გუშინ მეწვივნენ სტუმრები –  
სიმონ, ანტონა, ლაზარე,  
ხინკალი როდი მივართვი,  
ხმელი აპოხტი ჩავთალე,  
წინ წიორწყალიც დავუდგი:  
ჭამეთ, ღროება ატარეთ.

\* \* \*

თაემჯდომარედ მოგვივიდა  
კაცი ბრიყვი, უცნაური,  
კაბინეტში გაიჭიმა,  
ვითომც იყოს აქაური.  
ვიღაც ქალი მოათრია,  
თავის გულის ნანდაური.

\* \* \*

ცოლმა ნახირში გამგზავნა,  
უცებ, დაცბრუნდი დილითა,  
ქალი ერდოზე დამიხვდა,  
ლამის გამგლიჯა კბილითა:  
– ეს როგორ მალე მოშავდი,  
თვალებს დაგათხრი ფრჩილითა!





– შენ რაღა ჰქენი ქალო-ჯან,  
ლოგინში გდება-ძილითა?  
ჩაგიცვამს მოკლე კაბები,  
თმაც შეგიღებავს ინითა.

\* \* \*

ჰეი, მეზობლებო მიშველეთ,  
გაპყინა სიძე-ბატონი,  
– გაიხადე და დაპხურე,  
ტელეგრეიკა, პალტონი,  
ანდა შინელი მოიტა,  
ჯარში რო გქონდა ნაქონი,  
თუ უსიძეოდ დარჩები,  
ვინ გეყოლება პატრონი?

\* \* \*

სიმონამ წერა დაიწყო,  
ჩემზე ამბობენ ჭორითა,  
ნეტავ, ლექსები რად მინდა,  
ნუ ყბედობთ ენა-პირითა,  
წუთისოფელმა დამჩაგრა,  
ენა მიჭირავს კბილითა,  
მარა, ცოლი მყავს ლამაზი,  
ვარდ-ყვავილია დილითა.

\* \* \*

კლდეტ მოიკრიფა ნისლები,  
ველი-მინდორი დაპფარა,  
ფიქრი ოცნებამ დაადნო,  
ჯავრმა – გონებამ დალალა.  
თვალი მაქვს შეუშრობელი,  
როგორც ფოცხოვი ანკარა,  
ჩემმა ცრემლებმა კლდე-ლოდი  
ლამის შუაზე გაყარა.  
შენ, ჩემო გულის ვარამო,  
შენთან მამყოფა აქ არა,  
ვარდად გაშლილსა ყვავილსა,  
ლმერთო, ერთხელმაც შემყარა,  
მუდამ სატრფოსთან მამყოფა,  
მხოლოდ სიკვდილმა გაგვყარა.

### მთქმელი სიმონ პატკაშიშვილი, სოფელი არალი, 75 ნოლი.

\* \* \*

ამბობენ, ახალციხესა  
იყრება დიდი ლაშქარი,  
მხოლოდ ვაჟუაცებს არჩევენ,  
ყველა საომრად მზად არი.

\* \* \*

ჯაჭვის პერანგსა ჩაგიცმევ,  
განახებთ გულთა სრულობას,  
ვერ დაამშვიდებს ლაჩარსა  
ხმალ-აბჯრის ჩანაცმულობა.

\* \* \*

ქორნილსა ლხენა უხდება,  
ქალს თმები, ლოყა – ნითელი,  
ვაჟუაცს ამშვენებს თოფ-ხმალი,  
ხარიუით ქედა-კისერი.

\* \* \*

ვაჟუაცო, ტანად ლამაზო,  
მუდამ ხარ ომის ცდაშია,  
ხმალი და თოფი კარგი გაქვს,  
ძალი და ღონე მკლავშია.

\* \* \*

სიტყვის წამხდენსა სიკასა  
ქრისტემ უმრავლოს დირიო,  
გავპარსოთ ცალი ულვაში,  
შეეკრას კრიჭა-პირიო.

\* \* \*

ანტუშას, ქალაჩუნასა,  
ცოლი სჯობია თმიანი,  
მეტსა ვერაფერს დააკლებს,  
ძმობაშიც ვაგლახიანი,  
ფინთად აგინებს ყველასა,  
გული აქვს ტალახიანი.

\* \* \*

ანტუშას როდი სჭირდება  
ვაჟუაცის ქუდი თავზედა,  
გაცვდება, ჩქარა ჩაქრება,  
მისი ვარსკვლავი ცაზედა.


\* \* \*

ქოთალელეში ნუ ჩახვალ,  
ღრმალელე ეკლიანა,  
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ,  
გახდები მატლიანია.

\* \* \*

ბიჭებო, ივლიტელებო,  
თოვლი წყლად ჩამოდიოდა,  
თქვენი ყვირილის ამბავი  
ნავანებს გამოდიოდა.

მთქმელი მსიპო გიქომვილი,  
ახალციხე, სოფ. ივლიტა, 82 ნოლი, ჩანერილია სოსო  
გიქოშვილის მიერ 2018 წელს.





ვარძია - ელევაში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი



საფარის მონასტერი

ISSN 1512-3995



15123995